

სალოებ კაპანაპი

# კოდექსი

ტერიტორიული  
მდგრადი და და კულტურული



00000000  
ნიმუში



სალომე პაპანაძე

# კონტექსტი

ნერიცები ქართულ  
მწერლობას და კულტურაზე

თბილისი 2019

რედაქტორი:

როსტომ ჩხეიძე

გამოცემის რედაქტორი:

მარინე მარკოზაშვილი

ტექრედაქტორი:

ალექსანდრე კუთანაშვილი

მეორე შევსებული გამოცემა

გამომცემლობა  
„სვეტი“

© სალომე კაპანაძე. კონტექსტი. თბილისი 2019.

ISBN 978-9941-9442-9-1

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ  
ପାତ୍ର ଅନୁଷ୍ଠାନିକ  
ବିଜ୍ଞାନ

## გრიგოლ რობაქიძისა და მოდერნისტული ლიტერატურული დაჯგუფებების ურთიერთობების ისტორიდან

ქართულ მწერლობას კულტურგენეზისის მრავალსაუკუნოვან პროცესში ყოველთვის ყოფნიდა ეროვნული ენერგია საკუთარ სულიერ დუღაბში გადაედნო ყველა სიახლე, რომელსაც მსოფლიოს კულტუროსანი ნაწილი სთავაზობდა. ამ ტრადიციისადმი ერთგულება გრიგოლ რობაქიძისათვის ის ვალდებულება აღმოჩნდა, რომელსაც მე-20 საუკუნის დასაწყისში მოსალოდნელი განახლებისათვის უნდა შეემზადებინა ქართული მწერლობა, რადგან იმხანად მწერლობის ავანსცენისაკენ თამამად და კატეგორიული ტონით „პირტიტველა ენთუზიასტების“ (ტ. ტაბიძე) გუნდი მიიწევდა. მწერლობის განახლების სურვილთან ერთად, ცისფერყანწელებად მონათლულ ახალგაზრდებს კიდევ რაღაც ამოუკრობი იზიდავდა საქართველოს მისტიურ თაურმდგენ – გრიგოლ რობაქიძესთან. პოეზიის სიყვარულის პარალელურად, მათ უფრო მნიშვნელოვანი რამ აერთიანებდა – ეს იყო მიწა-სამშობლოსთან საკრალური სიახლოვე და ფესვების მოძიების მსოფლგანცდა. პოეზიაში „კერპთა მსხვრევის“ ინიციატორმა თაობამაც კი XX საუკუნის დასაწყისში მხატვრულ ოპუსებში ის ტრადიციული „სისუსტე“ მაინც გამოიჩინა, რომელიც მამებს გააჩნდათ. ბოდლერისეულმა ნიჰილიზმმა სამშობლოს ფენომენთან დაკავშირებით აქ ფესვი ვერ მოიკიდა. მოგონებები „ძველი ქალდეაზე“ ისევე ტანჯავდა მათ, როგორც რომანტიკოსებს „მეფე ერეკლე და იმისი დრო“. მწერლობის განახლებისათვის თავდაჯერებით მებრძოლ ახალგაზრდებს იმ დროისათვის გულშემატკივარი, მით უფრო მამათა თაობაში ბევრი არ ჰყოლია, გამონაკლისად კიტა აბაშიძეს თუ არ ჩავთვლით. შალვა აფხაძის მოგონებით, „ახალ სიტყვას პოეზიაში მოსარჩელეც გამოუჩნდა. ეს იყო

ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. „მან ინტუიციით იგრძნო ახალგაზრდა პოეტებში ახალი სიო, მოწონებით შეხვდა მათ გამოსვლას და კარგი მომავალიც უნინასწარმეტყველა“.

გრიგოლ რობაქიძე არამარტო ასეთ „მოსარჩელეთა“ რიცხვში მოიაზრებოდა. იგი უშუალო მონაწილე იყო სალიტერატურო პარნასზე მიმდინარე რეფორმების და „ბატონი შაბლონის“ წინააღმდეგ წამოწყებული პრინციპული ბრძოლის. მართალია, იგი ცისფერყანწელთა ბოჭემურ განცდებსა და არტისტულ წარდგინებებში ნაკლებად მონაწილეობდა, მაგრამ მისი ლიტერატურული ინტელექტი, ესთეტიზმი, მითოლოგიურ-ფილოსოფიური ნაკადი და მისტიციზმი იმ გრძნობად-ემოციურ რკალში შემოდიოდა, რომელიც „ცისფერყანწელებს“ მასთან მეგობრობისა და თანამოაზრეობის მოთხოვნილებას უღვივებდა. მათვის ის იყო „მელექსეთბაში“, „დანტეს სწორი“, „უწმინდესი“. გრიგოლ რობაქიძის პერსონისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და მის სიახლოვეს ყოფნის სურვილზე მეტყველებს 1922 წელს, გაზეთ „ბარრიკადში“ პაოლო იაშვილის მიერ გრიგოლ რობაქიძის ცისფერყანწელთა ათეულში დასახელება, რამაც გამოძახილი ჰპოვა მინდია ლაშაურის წერილში „ქართველი ორფეოსი“, რომელიც საზღვარგარეთ გამომავალ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა. მინდია ლაშაურმა დამაჯერებლად მიანიჭა გრიგოლ რობაქიძეს ცისფერყანწელთა მეთაურის სტატუსი. მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძემ მოკრძალებულად უარყო ეს პატივი და განმარტა – „ყანწელებთან“ როგორც მეგობარი, უფროსი, დამხმარე და წამხალისებელი ვიყავიო. ჩვენი აზრით, არსებობს საფუძველი, ამ განმარტებაში ქვეტექსტი ვეძებოთ- განა მეთაურის ფუნქცია სხვა რამეა, თუ არა უფროსობა, დახმარება და გზის გაკვალვა, რასაც გრიგოლ რობაქიძე არასოდეს აკლებდა ცისფერყანწელთა ორდენს. მისი განმარტების

ბუნდოვანების საიდუმლო კი იმაში იმაღება, რომ ემიგრა-  
ციაში ცისფერყანწელებთან ასეთი ურთიერთობის დადას-  
ტურებას, შესაძლებელია, საბოლოოდ მოელო ბოლო მისი  
სამშობლოში დაბრუნების იმედისთვის. 30-იან წლებში საბ-  
ჭოეთის სალიტერატურო სივრცეში დეკადენტური ლიტერა-  
ტურის მავნე ზეგავლენაზე საუბარი კარგა ხნის დაწყებული  
გახლდათ. გრიგოლ რობაქიძის სამშობლოში დაბრუნების  
სურვილსა და ოცნებას მისი ემიგრანტის პასპორტიც მოწ-  
მობს, რომელსაც მწერალი სიკვდილის ბოლომდე ატარებდა.  
გრიგოლ რობაქიძის სულისმიერი მეგობრობა და თანაგანც-  
და ცისფერყანწელების მიმართ ყოველთვის ადეკვატური  
იყო. მათ ეძლვნება „სონეტი ლოცვის ახალ მხედართ“, „ავ-  
ტომედალიონი“ და კონკრეტული ადრესატით დასათაურე-  
ბული სონეტები, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, სადაც, მისივე  
თქმით, „მოკლეს ილია“, მას მაინც ტანჯავდა ჯგუფური  
გაერთიანებების მიმართ გარკვეული უნდობლობა. გრიგოლ  
რობაქიძეს „უკარებლისა“ და „ამპარტავნის“ ნიღაბი უფრო  
ხიბლავდა, თუმცა საქართველოში ახალი „იზმების“ გაჩენის  
მიმართ მგრძნობელობა და სიფხიზლე არასოდეს დაუკარ-  
გავს. ამ შემთხვევაში, უთუოდ საინტერესოა მისი პოზიცია  
დადაიზმის მიმართ, რომლის ერთ-ერთი აპოლოგეტი ცის-  
ფერყანწელთა გამორჩეული ლიდერი ტიციან ტაბიძე გახლ-  
დათ.

1916 წლის 14 ივლისს, წარმოშობით უნგრელმა, მაგრამ  
ფრანგულენოვანმა პოეტმა ტრისტან ტცარამ შვეიცარიის  
ქალაქ ციურიხის კაბარე „ვოლტერში“ დეკლარირებულ „ბა-  
ტონ ანტიპირინის მანიფესტით“ ლიტერატურულ ევროპას  
აცნობა დადაიზმის მოვლინების შესახებ. ეს იყო ნიშანი  
მსოფლიო ლიტერატურის მორიგი თვისობრივი ცვლილე-  
ბისა. იმავე წელს საქართველოში გამოდის ჟურნალი „ცის-  
ფერი ყანწები“. ევროპული მოდერნიზმი ამ დროს თითქმის

ორმოცდაათწლიან ისტორიას ითვლის და მოდერნისტების უკანასკნელი თაობა ანტიკურ ლიტერატურასა და ესთეტიკას უბრუნდება. ევროპულმა ლიტერატურამ თავისი გენეზისის მეტად ორიგინალური ტრაექტორია შექმნა-პომეროსიდან ანრი დე რენიომდე. ქართულმა მოდერნიზმა დაახლოებით იგივე თვისებები გამოამჟღავნა. 1916-1920 წლებში მან შეძლო რადიკალური ცვლილებების განხორციელება პოეზიაში: თავის ლირსებაში აღადგინა ქართული ლექსის მეტრული რეპერტუარი, შეაჩერა რითმის დეკადანსი და ქართულ სიტყვას ძველი ელვარება დაუბრუნა. ამ თვისობრივი ნახტომით ქართული ლექსის კულტურა საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდა და იმდროინდელ ევროპულ კულტურას ამოუდგა მხარში. 1920 წელს ტიციან ტაბიძემ შურნალ „მშვილდოსანში“ გააკეთა მინიშნება ცვლილებების მორიგი ეტაპის დაწყების შესახებ: „ლაფორგისა და ლოტრეამონის შემდეგ დღე ისე არ დამდება, როგორც წინათ და ამ კოშმარულ დამეებს უნდა სხვანაირი გათენება. პოეზია, როგორც მორიელი დაუბრუნდა საკუთარ თავს შხამით – ეს ყველაზე უფრო საშინელი ტერორია“. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ თანდათან ღრმავდებოდა უფსკრული ზომიერ მოდერნისტებსა და მის რადიკალურ ფრთას შორის და ამდენად, ციხის შიგნიდან გატეხვა მოსალოდნელი და ლოგიკური იყო.

პროტესტანტული განწყობა საქართველოში რუსული ავანგარდიზმის რადიკალური ფრთის გამოჩენამაც შეამზადა. პეტროგრადის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თბილის დაუბრუნდნენ ფუტურიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერები-ილია და კირილ ზდანევიჩები. ილია სათავეში ჩაუდგა საქართველოში მოღვაწე მემარცხენე ყაიდის რუსულენოვან პოეტებს, მხატვრებს და შექმნა კორპორაცია „41 გრადუსი“ (თბილისთან გამავალი პარალელის

მიხედვით). რომელშიც ძმები ზდანევიჩების გარდა გაერთიანებული იყვნენ იგორ ტერენტიევი, ალექსეი კრუჩინიჩი, სიგიზმუნდ ვალიშევსკი და სხვები. მათ ჰქონდათ ამავე დასახელების საკუთარი გამომცემლობაც. ამ ჯგუფის ეს-თეტიზმის ერთ-ერთი სიმპტომი იყო ის, რომ უკვე იხრებოდა დადაიზმისაკენ. უფრო მეტიც, იგი დადაიზმის ლოკალურ ვარიანტად ჩამოყალიბდა. ამ ჯგუფის მანიფესტებსა და პოეზიაში აშკარად გამოიკვეთა ლიტერატურული მეთოდის ნოვაცია ცინიზმის, ირონიისა და „ზაუმ“ – ის სახით. ეს იყო არამარტო მეთოდი, არამედ მსოფლმხედველობაც, რომელმაც პირველი გამოვლინებები ჰპოვა ტიციან ტაბიძე-სა და გრიგოლ ცეცხლაძესთან. ამ „ჩოხიანმა დადაისტებმა“ არამარტო ნათარგმნი, არამედ ორიგინალური პოეზიითა და თეორიული მსჯელობებით სცადეს „დადაიზმის“ დაკანონება ქართულ პოეზიაში.

1924 წელს ავანგარდიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა გრიგოლ ცეცხლაძემ გამოსცა ლექსების კრებული „პოეტის ყეფა“. ვფიქრობთ, მისი დამსახურება ეროვნული ავანგარდიზმის დამკვიდრების საქმეში ჯეროვნად შესწავლილი არ გახლავთ, რადგან ყველაფერთან ერთად გრიგოლ ცეცხლაძე ილუსტრირებულ ჟურნალს „თოლაბულისის სარტყელსაც“ გამოსცემდა. მასვე ეკუთვნის 1922 წელს დაწერილი გარითმული მანიფესტი „დადა“, რომლის ხელნაწერს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში პირველად მიაკვლია პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა. გრიგოლ ცეცხლაძის წიგნის ყდაზე მოთავსებული კუბისტურ სტილში შესრულებული პოეტის პორტრეტი ეკუთვნის ავანგარდისტ მხატვარს ირაკლი გამრეკელს. აღნიშნულ კრებულს დადებითი რეცენზიით ყველაზე პირველი ტიციან ტაბიძე გამოეხმაურა, მისივე რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ბარრიკადში“. იგი თავის მხრივ იღწვოდა დადაიზმის

აღიარებისათვის ქართულ პოეზიაში.

ტიციან ტაბიძემ თარგმნა ფრანგი დადაისტების მანიფესტები: – ფრანსისკო პიკაბიას „დადა კანიბალის მანიფესტი“, ფილიპ სუპოს „დადას პროფილი“, ლუი არაგონის „სასამართლო გარჩევა“, ტრისტან ტცარას „დადა ქალწული მიკრობია“.. მანიფესტებთან ერთად, სათაურით „დადაისტური აფორიზმები და მცნებანი“ მან გამოაქვეყნა ჟორურისმონ-დესენის, ტრისტან ტცარას, ანდრე ბრეტონის აზრები. ტიციან ტაბიძემ კარგად იცოდა, რომ მანიფესტებითა და ნათარგმნი პოეზიით დადაიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის დამკვიდრება შეუძლებელი იქნებოდა და ერთ-ერთმა პირველმა შექმნა დადაისტური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები: „უიულ ლაფორგი“, „სეზონის ფალავანი“, ორპირის ოქროპირი“, „უჯმური კვირა“, „მელიტას, დადაისტური მადრიგალი“. პროფესორ მიხეილ ქურდიანის დამსახურებაა ტიციან ტაბიძის 1923 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული „დადას მანიფესტის“ აღმოჩენა, რომელიც, სხვათაშორის, იმხანად პოეტის არც ერთ კრებულში არ იყო შეტანილი.

ტიციან ტაბიძემ 1923 წელს დადაიზმის პრობლემას მიუძღვნა ორი წერილი „ირონია და ცინიზმი“ და „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“, რომელიც უურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ გამოქვეყნდა. სწორედ ამ წერილშია აღწერილი გრიგოლ რობაქიძის გამოსვლა ფუტურისტების საღამოზე კაფე „იმედში“, სადაც ირკვევა მისი პოზიცია ამ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან დაკავშირებით. წერილის შესავალში ტიციან ტაბიძე ახდენს მოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის დეფინიციას და ხაზს უსვამს იმ „უდიდეს პათოსსა და თვითდამტკიცების სურვილს“, რამაც განაპირობა მისი ბრძოლისუნარიანობა და ენთუზიაზმი. თუმცა გულდანყვეტით აღნიშნავს, დღეს პოეზია თვითონ

ებრძვის თავის თავს სასიკვდილოდო. ამის საილუსტრაციოდ პოეტი მოგვითხრობს გრიგოლ რობაქიძის გამოსვლის შესახებ ფუტურისტების – იგორ კრუჩიონიხის, ილია ზდანევიჩისა და ტერენტიევის მიერ მოწყობილ საღამოზე კაფე „იმედში“. ამ საღამოს მკვეთრად კრიტიკული რეაქცია მოჰყოლია აკადემიკოსების – ვინმე დოქტორ გოროდეცკისა და ხაზანოვის მხრიდან. თუმცა წერილის ავტორი მათ აგრესიულობას უჩვეულო სიმშვიდით ხვდება და გაკვირვებას მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის მხრიდან ფუტურიზმის მძაფრი კრიტიკის გამო გამოხატავს. ეს კრიტიკა მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მიუხედავად უდიდესი მოწინებისა, ტიციან ტაბიძემ ვერ დამალა გულისწყორმა მისი უფროსი მეგობრის მიმართ და წერილში აღნიშნა: „იმ ლამეს გრიგოლ რობაქიძე დარჩენილიყო თავისი თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალლამის დაწვეთება“. გრიგოლ რობაქიძის გამოსვლა საკმაოდ ემოციური უნდა ყოფილიყო, რადგან წერილის ავტორის თქმით, „ის ლაპარაკობდა გაცოფებული და ერთადერთი სიტყვა იყო, როცა ის თავის წინ არავის ხედავდა. მას უღალატა ორატორის ზომიერებამ, ის ყვიროდა როგორც დაჭრილი ვეფხვი“.

გრიგოლ რობაქიძის ეს გამოსვლა, ჩვენი აზრით, ბევრი რამით არის საყურადღებო. ირკვევა, რომ იმ დროისათვის ავანგარდისტულ და მოდერნისტულ ლიტერატურულ დაჯგუფებებს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, რაც ალბათ კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე, დადაიზმის ფაქტობრივი აღიარების პროცესში გრიგოლ რობაქიძის გავლენაზე ასეთი მინიშნება უდავოდ ადასტურებს მის დიდ ავტორიტეტს ლიტერატურულ სამყაროში. სხვათაშორის, ამ საღამოს ესწრებოდა ლადო გუდიაშვილი, რომელზეც უდიდესი შთაბეჭდილება

მოუხდენია მწერლის ემოციურ გამოსვლას. ტიციან ტაბიძე გადმოგვცემს: „ამ ლამის შემდეგ ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს – გრიგოლ რობაქიძე, არ-ნივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი“. საუბედუროდ, კარგა ხანს არავინ იცოდა, რა ბედი ენია ამ სურათს. გასაგები მიზეზების გამო, იგი არ იყო შეტანილი ლადო გუდიაშვილის რეპროდუქციათა არც ერთ ალბომში. ამ სურათის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ ლადო გუდიაშვილის ოჯახის წევრებმაც. ცხადია, საბჭოთა ცენტურა არასოდეს დაუშვებდა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტის არსებობას საბჭოთა ხელოვნებაში, როგორი შედევრიც არ უნდა ყოფილიყო იგი.

ტიციან ტაბიძე დარწმუნებული იყო, რომ გრიგოლ რობაქიძის სიტყვას ფაქტობრივად შეეძლო განესაზღვრა დადაიზმის, როგორც ლიტერატული მიმდინარეობის ბედი საქართველოში. ბუნებრივია, ტიციან ტაბიძე, რომელიც განებივრებული იყო მისი მხარდაჭერითა და თანამოაზრეობით, ქართული მწერლობისათვის ყველაზე კრიტიკულ პერიოდშიც კი, როცა იგი ცისფერყანწელთა საძმოს სხვა წევრებთან ერთად უაპელაციო, პრინციპული ტონით მოითხოვდა მე-19 საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის რევიზიას, გულდაწყვეტილი დარჩა და ახსნა ვერ მოუძებნა გრიგოლ რობაქიძის ასეთ დამოკიდებულებას დადიზმის ესთეტიკის მიმართ. მით უფრო, რომ გრიგოლ რობაქიძე ამ დროისათვის უკვე იცნობდა დადაიზმის დეკლარაციას, რომელიც ტიციან ტაბიძის თქმით, მისთვის დავით კაკაბაძის მოწყობილ მხატვრობის საღამოზე წაუკითხავს. სხვათამორის, ტიციან ტაბიძე მაინც ცდილობს ამ სამწუხარო ფაქტს გამართლება მოუძებნოს და გრიგოლ რობაქიძის

გაღიზიანების მიზეზად რუსი ფუტურისტი იგორ კრუჩიონი იხილავს დაინახოს, რომელმაც ამ გამოსვლის გამო გრიგოლ რობაქიძეს „აპოკალიფსისა და სიგიურის დიდოსტატი“ უწოდა. ვფიქრობთ, გრიგოლ რობაქიძის იმწუთიერი „გახელების“ საფუძვლიან მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ფუტურისტ იგორ კრუჩიონის პერსონა.

დადაიზმის მიმართ ცინიკური დამოკიდებულება მწერალმა თავის დრამაში „მალშტრემშიც“ გამოამჟღავნა. გრიგოლ რობაქიძეს ზოგადად აღიზიანებდა ფუტურისტების გამომწვევი, რადიკალური ლოზუნგები და თვითდაჯერება. ექსპრესიონისტული ფანტასმაგორია „მალშტრემი“ იმავე 1923 წელს არის დაწერილი, თუმცა იგი მოგვიანებით 1925 წელს გამოქვეყნდა უურნალ „მნათობში“. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გრიგოლ რობაქიძის დრამატურგია მწერლის მსოფლმხედველობის გასახსნელად უაღრესად საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს. ეკა ცხადაძის თქმით, აქ უკვე მთლიანად ჩამოყალიბებულია ის თქმები, რომელსაც მწერალი ამუშავებდა და აინტერესებდა მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს იყო ქართული მსოფლმხედველობის, წარმართობისა და ქრისტიანობის სინთეზი; რასობრივი ტიპის ანუ ზოგადქართული ტიპის ჩამოქნა-ჩამოყალიბება; ქართული მითოსისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში თანადროულისათვის ნიშნეულის აღმოჩენა. ამ ღირსებებთან ერთად გრიგოლ რობაქიძის დრამაში „მალშტრემ“ იგრძნობა მწერლის განწყობა იმდროინდელი სალიტერატურო პროცესების მიმართ.

ჩვენი საკითხის განხილვისათვის, საინტერესოა დრამის მეხუთე ნაწილი, რომელსაც ჰქვია „დადაისტების მაიდანი“. დრამის განმარტებაში გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს: „მეხუთე კამარა ხიდით არის გაერთიანებული პირველთან. აქაც ეფემერაა, მაგრამ უფრო საშინელი. უბინო და უბედო

კულტურაში ყველაფერი თავდება აბსურდით. ამ აბსურდის მასახიერებელნი დღევანდელ ევროპაში არიან დადაისტები. „რაციოს“ ყოველი ხვეული აქ იღებს აბსურდულ მიმართებას. ქვეყანას აბითურებენ, მაგრამ თვითონ ბითურდებიან. ირონიაა ყველგან, მაგრამ ირონია მობრუნებით ურტყამს ყველას. საკმაოა ამ ყოფაში შეიქმნეს ერთი წვეთი ნამდვილი ყოფის (თუთიყუშის მოკვლა), რომ მისი სპირალები სხვანაირად გადაიგრიხონ“.

დადაისტები დრამაში ირონიზირებული და მხილებულნი არიან როგორც „აბსურდის მასახიერებელნი“, ესთეტიკურ ნორმათა მწვალებელნი, რომლებიც საკუთარი ხმის ძებაში ამაოდ დაშვრნენ. „ურითმოდ თურმე ვერც დადა ძლებს“, „აქ დადა მეგონა, თურმე ლირიკა ყოფილა“ – ამბობს მწერალი. დადაიზმის უნაყოფობასთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძის პოზიცია აქაც უალტერნატივოდ უარყოფითია და მის გამოსვლას ფუტურისტების საღამოზე, ცხადისა, წუთიერ აფეთქებად ვერ განვიხილავთ. ეს გამოსვლა იყო სრულიად გაცნობიერებული, მოტივირებული რაფინირებული პოეტური იდეალებისადმი და მაღალი ესთეტიკური კულტურისადმი ერთგულებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებას იმხანად იზიარებდა ქართული მოდერნისტული პოეზის არაერთი ავტორიტეტი. დადაიზმი მათშიც მკვეთრად უარყოფით რეაქციას იწვევდა. პაოლო იაშვილმა 1924 წელს დემონსტრაციულად განაცხადა: „დადაიზმი გახრმნილების იდეოლოგიაა, ეს არ არის მემარცხენეობა, ეს საზოგადოდ არაფერი არ არის, გარდა დედის გინებისა“. როგორც პოეზია დადაისტური ლექსები ვერ მიიღო მკითხველმაც, რადგან ადვილი არ იყო სიტყვათა არალოგიკური თანმიმდევრობისა და მათი მსოფლმხედველობის აღქმა. მკითხველს უწევდა ტრადიციული პოეზიის კრიტერიუმებისაგან უაღრესად

მკვეთრი გამიჯვნა და თავისი ქვეცნობიერი საწყისებიდან სრული გადართვა.

მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვაღიაროთ, რომ დადა-იზმა და სხვა ლიტერატურულმა ნოვაციებმა, რომლითაც განსაკუთრებით გამორჩეული იყო XX საუკუნის დასაწყი-სი, განაპირობა ქართული მწერლობის განახლება და მისი თვისობრივად ახალი მოდელის შექმნა. საბოლოოდ აღდგა ქართული ლიტერატურის კავშირი მსოფლიო ლიტერატუ-რულ პროცესებთან. ქართული მოდერნიზმი და ავანგარდ-იზმი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ამ ევროპული წარ-მომავლობის ესთეტიკური აზროვნების ნაწილად და მის ორიგინალურ ლოკალურ ვარიანტად. გრიგოლ რობაქიძე არ იყო ამ ლიტერატურული რეფორმის პასიური გულშემატ-კივარი. მას ქართული კულტურის განახლებისათვის პრინ-ციპულ ბრძოლაში სწორედ ის ნიშა ეკავა, რომლის მნიშ-ვნელობა მისი გარდაცვალების მერე ირაკლი ბატონიშვილმა ასე განმარტა ემიგრაციაში გამომავალ უურნალში „ბედი ქართლისა“: „დაგვაკლდა კაცი, რომელიც გუშაგად გვყავდა მრავალფეროვან დარგში ჩვენი მოღვაწეობისა“.

## რუსული ფენომენი გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტებში“

1928 წელს ქ. მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლებამ პომპე-ზურად აღნიშნა ლევ ტოლსატოის 100 წლის იუბილე. მონვეულ სტუმართა შორის იყო ცნობილი გერმანელი მწერალი არ-ტურ ლაისტი. გრიგოლ რობაქიძე, როგორც გერმანული ენის უბადლო მცოდნე თან ახლდა მას, როდესაც ცვაიგი მოსკოვს ათვალიერებდა. მწერალი მოიგონებს: „ცვაიგ აკვირდება კრემლის კედლებს. მოსწონს. მივუახლოვდით „ვასილი ბლაჟენნის“ ეკლესიას. ცვაიგ ათვალიერებს მის აღნაგობას, მოსწონს მეტად. შიგადაშიგ წარმოსთქვამს დანელებული აღფრთოვანებით: „რუსეთი, რუსეთი“. ვეღარ მოვითმინე: „წარმოდით საქართველოში და კათედრალებს ისეთ გაჩვენებთ, რომ... ხომ დამპირდით გერმანიაში?“. სტეფან ცვაიგს გრიგოლ რობაქიძემ ეს პირობა ვერ შეუსრულა. 1931 წელს მწერალმა დატოვა საქართველო და თან გაიყოლა სამმობლოში დაბრუნების იმედი, რომლის დასტურად უცხო მინაზე ემიგრანტის პასპორტით აგრძელებდა სიტყვასთან ჭიდილს. გრიგოლ რობაქიძის ამ მოგონებაში ფრაგმენტულად გაკრთება იმ საბედისნერო ბრალდების მოტივი, რომელსაც „სოციალისტურ ქურქში გამოწყობილი იმპერიალიზმი“ (სამსონ ფირცხალავა) მწერალს არასოდეს აპატიებდა – ის ვერ გახდა საბჭოთა მწერალი.

მოგვიანებით, გრიგოლ რობაქიძე მაინც შეძლებს სტეფან ცვაიგს ისე ძალუმად აგრძნობინოს ქართული კულტურის საკრალური ხიბლი, რომ დიდი გერმანელი მის მიერ თარგმნილი „გველის პერანგის“ წინასიტყვაობაში აღფრთოვანებით აღნიშნავს: „რობაქიძე გენიალურია, გენიალურია ის კულტურა, რომელმაც შვა რობაქიძე“. თუმცა იმ პერიოდისათვის საბჭოთა კრიტიკას გრიგოლ რობაქიძის

გენიალურობაზე თავისი მოსაზრება გააჩნდა: „გრიგოლ რობაქიძე-სიმბოლიზმის იდეური ბელადი საქართველოში, მუსოლინის პროფილი პაპის პარიკით! კაციჭამია ქართული შოვინიზმი, ღვარძლიანი ნაციონალიზმი, რასიული თეორიით „დასაბუთებული“, აი, „გველის პერანგის“ მთელი იდეოლოგიური არსენალი“. საბჭოთა კულტურის რეზივუარში გამოზრდილმა და მისი იდეოლოგიის ნარმატებულმა ადეპტ-მა გრიგოლ მუშიშვილმა იგრძნო, რომ გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ერთგვაროვანი გახლ-დათ და არ მოერიდა მისი ეჭვების უფრო ღრმა ანალიზს: „რუსები... პირმოშვებული რასაა, ველური და ძარღვმაგარი. ვაი, იმ დახვეწილ რასას, რომელსაც ეს ველური რასა-რუსული რასა – დაეტაკება. რუსი-სკვითის თავით და მონღოლის თვალებით. რა დაუდგება ამ რასას და რა დააკავებს მას? ამ თეორიდაან აუცილებლად გამომდინარეობს პოლიტიკური დასკვნა, რომელიც სურს ავტორს გააკეთებინოს მკითხველს: „პირმოშვებული რასაა“ სკვითის თავით და მონღოლის თვალებით, დაესხა „დახვეწილ რასსას“ და წალეკა, გადალახა, წარღვნა ის“. რომ არ ვიცოდეთ, რომ ეს განაზრებანი მუშიშვილს ეკუთვნის და იგი სარკასტული ტონით არის დაწერილი, ობიქტურობაში ვერ შეედავები. ცხადია, გრიგოლ მუშიშვილს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ ჭეშმარიტი სულიერებათა სისტემა ვერ იტანს პოლიტიკური იდეოლოგიის წნებს, ხოლო გრიგოლ რობაქიძის ბედისწერა იმთავითვე განსაზღვრული იყო – მას უნდა ეტარებინა არა საბჭოთა, არამედ ქართველი მწერლის მძიმე ჯვარი, რომელიც არ გულისხმობდა საბჭოთა საქართველოსა და მისი ბელადების სიყვარულს. რომ მას არასოდეს დატოვებდა დიდი ხელოვანისათვის დამახასიათებელი ინტერკულტურული სივრცის აღქმის უნარი, რომელიც საოცარი გულწრფელობითა და ტკივილით აღმოხდა: „მე განვიცადე ნიცშე და განვიცადე

დოსტოევსკი“.

მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისურ რუსულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული წერილები, რეცენზიები და ლექსები. ერთ-ერთი მათგანი „ოფორტი“ მწერალს მისივე ხელით ჩაუწერია ვერა სუდეიკინას – მხატვარ ს. სუდეიკინის მეუღლის ალბომში, რომელმაც 1918 წელს კაფე „ქიმერიონი“ ლადო გუდიაშვილთან და დავით კაკაბაძესთან ერთად მოხატა. გრიგოლ რობაქიძის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად აღიარებული, 1919 წელს გამოცემული ესეების კრებული „პორტრეტებიც“ რუსულ ენაზე არის დაწერილი. აღსანიშნავია, რომ იგი ისევე სრულყოფილად ფლობდა რუსულს, როგორც გერმანულ ენას, რომლის შეთვისების უნარით აღფრთოვანებული ფრანკ მარაონი 1944 წელს შენიშნავდა: „თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური შესაძლებლობები ჯერ მიუღწევეთ, არნახულ სხვა ენათა შორის დონეზე აიყვანეთ. ჩემი ღრმა რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულყოფილი არაფერი შექმნილა გერმანულ ენაზე.“ რასაკვირველია, ესეების კრებულში „პორტრეტებიც“ ყურადღებას გრიგოლ რობაქიძის მხოლოდ ლინგვისტური შესაძლებლობები როდი იპყრობს. ეპიგრაფის მიხედვით, ეს წიგნი მას გარდაქმნის გზაზე დამდგარი რუსეთისთვის მიუძღვნია. როგორც ჩანს, რომანოების სამასწლიანი დინასტიის დამხობამ და ახალი რუსეთის მოლოდინმა მწერალში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი გააღვიძა. 1919 წელს საქართველოს ჯერ კიდევ ორი წელი აშორებს იმ საბედისწერო კავშირისაგან, რომელიც 70 წლით დაასამარებს გრიგოლ რობაქიძის ამ იმედს. „პორტრეტებში“ კარგად მოჩანს ამ განწყობის რეალური საფუძვლები – რუსეთს ჰყავდა პეტრე ჩაადაევი, ვასილი როზანოვი, ანდრეი ბელი, რომელთაც კარგად ჰქონდათ გააზრებული „საკუთარ თავთან გაუცხოებული“, „ქაო-

ტური“ რუსეთის პრობლემა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი წლით ადრე – 1918 წელს გრიგოლ რობაქიძე ესეში „რუსეთის დაღუპვა“ ერთგვარად წინასწარმეტყველებს „ველიკორუსული სახელმწიფოს რღვევას და მასში ძალადობით მოქცეულ ერთა გათავისუფლებას მიესალმება. „ყველასათვის ცხადი უნდა იყოს ეხლა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ნაგრევებზე სხვა ხელმწიფებამ უნდა ამართოს თავის ძალა“ და თუ ეს არ მოხდა, მისივე თქმით, „რუსეთი კულტურულ-პოლიტიკურად გადაიქცევა ნამდვილ კოლონიად“.

გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტები“ უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ ამ დამოკიდებულების თემატურ გაგრძელებად. თუმცა აქ ესეისტი ცდილობს ამ კონცეფციისათვის თავად რუსულ მწერლობაში მოიძიოს მყარი არგუმენტები. ინტელექტი და შემოქმედებითი ნიჭი – სწორედ ეს გახლავთ მთავარი დასაყრდენი, რომლის გარეშე გრიგოლ რობაქიძეს წარმოუდგენლად მიაჩნია ახალი რუსეთის სახელმწიფოს შენება. ეს არის სწორედ ის საოცარი გენია „რომელიც რუსის სიტყვას თვითონ მზეში სჭრიდა“ და მისივე მოსაზრებით, უნდა გამხდარიყო „რუსეთის სხვა სახელმწიფოს ‘მშენებლობის საფუძველი‘“.

გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტებში“ წარმოდგენილია ოთხი ქადაგი – „ჩაადაევი“, „ლერმონტოვის ნიღაბი“, „ვასილი როზანოვი“ და „ანდრეი ბელი“, სადაც კიდევ ერთხელ გვეძლევა შესაძლებლობა შევაფასოთ გრიგოლ რობაქიძის მხატვრული სამყარო, მისი „მითიური ხილვა“ და პროფეტულობა საქართველოს რუსეთან ურთიერთობის საბედისწერო მოცემულობაში. ოთხივე მწერალს აერთიანებს სწორედ ის, რასაც გრიგოლ რობაქიძე 1915 წელს დაწერილ ესეში „რუსეთის ტრაგედია“, რომელიც მას 1915 წელს გაზიერ „კავკაზში“ დაუბეჭდავს და შემდგომ თავადვე უთარგმნია ქართულ ენაზე 1917 წელს „რუსეთის შემოქ-

მედებით ნიჭს“ უწოდებს და „რომელმაც სრულიად ახალი სული უნდა შეიტანოს მსოფლიო კულტურაში“. ხსენებული წერილი უსათუოდ არის წინაპირობა მისი „პორტრეტების“ გასააზრებლად. „ველიკორუსული“ სახელმწიფოს გარდაუვალი დაღუპვის მოლოდინი იკვეთება მის 1918 წელს დაწერილ ესეშიც „რუსეთის დაღუპვა“. ეს მოლოდინი მწერალში აღძრა რუსეთის რევოლუციამ, რომელსაც მისივე თქმით, „ნემეზიდას მახვილის“ მისია უნდა შეესრულებინა საქართველოსათვის. პოსტრევოლუციური რუსეთი – თავისუფლების ველური აღქმითა და სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეის დაღუპვით, ბუნებრივად აღძრავდა აპოკალიფსურ შეგრძნებებს რუსეთის ძველი სახელმწიფოს მიმართ, რასაც შედეგად უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა შემოქმედებითი ნიჭის აღზევება.

გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტებში“ სხვადასხვა დროის პროგრესულ რუს შემოქმედთა სილუეტები იკვეთება. პიროვნული და შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის მქონე რუსი დენდები, ევროპული ესთეტიზმის ნიშნებითა და დემონური „თვითკმარობით“ მწერალში გულწრფელ აღტაცებას იწვევს. პეტრე ჩაადაევი – „გონების მხნეობითა და მარადიული ნაღველით“, არისტოკრატიზმით, ჩაცმის სტილით, სიამაყით, დამოუკიდებლობითა და რაც მთავარია, ნიღბის ტარების ესთეტიკით, მწერალს აშკარად მისდამი კრძალვით განაწყობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ გრიგოლ რობაქიძეს იგი ქვეცნობიერად არ ემეტება რუსული წიაღისათვის. „ვიღაც უცხოელი რუსული გვარით: ჩაადაევი თითქოს ფსევდონიმია“ – წერა იგი და ასკვნის, ჩაადაევი თითქოს ემიჯნება ყოველივე რუსულსო. პეტრე ჩაადაევმა მართლაც პირველად, ნათლად და მკაცრად დასვა „რუსეთის პრობლემის“ საკითხი. იგივეს აღიარებდა გერცენი, როცა წერდა: „ჩაადაევი ამბობდა ხოლმე: მოსკოვში ყოველი უცხ-

ოელი დიდი ზარბაზნისა და დიდ ზარის სანახავად მიჰყავთ. ზარბაზნისა, რომლისგანაც გასროლა არ შეიძლება და ზარისა, რომელიც მანამ ჩამოვარდა, ვიდრე დარეკვდა. შესაძლოა ეს დიდი ზარი-ენის გარეშე-იეროგლიფია, გამომხატველი იმ მუნჯი ქვეყნისა, რომელშიც ბინადრობს ტომი, საკუთარ თავს სლავებს რომ უწოდებს, თითქოსდა უკვირს კიდეც ადამიანური ენით რომ მეტყველებს“. მართალია, ჩაადაევი ემიჯნებოდა ყოველივე რუსულს, მაგრამ ის ასევე ემიჯნებოდა ყოველივე ადამიანურს და „ცხოვრობდა ღმერთში“. სწორედ ეს იყო, გრიგოლ რობაქიძის აზრით, მისი ცენტრალური იდეა, რომელსაც განცდის ეროტიული სინატიფე შინაგან პათოსს მატებდა. გრიგოლ რობაქიძისათვის პეტრე ჩაადაევი რუსული სულის იდეალური მოცემულობაა, რადგან მას თავისი რკინისებური ინტელექტითა და ნებისყოფით შეეძლო ეთქვა: „ჩვენ არ ვეკუთვნით ადამიანური მოდგმის არცერთ დიდ ოჯახს, ჩვენ არ ვეკუთვნით არც დასავლეთს, არც აღმოსავლეთს; და ჩვენ არა გვაქვს არც ერთის და არც მეორის ტრადიცია. ჩვენ თითქოსდა დროის მიღმა მდგართ, არ შეგვხებია ადამიანური მოდგმის მსოფლიო „აღზრდა“. ჩვენ ყველას მოგზაური იერი გვაქვს, ჩვენთვის არ არსებობს ისტორიული გამოცდილება და არ არის ჩვენთვის ისტორიული მემკვიდრეობითობა. თვალი გადაავლეთ ჩვენ მიერ განვლილ ყველა საუკუნეს, მთელ დაკავებულ სივრცეს, – და თქვენ ვერ აღმოაჩენთ ვერცერთ წარმტაც მოგონებას, ვერცერთ საპატიო ძეგლს, რომელიც წარსულზე მბრძანებლურად მოგვითხრობდა“. ამ თამამი განაზრებების გამო 1836 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა დაასკვნა, რომ ეს იყო ჭკუიდან შეშლილი კაცის კადნიერი უაზრობა. პეტრე ჩაადაევის – რუსი მწერლის ეს საოცარი თვითგვემის ჟესტი იყო სწორედ დასტური იმისა, რომ, ის „ცხოვრობდა ღმერთში“ და არა ადამიანებში. გრიგოლ რობაქიძეს არ ავიწყდე-

ბა იმის აღნიშვნა, რომ ჩაადაევმა რუსეთის ისტორიისადმი ეს დამოკიდებულება, ქაოსისადმი მისი მიდრეკილება და საბედისწერო იზოლირებულობის დასაბუთებაც შეძლო და ეს არ იყო კადნიერება. 1829 წელს პეტრე ჩაადაევმა თავის ფილოსოფიურ წერილში „ტელესკოპი“, მას შემდეგ, რაც რუსეთის უარყოფით იჯერა გული და ამონურა თავისი განზრახვა, მზერა რუსეთის ფენომენში რაღაც განსაკუთრებულს მიაპყრო. პუშკინმა მოკრძალებულად შეახსნა მოძღვარს, რომ რუსეთის ხვედრი შემთხვევითი არ იყო და მან ქრისტიანული ევროპა ბარბაროსთა შემოსევებისაგან დაიცვა. ამის შემდგომ, ჩაადაევმა რუსეთის იზოლირებულობა განგების ნებად და განსაკუთრებულ გზად მიიჩნია და ბოლოს მაინც ალიარა თავისი უსაზღვრო სიყვარული რუსეთისადმი: „მე მიყვარს ჩემი მამული, როგორც პეტრე პირველმა მასწავლა, მყვარებოდა იგი.“

გრიგოლ რობაქიძის ესეში კარგად მოჩანს ეპოქის ინტელექტუალური აზრის კონცენტრაცია რუსული ფენომენის გასააზრებლად. პეტრე ჩაადაევი იყო პირველი, რომელმაც მოგვცა რუსული სულის გააზრების მცდელობა, რამაც შემდეგდროინდელ რუსულ მწერლობასა და ფილოსოფიაში ამ თემის მიმართ მგრძნობელობა გაამძაფრა. პუშკინი, გერცენი, დოსტოევსკი, ვლადიმერ სოლოვიოვი, ბერდიაევი და სხვანი თანმიმდევრულად ავითარებდნენ მოსაზრებებს „წინასწარმეტყველურ რუსეთზე“, „რუსი ხალხის უბრალოებასა“ და „მესამე სამეფოს“ (სულის მეუფების) მოღოდინზე. და მაინც, გრიგოლ რობაქიძეს რუსეთის ფენომენის გააზრებისას არასოდეს ტოვებს მისი ქაოტურობის მძაფრი აღქმა, რომელიც პირველად სწორედ პეტრე ჩაადაევმა აღიარა: „ჩაადაევმა პირველმა ძირფესვიანად გაიაზრა რაღაც დასაბამისმიერი ქაოსი რუსულ სულში, – და ამ გააზრების გალრმავება დოსტოევსკისა და ანდრეი ბელის შემოქმედე-

ბაშია – ეს ჩაადაევის გენიალური იდეის ოდენ მხატვრული გახსნა იყო. ჩაადაევი რუსეთის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი გახლდათ. შეხედეთ რუსეთის თანამედროვეობას, მის უგუნურებას, – და თქვენ უმაღვე ჩაადაევი გაგახსენდებათ რუსული ქაოსის მისეული კონცეფციით“.

გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტების“ პერსონაჟები რუსული ფენომენის გასააზრებლად შესანიშნავ ტანდემს ქმნიან. მათი მოლგანების ეპოქალური განსხვავებულობის მიუხედავად, ისინი ამთლიანებენ იმ სივრცეს, რომელიც ქმნის საფუძველს ამ განაზრებისათვის. ესე „ანდრეი ბელი“ საბოლოოდ კრავს გრიგოლ რობაქიძის არცთუ ისე ადვილად ალსრულებად განზრახვას – ჩაწვდეს რუსულ სულს, ვინაიდან ანდრეი ბელის, როგორც თავად იტყოდა „მსოფლიოს ფილოსოფიური გზნების“ წიაღთან წილნაყარი პოეტის შემოქმედებითი სულის ინდივიდუალური რიტმზე მსჯელობისას, სწორედ მისი მიწისადმი დამოკიდებულება შობდა ორაზროვან კითხვებს. როგორც ცნობილია, მიწის საიდუმლო მისტერია გრიგოლ რობაქიძესთან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ეს ის ფენომენია, რომელიც გამოარჩევს ქართულ და რუსულ სიმბოლიზმს ევროპულისაგან. „ევროპამ დაჰკარგა მიწა, როცა მიწაზე ვლაპარაკობ, ბევრს ეს მატერია ჰეგონია. მიწა მეტია, ვიდრე მატერია“ – შენიშნავს მოვიანებით მწერალი, მანამ კი, „მიწის ხატის“ გააზრებისას ესეში „ანდრეი ბელი“ ასახელებს მის სამ „მოხაზულობას“ – საგნებს, დროს, ქაოსს და აღნიშნავს, რომ ანდრეი ბელის ერთობ უნიკალური, განსხვავებული ლტოლვა აქვს მიწისადმი. მისი პოეტური „სულის აპოკალიფსური რიტმი“ გადის არა სამყაროს სხეულსადმი სიყვარულზე, არამედ სიძულვილზე, რადგან იგი „ახალ ცასა და ახლა მიწას“ შენატროდა. აპოკალიფსური შეგრძნებები, რომელიც არ ტოვებს ანდრეი ბელის პოეზიას, მართლაც ამ სიახლის

წყურვილით არის გაჯერებული. ესთეტიკურ ფასეულობათა ჩანაცვლების ეპოქაში ეს კანონზომიერად მოჩანს, თუმცა ამ საფარქვეშ ბუნებრივად იგულისხმება ახალი რუსეთის ხილვის მისტიური ოცნება და გრიგოლ რობაქიძე ამას „გზნებს“ როგორც ეპოქის ღვიძლი შვილი, როგორც განახლების მეხოტბე და დიდი რეფორმატორი. „ბელი ესწრაფვის ყველაგან და ყოველთვის გადალახოს ფორმირებულის ზღვარი“ – წერს იგი და ამ სიტყვებს წინ წაუმდლვარებს ბელის წინასწარმეტყველურ ხილვას განახლებულ სამყაროზე მისივე სტატიდან „მწვანე ველი“, რომელშიც შეუძლებელია რუსეთი არ შეიგრძნო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში არის. გრიგოლ რობაქიძე ხედავს, რომ ანდრე ბელს არ აქვს მინისადმი ის დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა პუშკინს, ან თუნდაც ბლოკს. როგორც ცნობილია, რადიკალურად განსხვავებულია მისი დამოკიდებულებაც მიწისადმი. თუ პუშკინი ამბობდა „ო. რუსეთო ჩემო, მეუღლევ ჩემო“, ბელი პროტესტის ნიშნად იტყვის „გაუჩინარდი, სივრცეში გაქრი, ჩემო რუსეთო, რუსეთო ჩემო“..

1907 წელს გრიგოლ რობაქიძე დაესწრო ანდრე ბელის ლექციას პარიზში, რომელმაც, როგორც ჩანს, უფრო ღრმად შეაგრძნობინა აპოკალიპსი ბელის პოეზიაში. „წერს ბელი თუ საუბრობს ბელი – ყოველთვის რაღაც შიშს გრძნობს შეიგრძნობს, რომ მისი ცნობიერებისათვის სადაცაა დრო გაჩერდება და „წითელი დრაკონი“ მტკვერში გაქრება. წერს ბელი თუ საუბრობს ბელი, ყოველთვის გრძნობს, რომ სადაცაა წაბორძიყდება, ენა დაებმევა, მეტყველება შეუწყდება, წაილუდლუდებს, შეშლილის სიცილით გადაიხარხარებს და უკანმოუხედავად ქაოსის წყვდიადს მიაშურებს. წერს ბელი თუ საუბრობს ბელი, ყოველთვის გრძნობს წმინდა სიგიჟის იმ მადლს.“.

გრიგოლ რობაქიძის ამ ესეშიც ყველაზე ნიშანდობლივი,

რაც რუსული ფენომენის მისეულ ძიებებს ამთლიანებს, ისევ რუსეთის ქაოტურობაა, რომელიც ანდრეი ბელის შემოქმედებაში გამძაფრებულად აღიქმება. გრიგოლ რობაქიძე წვდება ამ უცნაური განცდის ფენომენს, ის ხედავს, რომ მიწის სხეულისადმი სიძულვილი ბელთან ყოველივე მშობლიურის უცნაურ ზიზღამდე მიდის. ამ „სტიქიური სხეულის პულსაცია“ მისთვის მაშინაც არის საგრძნობი, როცა ანდრეი ბელის რომანში „პეტერბურგი“ შვილი თავის ცნობიერებაში აზრობრივად უშვებს მამის მკვლელობას. როცა მასში იფეთქებს „ლირსეული მონგოლის სისხლი“, რომელმაც მრავალგზის შეისხა ხორცი“. „სწორედ ამის გამო ჩნდება ბელთან მიწის აპოკალიფური უარყოფა“ – თვლის გრიგოლ რობაქიძე, რასაც ანდრეი ბელის სიტყვებითვე ამყარებს „მზეო, თუ არ ამოხვალ, მაშინ, მზეო, მონგოლის მძიმე ქუსლქვეშ ევროპის ნაპირები ჩაიძირება“. აპოკალიფსი მასთან ერთადერთი გამოსავალია, რათა ძელის ნანაგრევებზე „ახალი რუსეთი“ იხილოს.

გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტები“ „ჯიშისა და რასის“ ფენომენის გააზრების მორიგი წარმატებული მცდელობაა, რომელსაც ერთგვარად ეხმიანება დიდი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მიცემულ ინტერვიუში ნათქვამი ფრაზა. მან ჩვენი ყურადღება სწორედ რუსული ქაოტურობაზე მინიშნებით მიიპყრო: „რუსულ მართლმადიდებლობას ახასიათებს თავისებური დათრგუნულობა და ნალველი. ეს სულის ემბრიონული მდგომარეობაა, სულის ჩაგრულობა, რომელსაც მოსწონს ასე ყოფნა. ისტორიულად, რუსული კულტურა მუდამ გაურბოდა ფორმებს, ამ თვალსაზრისით, იგი ქაოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ყოფიერებასთან.“

## აგანგარდიზმის ისტორიისათვის საქართველოში

მოდერნიზმი დღეს უკვე ისტორიის განვლილი ფურცელია. ამ მიმდინარეობის ესთეტიკურ, ფილოსოფიურ არსა და გენეზისზე რეფლექსიამ არაერთგზის დაადასტურა მისი წვლილი არამარტო ლიტერატურის, არამედ ზოგადად კულტურის განვითარებისა საქმეში. მოდერნიზმი ორგანული მოვლენა აღმოჩნდა ქართული კულტურისათვის. როგორც სოსო სიგუა აღნიშნავს: „XX საუკუნის გარიურაჟზე ქართული ლიტერატურა შინაგანი აუცილებლობით მივიდა მოდერნისტული პოეტური კულტურის ათვისებამდე“. რომელმაც ფაქტიურად თავდაყირა დააყენა აქამდე არსებული ლიტერატურული სტერეოტიპები და პოეზიის პარნასზე დაიწყო ნამდვილი „კერპთა დემონტაჟი“. იმ პერიოდში არსებული ლიტერატურული სტერეოტიპების რეკონსტრუქციის სურვილი გამოავლინეს არამარტო ცალკეულმა ავტორებმა, არამედ ლიტერატურულმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც თეორიულად იმსჯელეს ამ განახლების აუცილებლობაზე და მზა პოსტულატების სახით შეთავაზეს საზოგადოებას თავიანთი პოეტური ნოვაციები. თეორიული განაზრებების პარალელურად, იქმნებოდა რომანის, ლირიკისა და დრამის შედევრები. მოდერნიზმის იმდროინდელი ადეპტების თავდაჯერებულობა, რა თქმა უნდა, ბევრს აღიზიანებდა, თუმცა მათი გამონათქვამების მიღმა მაინც იგრძნობოდა ოპონენტთა სიფრთხილე და კრძალვა სიახლის, როგორც განახლების კანონზომიერი ფაქტის მიმართ. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულად პროფეტული აღმოჩნდა კიტა აპაშიძის ცნობილი გამონათქვამი ჯგუფ „ცისფერი ყანწების“ მისამართით, ის მიმართულება, რომელსაც ეს მნერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმაჩნია ჩვენი ლიტერატურის ერთ მნიშ-

ვნელოვან საძირკულადო.

ქართული მოდერნიზმის წვლილი ეროვნული ლიტერატურის განვითარების პროცესში მართლაც უნიკალური გამოდგა. მან შესძინა პოეზიას ადამიანის არსებობის ახლებური ხილვის უნარი, მისი სულის მოძრაობის ემანაცია დაინახა აქამდე არარსებულ პრიზმაში. ასახვის ცენტრმა გადაინაცვლა გარედან შიგნით, მაკროკოსმოსიდან მიკროკოსმოსში. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა პიროვნების პრობლემამ, რომელიც მოდერნისტების აზრით, ორ განზომილებას შორის იყო მოქცეული. მათ ადამიანის ყოფა დააკავშირეს კოსმიურ სტიქიასთან, რაც ლიტერატურულ გმირებს ანიჭებდა რაღაც ამაღლებულს, მაგრამ ამავდროულად ფეხქვეშ აცლიდა რეალიზმის ნიადაგს. მოდერნისტებმა სამყაროს ესთეტიზებასთან ერთად დეესთეტიზების ტენდენციაც გამოამჟღავნეს. განსაკუთრებული ფუნქცია მიენიჭა მითს, რომლის მეშვეობით ისინი ეხმიანებოდნენ იმ წარსულის გმირებს, რომელთაც მათთვის განსაკუთრებული ესთეტიკური და იდეური მნიშვნელობა ჰქონდა. რაც მთავარია, საერთაშორისო მიმდინარეობად გადაქცეული მოდერნიზმი ქართული კულტურის ევროპეიზაციისათვის უნიკალური საშუალება იყო. თუმცა ეს არ უნდა ყოფილიყო ცალმხრივი პროცესი და მას ეროვნული ნიადაგი უნდა დახვედროდა. ამას ადასტურებდა ქართული ლექსის გენეტიკური ხაზის გამართვის კონცეფცია, რომელიც ასე გამოიყურებოდა – რუსთაველი, ბესიკი, ვაჟა ფშაველა. „ბატონის შაბლონის“ ნინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა და პოეზიაში ახალი ღმერთის ძიება სულაც არ ნიშნავდა უცხო მოტივების კალკირებას და გაფეტიშებას ეროვნული პოეზიის მიღწევების ხარჯზე. ამ იმპორტს საქართველოში დახვდა მეტად ნოყიერი, ეროვნული ნიადაგი. ამასთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა: „თუგინდ

შემოტანილს ნიადაგი ქართული ლიტერატურისა ისე დახვედრია, როგორც გოლვით ამომშრალი მიწა ამაცოცხლებელ თქორს“. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ისიც, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა გვერდი ვერ აუარეს ქართული მწერლობისათვის ისეთ ტრადიციულ თემატიკას, როგორიც იყო პატრიოტიზმი. ეს მაშინ, როცა ფრანგული სიმბოლიზმის მეტრი შარლ ბოდლერი პატრიოტიზმს პოეზიის დამამცირებელ გრძნობად ასახელებდა. ქართული პოეზიის მოდერნიზაციის ამგვარი პროცესი გაგრძელდა 20-იან წლებამდე და როდესაც პოეზიაში საგრძნობი გახდა ფრაზების ხორკლიანობა, არაზუსტი რითმები და ჰაეროვანი ფრაზების სინაკლებე, ლიტერატურულ პარნასზე გამოჩნდა ავანგარდიზმიც. „ნაირ-ნაირი ფერების ლივლივი მოკვდა. ლექსს მოეძალა ყოფითი დეტალები. სმენადი მხარის დომინანტობის აღკვეთამ გაამკვეთრა ფერების ხილვადობის უნარი, გზა გახსნა პროზაული ელემენტების შემოსაშვებად. სიტყვის გრაციული სინარნარე გაუფასურდა. წინა ადგილი დაიკავა თვით მხატვრული აზროვნების პროცესის ჩვენებამ. ადრე თუ გვეძლეოდა ფაქტიდან გამომდინარე შედეგი, ამჯერად თვით არსის გულდაგულ ჭვრეტა არის გზნების საგანი“ (ს. სიგუა).

მოდერნიზმის ავანგარდიზმით ჩანაცვლებისა და მისი შემდგომი განვითარების პროცესმა ეპოქის ცვალებადობასთან ერთად კანონზომიერად მოითხოვა მხატვრული აზროვნების მეთოდების ხელახალი გადააზრება, რომელმაც მრავალი საბედნიერო აღმოჩენების წინაშე დაგვაყენა.

ავანგარდიზმის იდეური საწყისებისა და ფილოსოფიურ-რელიგიური ასპექტების კვლევისას ვაწყდებით მისი განვითარების ისტორიისათვის მეტად საინტერესო, აქამდე შეუსწავლელ დეტალებს. ლიტერატურის ისტორია იცნობს ფუტურისტული და დადაისტური სკოლების არსებობას

საქართველოში. თუმცა 1992 წელს ნინო ხოფერიას „უაღრე-სად საინტერესო გამოკვლევით მათ რიცხვს ემატება კიდევ ერთი „იზმი“, რომელიც საქართველოში არსებობდა სომნაბ-ულიზმის სახელწოდებით და რომლის ლიდერი იყო ვანლერ დაისელი, იგივე ივანე ბაბუაძე. სომნაბულიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ძილში სიარულს, (სომნუს-ძილი ამბ-ულო-დავდივარ) ჩვენი მოკვლევით, ასეთ ლიტერატურულ სკოლას არც ევროპული და არც რუსული ავანგარდიზმი არ იცნობს და ამ თვალსაზრისით იგი ექსკლუზიურ, ნაციონა-ლურ ლიტერატურულ მოკვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

ვანლერ დაისელის 1937 წლის რეპრესიებს იღბლად გა-დარჩენილ არქივში, რომელსაც ლიტერატურის მუზეუმში გავეცანით, მწერლის დაუბეჭდავ ლექსებთან, პოემებთან და წერილებთან ერთად ინახება ახალგაზრდა მწერალთა ორ-დენის „სომნაბულების“ განცხადება მიმართული მთავარი სახელოვნო კომიტეტისადმი. იგი თარიღდება 1927 წლის 7 თებერვლით. განცხადება დამაჯერებელი და ახალგაზ-რდებისათვის დამახასიათებელი თამამი ტონით არის დაწ-ერილი. თვითდამკიდრების პროცესში ასეთი თავდაჯერე-ბულობა იმანენტური იყო განახლების იდეით შეპყრობილ შემოქმედთათვის. საკმარისია გავიხსენოთ იმ ლიტერატუ-რული დაჯუფებების მანიფესტები, რომელთა შემადგენ-ლობა ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ ისინი იჩენდნენ განსაკუთრებულ სითამამეს ლიტერატურუ-ლი პროცესების განახლების მიმართ და უაპელაციო ტონით უსაბუთებდნენ ძველ თაობას ამის აუცილებლობას. სომნაბ-ულისტების განცხადებაში ვკითხულობთ: „გაცნობებთ, რომ ქართველ ახალგაზრდა მწერალთა ერთმა ჯგუფმა დავაარ-სეთ ორდენი „სომნაბულები“ – ახალი სვლაგეზი პოეზიაში. ადამიანთა გრძნობების ამეტყველების, ადამიანთა აზროვნე-ბის გამჭვირვალე ჩენილობის ახალი ფორმით გამოსაცხა-

დებლად. თანამედროვე პოეზიაში გვნამს როგორც ქაოსი, რომელსაც ესაჭიროება დახვეწა, გაშიშვლება ყოველგვარი შეუსაბამო ბალასტისაგან – სიძველისაგან. გვნამს რა პოეზია ყოველგვარი ჩარჩოების გარეშე, ვიღებთ მას როგორც მთლიანს, როგორც რეფლექსიურ წვას ადამიანის სულისას, როგორც მაოსის ქანაობის რიტმს, როგორც ადამიანის იდეალურ გრძნობების სიაშკარავეს, აზროვნების გასარკვას, როგორც ადამიანის ქმედითი ენერგიის წვალებას და ეპოქის ურუანტელის ნერვს. გვნამს:

პოეზია მთავარი არტერიაა საზოგადოების სულის

პოეზია ურუანტელია ქანადი მატერიის:

პოეზია სარკე დალლილი სულის და სიმფონია.

სომნაბულური ხილვა დამონებულ ყოფის.

საზოგადოების გასარკულ ნერვების, როგორც მანქანა სიცოცხლე.

და ყველა კი ხალხისთვის, ეპოქისთვის...

განცხადებას თან ახალავს სომნაბულების წესდება, რომლის პირველ პუნქტში ხაზგასმულია მისი ჯგუფის აპოლიტიკურობა. როგორც ცნობილია, პოლიტიკისადმი ინტერესს საქართველოში თითქოს არც ერთი მოდერნისტული დაჯგუფება არ იჩენდა. ამ მხრივ, გამონაკლისს არც სომნაბულები წარმოადგენდნენ. წესდებაში ვკითხულობთ ორდენის წევრთა გვარ-სახელებს: ივანე ბაბუაძე, ვლადიმერ გველესიანი, კლიმენტი თევზაძე, გაიოზ იმედაშვილი, შალვა კუჭავა, დავით ფერაძე, ბარნაბა ხაჭაპურიძე, მიხეილ წერეთელი. ზოგიერთი წევრის სახელი, სამწუხაროდ, არ იკითხება, მაგრამ ორდენის შემადგენლობა გარკვეულია – ისინი თორმეტი არიან. მათ შორის ერთი ქალია-თამარ ცერცვაძე. ეს დეტალი უაღრესად საინტერესოა, რადგან საქართველოში ქალების ყოფნა ლიტერატულ დაჯგუფებებში თითქმის არ დასტურდება.

სომნაბულების განცხადებაში იგრძნობა ჯგუფის ძირითადი სამოქმედო პოსტულატების იდეური და ესთეტიკური საზრისი – სიახლისადმი სწრაფვა, მოძველებული ლიტერატურული შაბლონებისაგან მწერლობის გათავისუფლების სურვილი. ისინი ამ თვალსაზრისით არაფრით გამოირჩევიან წინამორბედი მოდერნისტული და ავანგარდისტული დაჯგუფებისაგან. ცნობილია მე-20 საუკუნის დასაწყისის კონკურენტულ გარემოში ყველა დაჯგუფებას ჰქონდა თავდაჯერებული განცდა იმისა, რომ სწორედ ისინი ტეხდნენ პირველად „პოეზიის მსოფლიო ხერხემალს“. საკუთარი სახისა და ორიგინალურობის ძებაში ყოველი მათგანი ცდილობდა ყოფილიყო განსხვავებული და პოეზიის პარნასზე საპატიო ადგილი მოეპოვებინა. მოდერნისტულ დაჯგუფებებს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით არც სომნაბულისტები წარმოადგენდნენ გამონაკლისს, რადგან ვანლერ დაისელის ტონი ირონიული და დამცინავია ფუტურისტული საღამოს მიმართ, რომელიც ჯგუფ „ $H_2SO_4$ “ ჩაუტარებია თბილისში. „ნუ გაგიკვირდებათ, როცა პოეზიას ეკარებოდა კრეტინების ეშელონი და მათ თავი მემარცხენები ეგონათ. რა საცინელი ამბავია გაბითურების ფენომენალობა. „ $H_2SO_4$ “ ფიქსაციაა მემარცხენების“. სხვათაშორის, ფუტურისტების მიმართ არაკეთილგანწყობით გამოირჩეოდა გრიგოლ რობაქიძეც. ამ განწყობის ზეგავლენით, მან 1923 წელს მკვეთრად უარყოფითი გამოსვლით აღნიშნა დადაისტების გამოჩენა ქართულ სალიტერატურო სივრცეში. სომნაბულისტები არ წყალობდნენ სიმბოლისტებსაც, თუმცა ვანლერ დაისელი მაინც აღიარებდა, რომ „სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლი მოედო ძველ შაბლონურ პოეზიას და დაიწყო სწრაფი რენესანსი ხელოვნებისა“.

ქართველ მწერალთა ორდენის „სომნაბულების“ წეს-

დებაში ვკითხულობთ: „ორდენი გამოდის საქართველოში როგორც მებაირახტე მსოფლიო ლიტერატურული კატასტროფის. ის გამოაცხადა ტვინით ავადმყოფი კაცობრიობის კრიზისმა. ორდენი თავისი ჩენილობით პირველი ტეხავს მსოფლიო ხერხემალს ადამიანის ტვინარ ქმედობაში, ხერხემალს რომელსაც კაცობრიობა მოჰყავს ქოლერული სისწრაფით თავდავიწყებისაკენ და ძილისკენ. მძიმე ლეთარგია გადაიშალა აზროვნების გადატეხის პრიზმაში, საჭირო იყო ხილვა ინტერპლანეტარული და გალანდება ფიქრადი ხედვის. „სომნაბულები“ მოდიან ასეთი ბგერალობით. ორდენის მოქმედების არე; პოეზია. მხოლოდ აუცილებელი წვა, მხოლოდ მინასავით“ ნიშანდობლივია, რომ სომნაბულების განაცხადი „კაცობრიობის სპეტაკ მოთხოვნილებას“ უკავშირდებოდა, როგორც „ყოველი არსის გულუბრყვილო ამოდახილს და ეპოქალურ ქარტეხილის ნერვს“. ავანგარდიზმი ასე თუ ისე მაინც საუკუნის ძვრებთან-რევოლუციებთან იყო დაკავშირებული. ეკონომიკურმა, ტექნიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა თავისი კვალი გაავლო მისი წარმოშობისა და განვითარების პროცესს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ავანგარდიზმი თავისთავში იტევდა ვოლუნტარიზმისა და ნიპილისტური ტენდენციების მთელ სპექტრს, მკვეთრად გამოხატული დეპუმანურობითა და ტექნიციზმით. ადამიანი განიხილებოდა როგორც მოვლენა, რომელიც ექვემდებარებოდა დაშლას, გაზომვას, გამოთვლას. ავანგარდისტების აზრით, შესაძლებელი იყო ადამიანის გადაკეთება და მისი ხელახალი რეკონსტრუქცია. „ინტერპლანეტარული ხილვა“, რომელსაც სომნაბულები ახსენებენ თავიანთ მანიფესტში დაკავშირებულია ორ განზომილებას შორის მომწყვდეულ, კოსმიურ სტიქიასთან დაკავშირებულ პიროვნების პრობლემასთან, რაც უსათუოდ ანიჭებდა ლიტერატურულ გმირს რაღაც ამაღლებულს“ (ნ. ხოფერია).

ვანლერ დაისელის არქივში ყურადღებას იქცევს ბონდო კეშელავას მოგონება: „ვანლერ დაისელი 1927 წელს გავ-იცანი ქუთაისში. ის იყო შავგვრემანი, ნაყვავილარი სახე ჰქონდა, ჩოფურას რომ იტყვიან. ვანლერი ენას თავისე-ბურად უქცევდა. თითქოს კბილებიდან ცრიდა.

კარგი მოსაუბრე იყო. მისმა საუბარმა სიამოვნება მომგვარა. ვანლერი მისი თაობის პროლეტარულ მწერლებს ებრძოდა. მან გამოაქვეყნა პოემა თბილისში შემოჭრილ ვეფხვზე, რომელიც დილომში მოჰკვდეს. ის დააპატიმრეს და გადაასახლეს. ჩემს უახლეს მეგობარს ვიქტორ გაბისკირიას ვკითხე, რატომ გადაასახლეს ვანლერი, მიამპე-მეთქი. მან მითხრა, ვანლერმა მიამპო პოემა ვეფხვზე კი არ დამიწერია, მე ვალიკო ჯულელი მედგა თვალწინ, როცა ვწერდიო“. ეს პატარა მოგონება გვაძლევს საფუძველს ვიმსჯელოთ ვანლერ დაისელის პოლიტიკურ და ეროვნულ-პატრიოტულ ორიენტაციაზე. ბონდო კეშელავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა პროლეტარულ მწერლებთან, ხოლო მისი პოემის შთაგონების წყარო ვალიკო ჯულელი გამხდარა, რომელიც, როგორც ცნობილია იყო მენშევიკური გვარდიის მეთაური, 1924 წლის წლის აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი. იგი ბოლშევიკებმა თბილისის ბორანზე აიყვანეს და დახვრიტეს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სოლომონ ხუციშვილის მოგონებაც, რომელიც აღნიშნავს: „ამ საუკუნის 20-იან წლებში ერთი სენსაციური ამბავი ხდება ჩვენში: საიდანლაც ვეფხვი გადმოიხვეწა საქართველოში, მოვიდა აქ და თბილისთან დაამთავრა სიცოცხლე. ზოგი ამბობდა შუამდინარეთიდან იქნება წამოსულიო, ზოგი სპარსეთს ასახელებდა. მისი ფიტული ახლა საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებაში დგას. იგი მაშინ ქართული პოეზიის თემად იქცა. ვანლერ დაისელმა დაწერა პოემა „ვეფხვი საქართველოში“. მოულოდნელი სულაც

არ უნდა ყოფილიყო, რომ ვანლერ დაისელს ეს ეგზოტიკრი ამბავი 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორის-ვალიკო ჯულელისათვის დაეკავშირებინა. ეს ასოციაციური რემინისცენციები არამარტო მისი პოეტური ფანტაზიის, არამედ ეროვნული მსოფლმხედველობის ნაყოფია, რომლის გამოც იგი იმ ავადსახსენებელ წლებში საბჭოთა ქვეყნის არაკეთილმოსურნეთა რიგებში აღმოჩნდა და 1937 წელს ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. თანამედროვეთა მოგონებებით, ვანლერ დაისელი შეუპოვარი ადამიანი იყო და სარისკო პოლიტიკურ სითამამესაც ამჟღავნებდა. მწერალთა კავშირის თავყრილობებზე იგი დაუფარავად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მისთვის მიუღებელი პიროვნებების მიმართ. ცხადია, ბოლშევიკური მთავრობა ურჩი, უმართავი კალმოსნის მიმართ გულმოწყალე ვერ იქნებოდა. 1930 წელს იგი გადაასახლეს არხანგელსკში. ბუნებრივია, სხვა მიზეზების პარალელურად, მწერლის დაპატიმრებისათვის მისი „პოემა ვეფხვზე“ რეალური საბაბი შესაძლოა გამხდარიყო.

ვანლერ დაისელის პოემაზე თავისი შეხედულება გამოუთქვამს გალაკტიონ ტაბიძეს, ეს მოსაზრება დაცულია მის დღიურებში. ვანლერ დაისელს გალაკტიონისთვის ლექსიც მიუძღვნია. გალაკტიონ ტაბიძე მიკერძოების გარეშე საუბრობს ვანლერ დაისელის პოემის ნაკლსა და ლირსებებზე: „ამ წიგნში დასაფასებელია: 1) პოეტის მისწრაფება წიგნის ლამაზად გამოცემისათვის, ყდის შერჩევა 2) გულწრფელობა 3) ზრდილობა 4) პატიოსნება, რაც ასე სანთლით საძებარია თანამედროვე პოეტებში. 5) სიახლი-სადმი მისწრაფება ძველი ფორმებით. 6) საუკეთესო ლიტერატურული ტრადიციებისადმი პატივისცემა 7) ენერგიული ფორმები 8) ემჩნევა კონდენსაცია, ეკონომია სიტყვის, რაც ასე ნაკლებ ჰქონდა წინანდელ წიგნებში (ამ წიგნში შედარე-

ბით დიდი ნაბიჯია ამ აზრით წინ გადადგმული) 9) საერთოდ ემჩნევა წინსვლა. ეფექტები: რითმა ზერელეა (შეიძლება პო-ეტი განგებ სჩადის ამას?) შეუძლებელია მას არ ჰქონდეს რითმის კულტურა“.

მართალია, ქართველი ავანგარდისტები ცდილობდნენ აპოლიტიკურობის ნიღბით წმინდა ესთეტიკურ პოზიციაზე დგომას, მაგრან ამ შემთხვევაში, ისინი არაგულწრფელნი იყვნენ საკუთარ თავთან. უცხო ნოტების წაბაძვით პატრი-ოტიზმის საქილიკო თემად დაკანონება ვანლერ დაისელმა ვერ შეძლო ისევე, როგორც ეს ვერ გააკეთეს ქართველ-მა სიმბოლისტებმა. იგი ვერ მოწყდა ეროვნულ წიაღს და ბოლომდე დარჩა იმ გენეტიკური ხაზის გამგრძელებელი, რომლის თანახმად, ქართული მწერლობა არასოდეს ყო-ფილა მარგინალური, სამშობლოს ტრაგიკული ბედისწერი-საგან გაქცეული კულტურული ფენომენი. საამისო არგუ-მენტები, ჩვენი აზრით, ბევრი უნდა ყოფილიყო ვანლერ დაისელის შემოქმედებაში, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხ-აროდ, მოსალოდნელი რეპრესიების შიშით დათრგუნულ მის მეუღლეს – სირანუშ ტერიანს პოეტის დაჭერის შემდეგ გაუნადგურებია. თუმცა, ის მცირე ნაწილი, რაც გადარჩა მაინც გვაძლევს შესაძლებლობას წარმოდგენა შევქმნათ მის არამარტო პოეტურ პროფილზე, არამედ ეროვნულ-მოქალაქეობრივ სახეზეც.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულ პოეტის არქივში ინ-ახება 1923 წლის 9 აგვისტოთი დათარიღებული წერილი „ფიქრების დუღილში“. რომელშიც ცხადად იკვეთება მისი დამოკიდებულება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. წერილში გამოხატულია შეშფოთება საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ეროვნული დისკრიმინაციის გამო, ტრაგიკულ ფერებშია წარმოჩენილი პატარა ქართ-ველი ერის ბედი საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლი-

ტიკური კატაკლიზმების ფონზე. ერთადერთი, რაც ოპ-ტიმისტურად განაწყობს ვანლერ დაისელს ქართველობის განცდაა; „ტრაგიული ყოფილა და არის საქართველოს ბედი, მასთან ჩემიც. ნეტავ, ქართველი არ ვიყო, ბევრჯერ გამიელვებს თავში, მაგრამ საამაყოა ისიც, რომ ქართველი ვარ და ეს მმატებს მხნეობას, ოპტიმისტური თვალით მაბედვინებს სინამდვილისათვის თვალის შეხედვას. ქართველ ერს ისტორიის არც ერთ პერიოდში, რომლის მწარე ქარტეხილები გაიარა მან, არ უგვრძნია ასეთი ეროვნული ჩაგვრა და დამცირება, როგორიც დღეს ახვევია თავს. ქართველი ერი ზოგიერთისათვის დღეს წარმოადგენს კომერციულ ობიექტს, რომლითაც ვაჭრობენ ამიერკავკასიის შოვინისტები და ჩრდილოეთ სოციალისტები“. შეგახსენებთ, რომ ეს სტრიქონები იწერება 1923 წელს. მაშინ, როცა ბოლშევიზმი უკვე ფაქტია საქართველოში და სულ ერთი წელი გვაშორებს 1924 წლის სისხლიან ანგარიშს-წორებისგან. სწორედ იმავე წელს ბოლშევიკები სასტიკად უსწორდებიან წინააღმდეგობაში მხილებულ 15 ქართველ პატრიოტს, რომელთა შორის არის ილიას დისწული კოტე აფხაზიც. საქართველოს გასაბჭოებიდან ორი წლის თავზე ვანლერ დაისელი მკვეთრად გამოხატავს თავის ნეგატიულ დამოკიდებულებას არსებული რეჟიმის მიმართ. ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს ბოლშევიკების ორწლიანი მოლვანეობის შედეგი და მათ მიმართ ვანლერ დაისელის იმედგაცრუება. მწერლის პოზიცია ანალოგიური უნდა ყოფილიყო მათი გამოჩენისთანავე და 1937 წლამდე მისი „მოთვინიერება“, როგორც ჩანს, ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს. ამასვე ადასტურებს ვანლერ დაისელის კიდევ ერთი წერილი „რუსეთის რევოლუციის მონაპოვარი და რუსეთის წესწყობა“, სადაც უფრო მძაფრია მისი უარყოფითი დამოკიდებულება არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ. საქმე იქამდეც

კი მიდის, რომ ვანლერ დაისელი არ ერიდება ანალოგია მოძებნოს კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის. ეს არის ქართველი მწერლის არაორაზროვანი პოზიცია რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ანექსიისა და მისი შედეგების მიმართ. ალნიშნული წერილი, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი, მაგრამ მწერლის განწყობა „სოციალისტურად მორთულ-მოკაზმული იმპერიალიზმის მიმართ“ (სამსონ ფირცხალავა) სადაც არ არის.

არქივში შემონახულია ვანლერ დაისელის ლიტერატურული წერილის ფრაგმენტები – „მითოლოგიური ხანის ქართული პოეზია“. იგი რუსულ ენაზეა დაწერილი. ცნობილია, რომ მითოლოგიური ნაკადი განსაკუთრებული დატვირთვით შემოვიდა ქართულ მწერლობაში მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან და მხატვრული განაზრების საყვარელ თემად იქცა. მითიური გმირები არაერთხელ ჩნდებიან ისიც პოეზიაშიც. „ყანწელების“ მსგავსად ვანლერ დაისელიც ქართული მწერლობის ხაზს მითის ძიებას უკავშირებს. წერილში ავტორი მსჯელობს ფორმისა და შინაარსის ალტერნატივის პრობლემაზეც.

ვანლერ დაისელის შემოქმედებისადმი ინტერესს აღვივებს მის მიერ შედგენილი კინოსცენარის პროექტებიც. – „კამო“, „გიორგი სააკაძე“, „თამარ მეფის წინააღმდეგ“, „ბედი ქართლისა“ (ანუ რუსეთთან შეერთება), „თფილისი“, „სანდრო ყაზბეგი“. საერთოდ მოდერნისტები და ავანგარდისტები განსაკუთრებული ინტერესს არ იჩენდნენ კინოს მიმართ, თუ არ გავიხსენებთ ტიციან ტაბიძის კინოსცენარს „ამორძალები“, რომელიც ალექსანდრე წუნუნავას უნდა გადაეღო. ვანლერ დაისელის არქივში ინახება თეატრისთვის განკუთვნილი პიესაც სახელწოდებით „მზის გაფიცვა“ – (ფანტასტიური პოემა იმპროვიზაციით 2 სურათად) იგი უნდა განეხორციელებინა რეჟისორს კ. ჯაფარიძეს. ჩვენთვის უცნობია,

განხორციელდა თუ არა მისი დადგმა, მაგრამ აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ვანლერ დაისელი საკმაოდ ფართო შესაძლებლობებისა და ინტერესების მწერალი გახდათ. ამასვე ცხადყოფს ერთი საგულისხმო ფაქტიც – 1926 წელს კონსტანტინე გამსახურდიას ვანლერ დაისელისათვის შეუთავაზებია „დიონისოს ლიმილის“ გადაკეთება კინორომანად. ეს შეთავაზება, რომელიც ვანდერ დაისელის არქივში ინახება წერილობით გაუგზავნია მისთვის. დიდოსტატის ეს ნდობა თავისთავად მრავლისმეტყველია და კიდევ ერთხელ ადასტურებს ვანლერ დაისელის, როგორც ნიჭიერი მწერლის ავტორიტეტს. თუმცა წერილიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდისათვის მათ პირადი ნაცნობობა არ აკავშირებდათ. ვანლერს თავად გამოუჩენია ინიციატივა, გაეცნო კონსტანტინე გამსახურდია და მისთვის წერილი მიუწერია. როგორც ჩანს, წერილი იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას კარგა ხანს უფიქრია პასუხზე: „კერძო ბარათი, განსაკუთრებით ისეთი როგორიც თქვენი წერილი იყო, ეს პოეტური ნაწარმოებია თავისთავად და ასეთი რამის დაწერას სათანადო განწყობილებაც უნდა. ორიოდე მეგობარი კიდევ დარჩენილი მყავს ევროპაში, მაგრამ ამ გარემოების წყალობით მიწერ-მოწერა შენყვეტილი მაქვს... თქვენ ალბათ შორეულად მაინც გეცოდინებათ, რომ დიდი მწუბარების ზონაში მიხდება „სუნთქვა“ სწორედ ასეთი „მწუბარების ზონაში“ უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ვანლერ დაისელსაც. თუმცა ამ ჯვრის ტარებას, როგორც თავად აღუნიშნავს კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიწერილ წერილში პოეტისათვის კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევდა. ვანლერ დაისელის წერილის ადრესატი ეთანხმება მას და ხატოვნად პასუხობს: „ამ გოლგოთას მაყურებელი მრავალი ჰყავს, მაგრამ მასზე ამსვლელი ძლიერ ცოტა. მოხალისეები მას არ აკლია, მაგრამ თქვენ იცით, მოხალისეებს არასოდეს

მოუგიათ ომი“.

ვანლერ დაისელის მწირად შემორჩენილი შემოქმედების გათვალისწინებით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი მოხალისეთა არმიას ნამდვილად არ განეკუთვნებოდა. მისი შემოქმედებითი ინტუიცია და გემოვნება მიუხედავად მცირე საარქივო მასალისა იძლევა საფუძველს, რომ იგი ქართული მწერლობის განვითარების მატიანეში ავანგარდიზმის ერთერთ თეორეტიკოსად მოვიხსენიოთ. 1924 წელს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ვანლერ დაისელი სხვა გამომსვლელებთან – კ. ნადირაძესთან, ტ. ტაბიძესთან. მიხეილ ჯავახიშვილთან, გ. ლეონიძესთან და ქართული მწერლობის სხვა მეტრებთან ერთად მრავალფეროვანი თემატიკით მსჯელობს ლიტერატურულ პრობლემებზე. ხშირად მონაწილეობს საჯარო დისკუსიებში, რომელიც იმხანად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში იმართება. „თანამედროვე ქართული ხელოვნების პრობლემები“, „ხელოვნება როგორც ასეთი“, „ფორმისა და შინაარსის პრობლემა“, „ქართული ხელოვნების მიღწევები“ და ა. შ. ეს თემატური ჩამონათვალი თავისთავად მეტყველებს მის ერუდიციასა და ინტერესების ფართო სპექტრზე.

ვანლერ დაისელის თანამედროვე ლავრენტი ჭიჭინაძე მოიგონებს: „მას კარგი თვითგანათლება ჰქონდა მიღებული. მაგრამ არ დასჯერდა, უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს, მაგრამ ჩვენ შორის გამოირჩიოდა. წელიწადში ორ თუ სამ ლექსების კრებულს გამოსცემდა. ამ წიგნებს დაახლოვებულ სტუდენტებს ჩუქნიდა. თურმე ჩვენს ლექტორებსაც უძლვნიდა. ერთხელ ჩვენს საყვარელ ლექტორს ვახტანგ კოტეტიშვილს მიუძღვნა ერთი ახალი გამოცემული ლექსების წიგნი. მან მადლობა უთხრა და მოაყოლა: შენ, კაცო, საკუთარი სტამბა ხომ არა გაქვს, ასე ხშირად რომ გამოსცემ ამ წიგნებსო. ვწერ, ბატონო, და აბა, რა ვქნაო,

უპასუხა ვანლერმა“. ლავრენტი ჭიჭინაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ვანლერ დაისელი სტუდენტებთან კამათს ერიდებოდა, სამაგიეროდ უკომპრომისო იყო ლიტერატურულ დისპუტებში მონაწილეობისას. მწერლის პრინციპულობა, როგორც ჩანს, არამარტო სახელოვნებო საუბრებში მჟღავნდებოდა. უკანასკნელად ლავრენტი ჭიჭინაძეს მწერალი 1928 წელს გამართულ სალამოზე უნახავს. ამის შემდეგ აღარსად გამოჩენილაო, წერს იგი, „ხმა გავრცელდა, დააპატიმრეს და გადაასახლესო. რატომ? იმიტომ, რომ თავისუფალ სამშობლოს უმდეროდა. მას ეტრფოდა. ეს იყო მისი დანაშაული, მაგალითად, ასეთი;

სამშობლო ახლა ყველას გვაშმაგებს,  
თავისუფალი და უუღელო.  
მზის დროშებივით სული გაშალეთ,  
ახალ სიცოცხლეს ჰიმნი უმდეროთ.

ლავრენტი ჭიჭინაძე, რომელიც, როგორც ჩანს, აქტიური მკითხველი იყო ვანლერ დაისელის შემოქმედების, აღნიშნავს, რომ მისი ლექსები ძირითადად სამშობლოს ეძღვნებოდათ. 1930 წელს არხანგელსკში გადაასახლებული პოეტი ტერენტი გრანელს წერდა: „მე სამშობლოდან მომქონდა აუნერელი წამება, მძიმე გრძნობა და მწვავე განცდები გადასახლებით გამოწვეული. არამარტო გადაასახლებით, არამედ ჩვენი ქართული სინამდვილის წვდომით“.

ვანლერ დაისელის ერთ-ერთი ლექსების კრებული „გუშინ და ხვალ“ თბილისის უნივერსიტეტის მე-10 წლისთავს ეძღვნება. მის სატიტულო ფურცელს ამკობს წარწერა: „თბილისის უნივერსიტეტის 10 წლისთავის გამო ამ წიგნს გულნრფელად ვუძღვნი ქართული ახალი კულტურის შემოქმედებს, ჩვენს მეცნიერებს და ჩემს ძვირფას კოლეგებს-

სტუდენტობას. ავტორი“. ეს იყო რიგით მეოთხე წიგნი, რომელიც მან გამოსცა. ერთი მათგანი მოთხრობების კრებული გახლდათ. რამდენიმე მოთხრობა აღმოჩნდა მის არქივშიც: „სისხლიანი კაფე“, გაყინული ცრემლები“, „პოეტის სიკვდილი“, ეს უკანასკნელი პოეტს თამარ მინდაძისთვის მიუძღვნია. ვანლერ დაისელს გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა პიესების კრებულიც. ამ ცნობას გვაწვდის სოლომონ ხუციშვილი თავის მოგონებაში „გავიხსენოთ ადამიანი“. მწერლის არქივში ჩვენ მივაკლიეთ ფრაგმენტებს პიესებიდან „მთვარეა“ და „შეყვარებული რაინდები“, სადაც მოქმედება იშლება შუა საუკუნეების იტალიაში. პიესას ახლავს ასეთი განმარტება „ბუფონადა სამ მოქმედებად“.

ვანლერ დაისელის არქივში ინახება ასევე ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი“. იგი გაფორმებულია ვინმე ფრანგიშვილის მიერ. ყდაზე გამოსახულია ერთმანეთზე გადაჭრობილი ორი ტოლფერდა სამკუთხედი, რომელსაც ექვსქიმიანი ვარსკვლავის სახე აქვს. იგი წააგავს ებრაელთა ეროვნულ-რელიგიურ ნიშანს – „დავითის ფარს“ ანუ „სოლომონის ნიშანს, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოხატავს ცისა და მიწის ერთიანობას. ამ სიმბოლურ ნიშანში ჩაწერილია სარედაქციო კოლეგიის წევრთა გვარ-სახელები, რომელთა შორის არის ვანლერ დაისელიც. ჟურნალში პოეზიის პარალელურად ადგილი უნდა ეთმობოდეს კრიტიკასაც, ვინაიდან გვხვდება ასეთი შინაარსის წარწერა: „ბატონებო, ჩვენ ჯერ-ჯერობით არავის ვაკრიტიკებთ, ჩვენი ნორჩი ჟურნალი, როგორც ახლად გამოჩეკილი, თქვენთვის გაუცნობელი არ გამოდის კრიტიკის ასპარეზზე. თუ ვინმე მოინდომებს ჩვენი საწინააღმდეგო კრიტიკით გამოლაშქრებას, ჩვენ მზად ვართ დასახვედრად“.

მოგვიანებით ვანლერ დაისელი ადგენს მეორე ხელნაწერ კრებულს „ნეგატივები“. საუბედუროდ, უამთა სიავემ არც

ის დაინდო. გაყვითლებულ ფურცლებზე იკითხება მისი სუ-ლის ამონაკვნესი „იწამეთ პოეზია“, რომელიც რეფრენად გასდევს კრებულში შესულ ლექსებს და რომელშიც თვალში საცემია მკითხველთან მანერული ტონით საუბრის კულ-ტურა.

ბერინგის ზღვიდან გადაფრენილ  
ყვითელ მატერიკს  
მისდევს დაფნებით პლანეტების  
კავალერია.

ვანლერ დაისელის პოეზიაში ცხოვრებისეული სიმართლის პაროდირება ისეთივე ორგანულია, როგორც ეს ზოგადად ახასიათებდა ავანგარდისტულ მიმდინარეობებს. ირონია – ნაღვლიანი ღიმილია, რომელიც მიგვანიშნებს, რომ გონება ხედავს, ბევრი სასაცილო რამ ხდება ამქვეყნად. ვანლერ დაისელის პოეზიაში იგრძნობა სინამდვილისა და ქაოსის იდენტიფირება. გარე სამყაროს შეცნობის პროცესი გაუთვითცნობიერებელია, მისი მხატვრული აზროვნება მთლიანად ინტუიციაზეა ორიენტირებული, რასაც თან ახლავს ტექსტის გაუგებრობა, ალოგიკურობა:

ყვითელ სამკუთხედში გული მოათავსეთ,  
და წარმოიდგინეთ თქვენ ხართ წევატივი...  
მინა გადახიერ ცეცხლის შადრევნებით,  
და ცის ძუძუებს ესროლეთ თვალები.  
თქვენ მზად ხართ!  
კონუსში გაძვრა თეთრი მარხილი,  
ლურჯი წვერები მისდევენ გრიგალს.

მნერლის არქივში ვხვდებით სატრფიალო ხასიათის ლექსებსაც, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ სიყვარული მასთან უფრო დაკვირვების საგანია, ვიდრე გრძნობისმიერი

აღქმა. „ლუდმილას“ (თფილისი. სადგურში გაცნობის გამო. 1925 წლის 25 თებერვალი)

ცხადია, ვანლერ დაისელის პოეტური განწყობილებები ავანგარდისტული პოზის ზეგავლენას განიცდიან. პათეტიზმი, თეატრალური ტონალობა, წინასწარგამიზნულად ტექსტის გამართულობის, პოეტური სიტყვის ცნობისმიერი არსის უარყოფა დამახასიათებელი იყო ავანგარდიზმისათვის. ამ შემთხვევაში საგრძნობი ანალოგიაა ფუტურისტებთან, რომლებიც ინსტიქტური, ქვეცნობიერი შეცნობის სურვილითა და ტექსტის მაქსიმალური ულერადობით ცდილობდნენ ეფექტის მოხდენას.

ნინო ხოფერია თავისი წერილის „ვანლერ დაისელის არქივი“ შესავალში აღნიშნავს: „ვანლერ დაისელის ლიტერატურული რეპუტაცია ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა, რითაც თავისთავად გამოირიცხა ამ დროისათვის სრულიად უცხო გემოვნების ტრაფარეტი, მაგრამ მისი შემოქმედების ზუსტი ფასეულობების დადგენა გარკვეული დროით გადაიდო“. ამ მკვლევარს უკავშირდება ვანლერ დაისელის შემოქმედების, მისი პოეტური ესთეტიკის საწყისწარმოების დადგენის პირველი წარმატებული მცდელობა, თუმცა მოსაძიებელი ჯერ კიდევ ბევრია. ვანლერ დაისელის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნები „მზის გული“, ლივილლა“, „გუშინ და ხვალ“ გვაძლევს საფუძველს, საქართველოში მოდერნისტული და ავანგარდისტული ლიტერატურული სკოლების არსებობის ისტორია კიდევ ერთხელ გადაიხედოს.

## შალგა ამირუჯიბის „ახალი სულიერი საქართველო“ – ოცნება თუ პოლიტიკური რეალობა

1940 წლის აგვისტოში ბერლინის ქართველთა კოლონიაში გამოსვლისას საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი მმართველი კომიტეტის დამფუძნებელი, ამავე კომიტეტის წევრი, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) ეროვნული საბჭოს წევრი, არისტოკრატი, დახვეწილი ინტელეგენტი, პოეტი და პუბლიცისტი შალვა ამირეჯიბი იტყვის: „აგვისტოს აჯანყებამ, მართალია, ახალი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, იგი დამარცხდა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“. ეს იყო მისი გულწრფელი გამოძახილი იმ პოლიტიკურ ჟამიანობაზე, რომელიც მის სამშობლოში ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ გამეფდა. დადგა დრო, როცა ქართველ ხალხს კვლავ ერთგვარი ტესტი უნდა ჩაეტარებინა ნაციონალური ღირსებისა და თვითგადარჩენის ინსტიქტის გამოსავლენად. საამისოდ განწირული ისტორიის ამ მონაკვეთისათვის ყველა პირობა არსებობდა. უკვე მერამდენედ უნდა აზვირთებულიყო ნაციონალური ენერგია და მომხვდურთა ცბიერების საპირინონედ გათამაშებულიყო ეროვნული დრამა ნაცნობი სიუჟეტით, პერსონაჟებითა და ფინალით. ეროვნული დრამის ეს მოდელი პერმანენტულად, თითქმის შეუცვლელად იმეორებს ხოლმე თავის არქეტიპს. შეუცვლელია ადგილი და მაპროვოცირებელი გარემოებები. იცვლება მხოლოდ დრო და პერსონაჟთა სიმბოლური გვარ-სახელები. ეს დრამა ათასგზის დატრიალებულა ქართველი ერის ცხოვრებაში. მას ტრადიციულად მოჰყოლია ხანგრძლივი რეფლექსია ქართული ყოფიერების სამკვდრო-სასიცოცხლო კოლიზიებსა და ერის ღირსების კატეგორიებზე. ამ განსჯა-შე-

ფასების დროს კანონზომიერი და ლოგიკურია ისტორიის ფრაგმენტების ასოციაციური კავშირების მოძიების მცდელობები, რადგან იგი ყოველთვის კრავდა და აერთიანებდა ეროვნულ თვითშეგნებას. და როდესაც შალვა ამირეჯიბის მრავლისმეტყველ ფრაზას „1921 წელი და საქართველო აღარ არის“ ჩვენი ისტორიის ფოლიანტებში ქრონოლოგიურად რაკურს ოდნავ შეუცვლით, შეიძლება ითქვას – „1801 წელი და საქართველო აღარ არის“. იგი იმავე შინაარსითა და რემინისცენციებით იტვირთება, როგორც 1921 წელი. და მაინც, შეუძლებელია დიდებული სისადავით და ასე სიღრმისეულად გამოხატო ამ თარიღის ტრაგიზმი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ტანჯავდა მისგან დევნილ „სამანს იქეთა საქართველოს“. (რუსუდან ნიშნიანიძე) იმ მრავალ კითხვათა და გამოსავლის ძიებათა ქრონოლოგიაში შალვა ამირეჯიბის ყველა კითხვასა და პასუხს მორალური არსებობის უფლება თუნდაც იმიტომ აქვს, რომ იქ, უცხოეთში ისე ეზმანებოდა მამული, როგორც „ხატი და მოჩვენება“ და სიცოცხლის ბოლომდე დაუნდობლად ამხელდა ეპოქისეულ ორსახოვნებას, ნითელი ეპიდემიის არსა და საშიშროებას:

„თავისი ფეხით ადის ბრიყვი კვარცხლბეკზე ძეგლად და ჯალათობა სათნოების ინნავს გვირგვინებს“.

გოეთესეული ფრაზა „ერთა აღნერა ერთ-ერთ საშუალებაა, რათა ზურგიდან ჩამოიხსნა წარსულის ტვირთი“ ვერაფრით მიესადაგება შალვა ამირეჯიბის ანალოგიურ მცდელობებს. მისთვის არასოდეს ყოფილა ტვირთი გაესაჯაროვებინა ქვეყნის ისტორიის ის მონაკვეთი, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ღირსეულმა შვილებმა ტრადიციულად აიღეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე რუსეთიდან ომპორტირებული „სოციალისტურად მორთულ-მოკაზმული“ (სამსონ ფირცხალავა) იმპერიალიზმისათვის ისევე გაეწიათ წინააღმდეგობა, როგორც ეს წინამორბედი

საუკუნის სვეუბედურ 1832 წელს მამათა თაობამ გააკეთა. იგი ლამპარი იყო მომავლისათვის, რათა გამარჯვების რწმენა დამარცხების ტკივილს არ დაეჯაბნა და როდესაც 1924 წელს ეროვნული დრამა თითქმის დუბლირებული კოლიზიებითა და გმირებით, რეჟისორითა და ჯალათით კვლავ განმეორდა, მან არსებული რეალობისათვის თითქოს არაადეკვატური ფრაზა წარმოთქვა, „იშვა ახალი სულიერი საქართველო“: მართლაც, საქართველო კვლავ იშვა და აღორძინდა იმ ძალასთან ჭიდლიში, რომელიც 17 წლის მარო მაყაშვილმა ასე დაახასიათა: „რუსეთმა რაც კი კარგი გვქონდა ჩვენ, კულტურა, სულ გასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა. ეგ ერთი ერია მგონი ეს-ეთი უღმერთო, უბედური და ღმერთისაგან დაწყევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი...“

1921 წელს ეგ „ღმერთისაგან დაწყევლილი რუსეთი“ უკვე თბილისშია. მას თეთრ ცხენზე ამხედრებული რენეგატი მოუძღვის წინ. „ჲა, აღსრულდა, თქვენ მოხვედით, ჩვენ მიგილეთ ცრემლით ცხელით, მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიმტით შემოხვედით. „— წინასწარმეტყველურად აღმოხდება იოსებ გრიშაშვილს.“

ჯერ კიდევ მყიფე დამოუკიდებლობა ვერ იხსნა იუნკერთა დაღვრილმა სისხლმა, ვერც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაინდულმა სულმა და მისი შეფიცულების მხედრულმა თავგანწირვამ. გოლოვინის პროსპექტზე ჯალათებმა სამაგალითოდ დაასვენეს კოჯრისა და ტაბახმელას გმირები, თითქოს არწმუნებდნენ თბილისს, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ დატოვა თბილისი და სტამბულის გავლით საფრანგეთს მიაშურა. მაგრამ ეს არ იყო საბოლოო დამარცხების გზა. მათ დამარცხების ტკივილთან ერთად თან გაიყოლეს წი-

ნააღმდეგობის განახლების იმედი, რომელმაც 1924 წლის აჯანყების სახით იფეთქა საქართველოში. ქართული ემი-გრაციისათვის იგი ბოლომდე დარჩა აწმყოსთან მუდმივად გაზავებულ, რეალობის მამოძრავებელ ფაქტად, როგორც კონტასთავის, 1832 წლის და სხვა მრავალი ეროვნული ცნობიერების შემკრავი და მაორგანიზებელი ბრძოლის ისტორიები. ამიტომაც არ ელეოდათ მათ არგუმენტები ამ აჯანყების დამარცხებისა და ნარუმატებლობის მიზეზთა კვლევისას, ჰქონდათ განსხვავებული და ზოგჯერ კრიტიკული მოსაზრებებიც, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდებოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებაზე – ქართველი ერი არ უნდა შეგუებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და 1924 წლის შეთქმულების მსგავსი წინააღმდეგობანი ყოველთვის იქნებოდა ერის მეხსიერებისა და ღირსების სადარაჯოზე. მათ ჰქონდათ სრულიად ლეგიტიმური კითხვები საქართველოს 117-წლიან ისტორიაზე, ბაგრატოვანთა გვირგვინის მოშთობასა და ერთმორწმუნეობის ნილბით ჩატარებულ საეკლესიო ტერორზე. ისინი ბჭობდნენ და ფიქრობდნენ ულმერთობის საბჭოურ ჟამიანობაზე და საყვარელ მამულში რკინის ფარდით გამიჯნულ ჭეშმარიტების გაცხადებაზე ოცნებობდნენ. ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობისათვის ეს სიმართლე სწორედ 1924 წლის აჯანყებასთან ასოცირდებოდა.

ქართველი ემიგრანტების მოუსყიდველი ნაწილი წლების განმავლობაში ერთგულებდა აგვისტოს აჯანყების იდეას და დაუღალავად გადაჰქონდა ქალალდზე მასთან დაკავშირებული მოგონებები. 1931 წლის 30 აგვისტოს შალვა ამირე-ჯიბმა ქართული კოლონიის სხდომაზე ტრადიციულად, უკვე მერამდენედ წაიკითხა მოხსენება აჯანყების დამარცხების, მისი მაღალი იდეალების შესახებ და აღნიშნა: „მნიშვნელობა აგვისტოს აჯანყებისა დღესაც იგივეა, როგორიც იყო როცა

მას აწყობდნენ, როცა ის ხდებოდა და როცა ის დამარცხ-და“. საკმაოდ ვრცელ მოხსენებაში შალვა ამირეჯიბმა თან-მიმდევრულად, კიდევ ერთხელ გაიაზრა მისი მიზეზ-შედე-გობრივი კავშირი მომავალ საქართველოსთან. ისტორიული ექსკურსი, რომელსაც მომხსენებელი წარმოგვიდგენს, გათვ-ლილია ერის ჯანსაღი ფსიქიკისა და იდეური სიმრთელის შე-ნარჩუნებაზე. აგვისტოს აჯანყებაზე მის ღრმა რეფლექსიას მდიდარი დოკუმენტური მასალა და ცოცხალი მოგონებები ამშვენებს. შალვა ამირეჯიბისათვის აგვისტოს აჯანყება იყო საჯარო ეროვნული აქტი, საზოგადოებრივი მოვლენა, რომელშიც ფასობდა არა ტაქტიკური გამარჯვება, არამედ პოლიტიკური შინაარსი. „რევანშის გრძნობა ისეთ ერში, რომელსაც თავისი სიცოცხლის ნიჭის დამტკიცება სურს-სრულიად ბუნებრივი გრძნობაა“. ამბობს იგი და ამ „ბუნე-ბრივი გრძნობის“ გამოცოცხლების იმუამინდელ მიზეზსაც არაერთხელ უბრუნდება: „რუსეთი საქართველოში ბოლშე-ვიკების დროშით შემოვიდა, რომელმაც ომი გამოუცხადა კაცსა და ნივთს. თუ ამას დაუმატებთ საშინელ ტერორს, რომელიც უკვე აჯანყებამდე ავლებდა მუსრს ქართველობას, თუ იმასაც ჩააგდებთ ანგარიშში, რომ ბოლშევიკური რე-ჟიმი ისეთი რეჟიმია, რომელსაც არავითარი ნებადართული და კანონიერი საშუალება თავის დაცვისა არა სწამს, თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ საქართველო დაიპყრო ისეთმა ძალამ, რომელსაც მსოფლიოშიაც სახელი წამხდარი აქვს და კაცობრიობის მტრად იყო და დღესაც არის მიჩნეული. თქვენ მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ აჯანყება ერთადერთი საშუალება იყო არამარტო ბრძოლისა, არამედ მარტოოდენ პროტესტისა“. ეს შევასება დღესაც უცვლელად შეიძლება მიესადაგოს რუსეთის საგარეო პოლიტიკას, მის დაუოკებ-ელ იმპერიალისტურ ამბიციებს. თითქმის საუკუნის შემდეგ შალვა ამირეჯიბის ეს გამონათქვამი არ კარგავს სიმძაფრეს

და იმ გამოსავალზე გვესაუბრება, რომლის ალტერნატივა არც იმხანად და არც ახლა, რუსეთთან ურთიერთობისას, სამწუხაროდ, ძნელად მოსახებნია. რუსეთმა ურცხვად გადაწერა გეორგიევსკის ტრაქტატი, ბაგრატოვანთა დინასტია მისი ხელდასმული მეფისნაცვლის ინსტიტუტით ჩაანაცვლა და საქართველოს მიმართ მისი პოლიტიკა ასე განსაზღვრა „ქართულ სხეულში – რუსული სული“.

შალვა ამირეჯიბის ისტორიული მეხსიერებისათვის 1924 წლის აჯანყება სწორედ ამ პოლიტიკის ლოგიკური განვითარება და შედეგი იყო. ყოველი წლის მარიამობისთვეს ქართული ემიგრაცია კვლავ და კვლავ იკრიბებოდა, რათა რწმენა არ დაეკარგათ და იმედისთვის მიეცა საზრდო. საბჭოთა დაზვერვა ყველაფერს აკეთებდა ემიგრაციაში მყოფ ქართველებში შიდაგანხეთქილებისა და შუღლის დასათესად. ამის საილუსტრაციოდ მარტო გრიგოლ ვეშაპელის სახელიც იქმარებდა, რომელიც 1924 წლის აჯანყების შემდეგ ღიად აწარმოებდა პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ მის მიერ დაარსებული გაზეთის „ახალი საქართველოს“ მეშვეობით და ქართველ ემიგრანტებს დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ მან მკვეთრად შეცვალა თავისი პოზიცია და ბოლშევიკური წყობის რეკლამირება დაიწყო. გაზეთის პირველსავე ნომერში მან ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია 1924 წლის აჯანყების მიმართ; „დღეს აჯანყების სისხლი გვავალებს, მოვითხოვოთ ანტიბოლშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია. და ეს კი ნიშნავს ამ ფრონტთან დაკავშირებულ ყველა პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციას. უნდა ვაღიაროთ აშკარად, რომ როგორც ნოე უორდანიას მთავრობა, ისე კარლო ჩხეიძის დამფუძნებელი კრება და მისი შემადგენელი პარტიები პოლიტიკურად მოკვდენ...“

შალვა ამირეჯიბი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც

თავგანწირვით იცავდა აჯანყების იდეას მსგავსი შემოტევებისაგან და პრინციპულად მოითხოვდა მის ობიექტურ შეფასებას. მან კარგად იცოდა, რომ ნიპილიზმი საბოლოოდ დაასამარებდა ქართველთა ეროვნულ განცდებსა და ღირსების გრძნობას. იგი არ მაღავდა, რომ სიფრთხილის გრძნობა აჯანყების მიმართ ბევრ ღირსეულ ქართველს ტანჯავდა, ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა მისი დაწყებისა და ორგანიზების თარიღს, მაგრამ ეს არ იყო პროტესტის არარსებობის სიმპტომი და შემგუებლობა არსებული მდგომარეობისადმი. შალვა ამირეჯიბი მოგვითხრობს მისი შეხვედრის შესახებ ნიკო ნიკოლაძესთან, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნდა აჯანყებასთან მიმართებაში. ხალხის ცოცხალთაგანი მამამთავარი მარწმუნებდა და მირჩევდა, რომ აჯანყებაზე ხელი აგვეღოო, – იგონებს იგი და თაობათა ურთიერთობის დიალექტიკის გათვალისწინებით ასკვნის: „მოხუცები რომ ახალგაზრდებზე ჭკვიანები არიან, ძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც ერთ ორმოც წელს არა სჯერდება და მოითხოვს მეორე ორმოც წელსაც. მე მაშინ ოცდათვრამეტი წლის ვიყავი“. ეს არ იყო დანაშაულის განცდა, რომელიც შალვა ამირეჯიბს აჯანყების იდეას უპირობოდ შეცდომად აღიარებინებდა. ეს იყო განცდა, რომელიც მას აძლევდა საშუალებას თვალი გაუსწორებინა მომავალი თაობისათვის. დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გაუღერდდებოდა საბედისწერო კითხვა – იბრძოლეთ თუ არა? და ეს კითხვა უფრო მძიმე იქნებოდა ისტორიისათვის, ვიდრე 1924 წლის მსხვერპლთა უდანაშაულო სისხლი. შალვა ამირეჯიბი ბოლომდე ერთგული დარჩა აჯანყების იდეის. მისთვის დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნებაზე უფრო მთავარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება იყო. სწორედ ამ იდეის დაკარგვა იყო შალვა ამირეჯიბისათვის ეროვნუ-

ლი ტრაგედია, ერის სასიცოცხლო ნიშანსვეტის სიმბოლო, გათვლილი დროის მარადიულ მდინარებაზე. აჯანყება უნდა მომხდარიყო, რათა ქართველობას ეროვნული კატასტროფა აეცილებინა. წინააღმდეგობის უნარის გამოვლენა ამ შემთხვევაში არც მეტი, არც ნაკლები ყველაზე თვალსაჩინო საშუალება იყო.

შალვა ამირეჯიბის ბიოგრაფიაში მეტად უცნაურად მოჩანს ის ფაქტი, რომ მან ხელი არ მოაწერა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. ამის მიზეზებს იგი დაწვრილებით განმარტავს თავის მოხსენებაში. როცა ეროვნული საბჭოს წევრები სიხარულით ადიოდნენ პრეზიდიუმის მაღლობზე და საზემოდ აწერდნენ ხელს ისტორიულ დოკუმენტს, შალვა ამირეჯიბი ფიქრობდა, რომ რესპუბლიკური წყობა საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ მოუტანდა. მას სწამდა, ერთადერთი ხსნის გზა საქართველოსათვის მხოლოდ მონარქიის აღდგენა იყო. „ქართველ ერს თავისი დამოუკიდებლობა და თავისი სახელმწიფო უყვარდა. არა იმიტომ, რომ ის იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც ეს ქართველ დემოკრატიას ეგონა, არამედ იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა ნიშნავდა მის ძველი ისტორიულ ტრადიციის აღდგენას, რომლითაც მან ოცი საუკუნე სახელმწიფოებრივად და ეროვნულად იარსება“. დიახ, ეს გახლდათ შალვა ამირეჯიბის არცთუ უსაფუძვლო, დამაჯერებელი არგუმენტები. იმ დღის ერთი პასაჟიც კი აფრთხობს მწერლის დამოკიდებულებას შეპირებული დემოკრატიულობის მიმართ და აფხიზლებს მის შესანიშნავ ინტუიციას. თუნდაც ის, რომ „თვალი იქიდგან ამ აქტს წითელ დროშაზე ჩამოხატულმა მარქსმა ჩაუკრა თვალი და ამ დღეს პარლამენტში სოციალიზმის წითელი დროშა ფრიალებდა“.

ეროვნული დროშა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პარლამენტში მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ

აფრიალდა. შემთხვევითი არც ის არის, რომ შალვა ამირე-ჯიბის ერთი ვრცელი პუბლიცისტური ნარკვევი „ოქროს დროება“, რომელიც უამრავ საინტერესო მოგონებას მოიცავს, სწორედ ისტორიის იმ მონაკვეთის ექსკურსით იწყება – X საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე რუსეთთან „შეუძლებამდე“. ეს მომოხილვა აქტუალურ სახეს იძენს სწორედ სოციალ-დემოკრატების ეროვნული მსოფლმხედ-ველობის ჭრილში და ათგალსაჩინოებს შალვა ამირეჯიბის პოზიციას. იგი სოციალ-დემოკრატებს არგუმენტირებულად ადანაშაულებს ისტორიის უგულებელყოფასა და საქართველოს წარსულთან კავშირის გაწყვეტის მცდელობაში. „აქვს ვისმე უფლება, გამოვიდეს და სთქვას, მე მხოლოდ მომავალი მაინტერესებს, მე წავიყვან ქართველ ხალხს ახალი გზებით, ისტორია კი თქვენა გქონდეთ, სწერეთ რამდენიც გენებოთ, ხატეთ და ლექსეთ იგი, მაგრამ ნუ ჩასჩირავთ მას ჩვენ დღევანდელ სათქმელში, ნუ დაგვაბრუნებთ უკან, რადგან, რადგან ისტორიას უკან მივყევართ და არა წინ? ასეთი უფლება არავის აქვს! ქართველმა კაცმა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებს, საქართველოს ისტორიასაც ხელი უნდა მოაწეროს“.

სოციალ-დემოკრატების მიერ ისტორიის იგნორირების საშიში მიღრეულებები შალვა ამირეჯიბის ფუჭი ასოციაციები რომ არ იყო, წერილში მოთხოვობილი ერთი საინტერესო ფაქტიდანაც ირკვევა. იგი უკავშირდება თბილისში იმხანად არსებულ ერეკლე მეფის სახელობის, დიდი ტრადიციების მქონე სკოლას, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ერეკლე მეფის სახელობა ჩამოართვა და „ქართული დემოკრატიისათვის შესაფერი რუსული სახელი მიაკერა“. თბილისის ქალაქის საბჭოს ამ ანტი-ეროვნულმა გადაწყვეტილებამ აღაშფოთა საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ბუნებრივია, შალვა

ამირეჯიბიც გახლდათ. გამოითქვა პროტესტი, თუმცა „საზოგადოების უკმაყოფილებაზედ „დემოკრატიამ“ ყურიც არ გაიძერტყა. სკოლას მეფე ირაკლის სახელი მოხსნეს და პატარა დაფა, რომელსაც დიდი ქართული სახელი ეწერა, სადღაც მიაგდეს“. შალვა ამირეჯიბის მოგონებით, იმსანად ეროვნული გრძნობის ასეთი შეალახვა საქართველოში ფეხის ყოველ ნაბიჯზე ხდებოდა. მოვუსმინოთ შალვა ამირეჯიბს: „განა ვისთვის იყო საჭირო, რომ ტფილისის ერთ უმთავრეს ქუჩას პლეხანოვის პროსპექტი დაარქვეს? მხოლოდ რამდენიმე თუთიყუშისათვის, რომელიც პლეხანოვს საქართველოში ჰყავდა! მაგრამ ეს მოხდა და მრავალი სხვაც“. ეს მრავალი სხვა უკავშირდებოდა „ვინმე ნერუჩევის მიერ შედგენილ ქართული მიწის კანონს. იმას, რომ სოციალ-დემოკრატების მიერ „საქართველოს მინდვრებში სტეპა რაზინის, პუგაჩოვისა და ლენინის სული ითესებოდა“.

შალვა ამირეჯიბისათვის ეს არ იყო მხოლოდ სოციალ-დემოკრატების პარტიული პოსტულატებისა და სტრატეგიის კრიტიკა. მისთვის ეს იყო ეროვნული იდეების ღალატი, რუსული სტანდარტის ფსევდოდემოკრატიის არსის მხილება, რომელშიც საქართველოს მომავლის საფრთხეს ჭვრებდა. მისთვის მთავარი ეროვნულ იდეალებზე დამყარებული სახელმწიფოებრიობა იყო და არა მარქსისტულ-ლენინური სოციალიზმი, რომლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად ემიჯნებოდა ქართულ ისტორიას. მოგვიანებით, ემიგრაციაში შალვა ამირეჯიბი მივა იმ დასკვნამდე, რომ მონარქიის ინსტიტუტი არის ერთადერთი ხსნის გზა, რომელიც საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობას დაუბრუნებდა.

მართლაც, ქართული ემიგრაცია სერიოზულად ფიქრობდა საქართველოში მონარქიის აღდგენაზე. შალვა ამირეჯიბის ფონდში არსებული ხელნაწერი, ამ თვალსაზრისით,

უაღრესად საინტერესო მასალას წარმოადგენს. იგი დათარიღებულია 1942 წლის 25 მაისით, ზედ აწერია „პოლიტიკური გამჭრიახობისა და თადარიგისათვის“. ფურცლის არშიაზე გაკეთებული მინაწერი კი ცხადყოფს, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ სრულიად საქართველოს დინასტიის აღდგენის ინიციატივას და ამ მიზნით „დიდებულ, ძლიერ გერმანიასთან“ თანამშრომლობის აუცილებლობას. აქვე დასახელებულია ტახტის მემკვიდრეების ვინაობა. ერთი-თავადი ირაკლი მუხრან-ბატონი და მეორე- „შერჩევით, დამსახურებითა და მოდგმით“ თავადი სვიმონ ციციშვილი. ამავე ფურცელზე გაკეთებული მინაწერიდან ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს თავისი კანდიდატურა მოუხსნია ირაკლი მუხრან-ბატონის სასარგებლოდ, რათა ამ კეთილშობილური იდეის ირგვლივ დარაზმული საზოგადოების გახლეჩა არ მომხდარიყო. ეს უესტი უდავოდ ადასტურებს იმას, რომ ემიგრაციას სვიმონ ციციშვილზე არჩევანი შემთხვევით არ გაუკეთებია. იგი მართლაც ლირსეული პიროვნება გახლდათ და ლოზუნგი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ მისთვის ფორმალური არასოდეს ყოფილა.

ხსენებული დოკუმენტი, სადაც მოჩანს ქართული ემიგრაციის მონარქიის აღსადგენად მიმართული მცდელობა, ფოსტით არის გაგზავნილი შალვა ამირეჯიბთან. იმ პერიოდისათვის იგი ბერლინში იმყოფებოდა და იქიდან გულშემატკივრობდა ამ იდეას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი გააქტიურებული ყოფილა აჯანყების მომზადების პერიოდშიც. ამიტომაც გაუჩნდათ სოციალ-დემოკრატებს კონკურენციის შიში და გარკვეული უნდობლობა სამხედრო ცენტრის მიმართ, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელთან ასოცირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შალვა ამირეჯიბი დამოუკიდებლობის კომიტეტის აქტიური წევრი გახლდათ. მას არ გაჭირვებია ემხილა სიციალ-დემოკრატე-

ბი იმ მავნებლურ განზრახვაშიც, რომელიც ქაქუცა ჩოლოყ-აშვილის დისკრედიტაციას ითვალისწინებდა. როდესაც სოციალ-დემოკრატები მიხვდნენ, რომ ქაქუცას ხალხი ენ-დობოდა – ტაქტიკა შეცვალეს. „ამ დღეებში ქართველი ხალხის სისხლი შეერთდა და ამ სისხლში განსხვავება არ იყო“. ასე შეაფასა მან სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა, რომელიც ერთი მიზნით იყო შეკრული – სისრულეში მოეყ-ვანათ აჯანყების ჩანაფიქრი.

1924 წლის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას თავის წერილში „სისხლისათვის ქართლისა“ შალვა ამირეჯიბმა ტრადიციული უკომპრომისობა გამოამჟღავნა მათ მიმართ, ვინც ემიგრაციაში აგვისტოს აჯანყების კრიტიკით იყო დაკავებული. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ დავით მხეიძე, რომელიც გრიგოლ ვეშაპელის გუნდის წევრად მოიაზრებოდა და, სხვათაშორის, 1924 წელს ანტიბოლშევიკურ ოპერაციებსაც ხელმძღვანელობდა სამეგრელო-ზემო სვანეთში. ემიგრაციაში მან აჯანყებას თავიდან ბოლომდე ავანტიურა უწოდა და მისი მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა. გასაკვირი არ იყო, რომ დავით მხეიძეს „ჯილდოდ“ საბჭოთა საქართველომ უკან დასაბრუნებელი ვიზა უწყალობა, რადგან ბოლშევიკებისთვის ყოველი ასეთი ვოიაჟი ის მონაპოვარი იყო, რომელიც მათ პოზიციებს უმყარებდა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველთა სისხლს ჩამორცხდა. ასეთ მერყევ ადამიანთა შორის აღმოჩნდა ტარიელ მარგველაშვილიც, რომელსაც აგვისტოს აჯანყების აღსანიშნავ ტრადიციულ კრებაზე უაპელაციონ ტონით გამოუთქვამს მოსაზრება, აჯანყება არ უნდა მომხდარიყო, იგი სრულიად მოუმზადებელი იყო. შალვა ამირეჯიბის განსაკუთრებული განრისხება გამოუწევია ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოხსენიებას იმ ე. წ. „ბანდიტთა სიაში“, რომლებმაც „ქართველი ხალხი ამ აჯანყებაში ჩაითრია“, ვინაიდან მას სწამდა, რომ

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო – ქაქუცა ჩოლოყაშვილი ისტორიაში შევიდოდა, „როგორც მისი ბრნ-ყინვალე ეროვნული გმირი“. ცხადია, შალვა ამირეჯიბის ეს პროფეტულობა იმ ღვაწლიდან, თავდადებიდან იყო ამოზ-რდილი, რომელიც ქაქუცას სახელს იმთავითვე უკავშირდებოდა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ჰეროიზმისა და ქვეყნის სიყვარულის გამო. ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მწერალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით გაუგზავნიათ მოსალაპარაკებლად. იმ საბედისწერო უამს მას კიდევ ერთხელ უნდა ეცნობებინა გაუტეხელი ბელადისთვის, რომ 1924 წლის აჯანყების მოთავენი მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ადვილი საფიქრებელია, შეფიცულების გარემოცვაში მყოფი, მოუდრეკელი, ბრძოლის უინით ანთებული ქაქუცა როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მისი სულიერი და იდეური სიახლოვე ასახულია შალვა ამირეჯიბის ერთ საინტერესო მოგონებაში „მზე-ქალა“, რომელიც თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ მხატვრულ ტექსტს და შალვა ამირეჯიბის მრავალფეროვანი შემოქმედებითი ნიჭის მორიგ გამოვლენად ვალიაროთ. მასში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მონაყოლი ამბავი წარმოდგენილია არამარტო მხატვრული, არამედ დოკუმენტური თხრობის ყველა უანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ხევსურ მებრძოლ მზექალას ქაქუცა ჩოლოყაშვილი მაშინ შეხვედრია, როცა თავის შეფიცულებთან ერთად ხევსურეთში იმაღლებოდა და ბოლშევიკებზე მორიგი თავდასხმისთვის ემზადებოდა. თვრამეტი წლის მზექალა არაბული აბჯარასხმული, უბელო ცხენზე ამხედრებული ხლებია ქაქუცას, რათა ორწყალზე გაეცილებინა მეთაური და თავისი გადაწყვეტილება უცნობებია-ხევში ცოცხალი თავით არ შემოუშვებ რუსებსო. მზექალას თქმით, მისი გვარი ერეკლე მეფის ნათლული ყოფილა და ეს აორმაგებდა

მის საბრძოლო განწყობას, ავალდებულებდა ქვეყნისათვის გაეწირა თავი. მართლაც, ხევსურეთში ამოსულ მეფე ერეკლეს სამოცი ბავშვი მოუნათლავს, მათ შორის არაბულები. რის შემდგომ ხევსურები მათ შთამომავლობას თურმე „ირაკლის ნათლულებს“ ეძახდნენ. მზექალა ამაყობდა ამით, ფიცი არ გაუტეხავს და საქმითაც დაუმტკიცებია თავისი ერთგულება. მან ცოცხალი თავით არ შემოუშვა რუსები სახლში. როდესაც მტერმა მზექალას ალაყაფის კარს გადაბოტა, ნახა, ქალი მხოლოდ ერთი ტყვიით იყო მკვდარი, ტყვია იმ ადგილას მოხვედროდა, რომელიც მას ისეთის უმანკო მოურიდებლობით დაპქონდა ღია მკერდში, თავზედ თავისი უბელო ცხენი ადგა“. როსტომ ჩხეიძე თავის ავტობიოგრაფიულ რომანში „შავი ჩოხა“ დოკუმენტურ ნოველას უწოდებს შალვა ამირეჯიბის „მზე-ქალას“ და აღნიშნავს: „ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაამბობს ეყრდნობა „მზე-ქალა“, და ეს წინასწარი უწყება მხატვრული მისტიფიკაცია კი არ არის, არამედ ბელადის მონაყოლის თითქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი, ბელეტრისტული კალმის ჩარევით მომხიბლავ სიუჟეტურ ქარგად შემონახული“. სხვათაშორის, მზექალას სახელი, როგორც ერთი ხევსურის ნაამბობი ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებშიც გაიღვება.

შალვა ამირეჯიბისეულ სიმართლეს ქაქუცა ჩოლოყაშვილზე თითქმის ნახევარი საუკუნე მალავდა საბჭოთა კონიუნქტურა. ბოლშევკიზმის ზღუდეებით საგანგებოდ დაცულ საქართველოში არც შალვა ამირეჯიბის სახელს სწყალობდნენ, ისევე როგორც გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძისა და სამშობლოდან გაძევებული ბევრი ემიგრანტის.

და მაინც, სამართლიანი აღმოჩნდა დრო და ბედისწერა. მათი ღვანლი გამოსტაცა უამთა სიავეს და ამით, თითქოს დაინდო ქართული ცნობიერება, რადგან ამ ინტელექტუალური მემკვიდრეობის გარეშე, ბევრი რამ იმ წესრიგის მიღ-

მა დარჩებოდა, რასაც ერის მეხსიერება ჰქვია.

ვიქტორ ნოზაძე ასე გამოეხმაურება შალვა ამირეჯიბის გარდაცვალებას: „კიდევ ერთი, საქართველოში დაბრუნებას მოწყურებული, სამშობლოს ხილვით მშიერი, მძიმე, რთული განცდებით შეპყრობილი ქართველი კაცი გარდაიცვალა უცხოეთში. შალვა ამირეჯიბი. ეს კაცი ჩვენი თაობის ისტორიაა, მისი აზრი და ფიქრი, მისი ნატვრა და ბრძოლა“. უკეთესად თქმა ალბათ გაჭირდება. ამ სევდის ლაკონურად გამოსახატავად ისევ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა თუ გამოგვადგება, სადაც დედის გაოცებას, სადაა ჩემი კარგი გული, ამდენის ვაით რომ ჩაგიდგი საგულეშიო, საქართველოს რუქამ უპასუხა – „მე დავაჭკუნე“. შალვა ამირეჯიბიც ამ გამოუთქმელი სევდისა და ერთგულების ერთ-ერთი მსხვერპლია, რომლის გარეშე ჩვენი ისტორია არასოდეს დაიწერება.

## შალვა ამირეჯიბი ქართულ კლასიკურ მწერლობაზე

შალვა ამირეჯიბი ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური აზროვნების გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მურმან ლებანიძისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ჭაბუა ამირეჯიბი აღნიშნავს: „რაც შეეხება ბიძაჩემს, შალვა ამირეჯიბს, იმას სიცოცხლეშივე ქრისტეს ეძახდნენ – ძალიან პატიოსანი კაცი იყო, უმშვენიერესი პოეტი და პუბლიცისტი, ჯენტლმენი და დახვენილი იუმორის პატრონი“ . ეს სტატუსი შალვა ამირეჯიბმა ემიგრაციაში ყოფნის დროსაც ღირ-სეულად შეინარჩუნა. აქედან გამომდინარე, მისი ეროვნული იდეალი და სახელმწიფო ბრივი სჯანი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას არამხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იმ საფრთხეებიდან გამომდინარე, რომლისგანაც საქართველო ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა და რომელ-იც, არამხოლოდ გარე ფაქტორებითაა ინსპირირებული. შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტიკაზე საუბრისას ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „შალვა ამირეჯიბის შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მის პუბლიცისტიკაში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟანრობრივად მრავალფეროვანი მწერალი იყო, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში კუთვნილი ადგილი მან უნინარეს ყოვლისა თავისი პუბლიცისტური წერილებით დაიმკვიდრა“ . დავეთანხმებით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სწორედ პუბლიცისტურ წერილებში გამოავლინა შალვა ამირეჯიბმა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები და ფასდაუდებელი ეპოქისეული მასალა დაგვიტოვა გასააზრებლად. მისი პუბლიცისტიკა თემატურად მრავალფეროვანი, უაღრესად მასშტაბურია ქვეყნის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის. მათ შორის უაღრესად

საინტერესოდ მოჩანს მისი წერილები ქართულ მწერლობაზე, რადგან ააშკარავებენ დამოკიდებულებას იმდროინდელი საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბების მეტად მძიმე პროცესის მიმართ. თავად შესანიშნავი პოეტი, ყოველთვის კარგად აცნობიერებდა ეროვნული მწერლობის როლს ამ „ლელვა-ტორტმანში“ (ნიკო ლორთქიფანიძე). ის გრძნობდა მის მნიშვნელობას როგორც ზეობრივი ინტელექტუალი და მრავალპროფილური ერუდიტი. ემიგრაციაში წასვლამდე და მის შემდგომაც შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტურ შრომებში სოლიდური ადგილი ეკავა ქართული კლასიკური მწერლობის მნიშვნელობის გააზრებას. ეპოქების გავლენა და თავისთავადობის შენარჩუნების ძლიერი ინსტიქტი, თავისუფლების იდეალი, „ქართული ნაციონალიზმი“ – ეს მაგისტრალური ხაზია, რომელსაც იგი უალტერნატივოდ ერთგულებს თავის პუბლიცისტურ წერილებში ქართულ კლასიკურ მწერლობაზე. შალვა ამირეჯიბს არც ნაციონალური მწერლობის მხატვრული ღირსებებზე უჭირს საუბარი, თუმცა „ეროვნული სულის გამომთელებისათვის და ეროვნული შეგნების გამარჯვებისათვის“ მისთვის სწორედ ეს საკითხებია პრიორიტეტული.

შალვა ამირეჯიბის წერილებში შოთა რუსთაველზე, ვაჟა ფშაველაზე, აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეზე, მათ მიმართ რწმენა ეროვნულ შეგნებასთან არის გაიგივებული. ამასთან, გამოაშკარავებულია იმ პიროვნებათა ნამდვილი განზრახვა, ვინც იმხანად ილია ჭავჭავაძის დისკრედიტაციის კამპანიაში იყო ჩართული. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, დარგობრივი კომპეტენციის მიუხედავად, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული კლასიკური მწერლობის მიმართ. გურამ შარაძის თქმით: „ სულიერი ცხოვრების რა სფეროში არ გამოვლინდა უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართველი

კაცის ნიჭის ბრწყინვალება, მისი ინტელეგენტური დახვეწილობა, ძირძველი ჯიშის კეთილშობილება და რაინდობა – იქნებოდა ეს პოლიტიკა, მწერლობა, მეცნიერება თუ ხელოვნება“. მიუხედავად ამისა, ნიჭიერებით განებივრებული ჩვენი ისტორიისათვის, მაინც განსაცვიფრებელ ფაქტად რჩება პირველი რესპუბლიკის პოლიტური ელიტის დაინტერესება ქართული კლასიკური მწერლობით. ნოე ჟორდანიამ 1930 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც თავისი მოსაზრებები გამოთქვა მის პოლიტიკურ, სოციალურ ურთიერთობებსა და რელიგიურ დოქტრინაზე, იმსჯელა უანრობრივ რაობაზეც. ხოლო ვიქტორ ნოზაძის კვლევები „ვეფხისტყაოსანზე“ და მწერლობასთან ნაზიარები სხვა ემიგრანტების რეფლექსიები კლასიკური მწერლობის მნიშვნელობაზე ჩვენთვის მაინც რჩება ბუნებრივ ფაქტად, საყურადღებოდ არამარტო ლიტერატურული, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც.

შალვა ამირეჯიბის წერილები ქართულ კლასიკურ მწერლობაზე სწორედ ამ მნიშვნელობით არის დატვირთული. პირველი რესპუბლიკის დროინდელ და მის შემდგომ გამომავალ ემიგრანტულ პრესაში გაბნეული მისი წერილები 1997 წელს, ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ ორტომეულშია თავმოყრილი, რომელმაც თვალნათლივ წარმოგვიდგინა მისი, როგორც მოაზროვნის, პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და ქვეყნისათვის დამაშვრალი ადამიანის პროფილი. ეს წერილები მატიანეა, რომელიც წათელს ჰქონის იმ ეპოქის ბევრ საინტერესო ფაქტს, საზოგადოებრივ განწყობას, ხოლო წერილები ქართულ მწერლობაზე საკვანძოა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. „იღლა ჭავჭავაძე დღეს ჩვენი ეროვნული შეგნების მეტრია. მითხარით, რამდენად გწამთ იღლა ჭავჭავაძე და მე გეტყვით თქვენ, რა შეგნების ქართველი ხართ“ – წერს შალვა ამირე-

ჯიბი წერილში „ქართული პოლიტიკური იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“, სადაც ეს ნორმატიული მოსაზრება არგუმენტებადაა ჩაშლილი ილიას რეპუტაციისათვის არცთუ სახარბიელო პერიოდში, როდე-საც კლასიკური მწერლობის მიღება – არმიღების საკითხს ბოლშევიკები განსაკუთრებული სიმწვავით განიხილავდნენ. შალვა ამირეჯიბისეული ეს მაქსიმა ზედმიწევნით კარგად ადასტურებს მისი პოლიტიკური და ნაციონალური მოსაზ-რებების სანდოობას. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა გან-საკუთრებულად მიზანმიმართული იყო ილიას წინააღმდეგ და მისი საფუძველი მესამედასელთა შეუთავსებლობა გახ-ლდათ ილიას ეროვნულ დოქტრინასთან. ერთ-ერთ მკაფიო არგუმენტად ფილიპე მახარაძის მიერ 1904 წელს გამოცე-მული ბროშურა „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, 1905 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ დაბეჭდილი მისივე წერილი „საგურა-მოს და ჭოპორტის საზოგადოება“, „თავის გამართლებაც ასეთი უნდა (პასუხად თავად ილია ჭავჭავაძეს) იკმარებ-და, რომლის თავხედური დაგვირგვინება იყო 1928 წელს გამოცემულ ილიას თხზულებათა მე-9 ტომში ამ წერილის შეტანა. როცა ფილიპე მახარაძე ასაბუთებდა, მეცხრამ-ეტე საუკუნის მწერლობას რამდენადმე უკვე ეტყობა გა-დემოკრატება, მაგრამ ხალხის ინტერესება სინამდვილეში იმათ არ სწამდათ და თვით მწერლობას ხალხში ნიადაგი არ ჰქონდათ, შალვა ამირეჯიბი თავის წერილში პასუხობდა: „ილია ჭავჭავაძე ქართული ეროვნული შეგნების ხერხემალი და შუა წელია. ამითი აიხსნება ისიც, რომ ვისაც კი ჩვე-ნი ეროვნული შეგნების შერყევა სურს, სწორედ ამ ილია ჭავჭავაძეზე მიაქვს იერიში. მარქსისტები, ნილილისტები, წარამარა იდეების ხალხი, ყველას ურიგდებიან ჩვენში, მათ-თვის „ზურგიელი ძეც“ კი სიმბოლო და ლიტერატურაა, მხოლოდ ვერ ურიგდებიან ილია ჭავჭავაძეს, არა სწამთ

მხოლოდ ილია ჭავჭავაძე, რადგან ერთგულნი ეროვნული ნიპილიზმის, ჩვენს ეროვნულ შეგნებას და ამ შეგნების ღირებულების ძალას, სწორედ ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში ხედავენ, იერიშიც ამიტომ მიაქვთ იმაზე“.

ილია ჭავჭავაძის მონოლითურმა პიროვნებამ შექმნა ეპოქა, „ხანა“, როგორც შალვა ამირეჯიბი უწოდებს, თუმცა ბოლშევიკების, კერძოდ, მამია ტოროშელიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ილიამ აკაკისთან ერთად დარსა ქართული ნაციონალიზმის იდეა არ ეთანხმება, რადგან პუბლიცისტი ქართული კლასიკური მწერლობის ეროვნულ ნიადაგს სამართლიანად ჭვრეტს უფრო ღრმა წარსულში. ილიას უახლოეს წინამორბედებად ქართული ნაციონალიზმის იდეისა იგი გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს მოიაზრებს, რამეთუ სწორედ აქ ხედავს ღრმა რეფლექსიას დამოუკიდებლობადაკარგულ სამშობლოს ბედზე. შალვა ამირეჯიბი ასახელებს იმ წანარმოებებს, სადაც ყველაზე უკეთ წარმოჩნდა ეს პრობლება: „გრიგოლ ორბელიანის „სა-დლეგრძელოს“ და წიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლი-სას“ ეროვნულ კილოს გამგრძობი ქართულ მწერლობაში ილია ჭავჭავაძის „აჩრდილია“. იგი თანამიმდევრულად წარმოაჩნის ამ პოემის შექმნის ისტორიულ რეალიებსა და მისი შექმნის კეთილშობილურ მიზანს – ქვეყანაში შექმნილიყო ერთიანი საზოგადოებრივი აზრი და ეროვნული იდეალი. ამ თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძე მას ბისმარკს მოაგონებს, რომელსაც ლომის წვლილი მიუძღვოდა გერმანიის გაერთიანებიაში, თუმცა ილიას ღვანწლს ავტორი უფრო მაღალ შეფასებას აძლევს, რადგან ბისმარკმა თავისუფალი გერმანელი ერი გააერთიანა, ხოლო ილიამ დამონებული ერის გაერთიანება შეძლო. „ქართული ნაციონალიზმის სალაროში“ შეტანილი ილიას წვლილი შალვა ამირეჯიბისათვის შეუფასებელია, პუბლიცისტის ობიექტურობა და სწორი აქცენ-

ტები, რომელიც ამ წერილში მოჩანს, პევრად წინ უსწრებს ილიას ღვაწლის შეფასების შემდგომ ეტაპს. „ილია ჭავჭავაძე ქართული თავისუფალი აზრის ლაპორატორიაა“ – წერს შალვა ამირეჯიბი და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი არ მიეკუთვნებოდა არც ერთ პარტიას, რომ იგი გახლდათ აზროვნებით ლიბერალი, რომელიც მხოლოდ ქართულ ნიადაგს ეყრდნობოდა, განსხვავებით დღევანდელი ლიბერალიზმის გაგებისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, შალვა ამირეჯიბის შეფასების კრიტერიუმები სწორედ ეს ნაციონალური საფუძველია, ის აღტაცებულია, რომ ამ იდეოლოგიაში „არაფერია უცხო, ნასესხები და გადამთიელი. აქ არა არის არც მარქსის თეორია და არც ერთოუტის პროგრამა, არც რუსული პლეხანოვისებური მენშევიზმი. ილია თავით-ფეხამდე ქართული სისხლის, ქართული გენის, ქართული ისტორიის და ქართული იდეალის ქადაგებაა“. შალვა ამირეჯიბის მოსაზრება, რომ „ქართული ცხოვრება უნდა წავიდეს“ ილიას იდეოლოგიით სწორედ იმ პერიოდში ულერს, როცა საბჭოთა საქართველოში ინტერნაციონალიზმი თავგამოდებით ებრძვის ეროვნულ იდეოლოგიას, უფრო სწორედ, საბჭოეთის დიდი სივრცეში ხდება გარდასახვა ჭეშმარიტი ნაციონალური იდეებისა და სოციალური თემატიკა გაცილებით აქტუალურია ილიას შემოქმედებაში, ვიდრე „ენა, მამული, სარწმუნოების“ დოქტრინა. ემიგრანტი მწერლის ეს მოსაზრებები ქართული სახელმწიფოს მარადიულ სიმყარეზეა გათვლილი. იგი კარგად აცნობიერებს, რომ ეროვნული იდეალის გარეშე ქვეყნის არსებობა წარმოუდგენელია, ამ იდეალის სასიცოცხლო მოდელს შალვა ამირეჯიბი სწორედ ილიას „ქართული სულის ფილოსოფიაში“ მოაზრებდა.

შალვა ამირეჯიბის წერილში „ქართული პოლიტიკური იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში“ ის ორიენტირებია მონიშნული, რომელიც

ჩვენი ქვეყნისთვის მწერლობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის არამარტო კულტურული, არამედ ეროვნული თვალსაზრისით. ის მოსაზრება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში მას განსაკუთრებულად ხიბლავს „ქართული ნაციონალიზმი“ და თავის წერილში პირველხარისხოვნად სწორედ ეს მოტივი აქვს დასახელებული, სრულიად ბუნებრივად აღიქმება. მით უფრო, რომ ეს წერილი სწორედ ემიგრაციაში, საქართველოს ისტორიის იმ კრიზისულ პერიოდშია დაწერილი, როცა საბჭოთა ქვეყნის ქუდქვეშ შეყრილი ერების ცენზურაგამოვლილ მწერლობას ეს ლირებულებები ამ ლაბირინთებში ეკარგებოდა. აღსანიშნავია, რომ შალვა ამირეჯიბი არაერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ თვალსაზრისით ქართული მწერლობა ყოველთვის ტრადიციული იყო და რადგან აღნიშნული წერილი ეპოქალურად მეცხრამეტე საუკუნეს მოიცავს, ილიას წინამორბედად გრიგოლ ორბელიანს ასახელებს. მიუხედავად „თაობათა ბრძოლისა“, რომლის ყველაზე აქტიურ ფიგურებად სწორედ ეს მწერლები მოიაზრებოდნენ, მისთვის გრიგოლ ორბელიანისა და ილიას იდეური კავშირი ფუნდამენტურია და იგი სწორედ „ქართული ნაციონალიზმის“ იდეებს ეყრდნობა. „გრიგოლ ორბელიანი ამ ეპოქის თვალსაჩინო და ხატოვანი პირია. იგივე არის ქართული ნაციონალიზმის პირველ შემქმედთაგანი მეცხრამეტე საუკუნეში და მისი სახელოვანი პოემა „სადლეგრძელო“ პირველი ლიტერატურული ძეგლია ამნაირი მწერლობის“ – წერს იგი. წერილში ავტორი მსჯელობს პოემის დათარიღების საკითხებზე და გრიგოლ ორბელიანის „ქართული ნაციონალიზმის“ არსზე. შალვა ამირეჯიბს ეკუთვნის ტერმინი „ინტეგრალური ნაციონალიზმი“, რომლის საფარქვეშ ავტორი მოაქცევს საქართველოს ისტორიას, მამულიშვილობის გრძნობას და საქართველოს ბუნებას. „გრიგოლ ორბელიანის ნაციონა-

ლიზმი ბუდობს საქართველოს წარსულში, საქართველოს ბუნებაში და ქართველი კაცის გულში – აღნიშნავს იგი.

რომანტიკოსებზე საუბრისას შალვა ამირეჯიბი ვრცლად ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენს ქართულ მწერლობაში. „ბარათაშვილი ქართული მწერლობის ეროვნული პულსია. ვისაც უნდა გაიგოს, როგორ ფეთქდა საქართველო სამეფოს გაუქმების შემდგომ, მან ამ პულსს უნდა დაადოს ხელი“. საქართველოს ისტორიისათვის 1801 წელი საბედის-წერო იყო არამარტო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არამედ მორალური თვალსაზრისითაც, რადგან რას მოიმოქმედებდა ქართული პოლიტიკური ელიტა იმ პერიოდში, მნიშვნელოვანი იყო და ერთგვარი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი ეტაპისა, რომელიც სამოციანელებმა გადაიბარეს. 1832 წლის შეთქმულება იყო ლუსტრაცია, ერთგვარი ტესტი, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ ხანად ქართული პოლიტიკური ელიტის ეროვნული თვითშეგნება და პასუხისმგებლობა ქვეყნის მიმართ. მიუხედავად შედეგისა, ამ შეთქმულებამ დაწერა სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მატიანე, ისევე როგორც 1924 წლის აჯანყებამ, რომელიც ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახრჩეს. თუმცა იმ პერიოდში მარცხმა ბუნებრივად დატოვა სევდიანი განცდები, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში შედევრებად დაილექა. „ერის ტრალედია ორ დიალოგში“-ასე უწოდებს შალვა ამირეჯიბი სოლომონ ლიონიძისა და მეფე ერეკლეს სჯანს საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე და მისი სიმპათიები აშკარად მსაჯულის მხარესაა. რუსეთი მისთვის „უცხო და მძლავრი ერია“ და „რჯულის ერთობა“ მეტად მყიფე არგუმენტი ამ საბედისწერო კავშირის გასამართლებლად. „სიცოცხლე არაფერია. საქმე ის არის, როგორ იცხოვრო! როგორ იცხოვროს ერმა. რასამ, სისხლმა

– აი საკითხი, რომელიც ბარათაშვილმა თავის თავს დაუყენა და რომელიც არის უდიდესი საკითხი ერისათვის, რასი-სათვის და სისხლისათვის“. აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს შალვა ამირეჯიბის მიერ „ინტეგრალური ნაციონალიზმის“ ფორმულირების მცდელობა, რომელიც პოემის ცნობილ დი-ალოგშია თავმოყრილი. „ეს არის თვისების „სხვადასხვაობა“ – მთავარი ნიშანი ნაციონალიზმისა, ეს „უცხოობა“, რომელ-იც აქ რუსეთს გულისხმობს, ბარათაშვილის მოგონილი არ არის“[2. 28] – ასკვნის ავტორი. ასევე გაიაზრებდა ამ მეტად მძიმე მენტალური ბრძოლის პროცესს ილია ჭავჭავაძეც და მას ასე ახასიათებდა: „ჩვენობისა“ და „უცხოობის“ ძნელი თანაარსებობა, ორი ძირეულად განსხვავებული ფენომენის – რუსეთის ერთგულებისა და ქართული ვინაობის ერთმანეთ-ში შეთანხმება“ შალვა ამირეჯიბი აქაც ილიას ნაციონალური თვითშეგნების ერთგული და მისი იდეების გამგრძელებლად რჩება. შალვა ამირეჯიბის წერილები ვაჟა ფშაველაზე გან-საკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს წერილები გაბ-ნეულია გაზეთ „სამშობლოს“ 1915 წლის ნომრებში და შემ-დგომ, ემიგრაციაში მოხსენების სახით წაკითხულ წერილში „ქართული პოლიტიკური იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“. ვაჟა ფშაველა, რომელმაც საკუთარი ზენობრივი და ფსიქოლოგიური ცვლილებები შეიტანა ქართულ მწერლობაში და რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის მიმართ ერთობ კრიტიკულად განწყო-ბილი „ცისფერყანწელებიც“ კი გულწრფელად აღიარებდნენ „მთისა და მწერლობის ბუმბერაზად“, არ შეიძლებოდა დარ-ჩენილიყო შალვა ამირეჯიბის ლიტერატურულ-პუბლიცის-ტური ობუსების მიღმა. 1915 წელს ვაჟას გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, „ფარსმან ფარუხის“ ფსევდონიმით, გაზეთ სამშობლოში გამოქვეყნებულ წერილში იგი მკითხვ-ელს მოუწოდებს: „გადაშალეთ, ბატონებო, მისი წიგნი“. ეს

სწორედ ის დროა, როცა ვაჟას „კანონიზაცია“, როგორც მოგვიანებით სიმბოლისტები იტყვიან ქართულ მწერლობაში იგვიანებს. ამ პატარა წერილში შალვა ამირეჯიბი ქართულ კრიტიკას საყვედურობს: „ჩვენ რომ კრიტიკა გვქონდეს – ვაჟა ფშაველა უსაზღვროდ ეყვარებოდა ხალხს. იგი ეყვარებოდა, როგორც შეიძლება უყვარდეს კაცს ანკარა წყარო. მწვანე მდელო, ჭრელი პეპელა და დილის ცვარი“. ავტორი შენიშნავს, რომ ვაჟას სტიქია სისხლხორცეულად არის ჩაწერილი ქართულ წიაღს, რომ მისი სიდიადე სიმარტივეშია და რაც მთავარია, „მისი გმირები ჯერ ცხენიდან არ ჩამომხტარან“. ეს ჰეროიზმი საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე პუბლიცისტისთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ. ცოტა მოგვიანებით, ვაჟას სიკვდილით შეძრული შალვა ამირეჯიბი გაზიერ სამშობლოს ივლისის ნომერში კვლავ აღნიშნავს, „ამ საკვირველი, მთების მუდმივი ჭაბუკის“ განსაკუთრებულ ადგილს ქართულ მწერლობაში: „იგი მღეროდა ისე, როგორც არავინ საქართველოს უკანასკნელ პოეტებში“, „იგი ტანჯვაში და უბედურებაში მყოფ ერს ახალისებდა მომავლისათვის ბრძოლაში“. შალვა ამირეჯიბი გრძნობს მის ინდივიდუალურობას, საუცხოო ესთეტიზმს თანამედროვე მწერალთა შორის. ვაჟას სიკვდილით გამოწვეული ემოცია მას კარგა ხანს არ უნელდება და ერთ თვეში გაზიერ „სამშობლოს“ აგვისტოს ნომერში კვლავ უბრუნდება ვაჟას ფენომენის გააზრებას წერილით „ეროვნული მქადაგებელი“, სადაც წინასწარმეტყველურად შენიშნავს, რომ მომავალში ვაჟა ფშაველა არაერთხელ ჩააფიქრებდა ლიტერატურის მკვლევარებს. შალვა ამირეჯიბი აქაც არ უშვებს ილიას ლვანლის წარმოჩენის შესაძლებლობას, რომელიც ამ შემთხვევაში ვაჟასთან მიმართებაში გამოიხატა: „ვაჟა ფშაველაც, ადვილი შესაძლებელია, შეუმჩნევლად დარჩენილიყო. მაგრამ „მოუხუჭავი თვალი“ ილია ჭავჭავაძისა

იმიტომ იყო მოუხუჭავი, რომ არ გამოპარვოდა არაფერი საყურადღებო, საინტერესო ჩვენის ცხოვრებისა, მან შეამ-ჩნია ვაუა ფშაველა და პირველი ქვა იმ ძეგლისა, რომელ-საც დღეს მას ერი უგებს, მან მიიტანა. უნდა ითქვას, რომ ამ საკრალური შეხვედრის ბიბლიურ მოტივებზე გააზრებაც იმდენად ბუნებრივად ჯდება ამ წერილში, რომ იმთავითვე გაგრძნობინებს ამ საბედისწერო შეხვედრის მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული და სულიერი ყოფიერებისათვის. „ვაუა ფშაველას არ ჰყავს თავისი კრიტიკოსი, მაგრამ თუ გავიხ-სენებთ, რომ კრიტიკოსი არა ჰყავს არც ერთ ქართველ მწ-ერალს, ვაუა ფშაველა მათში ყველაზე ბედნიერია, მით რომ იგი სიცოცხლითვე ელირსა უმაღლეს ჯილდოს და მის ნი-ჭიერების აღიარებას საფუძვლად დაედო მძლავრი სიტყვა ილია ჭავჭავაძისა. მან პირველმა შეამჩნია იგი. ამიტომ ვაუა ფშაველა დავითია ქართული ლიტერატურისა, რომელმაც კურთხევა ჭალარა საულისგან მიიღო“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის უკვე არსე-ბობს გრიგოლ რობაქიძის წერილი „ვაუა ფშაველა“. პირველი მცდელობა, ამასთან წარმატებული, სწორედ გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის. ჩვენთვის უცნობია, ჰქონდა თუ არა წაკითხული შალვა ამირეჯიბს ეს ნაშრომი, რადგან იმ-დროინდელი კრიტიკის მიმართ გულისწყრომას იგი აქაც არ მალავს, მაგრამ თავდაჯერებულად აღნიშნავს ვაუა ფშავე-ლას ფენომენის მიმართ მზარდ ინტერესებს, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვაუას საუცხოვო ნიჭი“ ილიას მზის ქვეშ გაიშალა. რა თქმა უნდა, შალვა ამირეჯიბის მახ-ვილ თვალს არ გამოპარვია ვაუას მხატვრულ-ესთეტიკური თვითმყოფადობის მახასიათებლები, რომ მისი მორალურ-ზნეობრივი პოსტულატები განსაკუთრებით ჭირდებოდა იმ-დროინდელ ეროვნულ-პოლიტიკურ ლაპარატებს, რომელმაც „ჩაჩქანით დაიწყო სიარული“. პუბლიცისტი აცნობიერებს,

თუ სად არის ჩატვიფრული და საიდან მოედინება ვაჟას სიბრძნე: „იგი დიდი მცოდნე იყო ქართულ ეტნიურ სულისა და როცა საჯაროთ გამოდიოდა, მას, როგორც მეთილისმეს, თან დაპქონდა მთელი ხაბაკი ქართული ცხოვრებისა“. შალვა ამირეჯიბი ფაქიზად გრძნობს ვაჟას ამ კავშირს „ეტნიურ სულთან“ და დარწმუნებულია, რომ სწორედ ამან განსაზღვრა მისი ადგილი „ილიას მზის“ ქვეშ. სრულიად ბუნებრივად მოჩანს წერილში ვაჟას გარეგნობის მისტიფიკაციაც, მისი სიმბოლური მსგავსების ამგვარი გააზრება საქართველოს ბედთან: „გარეგანის მორთულობით მისი საღი და მდიდარი სული, ისევე ღარიბი იყო როგორც გარეგანი ფორმა მთელი ქართული კულტურისა; ღარიბი ჩოხა, ჩვეულებრივი სახე სადა ქართველისა და ავადმყოფი, მუდამ აცრემლებული თვალი – განა ეს სურათი არ არის მთელი საქართველოსი?“. უნდა აღინიშნოს, რომ წერილები ვაჟა ფშაველაზე ერთ-ერთი საუკეთესოა შალვა ამირეჯიბის იმ პუბლიცისტურ მონაგარში, რომელიც ქართულ კლასიკურ მწერლობას ეძღვნება. ავთანდილ ნიკოლეიშვილი თავის წიგნში „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ მართებულად აღნიშნავს, რომ შალვა ამირეჯიბი ნაკლებად ინტერესდებოდა თანამედროვე ქართული მწერლობით. ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისი აღიარებული ფეტიშების უხეში მოპყრობით გამოირჩეოდა, რომელმაც აგრესიულად განაწყო უმრავლესობა. ახალგაზრდების ჯგუფ „ცისფერი ყანწების“ უაპელაციო, თამამმა განაცხადმა იმის თაობაზე, რომ ლიტერატურულ სამყაროს კარგა ხანია მოპეზრდა ტრადიციული სქემების ვარირება და ახალი ლმერთის ძიება პოეზიაში გარდაუვალია, სიმშვიდე დაარღვია ლიტერატურულ პარნასზე, თუმცა უნდობლობასთან ერთად ქართული პოეზიის განახლების ინტუიციაც გამოაცოცხლა. ლიტერატურული სკოლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ეს

პროცესი შედეგიანი იყო კულტურული ცხოვრებისათვის. შესაძლოა, შალვა ამირეჯიბის სიფრთხილე ამ პროცესებით იყო გამოწვეული, რადგან სიმბოლისტებმა იმუამინდელ პარნასზე მოზეიმე ავტორიტეტებს ბრალდებად წაუყენეს ყოველდღიურის, ტრივიალურის წარმოსახვა და საგან-გაშოდ გამოაცხადეს მათი „ესთეტიკური უკულტურობა“. პირველ სამიზნედ, როგორც ცნობილია, სწორედ მე-19 საუ-კუნის უდიდესი ავტორიტეტები-ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იქცნენ. აქედან გამომდინარე, მისი დუმილი უც-ნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს. ცხადია, არც ამ პროცეს-ებში გარკვევა იქნებოდა ადვილი ადამიანისთვის, რომელიც მხოლოდ ლიტერატურით არ იყო დაკავებული და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. თანამედროვე მწერლობას შალვა ამირეჯიბი არც ემიგრაციაში წყალობდა, თუმცა ამ მოსაზრების რევიზიის საფუძველს მაინც გვაძლევს ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამომავალ უურნალ „ორნატში“ 1926 წელს დაბეჭდილი მისი წერილი „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც 1991 წელს გურამ შარაძის თაოსნობით კვლავ დაი-ბეჭდა გაზეთ „ლაშარის“ პირველ ნომერში. მიხეილ ჯავახ-იშვილის ცნობილი ნაწარმოები, რომელშიც იგრძნობა 1924 წლის აჯანყების მარცხისგან გამოწვეული სასონარკვეთა და ერთგვარი თვითგვემა მიხეილ ჯავახიშვილისა იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა ვერ შეძლო ჯაყოსთვის – ბოლშე-ვიკებისათვის ხელიდან გამოეგლიჯა მარგო – საქართველო, პირველად დაიბეჭდა 1924 წელს, უურნალ „მნათობში“. რო-მანმა მწერალს ბევრი მკითხველიც და როგორც თავად წერს, „აუარება დამაწყევარიც“ გაუჩინა. მიხეილ ჯავახიშვილს ულტიმატუმიც კი წარუყენეს, თუ გინდა, რომ ძველებურად მიგიღოთ და გულთბილად მოგეპყრათ, შენი შემოქმედები-დან ჯაყო ამოშალეო. შალვა ამირეჯიბი იმათ შორის აღმოჩ-ნდა, ვისთვისაც რომანის სიუჟეტური ქარგა და იდეურ მხ-

ატვრული ჩანაფიქრი კატეგორიულად მიუღებელი გამოდგა. როგორც ცნობილია, ემიგრაციაში შალვა ამირეჯიბი, მიუხედავად მისი ფატალური შედეგისა, თავგამოდებით იცავდა აჯანყების იდეას. ამდენად, მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ მწერალმა, რომელიც, მისივე თქმით, ერთ დროს მათ რიგებში ეპრძოდა თავის ქვეყნის მტრებს, ასეთი დრამატული დასასრული შეთავაზა მკითხველს და ჯაყოს გაამარჯვებინა. მიუხედავად იმისა, რომ მას მოსწონს მწერლისგან ბოლშევიზმის აღწერის სითამამე, არ პატიობს იმ ჰეროიზმის იგნორირებას, რომელიც ქართველთა ღირსეულმა ნაწილმა ემიგრაციაში გაიყოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის იმედით. რომანის ასეთი ფინალი მისთვის ამ საკრალური მიზნის დისკრედიტაციაა, ასუსტებს ეროვნულ ცნობიერებას და მხოლოდ ბოლშევიკების წისქვილზე ასხამს წყალს. „ბოლშევიზმი თამამად არის აღწერილი, მაგრამ რომანში სრულად არ სჩანს ბოლშევიზმის მეტოქე ცხოვრება, რომელიც ასე მედგრად ეპრძვის მას და ეს ნაკლი რომანს სიმართლეს უკარგავს. რად მოხდა ეს? ნუთუ ჯაყო ისეთი გამარჯვებულია, რომ დასთრუნა ცხოვრების სხვა დასაწყისი?“. წერილის ვრცელი ნაწილი შინაარსს ეთმობა, რასაც მხატვრული სახეებისა და ცალკეული პასაუების მკაცრი შეფასება მოყვება. პუბლიცისტის ტონი იმდენად უაპელაციოა, რომ იგი არამარტო ეჭქვეშ აყენებს მის მხატვრულ ღირსებას, არამედ „უღვთოს“, „სიმპატიას მოკლებულ“ ნაწარმოებს უწოდებს „ჯაყოს ხიზნებს“, ბრალს დებს მის ავტორს ქართული კულტურის შეურაცხყოფაში. რაც მთავარია, ავტორი განიცდის პერსონაჟთა შემგუებლურ ბუნებას, რომლის გამო არც მარგო და არც თეიმურაზ ხევისთვი მკითხველში სიბრალულს არ იწვევს. შალვა ამირეჯიბის გულისწყობის მიზეზი შეიძლება ასე ფორმულირდეს – მაშინ, როცა ქართული ემიგრაცია მთელი პასუხისმგებლობით

ეკიდება ბოლშევიზმთან ბრძოლის იდეას, მიხეილ ჯავახიშვილი მორჩილი, დეგრადირებული ნაკაცარების მხატვრული სახეების შექმნით ბრძოლის უინს უქრობს ბოლშევიკების ტყვეობაში მყოფ ქართველებს. „არ არის საჭიროება, რომ ჯაყოსნაირი მართალი ტიპი მწერლობაში იქნეს შეყვანილი, ხელოვნება სიმბოლოს საჭიროებს და არა ასლს“.ჩნდება კითხვა, შალვა ამირეჯიბი, რომელიც ილიას დიდი თაყვანის მცემელი გახლდათ და რომელიც ხედავს მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟების ანალოგიას „კაცია – ადამიანის“ პერსონაჟებთან ამ შემთხვევაში სუბიექტური ხომ არ არის, რადგან როსტომ ჩხეიძისა არ იყოს, „ორივე ქართულ თხზულებას თავიდან ბოლომდე ერთი ხედვა გასდევს და მთავარი გმირებისადმი ავტორთა დამოკიდებულება უცვლელია: სატირულ-კრიტიკული, არსად თანაგრძნობა (ყოველ შემთხვევაში ხელშესახებად გამოხატული), არსად პატივისცემის გამომუდავნება“. ცნობილია, რომ თავის დროზე „კაცია – ადამიანის?!“ „ გამო არც ილიას დაკლებია წყრომა და საყვედური. არსებობს მოსაზრება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ დაუსრულებლობის შესახებ. მტკიცებულებად 1925 წელს შალვა დადიანის მიერ „ჯაყოს ხიზნების“ პიესად გადაკეთების მცდელობას ასახელებენ, რაზედაც მიხეილ ჯავახიშვილმა უპასუხა, რომ ნაწარმოების გაგრძელებას აპირებდა და პიესაზე დროის დაკარგვა არ ლირდა, ვიდრე რომანს არ დაასრულებდა. გულწრფელად უნდა ითქვას, სუბიექტურობას შალვა ამირეჯიბის ეს წერილი მოკლებული არ არის, თუმცა მისი მოტივი იმდენად წმინდა ოცნებიდან – საქართველოს გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეიდან არის ამოზრდილი, რომ ეს სისუსტე შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტურ ნიჭს და პიროვნულ პროფილს ჩრდილს არ აყენებს. „ვინ არის თეიმურაზი? ის მოკლებულია იმასაც ,რასაც ილია ჭავჭავაძე „ცით მონაბერ სულს“

ეძახდა და თან იმდენად კეთილი იყო, რომ არ დაიშურა ის არც ლუარსაბისთვის, არც დარეჯანისთვის. მიხეილ ჯავახ-იშვილი ბოროტებაა, მან იცის მხოლოდ ნაკლი ადამიანის და არც ერთი ღირსება“ – შალვა ამირეჯიბისგან ასეთი ვერ-დიქტიც შესანებარებელია. დემნა შენგელაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმხანად საქართველოდან სიყვარულის გამო გარბოდნენ, აქ სიყვარულისა და ცხოვრების ერთად შერ-იგება ძალას აღემატებოდა. შალვა ამირეჯიბის ეს შეფასე-ბაც ამ სულიერი ჭიდილის ნაყოფია. 1924 წლის აჯანყე-ბის შეფასებისას იგი არასოდეს კარგავდა იმედს, მისთვის დაუშვებელი იყო პესიმიზმის გამოვლინება, რადგან მთელი ცხოვრება სწამდა: „აგვისტოს აჯანყებამ, მართალია, ახა-ლი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“. ცხადია, „ჯაყოს ხიზნების“ დამარცხებული პერსონაჟები „ამ ახალი საქართველოსთ-ვის“ მეტად საგანგაშო და მიუღებელი აღმოჩნდა იმ მნიშ-ვნელობიდან გამომდინარე, რომელსაც შალვა ამირეჯიბი მწერლობას ანიჭებდა.

შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტური მემკვიდრეობის იმ ნაწილის შეფასებისას, რომელიც ქართულ კლასიკურ მწ-ერლობას ეძღვნება, ჩვენ ვერ დავეყრდნობით კლასიკური სალიტერატურო კრიტიკისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო მხატვრულ მიგნებებთ-ანაც გვაქვს საქმე, მათი მნიშვნელობის გააზრებისას მაინც წინა პლანზე წამოიწევს მიმართება ეპოქალურ პოლიტიკურ რეალობასთან, რომლის მაგისტრალური ხაზი შალვა ამირე-ჯიბისათვის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და მისი ღირსე-ბისათვის ბრძოლაზე გადიოდა.

## **ფრაგმენტები მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიდან**

კულტურული ურთიერთობები ყველაზე კრიზისულ დროშიც კი შეიძლება აღმოჩნდეს პოზიტიური ემოციებისა და გონივრული გადაწყვეტილებების საფუძველი. კულტურათა ზიარებისა და შეხვედრის თემა იმანენტურია კულტურული ერებისათვის არამარტო უნივერსალური საკაცობრიო იგივეობის ძიების კონტექსტში, არამედ ეროვნული ინდივიდუალობის თვალსაზრისითაც. კულტურული ურთიერთობები ის უნივერსუმია, რომლის საბოლოო განადგურება შეუძლებელია, კულტურა „კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრისა დედაბოძი“ (ილია) ღრმად ზემოქმედებს ადამიანის შინაგან სტრუქტურაზე, ფსიქიკის არაცნობიერ პლასტებსა და წარმოსახვაზე. ეს ყოველივე დროის გამოცდილებით არის დადასტურებული და ამიტომაც არსებული პოლიტიკური რეალობის ჭრილში მისი ფორმალური გადატანა შედეგობრივად დროის მცირე ლოკალზეა გათვლილი.

საქართველო ყოველთვის იმყოფებოდა კულტურათა ზიარების ეპიცენტრში. ქართულ-აღმოსავლური, ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-რუსული ურთიერთობანი ჩვენი კულტურის, და განსაკუთრებით, მწერლობის ისტორიაში უწყვეტობის, ცვალებადობისა და ნოვაციების პარალელურად ხელს უწყობდა მის უამისმიერ სიმყარეს და ორიგინალობას. ასეთი კულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით საინტერესო გახლავთ XX საუკუნის დასაწყისი ეპოქა ახალი იდეოლოგიის დაბადებისა კულტურაში. გარდამავალი ხანის სპეციფიკურ პირობებში შობილი ზეგრძნობადობა, ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური ევოლუცია

გეოგრაფიულად ახლომდებარე და ბედისწერით ისტორიულად დაკავშირებულ ქვეყნებს შორის მრავალ ტიპოლოგიურ მსგავსებას შეიცავს. ევროპიდან იმპორტირებული მოდური „იზმები“ თანაბრად აღაფრთოვანებდა და განაწყობდა პოეზიის განახლების იდეით მოსულ ახალ თაობას საქართველოსა და რუსეთში. მათ აერთიანებდათ მოდერნიზმის ინტერკულტურული პოსტულატები, გამოსახვის მხატვრულ სტილისტური საშუალებები და ეპოქისმიერი განწყობილებანი. ხშირად სწორედ ეს ხდებოდა საფუძველი რუს და ქართველ ესთეტთა არამარტო ლიტერატურული, არამედ გულწრფელი ადამიანური ურთიერთობებისა. ქართველი სიმბოლისტები, რომლებიც ევროპულ მწერლობაში ინტეგრირების ამბიციური სურვილით გამოჩნდნენ სალიტერატურო სივრცეში, დასავლური კულტურული ლირებულებების პარალელურად თვალყურს ადევნებდნენ რუსეთში მიმდინარე სამწერლობო პროცესს და აქტიურად რეაგირებდნენ მასზე. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მასალას იძლევა არამარტო პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, არამედ მათ თანამედროვეთა – ნინო მაყაშვილის, შალვა აფხაძის, სერგო კლდიაშვილის, გრიგოლ ცეცხლაძის და სხვათა მოგონებები.

ტიციან ტაბიძის ზიარება რუსულ კულტურასთან 1913 წლიდან დაიწყო, როცა მან სასწავლებლად მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს მიაშურა. მისი ბიოგრაფია დატვირთულია ამ პერიოდის რომანტიკული მოგონებებით – ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციებით უესტ-მიმიკის თეატრზე, ნაცნობობა რუს სიმბოლისტებთან – კონსტანტინე ბალმონტთან, ვალერი ბრიუსოვთან და ანდრეი ბელისთან აღაფრთოვანებდა მას. პოეტების საერთო ინტერესს შეადგენდა

პოეზიის უსაზღვრო სიყვარული, მწერლობის ის ნოვაციები, რომელიც სიმბოლიზმის ლიტერატურული სკოლის ზეგავ-ლენით აირეკლა რუსეთისა და საქართველოს ინტელექტუ-ალურმა ელიტამ. ტიციან ტაბიძის უანრობრივი ინტერესები ამ პერიოდისათვის არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პო-ეზით. სწორედ ამ დროს ემთხვევა მისი განსაკუთრებული გატაცება მინიატურის უანრით, სადაც გარკვევით მოჩანს ნაადრევი სიმბოლისტური განწყობილებანი. მთელი ცხ-ოვრების მანძილზე ტიციან ტაბიძე ყოველთვის იყო არა-მარტო აქტიური ლიტერატურული, არამედ მეგობრული ურთიერთობების ინიციატორი. იგი თარგმნიდა რუსი პო-ეზების ნაწარმოებებს, აზრს გამოთქვამდა მათ ესთეტიკურ ფასეულობებზე, საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და უფრთხელდებოდა ამ ურთიერთობებს. ტიციანი ბევრს მუშაობდა, რათა რუს მკითხველამდე მისულიყო ქართული ეროვნული მწერლობის უნიკალური საგანძურები. ცნობილ-ია, თუ როგორი დახმარება გაუწია მან კონსტანტინე ბალ-მონტს, რომლის ნიჭიერებით მოიხიბლა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში. „სტუდენტობისას გაიტაცა ტიციანი რუსულმა სიმბოლიზმა, რომლის წარმომადგენელთა შო-რის მის გულში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დაკავე-ბული აღ. ბლოკს, კ. ბალმონტსა და ანდრეი ბელის. ამათ-გან მეორეს ადრე, ხოლო მესამეს უფრო გვიან-პირადად იცნობდა. კ. ბალმონტს საგრძნობ ყურადღებას უთმობდა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მოსწონდა მისი ამღერებული პო-ეზია, რომელშიც მზის შუქი უხვად იყო ჩაღვრილი: უფრო კი მისადამი სიყვარული ნაკარნახევი იყო პატრიოტული გრძნობით-ბალმონტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმ-ნით“. – აღნიშნავს თავის მოგონებებში შალვა აფხაძე.

პარიზში შედგა კონსტანტინე ბალმონტისა და პაოლო იაშვილის შეხვედრა, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ აჩუქა

რუს პოეტს. ბალმონტის ასული ამ შეხვედრის დეტალების აღწერისას ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორი გზებით ესაუბრებოდა ახალგაზრდა, ელეგანტური პაოლო მამამისს „ვეფხისტყაოსანზე“. მონათხრობი, როგორც ჩანს, იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ კონსტანტინე ბალმონტს მისი თარგმნის უმძაფრესი სურვილი იმ დროიდან გაჩერია, მისი აღტაცება უსაზღვრო ყოფილა და სტუმრებისთვის განუცხადებია: მრავალი ქვეყანა მინახავს. ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია. საქართველოში კი, რომელიც სიყრმიდანვე ძალიან მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის დასასრული ყოფილიყო. ამის შემდგომ ბალმონტს წიგნი უსახსოვრებია პაოლოსათვის წარწერით: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მატყვევებელი მარგალიტი კავკასიისა- საყვარელი საქართველო.“ იმავე წელს პაოლო იაშვილი თარგმნის ბალმონტის ლექსებს და აგზავნის საქართველოში. ამ პერიოდს ემთხვევა ბალმონტის ჩამოსვლაც და რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმანზე მუშაობის დაწყება. ბალმონტმა თბილისში წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის თარგმანი. 1915 წელს კი ესტუმრა ქუთაისს და გამართა პოემის კითხვის საღამო. ქართველი პოეტები მას გულთბილ დახვედრას უწყობენ. ვალერიან გაფრინდაშვილი უძღვნის სონეტს რუსულ ენაზე. ბალმონტი ახალგაზრდა პოეტებს ლექსითვე პასუხობს, რომელშიც აშკარად იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკით აღფრთოვანება. პაოლო იაშვილის ამ თარგმანში ყურადღებას იქცევს შემდეგი სტრიქონები:

- საქართველო! ცოცხლობს, ცოცხლობს, ცოცხალია.
- მღერის თერგი და არაგვიც ამას მღერის

მე ეს მესმის, და მეც მჯერა, მართალია.

და, მაშინისთვის, ვით ბალახი ბინძურ მტვერის,  
ვისიც გულში ცოცხლობს მხოლოდ გრძნობა მტერის,  
ჰქონდავს კიდევ მოსვლას წმინდა ქვეყანაში,  
სადაც ხალხი ცხოვრობს მზიურ ოცნებაში.

უცნობია, რომელ მტერს გულისხმობს კონსტანტინე  
ბალმონტი – ცალკეულ პერსონებს თუ საქართველოს ის-  
ტორიული გამოცდილების ეპიზოდებს. ლექსში ნახსენებია  
„რაინდები წმინდა ჯვრის“ ქრისტეს მოციქულები, რომელთ-  
აც „პირველად აქ უმღერიათ“. მიუხედავად ამისა, საქართ-  
ველოს ისტორიის ასეთი განცდა, ჩვენი აზრით, ამ ურთიერ-  
თობებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

1927 წელს საქართველოში ჩამოდის ანდრეი ბელი-  
(ბორის ბუგავი). რომელმაც სამი თვე დაჲყო საქართ-  
ველოში. პოეტი, გულითადი მასპინძლობის შემდეგ, 2  
ივლისს ვლადიკავკაზამდე სამხედრო გზით გააცილეს  
პაოლო იაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ, პავლე ინგოროვამ  
და ტიციან ტაბიძემ. მეორედ მას საქართველოში ვხედავთ  
1929 წელს. ანდრეი ბელის მთელი ზაფხული საჩხერეში –  
აკაკის სახლში და კოჯორში გაუტარებია. მან დაუვიწყარი  
შთაბეჭდილებები გაიყოლა საქართველოდან. სხვათაშორის,  
ტიციან ტაბიძის ცნობით, მას რამდენიმე წლით თბილისში  
დაბინავების სურვილიც კი ჰქონია. თავის წიგნში „კავკასი-  
ის ქარი“ ანდრეი ბელიმ შეძლო შთაბეჭდავად გადმოეცა  
არამარტო იმდროინდელი თბილისის ლიტერატურული ატ-  
მოსფერო, არამედ დაეხატა იმ ადამიანების პორტრეტები,  
რომლებიც ქმნიდნენ ამ „ლიტერატურულ ბოჰემას“. „მთელი  
დღე ხელოვნების უერთგულეს ადამიანებთან გავატარე. ვი-  
ყავი ტიციან ტაბიძესთან და ბრინჯაოსავით უდრევ, მაგრამ  
თან ალერსიან პაოლო იაშვილთან. პაოლო ბრინჯაოსაგანაა  
ჩამოსხმული, ფიქრებად ნაძერწი, მარტო გულია. ტაბიძე-

კეთილი ვულკანი, აზრებს რომ აფრქვევს და გაშინებს, იაშვილის მიერ რეტუშირებულ, შორსმჭვრეტელურ, ბრძნულ აზრებს იმეორებს. იაშვილის ბასრი გონება სათუთად გარდაქმნის ტაბიძის ვულკანებს კლდეთა ნატიფ ქანებად, კულტურის ბარიელეფად. პირველის მგზნებარება თავბრუს გახვევს, ფრთებს შლის. კოსმიურ აზროვნებას იძენს, რისგანაც სხეული უთუოდ გაგიცივდებოდათ, პაოლო იაშვილის ცად ასროლილი ნიაღვარი, გონებით დედამიწაზე რომ არ გაბრუნდეთ, სადაც ტაბიძის საუბრისა და სადლეგრძელოების წყალობით ბრძნული სიტყვების ვულკანი თანდათან ადამიანური და კონკრეტული ხდება. მთელი ღამე მათთან გავატარეთ და მივხვდით, რომ ისინი ერთნი არიან, პოეტთა წრის ლიდერები“. ლიტერატურული საუბრებითა და ქართული სუფრის რიტუალით აღფრთვანებული ანდრეი ბელი ხატოვნად აღწერს იმ საკრალურ წესრიგს, რომლის თვითმხილველი საქართველოში სტუმრობის დროს გახდა: „ამ სიმწვანეში, ხალხით სავსე მაგიდასთან დინჯად ვსაუბრობთ. ყოველ ნაბიჯზე უნებლიერ თავაზიანობა ვლინდება. ქართველები არ „ქეიფობენ“, კი არ „ღრიალებენ“, კი არ „ლოთობენ“, მეგობრულად იკრიბებიან, ამ შეკრებას, ბუნებრივია, ასეთ საქმეში გაწაფული თავმჯდომარე განაგებს, როცა ისინი ლაპარაკობენ, ლვინო მათთვის ზღვაში წვეთია მხოლოდ...“

ანდრეი ბელისა და ქართველ სიმბოლისტთა ურთიერთობისათვის საინტერესოა ტიციან ტაბიძის წერილი „ანდრეი ბელი“. იგი იმავე აზრს ავითარებს მასზე, რომელიც თავის დროზე გამოთქვეს პ. პილნიაკმა და პ. პასტერნაკმა. მათ ანდრეი ბელი მსოფლიო სახელებს ამოუყენეს და აღიარეს მისი გავლენა იმდროინდელი რუსეთის ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. ამასთან, ტიციან ტაბიძე მსჯელობს ანდრეი ბელის შემოქმედებაში ურთიერთგა-

მომრიცხავი ტენდენციების არსებობაზეც და აღნიშნავს, რომ სტილისა და მსოფლმხედველობის ძიების პროცესში ანდრე ბელიმ საკმაოდ რთული გზა გაიარა, მრავალი „საბედისწერო ბრძოლა“ გადაიტანა. „როდესაც ანდრე ბელი ხვდებოდა კაპიტალისტური ჯულტურის კრიზისს, ეხეთქებოდა კარებს ამ საპყრობილებან გასაფრენად, მაგრამ ვერ ენახა ეს გზა, ან თუ ხანდახან ნახულობდა, მალე რწმუნდებოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მაგისტრალი, ეს იყო მხოლოდ დროებითი განათება და ერთი ჯურლმულიდან მეორე ჯურლმულში გადავიდა.“ იმის გათვალისწინებით, რომ წერილი 1934 წელსაა დაწერილი, არ არის ძნელი მისახვედრი, რა იგულისხმება „ჯურლმულში“. ეს უკვე ის პერიოდია, როცა დეკადენტური წარსული სალანდლავ სიტყვადაა დამკვიდრებული და მწერლობის მოთვინიერების პროცესი თავის კულმინაციას უახლოვდება. საფიქრებელია, რომ ტიციან ტაბიე სწორედ ანდრე ბელის სიმბოლისტურ პერიოდს გულისხმობს. ჩვენს მოსაზრებას ამაგრებს ფრაზა, რომელსაც იგი ურთავს ანდრე ბელის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსი, რომელშიც რევოლუციის მოლოდინია გამუღავნებული. „მართალია, ეს ლექსი ბლოკის „თორმეტნის“ და „სკვითების“ ყალიბითაა დაწერილი, მაგრამ ქრისტე მაინც არ სცილდება რევოლუციას“. წინასწარმეტყველური გრძნობით გამორჩეულს უწოდებს ტიციან ტაბიე ანდრე ბელის რომანს „პეტერბურგი“. ამ რომანმა მართლაც საგონებელში ჩააგდო იმდროინელი რუსეთის ინტელექტუალური ელიტა. ფაქტობრივად, ეს იყო ანდრე ბელის ხილვა, პროფეტულობა მომავალ რევოლუციასთან დაკავშირებით.

ქართველ სიმბოლისტთა მოგონებებსა და თარგმანებში ხშირად ფიგურირებს რუსი სიმბოლისტი პოეტის ვალერი ბრიუსოვის სახელი. მისი პოეზიის თარგმნით თავი გან-

საკუთრებულად გამოიჩინა ვალერიან გაფრინდაშვილმა. მასვე ეკუთვნის ორი ესე ვალერი ბრიუსოვზე, რომელიც სხვადასხვა დროს – 10 წლის შუალედით არის დაწერილი და ამდენად, დროის ნიშნით არის აღბეჭდილი. ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი ესე 1924 წლის 7 ნოემბრითაა დათარიღებული. მასში ჯერ კიდევ არ არის თვალშისაცემი მწერლის შეფასების პოსტრევოლუციური სტანდარტები და ესეისტი ბრიუსოვის შემოქმედების ესთეტიკურ ფასეულობებზე, მის მრავალმხრივ სამწერლო მოღვაწეობაზე გულწრფელად საუბრობს. რაც მთავარია, იგი აღიარებს მას რუსეთში სიმბოლიზმის პროპაგანდისტად, რუსული სიმბოლიზმის მეტრად, პოეზიაში თავისუფალი ლექსის დამამკვიდრებლად, რომელმაც არამარტო ნიადაგი მოუმზადა წმინდა სიმბოლიზმს – ანდრეი ბელისა და ალექსანდრე ბლოკის სახით, არამედ შექმნა მთელი სკოლა, რომელთა შორის იყვნენ რუსული სიმბოლიზმის ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ მაქსიმილიან ვოლოშინი, სერგეი სოლოვიოვი და ნიკოლოზ გუმილიოვი. მიუხედავად იმისა, რომ ესე საკმაოდ შთამბეჭდავია და კარგად წარმოაჩენს ვალერი ბრიუსოვის ლიტერატულ პროფილს, ვალერიან გაფრინდაშვილი აღიარებს, რომ შეუძლებელია მისი შეფასება ერთ წერილში და ამისათვის საჭიროა დიდი მონოგრაფია. ორიგინალურია ვალერიან გაფრინდაშვილი ბრიუსოვის სტილზე საუბრისას: „არ დარჩენილა არც ერთი უძნელესი ფორმა ლექსის, რომ ბრიუსოვს არ შეეთვისებინოს და არ ეძლიოს. საუკეთესო და თითქმის პირველი რუსული სექსტინა ბრიუსოვს ეკუთვნის. ბრიუსოვი ალიტერაციის ოსტატია. მისი სონეტები მორიგი გამარჯვებაა პოეტის.. მისი „ფაბრიჩნაია“ ისეთივე უშუალოა, როგორც ლერმონტოვის „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“. მისი მოთხრობებია დაწერილია ედგარის გავლენით, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისეთივე

შედევრია საშინელების, როგორც „ყორანი“ და „ეშერების სახლის დამხობა“. ბრიუსოვმა შექმნა საკუთარი სტილი.“

ვალერიან გაფრინდაშვილის მეორე წერილი 1934 წლის 18 ოქტომბრით არის დათარიღებული. ესთეტიკურ ძიებებს აქ უკვე პროპაგანდისტული და საბჭოთა იდეალებზე მორგებული ტონი ენაცვლება. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპებიდან გამომდინარე, მთავარი აქცენტებია – ბრიუსოვი რევოლუციამდე „რუსეთის ბურჟუაზიის ომპერიალისტური ტენდენციების მებაირახტე“ და შემდგომ, „მუშაობის დაწყება რევოლუციის მხარეს“. „ოქტომბრის რევოლუციაში ბრიუსოვმა იპოვა ის, რასაც ამაოდ ეძებდა ბურჟუაზიულ კულტურაში. იგი ხედავდა, რომ მთელი კულტურა დაიღუპება, თუ პროლეტარიატი არ დაეუფლება მას“. ძნელი დასადასტურებელია ვალერიან გაფრინდაშვილის ამ შეფასებების გულწრფელობა. არ არის გამორიცხული, რომ რევოლუცია როგორც მთავარი ორიენტირი ნაძალადევად არ ჩნდებოდეს ამ წერილში, რადგან ჯერ კიდევ რჩება დრო 1937 წლამდე და აკაკი ბაქრაძისა არ იყოს „საშინელი მუქარის არსი“ ჯერაც ამოცნობილი არ არის. ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის ვალერი ბრიუსოვის რამდენიმე ლექსის თარგმანიც. მათ შორის არის „თეთრი მერანი“, „საღამო“, „ქალაქს“ და ლექსები საბჭოთა პოეზიისათვის ნიშანდობლივი სათაურით „ჩაქუჩი და ნამგალი“, „კალატოზი“.

ვალერი ბრიუსოვის უაღრესად საინტერესო სახე ჩნდება ტიციან ტაბიძის 1924 წლით დათარიღებულ წერილშიც „ვალერი ბრიუსოვი“. რა თქმა უნდა, ტიციან ტაბიძეს აინტერესებს ბრიუსოვი როგორც „რუსული სიმბოლოზმის მეთაური“, როგორც „რუსული პოეზიის იოანე კალიტა“ და მებრძოლი სკოლის მეთაური. ტიციან ტაბიძე როგორც ჩანს, ყურადღებით ადევნებდა თვალს ბრიუსოვის რედაქტორობით გამომავალ უურნალს „ვესი“, რომლის ფურ-

ცლებზე არაერთი მწვავე პოლემიკა გამართულა თავად ბრიუსოვსა და სიმბოლისტების ახალ თაობას შორის. ბრიუსოვი ხშირად ქცეულა იმ ახალბედა პოეტების სამიზნე, რომლებიც ლიტერატურული პარნასისკენ გააფთრებული მიინვედნენ და ისეთ ავტორიტეტთან, როგორიც ბრიუსოვი გახლდათ ი ფრაგმენტული შერკვინებაც კი მათ გზას უკაფავდა. ტიციან ტაბიძე აღიარებს, რომ ამ ბრძოლაში ბრიუსოვი არასოდეს დამარცხებულა. „ყველა ახალი მიმართულება და ხელმოცარული პოეტები ვალერი ბრიუსოვს ეძერებოდნენ, მაგრამ მას, ხარის ლონეს გარდა, მაგარი რქებიც ჰქონდა. ათასი ფსევდონიმით ბრიუსოვი ებრძოდა ათას შინაურ და გარეულ მტერს და ლარივით მიჰყავდა თავისი ხაზი“. ტიციან ტაბიძის ეს წერილი ერთი რამითაც არის თვალშისაცემი. ავტორი ბრიუსოვის ბიოგრაფიაშიც ხედავს „შავ ხვრელს“ – ირიბ თუ პირდაპირ კავშირს ფუტურისტებთან და მისი რიტორიკის სიყალბის დასაბამად მიიჩნევს. „ამ ათ წელში მოიშხამა რუსული პოეზია ფუტურისტების იეზუიტ კრუციონიხის სახით. ამ დახსნის შემდეგ „ბრიუსოვის რიტორიკა სულ სიყალბეში გადადის და თავისმოსაგრეხი ლიტერატურა ხდება, და ვალერი ბრიუსოვი ემსგავსება ჯამბაზს: სიბერის დროს ჯამბაზობა ტრაგიკულია“. როგორც ჩანს, ბრიუსოვის ზოგიერთი მოწაფის-მათ შორის ბორის სადოვსკის, რომელმაც მას სალიერი დაარქვა და ანდრეი ბელის ზეგავლენით, რომელიც სასტიკად ახასიათებდა ვალერი ბრიუსოვს თავის მოვნებებში, ტიციან ტაბიძე არ მოერიდა ვალერი ბრიუსოვი დაენახა სხვადასხვა რაკურსიდან. ერთის მხრივ, აღიარა მისი პრიმატი რუსული სიმბოლოზმის ისტორიაში. მეორეს მხრივ, აღნიშნა, რომ იგი უკვე „პოეზის ისტორიას“ ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, მისივე თქმით, იგი დღემდე იდგა პოეზის ფრონტზე და წურბელასავით არ ეშვებოდა მას.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ალექსანდრე ბლოკის შემოქმედებით პორტრეტზე, რომელმაც ასახვა ჰქოვა ქართველი სიმბოლისტების ესეისტიკასა და თარგმანებში. ამ თვალსაზრისით, გამოვარჩევდით ტიციან ტაბიძის 1921 წლით დათარიღებულ წერილს – „ალექსანდრე ბლოკი,“ რომელშიც პოეტის უდროო, მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეული სევდა და სიმბოლისტურ ულერადობაში აღქმული მისი პოეზია ისეა გადაწნული, რომ უანრობრივად მინიატურას უფრო წააგავს, ვიდრე ესეს. მთავარი პერსონაჟი ალექსანდრე ბლოკია – „მთვარიანი მეგობარი“, როგორც მას „დეკადენტური მადონა“ – ზინაიდა გიპიუსი უწოდებდა. სულიერი მარტოობითა და დაუცველობით გატანჯული პოეტი, რომლის ტიპოლოგიურ მსგავსებაზე გალაკტიონ ტაბიძესთან დღეს ბევრს საუბრობენ. თავად გალაკტიონი ბლოკს „მეფე-პოეტს“ უწოდებდა: „იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე გარდაიცვალა ალექსანდრე ბლოკი“, - წერდა იგი და ეს უდავოდ იყო მათი მსოფლებლისა და ეპოქის სინამდვილის აღქმის ერთგვარობა, განცდათა თანაზიარობა.

პაოლო იაშვილმა დარიანისეულ ლექსების ციკლში შეაჯერა თავისი მწეხარება ბლოკის გარდაცვალების გამო და ანა ახმატოვას მიმართა: „მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა“.

ტიციან ტაბიძის ესე ალექსანდრე ბლოკის სიკვდილით გამოწვეული სევდითაა გაჯერებული. „ეს იყო ყველაზე მოულოდნელი. უეცარი და უაზრო სიკვდილი“ – განიცდის ავტორი. ამ სიტყვების დაწერიდან ერთი წლის თავზე 1922 წელს იგივეს იმეორებს ზინაიდა გიპიუსი თავის მოგონებაში „ჩემი მთვარიანი მეგობარი“. მხოლოდ იგი უფრო მკაცრად, სახელდებით მიანიშნებს პოეტის ჯალათებზე. იმაზე, თუ რატომ გაემიჯნა ცინგით გატანჯული ალექსანდრე ბლოკი

სიცოცხლის ბოლო წუთებში ყველას და ყველაფერს: „მან იცოდა, რომ კვდებოდა, მაგრამ ჯალათთა ხელიდან არაფრის მიღება არ ენადა“. იმისათვის, რომ ბლოკი სიკვდილისთვის გამოეტაცათ, მწერლებმა არაერთხელ მიმართეს საბჭოთა მთავრობას, რომ მომაკვდავი პოეტი ფინეთში გაეგზავნათ სამკურნალოდ. მათ შორის აქტიურობდა მაქსიმ გორკიც, მაგრამ ლენინის სახკომსაბჭომ თხოვნაზე ჯერ უარი უთხრა, ხოლო როცა ნება დართო, ბლოკი უკვე განწირული იყო. ზინაიდა გიპიუსის მოგონებით, თავისი ოცნებითა და ტანჯვით შემოსაზღვრულ პოეტსაც სიცოცხლე უკვე მოპეზრებოდა.

ალექსანდრე ბლოკის ესთეტიკური უნივერსალიზმი ხიბლავდა მის თანამედროვეებს. ამ სიდიადეს ვერ უარყოფდნენ ისინიც, ვისაც მეტოქეობის განცდა არ აძლევდა მოსვენებას. ანდრეი ბელი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, აკმეისტი ნიკოლაი გუმილიოვი და სხვები დროდადრო ცდილობდნენ მის დამცირებას, მაგრამ ვერ უარყოფდნენ, რომ ბლოკი იყო მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი. გამონაკლისი არც ტიციან ტაბიძე აღმოჩნდა. ბლოკის ჰარმონიული კავშირი გერმანელ მისტიკოსებთან, იტალიურ და ესპანურ პოეზიასთან და ამავდროულად რუსული სულის უფაქიზესი განცდა აძლევდა მას საფუძველს, რათა ბლოკი პუშკინის შემდეგ ყველაზე ეროვნულ პოეტად ელიარებინა. 1921 წელს, როცა ალექსანდრე ბლოკი გარდაიცვალა ტიციან ტაბიძეს გაზეთ „ბახტრიონში“ დაუბეჭდავს ბლოკის სურათი, რომელშიც მწერალს უკვე თავზე ადგას მოახლოებული სიკვდილის აჩრდილი. „უკანასკნელმა უურნალებმა რუსეთიდან ჩამოიტანეს სურათი, რომელიც იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ეს ნერონი პოეზიისა, თმაგაშლილი და ავხორციტუჩებიანი, ყველაზე ლამაზი რუს პოეტებში, ამ სურათზე ჰგავს ანათემაზე გადაცემულს. ჩანს – სიკვდილი კარგა ხანია უახლოვდება პოეტს.“ როგორც

ცნობილია, ალექსანდრე ბლოკი ანდრეი ბელისთან ერთად მიეკუთვნებოდა სიმბოლისტების მეორე თაობას. ქართველ-მა სიმბოლისტებმა იგი ძირითადად აღიქვეს „სიმბოლისტურ კონტექსტში,“ თუმცა, თავად ალექსანდრე ბლოკი 1912 წელს აღი არსენიშვილისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში მოუწოდებდა, რომ მათ უნდა დაეძლიათ „სიმბოლიზმის შხა-მი“ და ნიშნად სიყვარულისა მის პოეზიაში მომავლის იმედი ამოეკითხათ. სავარაუდოდ, ეს უნდა ქცეულიყო სერიოზულ მოტივაციად იმ მოსაზრებების გასავითარებლად, სადაც ბლოკის „სასწაული წინასწარმეტყველური ინტუიცია“ დაინ-ახეს პოემებში „თორმეტნი“ და „სკვითები“. ტიციან ტაბიძემ სწორედ აქ შენიშნა „რევოლუციის გამოძახება და ქადილი“. 1934 წელს მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო ყრი-ლობაზე ტიციან ტაბიძე ეპოქის შესაფერის ტონალობაში კვლავ ამახვილებს ყურადღებას ბლოკისა და რევოლუციის ურთიერთმიმართების საკითხზე და დამსწრეთ შეახსენებს, რომ ბლოკს ვლადიმერ მაიაკოვსკიზე არანაკლები წვლი-ლი მიუძღვის რევოლუციური თემატიკის განვითარებაში. ალექსანდრე ბლოკის რევოლუციასთან დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად ჩვენ კვლავ ზინაიდა გიპიუსის მოგ-ონებას მოვიშველიებთ, რომელიც წერს, რომ ბლოკმა ცხ-ოვრების ბოლო წლებში შეიძულა თავისი პოემა „თორმეტნი“. მისი თანდასწრებით პოემის ხესნებასაც ვერ იტანდაო. ამ-დენად, ტიციანის სურვილი რევოლუციის სამსახურში ჩაეყ-ენებინა ბლოკის პოემები ბოლომდე დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება. სხვათაშორის, იგი არ იყო ერთადერთი, ვინც ამას დაუინებით ცდილობდა. იმხანად რუსეთში ბლოკის ოქ-ტომბრის მომღერალთა რიგებში ჩაყენებისა და მისი პოემის „თორმეტნის“ რევოლუციის პიმნად გადაქცევის არაერთი მცდელობა დაფიქსირდა. სინამდვილეში, ეს პოემა იმ საყ-ოველთაო ნგრევის აპოკალიფსური წარმოსახვაა, რომელიც

რევოლუციას უნდა მოჰყოლოდა. სოსო სიგუა ალექსანდრე ბლოკის მისეული თარგმანების წინასიტყვაობაში შენიშნავს: „სიკვდილი თავისთავად ყველაზე დიდი ტრაგედიაა, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება ბედნიერიც იყოს. როგორც ხელოვანს, ასეთი ბედნიერი დასასრული ერგო ალექსანდრე ბლოკს. მან სუნთქვა შეწყვიტა მანამდე, სანამ ბოლშევიზმის მეხოტბედ აქცევდნენ. ის თავის ილუზიურ სამყაროსთან ერთად დაიღუპა. თუმცა, ვინ იცის იქნებ აპოლოგეტი არც გამხდარიყო, განსხვავებით ვალერი ბრიუსოვისაგან“.

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობებზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ ბორის პასტერნაკი, როგორც კეთილშობილებისა და ერთგულების სანიმუშო მატიანე. ბორის პასტერნაკის შეუცვლელი მასპინძლები საქართველოში იყვნენ ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. იგი თავადაც გულითად დახვედრას უწყობდა მათ რუსეთში. პასტერნაკს ეკუთვნის თარგმანი ტიციანის ლექსებისა „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „ლექსი მეწყერი“, „ოქროყანა“. ეს უკანასკნელი მას განსაკუთრებულად მოსწონდა. ბორის პასტერნაკმა ბოლომდე უერთგულა ტიციან ტაბიძის ხსოვნას 1937 წლიდან მის რეაბილიტაციამდე. „მე გული ამონკვეთეს“ – წერდა იგი ნინო მაყაშვილს ტიციანის დაბატიმრების გამო, „ვერ ვიცოცხლებდი, მაგრამ ახლა ორ ოჯახზე უნდა ვიზრუნო: ზინასა და ლიონიაზე და თქვენსა და ნიტაზე“. ერთგან ნინოსადმი მიწერილ წერილში პასტერნაკი წერს: „ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ტიციანი მიყვარდა, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ჩემს ცხოვრებაში ასეთი დიდი ადგილი ეკავა, ჩემდა უნებურად, შეუცნობლად. მე ეს მხოლოდ გრძნობა მეგონა, მაგრამ რა ვიცოდი, ზღაპრული ფაქტი ყოფილა. რამდენჯერ გაგვიმართავს ლხინი, ერთმანეთისთვის ერთგულების ფიცი მიგვიაცია (რა თქმა უნდა, საბრალო პაოლოსაც ვგულისხმობ). ხომ არ გგონიათ, რომ ოდესმე და-

ვივიწყებ! ... ხშირად მესიზმრებით ხან თქვენ, ხან ყველანი, ხანაც ჩემიანებთან ერთად იმ ადგილებში დავხეტიალობ, სადაც თქვენ გიტარებივართ. გასულ ზამთარში ეს მხოლოდ ტანჯვას მგვრიდა. ზოგჯერ თვალცრემლიანი ვიღვიძებდი და ვფიქრობდი, რომ საკუთარი ტკივილი კი არ მანუხებდა, არამედ თქვენი ტანჯვის მონაწილე გავხდი, თვით თქვენ ნაწილად ვიქეცი და ასე უზომოდ იმიტომ ვიტანჯებოდი. ამ სიგიუს ახსნა ძალიან მიჭირს“: იმ ავადსახსენებელ წლებში, როცა სიკვდილისა და რეპრესიების შიშით დათრგუნული ადამიანები „სამშობლოს მოღალატეებს“ როგორც კეთროვანებს ისე არიდებდნენ თავს, „დოქტორ უივაგოს“ ავტორი გასაოცარ სითამამეს იჩენდა, თანადგომასა და მზრუნველობას არ აკლებდა სასოწარკვეთილ ნინო მაყაშვილს და იმაშიც არწმუნებდა, ტიციანი მალე დაუბრუნდებოდა. იქნებ თვითონ ამის არ სჯეროდა, მაგრამ სჯეროდა ბოროტების წარმავლობის დიალექტიკის და სათუთად უფრთხილდებოდა ნინო მაყაშვილისა და ნიტას იმედს, რომ ტიციანი ხელახლა დაიბადებოდა ქართულ მწერლობაში. „მას არ უღალატნია თავისი სიტყვისათვის. ჩემთვის უმძიმეს წლებში, თვით ტიციანის რეაბილიტაციამდე, ჩვენ არ მოგვკლებია მისი მორალური და ნივთიერი დახმარება. ყოველ ზაფხულს პასტერნაკებთან ვატარებდით. იმ დროს ბორისისა და ზონას ბადალი და-ძმაც კი ცოტა მოიძებნებოდა, ასე უშიშრად და ისეთი სიყვარულით რომ ეზრუნათ თავის მოყვასზე. სამუშაოდან დაბრუნებულს, თითქმის ყოველ კვირას, შინ მისი წერილი მხვდებოდა ხოლმე. გაკრული ხელით წერდა ბორისი და ასე მეჩვენებოდა, თითქოს ფურცელზე მერცხლის ფრთების ჩრდილი იყო გადაწოლილი და დაღლილს, სასომიხდილს მისი ზრუნვისა და ალერსის მზე თავს დამადგებოდა ხოლმე“ – წერს თავის მოგონებებში ბორის პასტერნაკზე ნინო მაყაშვილი.

ქართულ-რუსული ურთიერთობის ეს მატიანე თანამე-დროვე ცვალებადი პოლიტიკური რეალიების ფონზეც კი, ცხადია, გადასინჯვას არ ექვემდებარება. დოსტოევსკისა არ იყოს, „შემოქმედი მაინც გამონახავს დროს და საქმეს გააკეთებს“. ეს საქმე მარადიულად იარსებებს იმათ სამხილად, ვინც ამ ღირებულებებს ვერ გაუფრთხილდა. ესთეტიკური ფასეულობების ერთგულებისა და ეროვნული სამანების შემოსაზღვრასთან ერთად ნამდვილი მწერლობის სულიერი მისია უცილობლად უნდა იყოს ზოგადადამიანური მგრძნობელობა და ინტერკულტურული დიალოგისთვის მუდმივი მზადყოფნა.

## ესთეტიკურ-იდეოლოგიური ცვლილებების ასპექტები მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში

მოდერნიზმის რეალური ისტორია საქართველოში 1915 წლიდან იწყება, როდესაც ჯგუფ „ცისფერი ყანების“ ძირი-თადი ბირთვი შეიკრა. მათი საბოლოო წარდგინება ქართული საზოგადოების წინაშე მოგვიანებით, 1916 წელს მოხდა იმავე სახელწოდების უურნალის პრეზენტაციით, სადაც ნათლად იყო ჩამოყალიბებული ქართველი სიმბოლისტების მსოფლშედველობრივი პრინციპები და ესთეტიკური მრნამისი. „პირტიტველა ენთუზიასტებმა“ აღიარებული ფეტიშებისა კრიტიკული დამოკიდებულებით და უხეში მოპყრობით აგრესიულად განაწყვეს უმრავლესობა. ახალგაზრდების უაპელაციო, თამამმა განაცხადმა იმის შესახებ, რომ ლიტერატურულ სამყაროს კარგა ხანია მობეზრდა ტრადიციული სქემების ვარირება და ახალი ღმერთის ძიება პოეზიაში გარდაუვალია, სიმშვიდე დაარღვია ლიტერატურულ პარნასზე, თუმცა უნდობლობასთან ერთად ქართული პოეზიის განახლების მოტივაციაც გამოაცოცხლა. პირველად ცნობილმა ფედერალისტმა, ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ კიტა აბაშიძემ იგრძნო, რომ სიმბოლიზმი იყო ლიტერატურის ბოლო სიტყვა და საქმე ეხებოდა ენის გადახალისება-გათამედროვეობის, ტრადიციული უანრების რეკონსტრუქციისა და ახალი თემების გაჩენის საკითხს. ეყრდნობოდა რა ბრუნეტიერის თეორიას, იგი გრძნობდა სიმბოლიზმის გარდაუვალ ტრიუმფს, რადგან ლიტერატურული სკოლები ყველგან ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ეს პროცესი შედეგიანი იყო კულტურული ცხოვრებისათვის. ცისფერყანწელთა მანიფესტებში, რომლის ავტორები იყვნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე სამოღვაწეო პრიორ-

იტეტებთან ერთად გამოიკვეთა მათი ინოვაციური ხედვა, ლიტერატურული გემოვნებისა და ესთეტიკური კულტურის შეტყინები. კრიტიკულ რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ მეთოდს პრინციპულად გამიჯნულმა ახალგაზრდებმა დღის წესრიგში დააყენეს მე-19 საუკუნის კულტურული მექანიზმების გადასინჯვის, ქართული მხატვრული აზროვნების სტრუქტურის გადახალისების საკითხი. მათი აზრით, ჭეშმარიტი ხელოვნება შორს უნდა ყოფილიყო მარტივი, ყველასათვის ადვილად აღსაქმელი ცრუხელოვნებისაგან. რაც უფრო დახვეწილ, მაღალი რანგის შემოქმედებასთან გვქონდა საქმე, მით უფრო ღვთაებრივი, უჩვეულო და იდუმალი უნდა ყოფილიყო იგი.

საკუთარი ესთეტიკური მრწამსის გამოხატვა ცისფერყავნებმა არსებულისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვით დაიწყეს. მათ იმჟამინდელ პარნასზე მოზეიმე ავტორიტეტებს ბრალდებად წაუყენეს ლიტერატურული სტაგნაცია, ყოველდღიურის, ტრივიალურის წარმოსახვა და საგანგაშოდ გამოაცხადეს მათი „ესთეტიკური უკულტურობა“. პირველ სამიზნედ, როგორც ცნობილია, იქცნენ მე-19 საუკუნის უდიდესი ავტორიტეტები-ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ყველაზე გაბედული ამ თვალსაზრისით აღმოჩნდა ტიციან ტაბიძე, რომელმაც პრინციპულად უარყო ილიასა და აკაკის შეხედულებები მწერლის დანიშნულებასა და პოეტური ხელოვნების შესახებ. საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ იგი თავს არიდებდა აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პოეტურ ღირსებებზე საუბარს და მათ ბრალდებად უყენებდა პოეზიის ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ არასრულყოფილებას, რაც, მისი აზრით, „ელემენტარული პოეტური კულტურის არქონაში“ გამოიხატებოდა. ამას თან ერთვოდა უმძიმესი ბრალდებები ეროვნულ იდეოლოგიის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ტიციან ტაბიძე ქართველ

სამოციანელებს უკიუინებდა ძველ მწერლობასთან კავშირის გაწყვეტას და ახალი, რუსეთიდან იმპორტირებული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრებას საქართველოში. „რუსეთის მთავრობას, რომ ასეთი გამრჯვე აგენტები ყოლოდა საქართველოში, როგორც რუსეთის დემოკრატებს, ამდენსანს საქართველო არ იქნებოდა, თუმცა არც ეხლა არის ცუდათ საქმე, რადგან რუსული საქმე და იმპერიალიზმი დემოკრატიული სოლიდარობის ეგიდით უფრო მოსატყუებელი მიზანია.“ ტიციან ტაბიძისთვის სამოციან წლებში წარმოებული ბრძოლა იყო არა მხოლოდ თაობათა, არამედ მენტალური ჩანაცვლების პროცესი ეროვნული კულტურის სივრცეში. მისივე თქმით, „ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგების ბრძოლა“. ტიციან ტაბიძის მანიფესტში „ცისფერი ყანწებით“ თერგდალეულთა მიმართ კრიტიკა უფრო მძაფრდება იქ, სადაც საკითხი ეხება მათ პოეტურ ესთეტიკას: „ამ დღი-დან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად“.

მოგვიანებით, 1922 წელს, ილია ჭავჭავაძის მე-15 წლის-თავზე ტიციან ტაბიძე კვლავ დაუბრუნდა ილიას ფენომენს წერილით „ილია ჭავჭავაძე“. ამ ეტაპზე მან უკვე შეარბილა თავისი კრიტიკული ტრონი და ობიექტური შეფასება მისცა ილიას ღვაწლს არამარტო ქართული პოეზის, არამედ მე-19 საუკუნის საქართველოს სინამდვილეში. უწოდა მას რა „ამ ეპოპეის მთავარი მბრძანებელი“. ეს იყო გულ-წრფელი და არა ზემოდან ნაკარნახევი გარდატეხა სიმბოლისტი პოეტის ცნობიერებაში, რადგან 20-იან წლებში უკვე დაწყებული იყო პროლეტარული კრიტიკის ბრძოლა ილიას წინააღმდეგ, რომელსაც ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა. ტიციან ტაბიძის ცნობიერებაში დაგვიანებით,

მაგრამ გარდაუვალი კანონზომიერებით მოვიდა შეგნება იმისა, რომ „ილია ჭავჭავაძემ თავისი დევის ხელით სრული-ად გადატეხა ეს სტილი და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია ევ-როპული მწერლობისა მასშტაბით. ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა როგორც გიგანტი. ყოველი მოზღვავებული ტალღა, უცხო თუ შინაური, იმას დაეტაკებოდა და ილიაც იგერიებდა“.

ანალოგიური გარდატეხა არ შეინიშნება აკაკი წერეთელთან მიმართებაში, რადგან იმავე წელს გაზირ „ბახტრიონის“ ფურცლებიდან ვარამ გაგელის ფსევდონიმით ტიციან ტაბიძე გამოეხმაურა აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნას თბილისში და საკმაოდ ორაზროვანი დამოკიდებულება გამოამჟღავნა მისი პოეტური ლირსების მიმართ, როცა აქცენტი გადაიტანა არა მის პოეზიაზე, არამედ მის გარეგნობაზე; „ლიტერატურის ისტორიაში სხვა თავის თანამედროვეთა შემოქმედებასთან კიდეც რომ დაიჩრდილოს აკაკი წერეთელი, მას მაინც ვერავინ წაართმევს პირველობას, როგორც ზოოლოგიურად გამართულის მხრით და მშვენებას ქართულ რასსინის“. თითქოს აუხსნელია, რამ განაპირობა ტიციან ტაბიძის ასეთი ტენდენციურობა აკაკის მიმართ, როცა ცისფერყანწელთათვის ისეთმა ავტორიტეტმა, როგორიც გრიგოლ რობაქიძე იყო 1925 წელს „ბაში-აჩუკის“ გადაკითხვისას აღიარა: „აკაკი წერეთელი ცნობილია როგორც კარგი მოშაირე. როგორც პროზით-მთხობელს მას არავინ იცნობს. მრავალი მისი პროზაული ნაწერი დავიწყებასაა მიცემული. ბავშვობაში ნაგვიკითხავს და შემდეგ დავიწყებისთვისაც მიგვიცია. შემთხვევით თუ ავიღებთ ხელში, შემთხვევით თუ გადავფურცლავთ, შემთხვევით თუ გადავავლებთ თვალს. მეც ასე ხშირად მომიხდა „ბაში-აჩუკის“ გადაკითხვა. კითხვა დავათავე და გაოცებული დავრჩი: პირდაპი კლასიკური ნაწარმოებია. განსაკუთრებით ამბავის

საოცარი ხელებით“.

ილია ჭავჭავაძესთან მიმართებაში წინააღმდეგობრივია გიორგი ლეონიძის დამოკიდებულება. ესეში „ილია ჭავჭავაძე“ აშკარად იკვეთება ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი მოსაზრება. ერთის მხრივ, ავტორი გამოხატავს ცის-ფერყანწელთა ტიპურ ესთეტიკურ განწყობილებას და „აღიარებულ ავტორიტეტს“ მყაცრად უსწორდება, აკრიტიკებს მის პოეტური ოსტატობის დონეს, თანამედროვეობისათვის მიუღებლად სახავს მის ლექსებს და ილია ჭავჭავაძის პოეზიას უწოდებს „ტლანქი ნაჯახით ნაჩორენს“. მეორეს მხრივ, იგი ვერ უარყოფს ილიას საზოგადოებრივ ღვაწლს, აღიარებს მას, როგორც „მოჯამაგირე პოეტს“, მოქალაქეს, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეს.

ილიას ლირიკასთან დაკავშირებით პარადოქსულია ვალერიან გაფრინდაშვილის მოსაზრებაც. მან 1919 წელს თავის წერილში „შენიშვნები ლირიკაზე“ ისაუბრა ლირიკის უანრის მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებზე და ილია ჭავჭავაძის ლირიკული მემკვიდრეობის შედევრად დაასახელა ლექსი „ტყემ მოისხა ფოთოლი“. საგულისხმოა, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების თარგმნის პროცესს. იგი კრიტიკულად მიუდგა ბრიკისულ თარგმანს, მიიჩნია, რომ იგი ვერ ასახავდა პოეტის მსოფლმხედველობას და თარგმანი საჭიროებდა საფუძვლიან გადასინჯვას.

ალი არსენიშვილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას პროზის საზომით მიუდგა. უნდა ითქვას, რომ აქ მისი მოსაზრება გარკვეულწილად ემიჯნება „წმინდა ხელოვნების“ პრინციპებს. მიუხედავად ეპოქისასთვის დამახასიათებელი კრიტიკიზმისა ეროვნული ავტორიტეტების მიმართ, ალი არსენიშვილი ობიექტურად გრძნობდა ილიას მონოლითური ფიგურის მნიშვნელობას ქართული ცნობიერებისა და მხატ-

ვრული აზრისათვის: „ბალზაკის კონცეფციის გოლიათური სული უთუოდ ტრიალებდა ილია ჭავჭავაძის პიროვნებაში. ეს შემომქმედი მეტად ქართული ბუნების გამომხატველი და გამომსახველია თავის ცხოვრების მთელი საქმით და რაც უძლეველია და სამარადისო, თავისი პროზით. მისი „გლახის ნაამბობის“ სტილი დიდი დაძლევაა ქართული პროზისა. თუ ილიამ, როგორც ბალზაკმა, ვერ „გამოიგონა საუკუნე“, ვერ შეჰქმნა „ადამიანური კომედიის“ მასშტაბები, მან „გლახის ნაამბობით“ შეჰქმნა იმდენად ტკბილი და დამატყვევებელი ქართული, რომ მას თამამი უფლება აქვს XIX საუკუნის პროზის ბატონებს გაუსწორდეს“. იმ ეპოქაში, როცა ხელოვნება ვერ იტანდა დილეტანტიზმს და ცისფერყანწელების მიერ ინიცირებულმა გადარჩევის პროცესმა მიიღო სრულიად უშედავათო სახე, ვალერიან გაფრინდაშვილის შეფასება თავისუფალია მოდური „კერპთა მსხვრევის“ პრინციპებისაგან. მისთვის ილია არის შემოქმედი, მხატვრული პროზის ოსტატი. ესეისტის პოზიცია არ მომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომელიც ილიას საზოგადოებრივ ღვანლს უკავშირდება. ეს მოსაზრება უფრო მყარდება იქ, სადაც ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობს: „მეტად სამწეხაროა ილიას უნებლიერ სიძუნე ქართულ პროზაში, თუმცა მთელი მისი მემკვიდრეობა ქართულის უტყუარი ნიმუშია, როგორც ვოლტერის ან ტურგენევის ენა.“ ამასთან დაკავშირებით უფრო შორს მიდის სანდრო ცირკეკიძე და 1920 წელს თავის წერილში „ორსახოვანი იანუსი“ ილია ჭავჭავაძის პროზას პოეტურ პროზასაც კი უწოდებს.

ცისფერყანწელების ინდივიდუალიზმი ილია ჭავჭავაძის შეფასებისას უდავოდ თვალშისაცემია. საერთო ესთეტიკური პრინციპებით გაერთიანებული ახალგაზრდები სხვადასხვა რაკურსით ცდილობდნენ მიახლოვებოდნენ ქართული მწერ-

ლობის ხევისბერს. მათ აწვალებდა ილიას აჩრდილი, რადგან ვერ გადაელახათ მისი სიმაღლის ქვეცნობიერი განცდა. პაოლო იაშვილი გრძნობდა მის „დევის ნაფეხურებს“, მაგრამ მაინც უჭირდა იმის აღიარება, რომ „პოეზიის სისხლით იყო სავსე ეს ფეხები“.

სამაგიეროდ, ცისფერყანწელებმა შესაშური ერთსულოვნება გამოამუდავნეს ვაჟა ფშაველას მიმართ, რომელიც სრულიად განსხვავებული ესთეტიკით წარმოსდგა ქართულ მწერლობაში. ისინი გულწრფელად აღიარებდნენ მას „მთისა და მწერლობის ბუმბერაზად“. ამ თვალსაზრისით ყველაზე აქტიური კვლავ აღმოჩნდა ტიციან ტაბიძე, რომელმაც სამი წერილი მიუძღვნა ვაჟას პოეტურ გენიას. მისი ესეები – „დავით გურამიშვილი და ვაჟა ფშაველა“, „ვაჟა ფშაველა“ შესულია მწერლის აქამდე არსებულ ყველა გამოცემაში, ხოლო მესამე წერილი, რომელსაც ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი და გამოქვეყნებულია 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“, მის არც ერთ კრებულში არ არის შეტანილი. ტიციან ტაბიძე ვაჟა ფშაველას ასახელებდა საუკუნის ფენომენად და მიიჩნევდა საქართველოს „ფენიქსისებური განახლების“ საწინდრად. იგი ქართული ნიჭისა და აზრის უპირატესობით ადარებდა მას ცნობილ ფრანგ და რუს პოეტებს, მიაწერდა აღორძინებასა და დეკადანსს შორის მორიალე ქართული მწერლობის ხსნას მე-19 საუკუნეში. „თვით ფრანგებსაც შეშურდებოდა მისი მოვლინება. რა სანახაობა იქნებოდა ფრანგი პოეტებისათვის, რომელიც ეწვალა რონსარით, ვოლტერით, ბოდლერით, რომ წარმოიდგინოს ვაჟა ფშაველას მთელი ბარბაროსული ძალა და უშუალო პოეტური სტიქია. ჩვენს დღეებში ასეთი სასწაულის არავის სჯერა. ჭეშმარიტად, ვაჟა ფშაველა მისტიური ნიშანია საქართველოს მეათეჯერ გაახალგაზრდავების“. – წერს იგი. ტიციან ტაბიძე ყურადღებით ეკიდება ვაჟა ფშაველას

ლექსთნყობის საკითხსაც. მისი მოსაზრებით, ვაუა ფშაველას არასოდეს ჰქონია „ლექსის სწორი გაგება“, მაგრამ მისი ლექსი ყოველთვის იმარჯვებდა. ამ საიდუმლოს რეალურ მიზეზებზე საუბარს ტიციან ტაბიძე გარკვეული სიფრთხილით ეკიდება. „სანამ არ არის შესახებ მხოლოდ მიახლოებით შეგვიძლია ლაპარაკი“ – აღნიშნავს იგი, მაგრამ დარწმუნებით განმარტავს, რომ მის შემოქმედებაში ყველაზე გამძლე და ლირიკული ისაა, რაც ხალხურ შემოქმედებაზეა დაყრდნობილი.

ტიციან ტაბიძის 1927 წელს დაწერილ წერილს უკვე განაფული ოსტატის ხელი ეტყობა. მას არასოდეს ჰქონია რეფლექსიები ვაუა ფშაველას „ჩამორჩენილობაზე“, რომელზეც არაერთხელ მიუთითებიათ მის თანამედროვეებს. ტიციან ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველმა გაილაშერა კრიტიკის შაბლონისა და ტრივიალური, წინასწარ შემუშავებული შეფასებების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა ვაუას გენის სათანადო ალემას სალიტერატურო კრიტიკაში. ჯერ კიდევ 1916 წელს ტიციან ტაბიძე კრიტიკულად მიუდგა კიტა აბაშიძის მოსაზრებას ვაუა ფშაველას სიმბოლისტობის თაობაზე და ობიექტურად მიუთითა, რომ საქმე გვქონდა სიმბოლიზმის როგორც მეთოდისა და სიმბოლიზმის, როგორც სკოლის აღრევის ფაქტთან. იმდროისათვის იგი ჯერ კიდევ ვერ ასახელებდა მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია ასეთი მცდარი მოსაზრების ჩამოყალიბება. უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში სიმბოლისტებად დასახელდნენ მწერლები, რომელთაც ნამდვილად არაფერი ჰქონდათ საერთო ამ ლიტერატურულ სკოლასთან. ის, რომ ვაუა ფშაველა იყო სრულიად დამოუკიდებელი ფენომენი ქართულ მწერლობაში და მისი დაკავშირება სიმბოლიზმის ლიტერატურულ სკოლასთან ქმნიდა სერიოზულ უხერხულობას მისი შემოქ-

მედების კვლევის დროს ტიციან ტაბიძემ ასე ჩამოაყალიბა;: „ვაუა ფშაველას სიმბოლისტად ნათვლას ალბათ ის უწყობს ხელს, რომ სწორედ მაშინ, ამ საუკუნის დასაწყისში სიმბოლიზმი იყო მთავარი ლიტერატურული სკოლა, რომელმაც შეცვალა ნატურალიზმი და ნანილობრივ რეალიზმი. ამიტომ სიმბოლიზმი აქამდე რჩება ერთგვარ ლიტერატურულ განწყობილებად“. იქვე ტიციან ტაბიძე საუბრობს ვაუა ფშაველას ლექსწყობისა და ენის საკითხებზეც. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იგი პირველად სალიტერატურო კრიტიკაში ახდენს მთის პოეტების კლასიფიაკაციას და მის სათავეში სწორედ ვაუას მოიაზრებს. ტიციან ტაბიძეს ეკუთვნის ასევე პირველი ფორმულირება ვაუასა და დავით გურამიშვილის პოეტური ნათესაობის შესახებ. ტიციან ტაბიძე მათ აკავშირებდა ორი მთავარი ხაზის-ეროვნულისა და ხალხურის მიხედვით. ამ საკითხს შემდგომ ვრცლად შეეხო არაერთი მეცნიერი. მათ შორის – ალექსანდრე. ბარამიძე, მიხეილ ზანდუკელი, გრიგოლ კიკნაძე, იუზა ევგენიძე და სხვები.

პაოლო იაშვილის ესე „პოეტი საქართველოში“ ეძღვნება პოეტების ტრაგიკულ ბედისწერასა და გენიოსების დაგვიანებული კანონიზაციის ტრადიციას საქართველოში. ესე უმეტესწილად აგებულია ვაუა ფშაველას ფენომენის გაუცნობიერებლობის ფაქტზე მის თანამედროვე საქართველოში. თვალში საცემია პაოლო იაშვილის პროფეტულობა იმასთან დაკავშირებით, რომ მის საუკუნეს შერჩებოდა „ბახტრიონის დევი, გველისმჭამელი ვაუა ფშაველა“ და „იგი დიდხანს დააფეხებდა თავისი ველური აბჯრის ხმაურობით პოეზიის წვრილფეხა წუკალებს“. 1922 წელს, როცა ეს წერილი იწერებოდა, აღნიშნული შეფასება შეიძლება მივიჩნიოთ პაოლო იაშვილის ფაქიზი ინტუიციისა და ესთეტიური აღქმის ნიშნულად, ვინაიდან იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ

არ იყო გამოკვეთილი ვაჟას პოეტური ფენომენის სიღრმისეული შეფასებისა და მისი შემოქმედების ფასეულობის დადგენის რეალური მცდელობები. ქართველი ხალხი ჯერაც არ ამჟღავნებდა იმ ყურადღებას, რომელიც პაოლო იაშვილს ოდნავ მაინც გაუნელებდა დანაშაულის განცდას იმის გამო, რომ პოეტი, რომელსაც ჰქონდა „ლმერთების ენა და პომეროსის ნოუიერება, საქართველოში დადიოდა როგორც „ჩხიკვი ზაქარა“, თვალმოხეული, ყველის სუნით გაჟღენ-თილი, დაკონკილი ჩოხით, ფრჩხილებში მიწაგამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი, უგვირგვინო.“ ფაქტია, რომ იმსანად ვაჟა ფშაველას მსგავსი პოეტური სტიქია არ არსებობდა იმდროინდელ საქართველოს, მაგრამ იგი ვერ შეიცნეს, ვინაიდან „ქართველმა ხალხმა არ იცის არც ღრმა სიყვარული და არც ღრმა სიძულვილი. პირველიც და მეორეც მასში თეატრალურია, ეს ინტელექტის სისუსტის ბრალია; უფრო კი ანალიზის უქონლობის“. ასეთი ახსნა მოუძებნა პაოლო იაშვილმა ამ მეტად უცნაურ პროცესს, რომლის გამო ვაჟა ფშაველას კანონიზაცია ქართულ მწერლობაში დაგვიანებით შედგა. სხვათაშორის, ამ სამწუხარო ფაქტზე ყურადღებას ამახვილებდა ტიციან ტაბიძეც, გულდანყვეტილი აღნიშნავდა რა, ვაჟა ფშაველა ისე მოკვდა, რომ არ უგრძვნია ხალხის სიყვარული, რომლითაც სიცოცხლეში დააჯილდოვეს აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძეო.

მოსაზრება ვაჟა ფშაველას შესახებ გამოთქვა ვალერიან გაფრინდაშვილმაც თავის ესეში „პეიზაჟი უკუღმა“, რომელიც 1922 წელს გაზეთ „ბარრიკადში“ დაიბეჭდა. მან ისაუბრა პეიზაჟის ევოლუციაზე მსოფლიო ლიტერატურაში, ურბანული პეიზაჟების გაჩენის ტენდენციასა და პოეტური ლანდშაფტის მოდერნიზაციაზე და ეს კრეატივი სიმბოლისტების დამსახურებად აღიარა. „პეიზაჟი ფარდაა იდუმალი და ჩვენ

გვინდა ავწიოთ ეს ფარდა, რომ წარმოდგენა სამარადისო კულისებში დაიწყოს“. ამასთან, საყურადღებოა, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი არ კარგავდა ობიექტურობის განცდას არამარტო პრესიმბოლისტური ევროპული პოეზიის – რომაული, ფრანგული, ინგლისური ლიტერატურის მიმართ და აღიარებდა მათ დამსახურებას ბუნების თემის დამკვიდრების საქმეში, არამედ ქებით მოიხსენიებდა ქართველ კლასიკოსებსაც. „ეს თემა უცხო არ არის ქართული პოეზიისათვის. ჩვენი კლასიკოსები ილია, აკაკი, ვაჟა ფშაველა და ბარათაშვილი ბუნების აღწერას ანდომებდნენ თავიანთ ნიჭს.“ თუმცა ვალერიან გაფრინდაშვილი ვაჟა ფშაველას მაინც გამორჩეული რაკურსით განიხილავდა როგორც ბუნების უბადლო მესაიდუმლე მინდიას – „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ბუნების მესაიდუმლე იყო ვაჟა ფშაველა-გველის მჭამელის. მას ბუნება მოევლინა ტიტველი, როგორც ლედი გოდივა“. ცნობილია, რომ ცისფერყანწელები ხელოვნებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე საუბრისას ამოდიოდნენ კოსმოსის შეცნობის სურვილიდან. მათთვის საინტერესო იყო თავისთავადი, პირველქმნილი ბუნება და არა საკუთარ შემოქმედებას დამორჩილებული წარმოსახვის პროდუქტი.

XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსებიდან ცისფერყანწელთა ყურადღებას ასევე იქცევს ალექსანდრე ყაზბეგი. ალი არსენიშვილმა მას უწოდა „მთის ეთერის უხილავი სარდალი“. შეიძლება ითქვას, რომ მის ესე „ჩალურსმული ოცნება“ ერთ-ერთი საუკეთესოა ამ თვალსაზრისით. იგი ეძღვნება ალექსანდრე ყაზბეგის 30-ე წლისთავს. დაიბეჭდა 1923 წელს გაზეთ „ქართულ სიტყვაში“. ესეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ პოეტური, ვინაიდან ალექსანდრე ყაზბეგის ტრაგიკული, რომანტიული გენია მთელი თავისი დიდებულებითაა მასში მოქცეული. მანანა ხელა-

ია მიგნებულად უწოდებს მას „აფექტურს“, „ემოციურს“, გულწრფელს“. თუმცა ახერხებს იმ ემოციების გამოწვევას, რომელიც შესაძლოა აღი არსენიშვილი მკითხველში ვრცელ ბიოგრაფიულ ნარკვევსაც ვერ მოეხერხებინა. „მისი პიროვნება, მისი მართლაც ყაზბეგის სითეთრე და სიმაღლე სკრიაბინის „ცეცხლის პოემის“ ლირსია და მისი სულის შემოღამება და შემოძარცვა გოტიეს ვიოლას ტირილია“ – წერს აღი არსენიშვილი და იქვე შენიშნავს, ყაზბეგი ჩვენი შატობრიანია. აღი არსენიშვილი სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი ესთეტიზმით საუბრობს ალექსანდრე ყაზბეგზე. მწერლის შემოქმედება აღქმულია მის ტრაგიკულ ბედთან მჭიდრო კავშირში. აღი არსენიშვილის ინტერესს აძლიერებს და იდუმალებით მოსავს ალექსანდრე ყაზბეგის სულით ავადმყოფობის ფაქტიც. სიმბოლისტების „ახალი მითოლოგიის“ თანახმად, მწერლის ბიოგრაფია მნიშვნელოვანი ინტერესის საგანს წარმოადგენდა და განსაკუთრებულ ხიბლს აძლევდა მის ინტიმურობას. აღი არსენიშვილს მოსწონს ის სკანდალიც, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობას უკავშირდება. სულიერი გაორება, ტრაგიზმი, იდუმალება, რომანტიული სული – ეს ერთობლიობა ქმნიდა მისტიურ ფონს, რათა მას ალექსანდრე ყაზბეგი „განუმეორებელი გრძნობების“ მწერლად ეღიარებინა. იდუმალების ესთეტიკა სიმბოლისტებისათვის ხომ ყოველთვის იყო ნამდვილი ხელოვნების თანამდევი. ამიტომაც არ არის მოულოდნელი ესეს ავტორის განსაკუთრებული აქცენტები ალექსანდრე ყაზბეგის ბოლომდე შეუცნობელ ბიოგრაფიულ ეპიზოდებზე: „მისი ცხოვრების გზები და გადასავალი ჭეშმარიტად ლირს მის საქმედ. არც ერთი ჩვენი გარდასული მწერლის ცხოვრება არ სდგას ასეთ აშკარა გამოცანად. ყაზბეგის პიროვნება და მიწიერი მისი გზა გამოცანაა არა მარტო დაბოლოებით, როგორც

ვანო მაჩაბლის, არამედ თვით მის ბიოგრაფიულ დენაში. ის ჩვენ შორის იყო თავისი მაიმუნით, როგორც სუინბორნი. ის ლეკურს ცეკვავდა სცენაზე. ის, სანდრო ცირკეკიძის მთვარეულივით, ჩითის ფერად ნაჭრებს ალაგებდა თავის საწერ მაგიდაზე „დროების“ რედაქციის ზევით. ყაზბეგის მთელი მემკვიდრეობა მისი სიყრმის შთაბეჭდილებათა პრელუდია“ ალი არსენიშვილის ამ ესესთან დაკავშირებით მანანა ხელაია აღნიშნავს: „ჩალურსმული ოცნების კითხვისას არ შეიძლება არ მოგაგონდეს სანდრო ცირკეკიძის შესახებ ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ თქმული ზემოთმოტანილი სიტყვები, რაც ქართული ესეს პოეტიკის განსასაზღვრ ფორმულად გამოდგებოდა: აქ სანთელთან ერთად, რომელიც იწვის თავისთვის, არის საკმევლის სურნელიც. ეს სურნელია უმთავრესი. სწორედ ეს სურნელი განაპირობებს ალი არსენიშვილის ესეს სინატიფეს“.

ჩვენის მხრიდან დავძენთ, ალი არსენიშვილის შემოქმედების ესეისტური ნაწილი მართლაც გამორჩეულია არა-მარტო სინატიფით, არამედ პოეტიკითა და ზუსტი მიგნებებით, თვითშემეცნებითა და ორიგინალური განსჯით. მისი ლიტერატურული თანამოძმებისაგან განსხვავებით იგი ჯერაც სათანადოდ შეუსწავლელია.

საკამათო არ არის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისი ქართული მწერლობისათვის თვისობრივად საეტაპო ხანაა. ცისფერყანწელებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ამ ეპოქის ესთეტიკა, ლიტერატურული პროფილი. მათი არაერთგვაროვანი, ზოგჯერ ტენდენციური დამოკიდებულება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის დემიურგების მიმართ ახალი წესრიგის, ნაციონალური ვაკუუმისა და ესთეტიკური სრულყოფის სურვილით იყო ნასაზრდოები. მართალია, ძველი პოსტულატების უარყოფა ყოველთვის არ მიმდინარეობდა დაკანონებული ავტორიტეტების კრიტიკის გარეშე, მაგრამ

ყველაფერი ეს საფუძველშივე გამართლებული იყო იმ დიდი  
მისით, რომელსაც ქართული ხელოვნების განახლება უნდა  
მოეტანა. განახლების უწყვეტობის საკრალური რიტუალი  
შედეგიანად დასრულდა, ცისფერყანწელებმა წარმატებით  
გაართვეს თავი წინაპართა გავლენის სფეროდან გამოსვ-  
ლის პროცესს, სწორედ მეამბოხე შვილებმა გადაფურცლეს  
ქართული მწერლობის კიდევ ერთი ფოლიანტი, რადგან მააა  
ჯალიაშვილის თქმით, „მორჩილი მიმდევარი ვერასოდეს შე-  
ქმნის ახალს, ეპიგონები ფერს უკარგავენ ტრადიციულ ღი-  
რებულებებს, უამგადასული ფორმები აფერხებენ აზროვნე-  
ბისა და გემოვნების ჩამოყალიბების პროცესს“.

## გაუა-ფშაველა XX ს-ის დასაწყისის ქართულ ესეში

XX საუკუნის დასაწყისი ქართული მხატვრული აზრის თვისობრივი ცვლილებების წლებია. განახლების პათო-სით გამორჩეულმა ახალმა თაობამ პრინციპულად მოითხოვა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ცნობიერების შეცვლა. საქმე ეხებოდა ენის გადახალისება-გათანამედროვეობას, ტრადიციული ჟანრების რეკონსტრუქციისა და ახალი თემების გაჩენის საკითხს. საქართველოში ფორმირებას იწყებენ ეროვნული ლიტერატურული მიმდინარეობის ქართული მოდელები-სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის, ფუტურიზმის, დადაიზმისა და სხვათა სახით. ანალოგიური პროცესები იწყება ხელოვნების სხვა დარგებშიც. ეს ეხებოდა, უპირველეს ყოვლისა, მხატვრობასა და არქიტექტურას. ერთი სიტყვით, ეს იყო მრავალმხრივად რთული ეპოქა მისთვის დამახასიათებელი დაეჭვებით, გულგატეხილობით, კერპთა მსხვრევით, მაგრამ, რაც მთავარია, ძიებით. იმდროინდელი ხელოვანი ცდილობდა აღედგინა პიროვნული მთლიანობა, გარკვეულიყო თავის გაორებულ არსებაში და რაც შეიძლება ღრმად ჩაეხედა საკუთარ „მე-ში. ასეთი ინტიმურობა ხშირად ეგეცენტრიზმამდეც კი მიდიოდა, თუმცა სუბიექტურობასთან ერთად აშკარად იკვეთებოდა სწრაფვა საზოგადოებრივ-ეროვნული თვითშემეცნებისაკენ. სწორედ ამ პროცესების ნაყოფია ქართული ესეისტური ჟანრი.

ესე ევროპული მოვლენაა და მის სათავეებთან დიდი ფრანგი მოაზროვნე მიშენ მონტენი დგას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესეისტური აზროვნების წესებს ჯერ კიდევ პლატონის „დიალოგებში“ ვხედავთ და, საერთოდ, მონტენის წინადროულ ლიტერატურაში უხვად დაიძებნება ესეისტიკის

ცალკეული ელემენტები.

ქართულ მწერლობაში ესეისტური ჟანრის გაჩენას კ. გამსახურდიასა და პ. ინგოროვას სახელებს უკავშირებენ. საგულისხმოა, რომ ქართველ შემოქმედთათვის ძველთა-განვე მახლობელი ყოფილა პლატონისეული თავისუფალი აზროვნების წესი.

მანანა ხელაია წიგნში „ქართული ლიტერატურული ესე“ შენიშნავს, რომ ამ პოზიციაზე დაყრდნობით შეიძლება დასახელდეს თამარის ეპოქის დროინდელი ავტორის ნიკოლოზ გულაბერიძის „საკითხავი სუეტის ცხოველისა, კუართის საუფლოსა კათოლიკე ეკლესიისა, სადაც ავტორი თითქოსდა თავისუფლად, ძლიერი და წელში გამართული ერისშვილისათვის დამახასიათებელი სილალით გულწრფელად განსჯის ქართველთა უარყოფით მხარეებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესეისტური თვითშემეცნება მსოფლმხედველობრივად მაინც განსხვავდება იმ თვითშემეცნებისაგან, რომელსაც ქრისტიანულ ლიტერატურაში ვხვდებით.

ესეს ფორმაზე საუბრისას უპრიანი იქნებოდა იო-ანე ბატონიშვილის „კალმასობის“ დასახელებაც. სწორედ იმ დიალოგების გამო, რომელშიც მოჩანს ავტორისეული, პიროვნული მსჯელობები ერთი და იგივე მოვლენის შესახებ და წარმოაჩენს ორ განსხვავებულ პოზიციას. მსოფლმხედველობრივი წინამძღვრების მხრივ ესე ბევრით არის დავალებული XIX საუკუნის ქართული მწერლობის კრიტიკიზმზეც, მაგრამ ქართული ესეისტური ჟანრისათვის ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა ისეთი ისტორიული კატაკლიზმების ეპოქა, როგორიც იყო XX ს-ის დასაწყისი თავისი სისხლსავსე ლიტერატურული ემოციებითა და ინტენსიური ძიების პროცესით. ახლის განცდით, რუტინული ცხოვრების რღვევით. ერთიანი მიზნისაკენ მიმავალი გზები სხვადასხვა

ბილიკებად დაიყო, რადგან მომავალი ყველას თავისებურად ესახებოდა. ესე საუკეთესო საშუალება იყო აზრის პირდა-პირი, უშუალო გამოხატვისათვის, მოვლენის თავისებური, სუბიექტური თვალთახედვით შეცნობისათვის. მის მიზანს არ წარმოადგენდა დასკვნების გამოტანა. უმთავრესი აქ-ცენტი აქ ძირითადად გადატანილი იყო ავტორის შინაგან დიალოგზე. ერთი შეხედვით, ასოციაციური მსჯელობის გამო, ესე უსისტემობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა ეს თვისებაც კანონზომიერი იყო იდელთა მსხვრევის, რელა-ტივიზმისა და კრიტიკიზმის ეპოქაში.

ესე ევროპაში ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული განვი-თარების ხანაში იჩენდა ხოლმე თავს, ასე რომ, XX ს-ის დასაწყისის ქართულ მწერლობაშიც ესეს გაჩენა ლიტერა-ტურულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ის-ტორიული ფაქტორების შედეგია. პირველ ქართულ ლიტ-ერატურულ – ესეისტურ ნაწარმოებებში გამოიკვეთა თვითმყოფადი, თავისებური პროფილი – სწრაფვა ეროვნუ-ლი თვითშემეცნებისა და გაღრმავებისაკენ, გულწრფელო-ბისა და უშუალობის მოთხოვნის ტენდენცია. მნუხარებაში – ფილოსოფიურ სიმაღლემდე აყვანილი „ჭირთა თმენა“ და პირიქით, ლხენაში – განსაცდელის მუდამ შესამჩნევი არსებობა, წარსულისადმი განსაკუთრებული ესთეტიკური დამოკიდებულება და სხვ. ერთი სიტყვით, ესეისტიკის ზოგ-ადი პრინციპი – „ინტროსპექციის გზით – ზოგადად ადა-მიანის შემეცნებისაკენ“ 20-იანი წლების ქართულ ესეში ეროვნული თვითშემეცნების მძლავრ იმპულსებს ერწყმის. უდიდესი წილი ამ პერიოდის ესეისტიკისა მოდის კ. გამსახ-ურდიას, პ. ინგოროვას, გ. ქიქოძეს, დ. შენგელიას, ვ. კო-ტეტიშვილის, გ. ტაბიძესა და ქართველ სიმბოლისტებზე. ამ უკანასკნელებმა, როგორც ცნობილია, გამოამჟღავნეს მკვე-თრად კრიტიკული დამოკიდებულება XIX ს-ის ქართველი

კლასიკოსების მიმართ და მოითხოვეს მათი მხატვრულ-ეს-თეტიკური პრინციპების რევიზია. ერთადერთი პოეტი XIX ს – ის კლასიკოსებიდან, რომელიც გადაურჩა მათ განქიქებას და რომელსაც ისინი გულწრფელად აღიარებდნენ „მთისა და მწერლობის ბუმბერაზად“ გახლდათ ვაჟა-ფშაველა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მრავალმხრივი აღმოჩნდა ცის-ფერყანწელთა ერთ-ერთი ლიდერი და თეორეტიკოსი ტი-ციან ტაბიძე. ლიტერატურული სამყაროსთვის ცნობილია მისი ორი ესე ვაჟა-ფშაველაზე „ვაჟა-ფშაველა“, „დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა“. ისინი შესულია მწერლის გამოცემებში. თუმცა ბევრმა როდი იცის, რომ არსებობს ტიციანის კიდევ ერთი, 1922 წელს გაზირ „პახტრიონში“ გამოქვეყნებული ესე ვაჟა-ფშაველაზე, რომელიც რატომ-ლაც მის არც ერთ კრებულში არ არის შეტანილი.

ტიციან ტაბიძე ვაჟა-ფშაველას ასახელებდა საუკუნის ფენომენად და იგი საქართველოს ფენიქსისებრი განახლების საწინდრად ესახებოდა. მწერალი თვლიდა, რომ აღორძინებასა და დეკადანსას შორის მუდმივად „მორიალე“ ქართული მწერლობა სწორედ ვაჟასნაირმა გენისებმა იხსნეს. „თვით ფრანგებსაც კი შეშურდებოდა მისი მოვლინება – წერს იგი, რა სანახაობა იქნებოდა ფრანგი პოეტისათვის, რომელიც ეწვალა რონსარით, ვოლტერით, ბოდლერით, რომ წარმოიდგინოს ვაჟა-ფშაველას მთელი ბარბაროსული ძალა და უშუალო პოეტური სტიქია. ჩვენს დღეებში ასეთი სასწაული არავის ჯერა. ჭეშმარიტად, ვაჟა-ფშაველა მისტიური ნიშანია საქართველოს მეათეჯერ გაახალგაზრდავების.

ვაჟას მხატვრული ფენომენით თავდავიწყებამდე მოხიბ-ლული ტიციან ტაბიძე სიამაყით, ქართული ნიჭისა და აზრის უპირატესობით ადარებს მას ფრანგ და ქართველ პოეტებს.

ტიციან დაბიძის 1927 წელს დაწერილ ესეს უკვე განაფული ოსტატის ხელი ეტყობა. მას არასდროს გასჩენია აზრი

ვაჟას „ჩამორჩენილობაზე“, რომელზედაც არაერთგზის მიუ-  
თითებდნენ მისი თანამედროვენი. იგი ერთ-ერთი მათგანი  
იყო, ვინც კრიტიკის შაბლონისა და წინასწარ შემუშავებუ-  
ლი სქემების წინააღმდეგ გაილაშქრა და ვაჟა ფშაველას შე-  
ფასება ახალი კრიტიკოუმებით მოითხოვა. ჯერ კიდევ 1916  
წელს ტიციან ტაბიძე კრიტიკულად მიუდგა კიტა აბაშიძის  
მოსაზრებას ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის თაობაზე და  
სამართლიანად მიუთითა, რომ საქმე გვაქვს სიმბოლიზმის  
როგორც მეთოდისა და სიმბოლიზმის, როგორც სკოლის  
აღრევის ფაქტთან. მაშინ იგი ჯერ კიდევ ვერ ასახელებდა  
იმ მიზებებს, რომელმაც გამოიწვია ასეთი მცდარი მოსაზ-  
რებების ჩამოყალიბება. სხვათაშორის, იმ პერიოდში სიმ-  
ბოლისტებად დასახელდნენ მწერლები, რომელთაც ნამ-  
დვილად არაფერი ჰქონდათ საერთო ამ ლიტერატურულ  
სკოლასთან. ტიციან ტაბიძემ 1927 წელს მიაკვლია ამის  
მიზეზს: „ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად ნათვლას ალბათ ის  
უწყობს ხელს, რომ სწორედ მაშინ, ამ საუკუნის დასაწყისში,  
სიმბოლიზმი იყო მთავარი ლიტერატურული სკოლა, იყო,  
რომელმაც შეცვალა ნატურალიზმი და ნაწილობრივ რეალ-  
იზმი. ამიტომ სიმბოლიზმი აქამდე რჩება ერთგვარ ლიტ-  
ერატურულ განწყობილებად“. ტიციან ტაბიძემ იმთავითვე  
საეჭვოდ მიიჩნია ვაჟას სიმბოლისტობისათვის სიმბოლოებ-  
სა და ზოგიერთ პოეტურ სახეთა ხმარებაზე დაყრდნობა და  
მიუთითა ალეგორიის სიმბოლოსთან გაიდენტურობის სიმ-  
ცდარეზე.

ესეში ტიციან ტაბიძე ეხება ვაჟა-ფშაველას ლექსის  
ფორმისა და ენის საკითხებსაც და, რაც ყველაზე უფრო  
ყურადსალებია, იგი პირველად ქართულ სალიტერატურო  
კრიტიკაში ახდენს მთის პოეტების კლასიფიკაციას, ხოლო  
ვაჟას მათ მეთაურად მიიჩნევს. მასვე ეკუთვნის პირველი  
ფორმულირება დავით გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას

პოეტური ნათესაობის შესახებ. მართლაც, მრავლისმეტყველი ასპექტების მომცველია ამ ორი გენიოსის შეხვედრა. ესეისტის აზრით, მათ ანათესავებთ ორი მთავარი ხაზი – ეროვნული და ხალხური. ვაჟასა და გურამიშვილის პოეტური ურთიერთობის საკითხს შემდგომ ვრცლად შეეხნენ ალ. ბარამიძე, მ. ზანდუკელი, გრ. კიკნაძე, ლ. მენაბდე, ი. ივგენიძე, ტ. მოსია და სხვები.

შესავალში აღინიშნა, რომ ცივილიზაციის ზრდა, ურბანისტული საუკუნის დადგომა ხშირად ნოსტალგიით აღავსებდა ერთველ ესეისტებს. ასეთი სულიერი განწყობილების პირობებში დაიწერა 1915 წელს გერონტი ქიქოძის ცნობილი ესე – „ვაჟა-ფშაველა“. თამაზ ჭილაძე ერთგან აღნიშნავს, რომ გერონტი ქიქოძისთვის, როგორც მოაზროვნისათვის, ყველაზე მეტად ჭაბუკური მაქსიმალიზმია დამახასიათებელი. სწორედ ამ ენთუზიზმით შეეძლო ჩაეხედა მას საოცარ სიღრმეებში და მოულოდნელი ფორმით გამოეხატა სათქმელი. ამ მიზეზთა გამო ხსენებულ ესეში ბევრი რამ საკამათოა. თუნდაც მოსაზრება მისი ჩამორჩენილობის ან აზროვნების სიღრმის თაობაზე. თუმცა იქვე ესეისტი აღნიშნავს, იშვიათია მეორე ქართველი მგოსანი, რომელსაც ასეთი ინტენსიური შინაგანი ხილვა ჰქონდესო.

გერონტი ქიქოძე მართებულ დასკვნებს აკეთებს ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეების განსაკუთრებულობაზე, მათ მსოფლმხედველობაზე, მაგრამ ერთი ლიტერატურული სკოლის ფარგლებში ვაჟას მოქცევას მაინც თავს არიდებს. იგი არც სალექსო ხელოვნებას უქებს მას: „ლექსის ვირტუოზი არასოდეს არ ყოფილა. შალაშინი ყოველთვის აკლდა. არასოდეს არ გვანებია ზოგიერთ თანამედროვე მგოსანს, პირნმინდად გაპარსულს, თმადასუჭუჭებულს, პარფიუმერიით გამსჭვალულს, მაგრამ უკანასკნელ დროს უკიდურესობამდე მიიყვანა ტექნიკური ხალვათობა“.

ვფიქრობთ, გერონტი ქიქოძის ესეში ყველაზე უფრო მოჩანს ეპოქისათვის დამახასიათებელი კრიტიციზმი და ეროვნული ავტორიტეტისადმი მიმართული სკეპტიციზმი. მართალია, ესე საკმაოდ ნეგატიური შეფასებებით იწყება, მაგრამ, რაც უფრო ღრმად შედის ავტორი ვაჟა-ფშაველას შეფასებებში, მით უფრო აშკარად იკვეთება ამ „გრძნეული ლეჩაქის“ მატარებელი მგოსნის განსაკუთრებულობა, რომელიც მან უტილიტარიზმისა და რაციონალიზმისაგან შორს დგომით დაიმსახურა. პოზიტიური შინაარსის მიღმა, ჩვენი აზრით, მოჩანს გ. ქიქოძის მეორე „მე“ – ს დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველას პიროვნული მთლიანობასა და სიმჭკიცის მიმართ, მწერლის უპირატესობისა „სისხლნაკლ და ნერვიულ თაობასთან“. თუმცა აშკარაა ისიც, რომ გერონტი ქიქოძემ ბოლომდე ვერ შეაფასა ვაჟას „გონების უნივერსალობა“ და, ბუნებრივია, დღევანდელი გადასახედიდან ამ ესეში ბევრი რამ არის საკამათო.

1919 წელს გალაკტიონ ტაბიძემ თავის მოზაიკურ ესეში „ძვირფასი საფლავები“ აღნიშნა: „არავის არ შეეძლო ლიტერატურულ მასწავლებელთა პატივისცემა და მათი შეყვარება ისე როგორც ვაჟას. ის ყოველთვის მზად იყო მუხლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ არა როგორც მონას. ის ხომ თვითონ მეფე იყო, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი, ოქროს სფრიდა საკუთარი შტამპით“. ვაჟას დიდბუნოვნება აკაკის მიმართ, რომელსაც, ესეისტის თქმით, „არაფერი სწამდა ვაჟასი“, გალაკტიონისათვის დიდ ადამიანთა ცხოვრების ფრაგმენტია. უმთავრესი, რაც ამ პატარა ესეში ავტორს სურს რომ გამოხატოს, ვაჟას შემოქმედებითი სამყაროს ორგანული და დაკავშირია მის პიროვნებასთან.

მიუხედავად ახალთაობის თამამი დამოკიდებულებისა ეროვნული ტრადიციებისა და ავტორიტეტისადმი, ტიპურ ქართულ ესეს წარმოადგენს პაოლო იაშვილის „პოეტი

საქართველოში“. მისთვის უმთავრესი პრობლემა ქართულ ხასიათში თეატრალური მომენტის არსებობაა, რომელიც 1916 წელს ტიციან ტაბიძემ აღნიშნა თავის საპროგრამო მანიფესტში „ცისფერი ყანწებით“. თეატრალური პოზირება პაოლო იაშვილს ქართული ხასიათის აქტორების ქუსლად მიუჩინევია და ამის ერთ-ერთ მაგალითად აკაკის და ვაჟას ცხოვრებას ასახელებს. „ყველაზე გულშემზარავი იყო ბედი ვაჟა-ფშაველასი. ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნაყოფიერება, მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა როგორც „ჩხიკვი ზაქარა“ თვალმოხეული, ყველის სუნით გაუღენთილი, დაკონკილი ჩოხით, ფრჩხილებში მიწაგამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი, უგვირგვინო, ის ჭლექით დააკვდა საავადმყოფოს ლოგინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი“. ეს პასაჟი, მიუხედავად ქართველთა არტისტულობის მიმართ გამუღავნებული უარყოფითი დამოკიდებულობისა, სიმბოლისტი პოეტის ესთეტიკით არის ნაკარნახევი. უგვირგვინო, თვალჩამოხეული პოეტის ხატება მას სწორედ სიმბოლიზმის შემოქმედებითი პრინციპებისად-მი ერთგულებამ შეაქმნევინა.

უცხოეთში დაიწერა გრიგოლ რობაქიძის ესე „ვაჟა-ფშაველა“. ცნობილია, როგორ მიაწერეს ვაჟა-ფშაველას რობაქიძის „ლამარას“ ავტორობა, რათა ემიგრანტი პოეტი-საგან მტრის ხატი შეექმნათ და მისი სახელი დავიწყებას მისცემოდა. შესაძლოა, ამ ფალსიფიკაციას სხვა კონტექსტიც ჰქონდა – მავანს და მავანს არ ემეტებოდა დასაკარგად რუსთაველის თეატრში ანშლაგით მიმდინარე სპექტაკლი. „ვიღაცას“ სურდა „ლამარა“ როგორმე შეენარჩუნებინა. 1962 წელს მწერალთა კავშირმა გრიგოლ რობაქიძის სასო-

წარკვეთილი წერილი მიიღო, ასეთი გაყალბება ფაქტისა არა თუ ქართულ, მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიპოვება. მან მოახდინა კიდეც დეტალური შედარება „ლამარას“ და მის პირველწყაროდ მიჩნეული „გველის მჭამელისა“, თუმცა ეს მოგვიანებით. უფრო ადრე, 1922 წელს იგი ლექსს უძღვნის ვაჟა-ფშაველას, ხოლო შემდგომ კი ესეს. უმთავრესი, რაც გრიგოლ რობაქიძემ შესავალში გამოკვეთა, ვაჟა-ფშაველას თვითმყოფადობა და სხვადასხვა სკოლათა, ლიტერატურულ მიმართულებათა ფარგლებში მისი მოქცევის შეუძლებლობა იყო. შეგახსენებთ, რომ ამასვე აღნიშნავდნენ ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე და სხვ. გრიგოლ რობაქიძემ ვაჟას შემოქმედებით აზროვნებას უწოდა მითოლოგიური „გველის მჭამელი“.

ავტორის შემოქმედებით ჩანაფიქრს გრიგოლ რობაქიძე სამყაროს მთლიანობისა და წინააღმდეგობის პრინციპიდან გამომდინარე ხსნიდა. „სამყაროში შესაგრძნობია მტკიცნეული წყვეტა. ყოველი ნაწილაკი გენებისა მიიღწვის საკუთარი თავის დამკვიდრება-განმტკიცებისკენ სხვათა გარეთ და სხვათა წინააღმდეგ“. პოემის ტრაგიკული სიმფონია, ესეისტის აზრით, მინდიას სრულქმნილებაა ცოდნითა და განცდით, მისი ფაქიზი სული განიცდის მსოფლიო ტრაგედიას, რადგან ეს სამყარო თავისი ყოფით ტრაგიკულია. სრულიად ლოგიკურია ესეს ავტორის ჩანაფიქრი – ფშავის მთებში შობილი მინდიას ცხოვრებისეული დრამა დაუკავშიროს იბსენის პოემის „პერ გუნტის“ მხატვრულ სახეს, რადგანაც მასში ისევე, როგორც მინდიაში, იბრძვის ორი ძალა – ბუნებრივი და ზებუნებრივი. „ამ ძალთა ორთაბრძოლაა მთელი დრამა, სადაც მტანჯველი პროცესია ასახული პიროვნულობის ჩამოყალიბება-ხორცშესხმისა“.

გრიგოლ რობაქიძის „ვაჟა-ფშაველა“ ექვსნაწილიანია. სხვათაშორის, იგი სცილდება მხატვრულ-პუბლიცისტურ

უანრს და, როგორც მწერლისათვის დამახასიათებელია, ინაცვლებს ფილოსოფიისა და მითოლოგიის სამყაროში. ავტორის ინტერესს განსაზღვრავს არამხოლოდ მინდიას ფენომენის ტიპოლოგიური თავისებურებების შეცნობა, არამედ მარადიული თემის „მსოფლიო ტრაგედიის“ აღქმაში ქართული მხატვრული აზროვნების შესაძლებლობები. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ესეს ჟანრული სპეციფიკის ერთ-ერთი მახასიათებელი – ყოვლისმომცველი დაინტერესება, რაც სრულიად ლოგიკურია ისეთი ფართო ერუდიციის მქონე მწერლისათვის, როგორიც გრიგოლ რობაქიძეა.

როდესაც XX საუკუნის ესეისტურ მემკვიდრეობას გადავავლებთ თვალს, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიჩნდება და უნებურად გახსენდება ტიციან ტაბიძის მსჯელობანი ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველას დაგვიანებული კანონიზაციის შესახებ. ეს განწყობილება ლიტერატურული აზროვნების ისეთ ჟანრსაც დატყობია როგორიც ესეა.

სანდრო ცირეკიძე ერთ-ერთ ესეში „პოეტი და მკითხველი“ აღნიშნავს: „პოეტს გენიოსს უნდა შეხვდეს მკითხველი გენიოსი“. ქართული ლიტერატურულ სამყაროს იმჟამად არც ერთი აკლდა და, ალბათ, არც მეორე, მაგრამ ეს მოცემულობა, ჩვენი აზრით, რენესანსის დროინდელი იდეალების ჰარმონიულობისა და სრულქმნილობის მსხვრევამ, აღიარებული ფეტიშებისადმი სკეპტიკურმა მოპყრობამაც განაპირობა. ქართველი ესეისტები სხვა ხელოვანზე საუბარს თავის შემოქმედებით კრედიტოსთან მიმართებაში ანარმობდნენ და შემთხვევას არ უშვებდნენ, რათა თავიანთი იდეალი, გემოვნება წარმოეჩინათ. ყოველი კონკრეტული ობიექტი საკუთარი შთაბეჭდილებებისა და პოზიციის მიხედვით შეემეცნებინათ. რასაკვირველია, უახლესი ქართული ლიტერატურის ტენდენციებსა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ

ღირებულებებზე საუბრისას შეუძლებელია, არ გაითვალისწინო ესეს მნიშვნელობა. XX საუკუნის დასაწყისში მისთვის მკვეთრად დამახასიათებელი გულწრფელობითა და ნონკომფორმიზმით, მაძიებელი ინდივიდუალიზმითა და თავისუფალი განსჯით ესე უსათუოდ იყო ქართული მწერლობის განახლების ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი.

## **ლადო კოტეტიშვილი – სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ**

„შეუძლებელია განმარტო ბედი, ის მხოლოდ შეიძლება ჭვრეტით განიცადო“ – სიცოცხლის ფილოსოფოსთა შორის ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიური მოაზროვნის ოსვალდ შპენგლერის ეს მაქსიმა აუცილებლად აგეკვიატება ლადო კოტეტიშვილის ბედისწერაზე საუბრისას. შემოქმედის ბიოგრაფია არ შეიძლება იყოს ლოგიკური, გამაღიზიანებლად დავარცხნილ-მოწესრიგებული. შემოქმედის ბიოგრაფია ადამიანურ ხილვათა ისტორიაა და იმ სასწაულთა რიგს მიეკუთვნება, რომელმაც რაღაცით უნდა გაგაოცოს. ლადო კოტეტიშვილის ბიოგრაფიულ ნარატივზე საუბრისას უჩვეულო თითქოს არაფერია. პრაქტიკოსი ექიმია, ნევროპათოლოგი. შუა საუკუნეების ქართული მედიცინის ფასი იცის, მედიცინის ისტორიის პოპულარიზაციასა და შენახვაზე ირჯება – „უსწორო კარაბადინს“, „წიგნს სააქიმოს“ და „იადგარ დაუდს“ გაუცოცხლებს საქართველოს. უჩვეულოდ უფრო ის მოჩანს, რომ იგი გვიანობამდე იკეტება თავის ოთახში და ოჯახის წევრებმა ეჭვად იციან, რატომ. უცნაური ის არის, რომ მისი ლიტერატურული გატაცების ამბავი მხოლოდ 2012 წელს გამოიწონავს და 1940 წელს გარდაცვლილი შემოქმედის მოთხოვნები „ლიტერატურულ პალიტრაში“ იბეჭდება. უურნალის რედაქტორი – ზაალ ჩხეიძე გაოცებას ვერ მაღალს: „უნდა მოვყვე, როგორ ჩამივარდა პირველად ხელში მისი ტექსტები, პირველად როგორ დავიბენი და არ დაგუჯერე საკუთარ თვალებს“ და შემდგომ დასძენს: „ცოტას თუ გამოუვა ხელიდან ეგრე მითოსური, ზღაპრული და თან დამადამბლავებული ტექსტები“.

ამ გაოცებას ვერც მე დავმალავ. თითქმის ოთხმოცი წლის წინ გარდაცვლილი შემოქმედის მტვერმიყრილ

ტექსტებში ქართული მოდერნიზმის ისტორიის კონტურები იღვინდება და იგი უფრო ამკვრივებს, ამთლიანებს ქართული ესთეტიკის დუღაბში გამოტარებულ ამ უცხოტომელ „იზმს“. ვანლერ დაისელის, იგივე ივანე ბაბუაძის სომნაბულისტური ტექსტების შემდგომ ლადო კოტეტიშვილი არის ჩემი მორიგი განცვიფრება, მოსალოდნელი მოულოდნელობა, რადგან ქართულ სამწერლობი ნიჭიერების საბაბი ჩვენს ქვეყანაში არასოდეს გამოილევა. ლადო კოტეტიშვილის ნიჭი კი მრავალგზის უნდა ვახსენოთ – ის არის ნიჭიერი ექიმი, ნიჭიერი მკვლევარი მედიცინის ისტორიისა, ფლობს რუსულ და ფრანგულ ენებს, არის ნიჭიერი მწერალი და მხატვარი, მარტო ვაჟა ფშაველას პორტრეტული ქანდაკება რად ლირს, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში ინახება. როდესაც გარდაცვლილი ვაჟა ფშაველა, როგორც ტიციანი იტყოდა „მთისა და მწერლობის ბუმბერაზი“ ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა, ლადო კოტეტიშვილმა მეგობრებთან ერთად დამე გაუთენა მას, ჩანახატიც მაშინ გააკეთა და სახლში მისულმა ვაჟა ფშაველას ბიუსტი გამოაქანდაკა.

პირქუში, მდუმარე, ვაჟაცური იერის ლადო კოტეტიშვილი თავის უზარმაზარ მკერდში საოცრად ჩვილ გულს ატარებს, ავადმყოფებს სახლშიც იღებს და უკიდურესად გაჭირვებულებს სამკურნალო რეცეპტებთან ერთად ხშირად წამლის ფულსაც აძლევს.

თავის მოსაზრება აქვს შვილების აღზრდაზე, საოჯახი აღზრდის მომხრეა და თვლის, რომ სკოლები ბავშვების სულს ამახინჯებენ, მას უსათუოდ საბჭოთა სკოლების ექნებოდა მხედველობაში. რეპრესიებმა ლადო კოტეტიშვილის თვალწინ ჩაიარა. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა დროსთან გარიგება, კომუნისტური პარტიის წევრებს სახლში არ უშვებს, კრძალავს სახლში რუსულად და განსაკუთრებით შერეულად, რუსულ – ქართულად საუბარს. სახლში ულა-

მაზესი თანამეცხედრე, მაყაშვილების სახელოვანი გვარის ნინო ჰყავს – მკვიდრი ბიძაშვილი მარო მაყაშვილისა, კო-ჯორთან რომ დალია სული ბოლშევიკებთან ბრძოლაში. აი, ამიტომაც იკეტება გვიანობამდე თავის კაბინეტში, „წითელი დროშების ელვარებამ რომ ბევრს დაახუჭინა თვალები, ბევრს გაუხეთქა გული ამ საზარელმა სანახაობამ“, ამიტომაც უნდოდა თავის სახლში მაინც არ ენახა საიდანლაც მოსული „შავი ხალხი“ „შეკრული შუბლითა და სისხლიანი თვალებით“. განიცდის, მის მშობლიურ ტფილისს ლავასავით რომ მოედო ეს შავი მასა. ვახუშტი კოტეტიშვილი აღნიშნავს, დედისგან მოსდგამდათ სიჯიუტე კოტეტიშვილებს, მაგრამ „არა ადამიანურ ურთიერთობებში, არამედ ისეთ საკითხებში, რაც სინდის-ნამუსს, კაცურ ზნეობას, მსოფლმხედველობრივ მრწამსს და სულიერ სიმაღლეებს ეხებოდათ. აյ მათი მომდრეკი და მომთოკავი ძალა არ არსებობდა. პიტალო კლდეები იყვნენ, პირქუშნი და ხშირად ხორკლიანიათ. ამ თვალსაზრით, ლადო ყველას აჭარბებდა. ეს დიდი, კეთილი გოლიათი „გადამქუხარი ქოჩით“, „ჩოფურა სახითა და არწივისებური მზერით“ ძმის ვახტანგ კოტეტიშვილის დაპატიმრების შემდეგ მისი შვილებისთვის იყო პატრონი და მოამაგრე.

1922 წელს ლადო კოტეტიშვილი თავისი სურვილით ხულოს რაიონში სოფელ ლორჯომის საექიმო პუნქტის გამგედ ინიშნება. ახალგაზრდა ენთუზიასტი მხოლოდ 27 წლისაა. იგი უბის წიგნაკში ინიშნავს ემოციით სავსე აჭარულ შთაბეჭდილებებს, მეოხე ხდება არამხოლოდ სნეულთა და დავრდომილთა, თავისი „გულქართლობით და რაინდული ბუნებით არწმუნებს აჭარლებს, რომ თბილისი ფიქრობს მათზე“ და ამით საქართველოს მთლიანობას დასტრიალებს თავს. სიკეთეშიც შეუვალია, ღარიბ პაციენტს რეცეპტსაც გამოუწერს და თავისი ფულით ნაყიდ წამალსაც გამოაყოლებს.

„უსწორო კარაბადინზე“, „წიგნს სააქიმოსა“ და „იადგარ დაუდზე“ პეტერბურგის ხელნაწერთა საცავის ნესტიან, გაყინულ სარდაფში გამაოგნებელი სიჯიუტით მუშაობს,

გაცრეცილ ხელნაწერებს ჩაჰავირკიტებს. პეტერბურგიდან მეუღლეს ნინოს მოსწერენ, წაიყვანეთ, თორემ ამ კაცს მუშაობაში ამოხდება სულიო. ასეც მოხდა, 45 წლისა გარდაიცვალა 1940 წლის სუსტიან თებერვალს, სწორედ იმ თვეს, როცა 70 წლით დააძინეს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა...

ესეც მისი ბედისწერიდანაა, მაგრამ საცნაური იმის გასაგებად, თუ რატომ იკეტებოდა ლადო კოტეტიშვილი გვიანობამდე თავის კაბინეტში. ახლა ის გვიამბობს მასზე, წიგნად რომ შეუკრავთ მის ქალიშვილს ნანა კოტეტიშვილსა და შვილიშვილს ნათია ხორნაულს, მის რედაქტორებთან – ზაალ ჩხეიძესთან, გიგი ხორნაულთან და მანანა ჯანელიძეს ერთად. ახლა ცხადზე ცხადია, რომ მისი სახით ქართული მწერლობის ისტორიის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შეივსო. წიგნს გემოვნებიანი რედაქტორების ხელი ეტყობა. ლადო კოტეტიშვილის საოცრად მეტყველ, ფიქრიან, შავ-თეთრ ფოტოს, როგორც ვახუშტი კოტეტიშვილი აღწერს, „უკომპრომისო მზერით,“ მეგობრისადმი გაგზავნილი წერილის ხელნაწერი მოყვება: „მე ვცდილობ მხოლოდ ვიყო ადამიანი სრულქმნილი, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკება, რომელიც მაღალი კლდიდან რომ დააგორეს, ძირამდე ისე ჩაგორდა, რომ არამც თუ არ გატყდა, ერთი ნაკვთიც არ შეშლია – რატომ? იმიტომ, რომ სწორეთ იყო გაკეთებული. ადამიანიც ისე სწორეთ უნდა იყოა აშენებული, რომ რანაირ პირობებში არ უნდა იბრუნოს, არც ერთი ნაკვთი გონებისა და ზნეობისა არ უნდა დაკარგოს-არსად არ უნდა გაიბზაროს“. ეს წერილი გასაღებია, საძირკველია მის სამყაროში შესასვლელად, სახელმძღვანელოა მისი მთავარი სათქმელის

გასახსნელად. ლადო კოტეტიშვილის მხატვრული საუფლო, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურობასთან ერთად, წილნა-ყარია იმ პერიოდის ესთეტიკასთან, რომელიც განიცდიდა მოდერნიზმის გავლენას და ამავდროულად ქმნიდა მის ნა-ციონალურ სახესხვაობას ქართულ მწერლობაში.

ყველასათვის ცნობილია, რომ „XX საუკუნის გარიურაჟზე ქართული ლიტერატურა შინაგანი აუცილებლობით მივი-და მოდერნისტული პოეტური კულტურის ათვისებამდე“. რომელმაც ფაქტობრივად თავდაყირა დააყენა აქამდე არსებ-ული ლიტერატურული სტერეოტიპები და პოეზიის პარნასზე დაიწყო ნამდვილი „კერპთა მსხვევა“. იმ პერიოდში არსე-ბული ლიტერატურული სტერეოტიპების რეკონსტრუქციის სურვილი გამოავლინეს არამარტო ცალკეულმა ავტორებმა, არამედ ლიტერატურულმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც თეორიულად იმსჯელეს ამ განახლების აუცილებლობაზე და მზა ფორმულების, მანიფესტების სახით შესთავაზეს სა-ზოგადოებას თავიანთი პოსტულატები.

თეორიული განაზრებების პარალელურად, იქმნებოდა რომანის, ლირიკისა და დრამის შედევრები. ასახვის ცენ-ტრმა გადაინაცვლა გარედან შიგნით, მაკრო-კოსმოსიდან – მიკროკოსმოსში. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა პიროვნების პროპლემამ, რომელიც მოდერნისტების აზრით, ორ განზომილებას შორის იყო მოქცეული. მათ ადამიანის ყოფა დააკავშირეს კოსმიურ სტიქიასთან, რაც ლიტერა-ტურულ გმირებს ანიჭებდა რაღაც ამაღლებულს, მაგრამ ამავდროულად ფეხქვეშ აცლიდა რეალიზმის ნიადაგს. მოდ-ერნისტებმა სამყაროს ესთეტიზებასთან ერთად დეესთეტი-ზების ტენდენციაც გამოამჟღავნეს. განსაკუთრებული ფუნ-ქცია მიენიჭა მითს. მითის მეშვეობით ისინი ეხმიანებოდნენ იმ წარსულის გმირებს, რომელთაც მათთვის განსაკუთრებ-ული ესთეტიკური და იდეური მნიშვნელობა ჰქონდა. ლადო

კოტეტიშვილი თავის მხატვრული ხელწერით ამ ეპოქის შვილია. ეპოქის, როდესაც მითი და სიმბოლო სრულიად განსხვავებული ცნებების აღმნიშვნელად იქცა. მითი გახდა ერთ-ერთი ცენტრალური ცნება მწერლობაში და მის-დამი დამოკიდებულება ხდება საკრალური, იგი განიხილება როგორც მარად ცოცხალი საწყისი. ფრიდრიხ ნიცშესა და ბერგსონის, ზიგმუნდ ფრონიდის მიერ საფუძველჩაყრილი ეს დამოკიდებულება მითისადმი ქართულმა მწერლობა ისე შეისრუტა, როგორც გვალვისაგან დამზრალმა მიწამ წყალი. და ეს არ იყო მხოლოდ მოდური ტენდენცია, ეს იყო აუცილებლობა, რათა 37 წლის მოლოდინით და შემდგომ მისგან დადალულ მწერლობას მითის საფარქვეშ მაინც შეენარჩუნებინა სათქმელი.

ლადო კოტეტიშვილის მოთხოვების სათქმელი დიდხანს განისვენებდა საიდუმლოდ. რატომ არ იბეჭდება და რატომ პასურობს ეს ნიჭიერი კაცი იმ პერიოდისათვის? ამის პასუხად ისევ ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თქმული მისი „უკომპრომისობის“ ამბავი გაგვახსენდება. ლადო კოტეტიშვილი როგორც ჩანს, ერთდროულად ვერ ახერხებს სოცრეალიზმის კონიუნქტურული ვერსიების შექმნასა და „ერთ ზარსა და ათიათას იმედზე წერას“. ვერ ათავსებს ერთ წიგნში იბერიის და საპჭოთა სამშობლოს სიყვარულს. „მისი სიმაგრე ეშვის, სქელტანიანი მუხის, ათასჯერ ნაწრთობი ფოლადის“ ვახუშტი კოტეტიშვილმა მოკლედ ასე გამოხატა – „უკომპრომისო“. ხოლო რას ნიშნავდა ეს 30-იან წლებში, ყველას კარგად. ამისათვის მიხეიდ ჯავახიშვილის გახსენებაც იკმარებდა. იდეოლოგიურ ორსახოვნებას ლადო კოტეტიშვილმა ლიტერატურულ პარნასზე დუმილი არჩია, თავისი მოთხოვები დალუქა და საიდუმლოდ დატოვა მისი სანგრძლივად განმარტოების მიზეზი. და ეს არ იყო შიში, რომელსაც დიდი თვალები აქვს, ესეც თავისებური პროტეს-

ტი იყო იმ რწმენით, რომ არაფერი დარჩებოდა ამქვეყნად დაფარული და ეს პროფეტულობაც მისი ნიჭიერების რიგი-დანაა.

ლადო კოტეტიშვილის „კეთროვანთა ზღაპრებს“ საფუძვლად არც ერთი ცნობილი მოთოლოგიური ნარატივი არ უდევს. ეს არის ახალი მითი იმ პერიოდისა, როცა ძველი საკრალური მითები ხანგრძლივი და არაერთგვაროვანი გზის გავლის შემდეგ თანამედროვე მითოპოლიტიკურ ნარატივად გვევლინებიან. როცა რაღაცას ერთგულებენ და რაღაც კარგავენ, მაგრამ ინარჩუნებენ სულიერ-საკრალურ საწყისს. ვინაიდან, უკვე გამოითქვა მოსაზრება ლადო კოტეტიშვილის კავშირზე მოდერნიზმთან, რომელსაც ჩვენც დავეთანხმებით, ამ საკითხზე მაია ჯალიაშვილის ცისფერყანწელებზე გამოთქმულ მოსაზრებას დავიდასტურებთ: „ცისფერყანწელები დაეძებდნენ ისეთ სახეებს, რომლებიც იძლეოდნენ მარადისობის წინათგრძნობას. მათ აღარ აკმაყოფილებდათ ძველი მითები და თქმულებები, მათ შექმნაში ხომ თვითონ არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი კი შემოქმედებას

მიელტვიან, თვითონ სურთ იყვნენ პოეტური ქვეყნიერების მხატვარნი თუ ამშენებელნი.“

ნამდვილად, იმხანად თანამედროვე პოეზია ნაკლებად იყენებდა წარმართულ და ქრისტიანულ სახეებს. ცისფერყანწელების მითი, რა თქმა უნდა, არ იყო მითი ტრადიციული გაგებით. ეს იყო მითი, რომელიც მათი პოეტური სამყაროს გამართლებად იქცა. ლადო კოტეტიშვილის „კეთროვანთა ზღაპრები“ სწორედ ასეთ მითოლოგიურ ქარგაზეა აგებული. მთავარი ჩანაფიქრი სწორედ ამაში დევს. „ქვაზე ნაქანდაკებ ასოებივით გამძლეა ფიქრები შორეულზე“ – ასე იწყებს ავტორი თხრობას და პირველივე ფრაზაში მოგვანიშნებს განზრახვაზე- თვითონ მიიღოს მონაწილეობა ახალი მითის შექმნაში, რომელიც მარადიულ სულიერ-საკრალურ საწ-

ყისსზე იდგება ქართული რეალობისათვის. გველიანდარის მოდგმისა და იბერიის სამეფოს ამბავში „ქალდეას ქალაქების“ სევდა იკვეთება და იმის შეხსენებაა, თუ როგორ დარა-ჯობდა ქართველობა თავის მიწას, როგორ მიიჩნევდა ამას წმიდანმინდა მოვალეობად. ავტორის სიმბოლური ჩანაფიქრი იქ იხსნება, სადაც აუზის გარშემო შემოკრებილ ხალხზე საუბრობს, ჯადო აუზთან დაავადებული ადამიანები იყრიან თავს. „ეთრმოდებული ხალხი, ათაშანგმოდებული ხალხი, კანგაცევნილი, ჩირქით სავსე მუცლებითა და ტვინით, დამპალი ლრძილებით, ავ ზნეში გაბრაზებული სხეულების გრეხა ირგვლივ. მთელ ჰერეთიდან ამ აუზთან მოჰყავდათ ყველა მანკიერი, დამპალი პირიდან ლოცვა იღვრებოდა მოწითალო თუ მომწვანო წყალში. ამ ლოცვებით ამ წყალში გაბანილ ტანს – მზეზე იწვავდნენ. ავადმყოფობას და კანს ერთად წვავდა ჰერეთის მზე. ჩირქეგამოცლილი სხეულები ხალისით იჭედებოდნენ. ახალი სისხლი და ახლი რწმენა ერთად ჩნდებოდა მოდუნებულ სხეულში. იკურნებოდა ხალხი და ბრუნდებოდა მადლიანი მზით და წყლით, აუზით – ჯადო აუზით. ყოველ შუალამეს კეთრმოდებულ აუზში მთვარე ვარდებოდა, როგორც უკანასკნელი კეთროვანი“. დაავადებული ადამიანების ხსნა ჰერეთის ჯადო აუზში განბანვაა. ამ აუზთან ასოცირდება ამ „ილაჯგანყვეტილი ხალხის“ ბედნიერება. ეს აუზი ჰერეთშია. „ვინა თქვა სულ პირველად სიტყვა ჰერეთი, სახელი, როგორც სიტყვაში ჩავარდნილი მზე, მორკალული უთვალავ ფერებში“ - კითხულობს ავტორი. და პასუხს იქ განვითარებული ნარატივში ასახავს. თერიას, მაიმახის და სახელგანთქმული გმირის ლადურის სასიყვარულო სამკუთხედიც კი კარგავს სიმძაფრეს იმ კონტექსტან, რომელიც აქ იმალება და ის მხოლოდ სიუჟეტის შესაქმნელადაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ამბობს: „ქვეყანას წლები აბრუნებს, წლებს – ქვეყანა და

ორივეს სიყვარული“. „ქვეყანა, დრო და სიყვარული უნაპირობა“.

1939 წელს დაწერილ ამ მოთხრობაში საბჭოთა კეთრით დაავადებულ ადამიანთა ხსნაზეა საუბარი. სულიერი და ფიზიკური რეპრესიების ეპოქაში გმირის ძიებისა და ქვეყნის ხსნის მითო-ალეგორიული გააზრება ერთადერთი გამოსავალია სათქმელის გამოხატვის. გრიგოლ რობაქიძის გავლენის მიუხედავად, რომელიც გამოიხატება მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელ ლაკონურობაში, ფრაზის სისხარტეში სათქმელის მკვეთრად მოჭრასა, სახელდებითი წინადადების გამოყენების ჩვევაში, განსაკუთრებულად გტაცებს თვალს ლადი კოტეტიშვილის სიტყვათქმნადობა და მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებები, რომელიც ამ გავლენის მიუხედავად, საავტოროა. მხატვრული სტილის ძიების სურვილი და კიდევ – გამიჯნვა სტანდარტულისაგან, იმხანად მართლაც ხდება „პოლიტიკურად ოპოზიციაში მყოფ შემოქმედთა ერთგვარი ნიღაბი, არასასურველი იდეოლოგი-ისაგან გამმიჯნავი და დამცავიც.“ ენობრივ საფარქვეშ ამ განწყობის ამოკითხვა ძნელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ „კეთროვანთა ზღაპრებში აშკარად იგრძნობა გრიგოლ რობაქიძის სტილური ნიუანსების გავლენა, ლადო კოტეტიშვილის დამოკიდებულება ენისადმი მოტივირებულია ამ პროტესტით-მას სურს განცდას დაუძებნოს შესაფერისი სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვა იმავდროულად “ქვე-ფენების“ არსითაც დატვირთოს.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: „იყო ჰერეთის ასული სურაია. ქალი – პინანდარის დერო რძიანი. წელი – ნორჩი კვიპაროზის, რხეული, გამოხედვა-ჩარუხი, გაღიმება – ლოტოსის, სითეთრე და სიმკვრივე ნედლი, გაფქვნილი ნიგვზის, ტუჩები მწიფე ლელვის სუნისა და ფერის, ტკბილი. ღვინონ-არევი მოქნილობა და თრთოლვა-გაფრენილი ისრის, ბოლო-

დამძიმებული რომ მიქრის, ალბათ სინანულით“. „იყო და არა იყო რა, იყო ჰერეთში ხალხისშვილი-სახელგანთქმული გმირი ლადურ, ვინ შეეჯიბრებოდა ლადურს მთელს ჰერეთში? ურთხმელასავით მოქნილი სხეული, მზით დამწვარი, სავსე სისხლით და ღონით, ჟინით, შვიდისფერი კუნთები მუდამ აწიოკებული, ავარდნილი, კუთხიანი ტანი, გამოხედვა და ნახტომი ძუ ვეფხვის“.

ნაწლობის – ხევსურთა სიყვარულის ტრადიციის: „ლვთიურ არს სიყვარულ; ხორციელ იგემებ — მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ ქართული კუთხური ტრადიციებიდან ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ამოუცნობი ფენომენის სიმბოლიზაციაც იმ საკრალურთა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც ლადო კოტეტიშვილთან ერთმნიშვნელოვნად მისტიურთან ერთად ეროვნული, ნაციონალურის გამოლვიძების დატვირთვაც აქვს. ნაწლობის ეროტიულ სცენები: „ცხელი კუნთების რხევა, წვა, ორმაგი ცეცხლი გარედან და შიგნიდან“, „მუხის ტოტებივით გაშლილ მკლავებზე ჩამოჰკიდა ათრთოლებული სხეული“, აქვეა ვეფხვთან მებრძოლი გმირის მოტივიც, ლადურის ვეფხვებთან ბრძოლის და გამარჯვების მისტიკური და ირაციონალური სცენაც.

გავლენაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ლადო კოტეტიშვილის მხატვრული სტილი ერთგვაროვანი არ გახლავთ. გავლენის ამპლიტუდაც მერყევია, რადგან მის მოთხოვნაში „გოჩმანა“ ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები გრიგოლ რობაქიძის გავლენას შორდება, თუმცა „პატარა ადამიანის ბედი“, ორი ეპოქის გზისგასაყაჩიერ მდგომი ტფილისი მისი თანმდევი სევდით და ადამიანის სულიერი ტრანფორმაციის თემა გამაოგნებელი ოსტატობით არის ნარმოსახული. ეს ოსტატობა განსაკვიფრებელი მარტო იმ მოულოდნელობითაც არის, ლადო კოტეტიშვილის, როგორც მწერლის აღმოჩენას რომ ახლავს და მიუხე-

დავად ამ პრობლემის გააქტიურების ისტორიისა ქართულ მწერლობაში, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილს და უფრო ადრე, ვფიქრობ, ეგნატე ნინოშვილს უკავშირდება, ლადო კოტეტიშვილის „გოჩმანა“ამ ციკლის მოთხოვნათა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს. მხატვრული აზროვნების კონცეპტუალურ – ფილოსოფიური იერით, მხ-ატვრული ოსტატობით, გმირის მოქმედების მნიშვნელობა-თა ამოხსნის შესაძლებლობით, რომელიც კარგად ჯდება ამ ნარატივში. ამ ერთსიუჟეტიან მოთხოვნაში მთავარი და ერ-თადერთი გმირი გოჩმანაა. მის პორტრეტის ხატვისას ლადო კოტეტიშვილი მწერალია, სანდო და უტყუარი. ამ პორტ-რეტით შეყავხარ პატარა ადამიანების სამყაროში. „დაბალი ტანისა იყო, ელამი. მარცხენა თვალი ზედ ცხვირზე ჰქონდა დაკრული. მარჯვენა კი სულ მუდამ მოძრაობდა, კანკალებ-და. სახე ჰქონდა გაჭაჭული, ცხვირი ჯერ გატეხილი. მერე სახეზე დაჭყლეტილი, ულვაშები მარტო ტუჩის კუთხეებთ-ან, ისიც თითო-ოროლა ღერი. თუ ვინმე შეეკითხებოდა – ჲა, გოჩმან, რასა იქ, როგორა ხარ, მაშინ იმისი სახე ხე-ლახლა ასაწერი ხდებოდა“. გოჩმანა ყოველთვის „სიცილის და მასხარაობის საგანია“, მას არც დედა ახსოვს და არც მამა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი ,ღვთისაგან და ერის-გან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას იწყებს. არც მეტი არც ნაკლები – სიონის ეკლესიის მნათე ხდება. წირვის შემდეგ ეკლესიის ტალახისგან გაწმენდის მისი გულწრფელი სურვილი მღვდლისგან ყურადღებას იმსახურებს და წახა-ლისებულია. ამ დღიდან იწყება გოჩმანას ტრანსფორმაციის პროცესი. ამ გარდაქმნაზე თხრობა პერსონაჟის ფსიქოემო-ციური ყოფისა და ისტორიული გარემოს გათვალისწინებით მიმდინარეობს, რადგან ამის გარეშე გოჩმანას მისია ვერ გამოიკვეთება.

მიუხედავად პატარა ადამიანის პრობლემასთან სიახლო-

ვისა, ლადო კოტეტიშვილის ჩანაფიქრი განსხვავებით მიხეილ ჯავახიშვილისა, აյ სხვა დატვირთვას ატარებს. მან იმ ეპოქის სული უნდა აგრძნობინოს მკითხველს, 1921 წლიდან ადამიანთა ცნობიერებიდან სიონის ზარის მნიშვნელობის გამოდევნა და წალექვა რომ დაიწყო. ეს სახითათო ტენდენცია გოჩმანამ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო სიონის ტაძართან, როცა ეკლესია მაგრად დაკეტილი და დაცარიელებული დახვდა. „ხომ გრიახავთ ძველი ტფილისი. უღრან ხევებში გადაჩეხილი ათიათასი ბებერი დედაკაცივით არის ჩამოკიდებული, დაბერებული და ხავსმოდებული სახლები. გამოწელილი ქუჩები ბრმა გველივით არის დახლაკნული სახლებს შუა... აյ ამ ტფილისში, ამ ბაითებით და დასნეულებულ. მეტისმეტი სიბერით აკანკალებულ სახლებს შუა. მედგრად არის ავარდნილი ძველი სიონი. იმისი განიერი და მაღალი ჩრდილი თითქმის შუამდე სწვდება მთელს ტფილისს. სიპი კედლების სიმტკიცე და სიმკვრივე ჩაკირულია ათას საუკუნეთა ქროლვებით, ღმერთი თუ როდისმე დადიოდა დადიოდა ქვეყანაზე, ალბათ ღმერთსა და ხალხს შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ამ სახლებსა და სიონს შორის. ამ განსხვავების გარდა, სასწაულიც იყო; ალბათ, სახლები რომ ძველდებიან, უსათუოდ ინგრევიან. სიონი კი რამდენიც ძველდება, იმდენი მტკიცდება და მაგრდება. მაგრამ ყველაზე ძლიერი და ბუმბერაზი ისევ სიონის ზარის გუგუნია. ყოველ დილით მიწა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშით და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს სიონის ზარია“. გოჩმანა, რომელსაც მაცხოვარი ესიზმრება, თანდათან მაღლდება იმ საქმისთვის, რომელიც ბედისწერამ დააკისრა. იგი სიონის მნათე ხდება და როცა პირველად გადმოხედავს ტფილისს იმ სიმაღლიდან, სიონის ზარის რეკვით ამაღლებული და ღირსებაგაღვიძებული თავისთავს უტყვდება „დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ“.

სიონის ზარი სიმბოლოა საქართველოს ისტორიის, მისი ეროვნული იდენტობისა და გამძლეობის და როცა „ტფილ-ისი აპრუნდა, ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმ-სხვრა ამ ბრუნვაში. წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალები, ბევრს გაუხეთქა გული ამ საზარელ-მა სანახაობამ, საიდანლაც მოვიდა შავი ხალხი, შეკრული შუბლით და სისხლიანი თვალებით და ქვეყანას რისხვით დაემუქრა“...სრულიად ნათელია მწერლის სათქმელი – „ამ გაუთავებელ ბრუნვაში ძველი ტფილისი შუაზე გადატყდა. ახალგაზრდა ტოტებმა იწყეს გამხმარი ფოთლების ანი-ავება. ძველი ამ დროს მოჭრილ მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი. ახალი ტფილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, ახ-ალი ხალხით. შრომა, როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო, რადიო. სიმღერები, დაკვრ-ითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი ინ-დუსტრიალიზაცია, კიდევ ტემპები, გაგიუება შრომით და შრომაში. მებრძოლი ულმერთოები. აქ ღმერთებს ყოველღამ ასამართლებენ.“

ლადო კოტეტიშვილის ამ მოთხრობას აჩრდილივით, უხილავი მსაჯულივით მიყვება ძველი თბილისის სევდა, სა-დაც მებრძოლ ულმერთოებს მოყოლილი დროის ტრაგიზმი და გაორება გორმანას ისტორიაშია გაშლილი. „სოციალ-იზმისაკენ გაჭენებული ცხოვრება“ ფარავს ძველი თაობის „დარდებს დიდ ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე“, „გაუთავებელი წუწუნს ცოდვების მიტევებაზე“. მწერლის მიერ აღქმული ორი სინამდვილე „ერთის მხრივ, ახალი ცხოვრება, ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, შრო-მით, ინდუსტრიით. მეორეს მხრივ ძველი თაობა – ლოცვით ბევრი ლოცვით და სინანულით. ახლის მხარეზეა ათიათასი საწარმო იარაღი. ძველის მხარეს კი ერთი ზარი და ათი ათა-სი იმედი“ – ამბობს ავტორი. სიონის ზარის ხმა თანდათან

აბრაზებს სოციალისტური შრომით გადაღლილ ხალხს. ის ზედმეტი ხდება, ზარის ხმა კი არა „ზარის ლითონი სჭირდებოდათ მძიმე ინდუსტრიალიზაციისათვის“. მალე სიონთან ნიჩბიანი და წერაქვიანი ხალხი გამოჩნდება. მოთხოვობაში ზარის ჩამოხსნის სცენაში დევს მტკიცებულებები იმ განაჩენისთვის, რომელიც ამ ეპოქას გამოუტანა ისტორიამ. „ხალხმა უბრალოდ შეამტვრია კარები და ხმაურით აცივდა სამრეკლოს კიბეებზე“: გაცეცხლებული გოჩმანა, რომელიც ექსტაზით რეკავს ზარს, არ ანებებს მას გავეშებულ ბრბოს, არ ცხრება და გაიძახის: „უნდა დავრეკო მაშ, ზარი ჩვენია, მაშ! ზარი ღმერთისაა, მაშ, ღმერთი ჩვენია, მაშ!“.

გოჩმანას სამრეკლოდან გადმოაგდებენ. „ბევრი უარეს გარშემო, ბევრი სინჯეს, მაგრამ ვერც ერთი ხერხით ვერ მოახერხეს ზარის მოხსნა. შემდეგ ბევრი აღარ უფიქრიათ, აანგრიეს სამრეკლოს გვერდი, გადაჭრეს სვეტები და დომკრატებით ანეული ზარი პირდაპირ ქუჩაში გადმოაგდეს, სიონის ზარი არაჩვეულებრივი სიმძიმით რომ დაენარცხა მინაზე, ისეთი ხმით დაიკვნესა, რომ მინაც კი ინძრა რისხვით. სამი დღე და ღამე ეგდო ზარი გამოფაშულ სამრეკლოს ძირში. აუარებელი ხალხი უვლიდა გარშემო ამ ზარს, რომელიც უზარმაზარი ნადირივით ეგდო მინაზე, დამარცხებული და დამცირებული, მაგრამ ამ ზღვა ხალხში არავინ, გოჩმანს მეტი არ განიცდიდა ამ საქმის ტრაგედიას“. ეს ეპიზოდი საკვანძოა ამ მოთხოვობისათვის. მწერლის მიმართება ახალ დროსთან და მისი პიროვნული ტრაგიზმიც აქ იკვეთება. რწმენის კრიზისმა ბევრი რამ განსაზღვრა ახალი დროების იდენტიკაციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ „ტფილისში სიცოცხლე მაინც დუღდა. ტემპები მაინც არ ნელდებოდა: სოციალიზმისაკენ გაჭერებულ ცხოვრებას ვეღარ აშინებდა ჰალუცინაციები, სიცხე და თავბრუ. არც გოჩმანას სიგიჟე აწუხებდა ქვეყანს.“

აშკარად ჩანდა. რომ ეს სიგიუჟ და გაგიუება ვერ იხსნიდა ძველ ტფილისს სამუდამო დამუნჯებისაგან ძველი სიონის დიდი ზარის დამსხვრევის შემდეგ“. ეს საფინალო აბზაცი საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს მწერლის სათქმელს.

ძველი დროების და ძველი ტფილისის თემით შემოდის ლადო კოტეტიშვილი თავის მოთხრობაში „მიმქრალი ჩრდილები“. ძველი ალბომების, დანგრეულ და გარდასულ დროებათა ფერშეცვლილი ხიბლით, ძველი და ახალი თბილისის კონტრასტული პეიზაჟებით, სასოწარკვეთილი ირონიით: „ტფილისი სხეული ხარის ფაშვივით არის გათრეული და გამოთრეული ათას ხევებში, სინდიყის მძივივით აგორებული და აფერადებული ორი მთის შუა. წელზე შემორტყმული მტკვარი ყარაჩოლური ვერცხლის ქამარივით მძიმე, მღვრიე, განიერი. დღეს ტფილისში ისეთივე სასაცილოა, როგორც წითელ სასადილოში იოანე ნათლისმცემლის ფრესკა“. ასეთია ლადო კოტეტიშვილთან „ბედი მდევრისგან“ განაწირი ტფილისი, „ტფილისი კვდება ტფილისში“, „დრო აქრობს და ანგრევს ტფილისის ჩრდილებს ასე უბრალოდ, სადად, სასაცილოა უკანასკნელი ფურცლები ძველ ალბომში-ისევე სასაცილოა უკანასკნელი მზერა ვიწრო ფოლორცების, ვიწრო ქუჩების და ელამ ჩრდილების ძველ ტფილისში“. ამის მიუხედავად ლადო კოტეტიშვილს აქვს უნაზესი განცდა ამ წარსულის, აქვს რწმენა, რომ რევოლუციური ქარტებილებით დამდგარი ნგრევის განსაცდელსაც გადაიტანს დედაქალაქის უძველესი კოშკები. მან იცის, რომ მარადიული წრებრუნვის მისტიკურ პროცესში „ქვა და კირი ახლდებიან ამ დროს. ღონე ემატებათ ჩაკირულ ძარღვებსა და მუხლებს...და მიუხედავად ნიადაგის ძლიერი რყევისა, ძველი კოშკები როდი აპირებენ დანგრევას“. ძველი კოშკები მისთვის სიმბოლოა ისტორიული წარსულის, რომლის ჩაჭრას ცდილობენ. ამ მკვიდრი ნაციონალური ბალავრის მოშლის

მცდელობას იგი კანონზომიერად უპირისპირებს თავის რწ-  
მენას და ისტორიულ გამოცდილებას. ტფილისი უნდა გად-  
აურჩეს დროებას, სადაც „ძალლებს ყეფა გადაავინყდათ,  
ისევე როგორც ახალ ხალხს ლოცვა“. ამ მოთხოვნაში ძველი  
ტფილისის სახეა მექუდე მიხაკა, რომელიც მისი ერთ-ერთი  
უკანასკნელი ჩრდილია. მწერალი ოსტატურად ტვირთავს  
მისი რეალური ყოფის ასოციაციებს ფარული მნიშვნელობით  
და არ უშვებს შესაძლებლობას, ძველი ტფილისის მოტივ-  
იც ბოლშევიზმის არსის გამოსამზეურებლად გამოიყენოს.  
უნდა აღვნიშნოთ ტფილისის პეიზაჟებისა და მისი არქაული  
სულის ლადო კოტეტიშვილისეული ფერწერა: „სახლები ისე  
არიან ერთმანეთზე მიკრული, როგორც პატარა მტრედები  
ბუდეში“, „წელში მოღუნულ ბოძებს გაჭირვებით უჭირავთ  
გაზმორებული აივნები“ „ქუჩები ბებერი დედაკაცის თითე-  
ბივით არიან მოკაკული“, „ფერადი ძაფის გორგლებივით  
დაგორავენ და დახტიან პატარა ბავშვები“ „დამწვარ კუნძე-  
ბივით სხედან მოხუცებული დედაკაცები“. „მწარედ დაძახ-  
ებული ბათი იყლაპებოდა ზომაზე მეტად გაღებულ სასაში,  
საიდანაც გაკბეჩილ მაჟალო ვაშლივით ცვიოდა პირმომტ-  
ვრეული სიტყვები“.

მიუხედავად სიძველისადმი პურიტანული ერთგულებისა,  
ლადო კოტეტიშვილი ინარჩუნებს პრაგმატიზმს კანონზომ-  
იერი ეპოქალური ცვლილებების მიმართაც. მისი სულიერ-  
ინტელექტუალური გამჭრიახობა აძლევს მას საშუალებას  
იყოს ობიექტური განათებული ქალაქის მიმართ. ამიტომაც  
დევს მოთხოვნაში მოძრაობის მარადიული იდეაც, თუმცა  
მოძრაობის ვექტორის მიმართ ეჭვი მის არც ერთ მოთხოვნა-  
ში არ ნელდება: „ამისი თქმა ისევე ძნელია, როგორც იმისა,  
თუ რომელი სჯობია, ნარიყალას ურყევი კოშკები თუ იმათი  
ბუმბერაზი ჩრდილები...მე კი მგონია, რომ ჩრდილები უფრო  
ძლიერები არიან იმით მაინც, რომ ისინი მუდამ მოძრაობენ

და მოძრაობა ხომ თავდებია ყოველგვარი სიძლიერის – სიძლიერე კი პირველი პირობაა სილამაზის. “

ლადო კოტეტიშვილის წიგნში თავის ფსიქოლოგიური ნარატივით, ადამიანური ყოფიერების განაზრებით უაღრესად შთამბეჭდავია მოთხრობა „საგიუჟეთში“. როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიური ჟანრის ნოველების შემოტანა ქართულ მწერლობაში შიო არაგვისპირელის სახელს უკავშირდება. მოგვიანებით მას კვალში უდგება მიხეილ ჯავახეშვილი.

ლადო კოტეტიშვილის ეს საკმაოდ ვრცელი მოთხრობა დაწერილია 1927 წელს. ნაწარმოებს აშკარად ეტყყობა პირადი პროფესიული გამოცდილების კვალიც, რომელმაც მისცა საშუალება ავტორს ასეთი სიმძაფრით, ემოციურად გადმოეცა ადამიანური ყოფიერების სიღრმე, რომელიც „საგიუჟეთის მღელვარე, ზედმეტად მღელვარე მყუდროების“ მიღმა იმაღლებოდა. საგიუჟეთი მისთვის „საიდუმლო და საშიში ქვეყანაა“, და ნაწარმოების მთავარი გმირი მიდის იქ, რათა დაძლიოს ეს შიში, ჩაწვდეს იმ ადამიანების საიდუმლოს, რომლებიც კარგავენ გონების ლოგიკას და მხოლოდ გულის ლოგიკის ანაბრად რჩებიან. ადამიანები ხშირად ყვებიან თავიანთ ისტორიებს, მაგრამ როგორია მათი მონათხრობის ინტერპრეტაცია და კოდირება, გაანალიზება და მათი საზრისი? მოთხრობის გმირი მიდის საგიუჟეთში, რათა არ გამოიტანოს სწორხაზოვანი დასკვნები და სულიერი გამოცდილება შეიძინოს. ნახოს, ვის ხელშია ადამიანების ბედი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს იმხანად უკვე ჰქონდა მძაფრი პროტესტის გრძნობა არამარტო ფსიქიატრიული საავადმყოფოების არაპროფესიონალიზმის, არამედ მათი არამიზნობრივად გამოყენების მიმართაც. ყველამ ვიცით, როგორ იყენებდა საბჭოთა ფსიქიატრია აღნიშნულ დაწესებულებებს არასასურველი ადამიანების თავი-

დან მოსაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 1927 წელია, შესაძლოა პირველი ჩანასახები უკვე არსებობს და გარდა ამისა, „სიგიურ, ჭლექი და მალარია“ პოსტულატებივით მიყვება ქართულ მწერლობას.

ზირან ზვიადაძის სახელს ამოფარებული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სულიერად დაავადებულთა ისტორიებს ისმენს, რომლებიც კარგად გადმოგვცემს ადამიანების დროში განფენილი ცხოვრების საზრისს. ავადმყოფთა პერსონიცირებული ნარატივი შენიღლული გზავნილებია, მაგრამ მათ არავინ უსმენს. ამ მოთხრობის კითხვისას მაინც გრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორის ჩანაფიქრი მხოლოდ მხატვრული არ არის, იგრძნობა, რომ იგი აზროვნებს როგორც ექიმი, რომლის მკურნალობის მეთოდი არ ჯდება იმდროინდელ სტერეოტიპებში. მკურნალობის მეთოდები, რომელიც უსამართლობაზე, ძალმომრეობასა და ზედაპირულობაზეა ორიენტირებული, მისთვის მიუღებელი და მტანჯველია. „ნეტავ ვიცოდე, რა ფორმის გიუ იყო იყო ის კაცი, რომელმაც პირველად მოიფიქრა სულით ავადმყოფი კაცის ასეთი დაუნდობელი და უგუნური წესები“.

მოთხრობაში რამდენიმე ადგილას მაინც იგრძნობა პროზაში სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი მანერულობაც. „რა ვიცოდი, რომ აკრძალული იყო ფიქრი იმაზე, რაზედაც არავინ ფიქრობს“. ზირან ზვიადაძე ხშირად კითხულობს „ამოუცნობი ქვეყნის მოქალაქეთა დღიურებს“, ერთგან აუცილებლად მოგაგონდება ტიციან ტაბიძის ადრეული პროზა „ნაწყვეტი დღიურიდან“. სიყვარული, ღალატი, მკვლელობა, სიგიურ, ტკივილი უპირობოდ თანაარსებობენ ერთად. „ქალები უბეგახსნილები იმიტომ დადიან, ვითომ გველი არ უზით უბეში. გჯერათ? ნუ იტყუებთ თავს. სიკვდილი თქვენზე ჭკვიანია, თქვენზე გაუმაძლარი“. მოთხრობის

სიუჟეტი ფაქტობრივად იმ დრამატული ისტორიებისგან შედგება, რომელსაც სულით დაავადებულები ყვებიან და ეს ტრაგიზმი იკარგება პათოლოგიურ ანატომიური დაკვნების, კლინიკური სურათის, პათოლოგიური ანატომიის, დეპრე-სიული ფსიხოზის და სხვა სპეციფიკური ტერმინების მიღ-მა. ეს ადგილი ღმერთსაც კი დავიწყებია.... „ღმერთო, შენ გარყვენი ადამიანი შენი სათნოებით, შენი მოთმინებით!, მერე ვის ასწავლიდი მოთმინებას? მონებს, რომლებსაც ისე-დაც ბევრი ჰქონდათ ეს რაღაც სულელური მოთმინება?“ – მოთხრობაში გაშიშვლებულია არაცნობიერი, გაშიშვლე-ბულია სიმართლე. ფსიქიატრულ საავადმყოფოში პირველყ-ოფილი ადამიანის გულწრფელობით ამბობენ იმას, რასაც ჭკვიანები მალავენ. ერთ-ერთი პაციენტი ზირანს ეუბნება: „გეფიცები, ზირან, აქ ყოფნა მირჩევნია იმ გაიძვერა თავა-ზიანობას, იმ მიწაზე ხოხვას სახელისა და ფულისათვის, იმ ხელზე კოცნას მზაკვრულად, მე მირჩევნია შეფურთხება, ლანძღვა, გინება და კივილი, უსაზღვრო კივილი, აი ,აქ, საგიუჟეთში, ყველას გასაგონად: – ეი, თქვენ ჭკვიანებო, ყვე-ლანი სტყუით! თქვენ, პროფესორებო, ექიმებო, ნასწავლო ხალხო, ყველანი სტყუით! მეცნიერების ყველა დარგი დიდხ-ანია გამოყენებულია კუჭისთვის და ჯიბისთვის. არც ერთი თქვენი საქციელი არ არის გულწრფელი...“

ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „საგიუჟეთში“ გრძნო-ბათა სიმძაფრით ედუარდ მუნკის ცნობილ ნახატს „კივილს“ მოგაგონებს. თუკი შეიძლება პროზის ფერწერაში ჩასხმა, ის უთუოდ გამოხატავს ამ მხილების დრამატიზმს, რომელსაც ზირან ზვიადაძე სულიერად დაავადებულებისგან ისმენს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „სულით ავადმყოფობა როგორც ავადმყოფობა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ჭკუის, გრძნობების და მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობა“. ეს დასკვნა მხოლოდ მხატვრული ტექსტისთვის განკუთვნილი

სიმართლე არ არის, ამაზე ლადო კოტეტიშვილი, რომ და-  
ცლოდა აუცილებლად იფიქრებდა როგორც პროფესიონალი,  
ახალი აზროვნების ექიმი, ჰუმანური, კაცომოყვარე, რომ-  
ლისთვისაც „სარდინკას“ ტიპის პროფესორები იმ რეალო-  
ბის კეთრი იყო, რომელსაც თავის დროზე დაუმალა მისი  
შესანიშნავი მხატვრული ტექსტები. მაგრამ „არ არსებობს  
დაფარული, რომ არ გამოჩენდეს, და არც რამ საიდუმლო,  
რომ არ გამჟღავნდეს“.

ლადო კოტეტიშვილის ადგილი უკვე მოინიშნა ჩვენი  
ეროვნული მწერლობის ისტორიაში.

## **ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტები“ – სახელმწიფო პატრიოტიზმის გააზრებისათვის**

მეოცე საუკუნის საქართველოს გრძნობადი რეალობის სახელდება „ხელმწიფის ნავში“ მსხდომ ხელოვანთათვის ყოველთვის შეუძლებელი იქნება. ამ პოსტულატს კონტრარგუმენტი არ დაეძებნება. არგუმენტების ძიება მათი მხატვრული მატიანის სარეაბილიტაციოდ ერთობ რთული საქმე გახლავთ და მიუხედავად დროუამისა, სამიზნედ ყველა როდი გამოდგება. ყველა ეპოქაში ხელოვანის სინდისტე ბევრად იყო დამოკიდებული ჭეშმარიტებასთან მიახლების ადამიანური თუ სახელმწიფოებრივი ბედნიერება. „მე არც პოლიტიკოსი გახლავართ, არც დიპლომატი, არც რაიმ ჩინოსანი სახელისუფლო, არც არლეკინი ვარ რაღა თქმა უნდა, მე არა ვთამაშობ, ვარ მაყურებელი სინამდვილისა“ – მოკრძალებულად იტყვის ამ ნამუსიან ხელოვანთაგან ერთერთი. გავა დრო, სხვათა და სხვათა ხელმწიფობის უამს ნაგრძნობ-განცდილი 2014 წელს ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტების“ ქუდქვეშ ერთად მოიყრის თავს, სადაც კომფორტული შესაძლებლობა გეძლევა საფუძვლიანად იგრძნო ოთარ ჩხეიძის პროფეტულობა და დროის მიღმა მდგარი სიმართლე, კიდევ ერთხელ დარწმუნდე, რომ მნერალმა აღიარებამდე ბევრი რამ უნდა გადაიტანოს. არც იმ რეალობამ უნდა დააფრთხოს, როცა სიცრუეს უმრავლესობა იზიარებს და არც იმან, რომ მასებისგან შელანდულს შესაძლოა „ჯვარზე გასვლა“ მოუხდეს.

ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთ სტატიაზე „სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა“ ვასილ კიკნაძე აღნიშნავს: „სანთლით რომ ეძებოთ, ასეთ სტატიას ვერ წაიკითხავთ. თუ ვინმებ იცის, როგორი გზა გაიარა ბატონმა ოთარმა, ერთი იმ-

ათგანი მეცა ვარ. ყოველი მისი ნაწარმოები მთავრობისა და მის მომხრეთა გაღიზიანებას იწვევდა მუდამ. პიესების დადგმა ხომ მთელი პრობლემა იყო. ჩვენს თანამოაზრეობაზე ბატონმა ოთარმა არაერთხელ დაწერა და მეც მოვიგონე ბევრჯერ. ახლა აღარ მინდა გავიმეორო. ბატონი ოთარი ყოველთვის იყო დისიდენტური აზროვნების მწერალი. მართალი სიტყვის ეშინოდა მთავრობას, სიტყვას ძალა ჰქონდა, დღეს არავის ეშინია, არც ფასი აქვს მართალ სიტყვას. მაშინ გმირობის ტოლფასი იყო მისი მწერლობა. დღეს ყველაფერი გაიოლებულია. ვისაც გინდათ, იმას უწოდებთ დიდ მწერალს, დიდ ხელოვანს, თუ სურვილი გაქვთ – გენიოსსაც“. ჩვენი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს ოთარ ჩხეიძის შემოქმედების შესაფასებლად მონიშნული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი – დროულად დანახული და გამუდავნებული სიმართლე, თორემ დღეს, ღირებულებათა გაორებისა და დემოკრატიზმის ეპოქაში, მართლაც რომ დაკარგვია სიტყვას ფასი და არც სიმართლის თქმა მოჩანს დიდ რაინდობად. ოთარ ჩხეიძისა არ იყოს, „სიცრუის მხილება აუცილებელია – იქვე, იქავე!... თუ გაგეშვათ, ვეღარც დაიჭერთ, ამოპხეთქავს ღვარძლი და ძირმწარა, ამოპხეთქავს, ვეღარას უშველით“.

ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტები“ სიცრუის მხილებისათვის გაღებული კიდევ ერთი ღვაწლია, რომელიც „ჩემი ხატია სამშობლოს“ ფუნდამენტურ პრინციპებზეა აგებული. მისი იგნორირება ქართულმა მწერლობა ვერც ერთ ეპოქაში ვერ შეძლო. ვერც მოდურმა „იზმებმა“ და ვერც ლიბერალურმა ღირებულებებმა ვერ შეძლო ეს თავდაცვითი კოდი ამოეგდო ქართული ცნობიერებიდან და ვინაიდან ოთარ ჩხეიძეს ამ სულიერი მემკვიდრეობის მიმართ არასოდეს დაუკარგავს პასუხისმგებლობა, ის ბოლომდე დარჩა ერთგულ მეციხოვნედ ამ სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანი კულტურული კოდისა. მწერლის ავტორიტეტიდან გამომდინარე, წერილების კრებულში „პოლიტიკური აქცენტები“ სენსიტიურობა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების მიმართ მოულოდნელი არ უნდა იყოს. არც ამ სწეულებათა განსაკურნებლად მიმართული მისი სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა და საფუძვლიანად გამყარებული რეკომენდაციები იწვევს გაკვირვებას. ეს არის ერთობ განსხვავებული, ქართული რეალობისთვის ადეკვატური განაზრებანი სახელმწიფოსა და ეროვნულობის სიმყარისათვის. რუსული პოლიტიკის ფენომენის გავლენით დაწყებული, ალიბევლოს თეატრის მნიშვნელობით დამთავრებული, ყველაფერი რასაც ეხებოდა ოთარ ჩხეიძის კალამი და რაც ხშირად, ჩვენდა საუბედუროდ, ვერ ხვდებოდა სახელისუფლო ვერტიკალის თვალსაწირში გახლავთ ის, რაც მაშინაც და ახლაც მიზანმიმართულად ძირს უთხრის ხოლმე სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ცნობიერებას.

საქართველოში დემოკრატიულ-ლიბერალური გადასახედიდან უტოპიურ იდეად არის სახელდებული სამეფო-მონარქისტული ხელისუფლების მოდელი, რომელსაც მწერალი ერთგულებდა. ამ მოდელის უპირატესობას იგი წერილში „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის ასაბუთებდა“. სწორედ ამ წერილით იწყება „პოლიტიკურ აქცენტები“ და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს – ოთარ ჩხეიძის აზროვნების მასშტაბურობისა და ლოგიკურობის აღსაქმელად ეს კარგი დასაწყისია. სახელმწიფო წყობილებაზე სჯანს ეტაპობრივად მოჰყვება ამ სახელმწიფოში მცხოვრებ „მწიგნობართა“ მორალურ ვალდებულებებსა და მათი საბედის-წერო ამბიციებზე, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ-ურნალისტთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე მსჯელობა. ასეთ დროს აუცილებლად გაგახსენდება ჯავაპარლალ ნერუს ცნობილი გამონათქვამი, ყველაზე საშიში

ქვეყნისთვის კოლონიალიზმის დროს გამოზრდილი

ინტელეგენციაა. 1990 წელს ოთარ ჩხეიძე საბჭოთა რე-ალობიდან გამომავალ საქართველოს სახელმწიფო წყობის თაობაზე თავის ფიქრებს უზიარებდა: „თუ რამე უშველის საქართველოსა, საღი, ამაღლებული ტრადიციების აღდ-გენა უშველის. ტრადიციები ისტორიაა, ისტორია ცხოვრე-ბაა ერისა, ერის სიცოცხლე ტრადიციების სიცოცხლეა“ და შემდგომ დასძენდა: „მეფეა აქ აუცილებელი, ის დიდი რო-მანტიკაა აუცილებელი, რაც ჯერ კიდევ რო შემორჩენილა ჩვენს ხალხში და რაც სამეფო საქართველოს უკავშირდ-ება“. შემოდავების მოლოდინში მწერალი მოკრძალებულად აღნიშნავს, ჭკუს სწავლებად ნურავინ ჩამითვლისო, თუმცა პარლამენტური სამეფო ხელისუფლების იდეა აქ ისეა დას-აბუთებული, რომ ისღა დაგრჩენია ნაკლი მხოლოს ზნეო-ბრივად მყიფე ქართულ საზოგადოებაში ეძებო. საზოგადოე-ბაში, სადაც „ლიდერომანია მოდებულა, იტყვი: მიმდევარი აღარ არის იმდენი, რამდენი ლიდერიც რო გამოკვეთილაო. ყველა ის ლიდერი პრეტენდენტია ტახტისა. ტახტი ერთია. დასატევია მხოლოდ ერთისა. და იმა ერთს რო შესევია ყვე-ლაი, სარმას უდებენ ერთამანეთსაცა“. ამ საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე ითარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტების“ ერთ-ერთ მთავარი სატკივარი და სამიზნეა. მის სააზროვნო სივრცეში დოკუმენტური სიზუსტით ჩნდება ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად მოწოდებული პოლი-ტიკური და კულტურული ელიტა, რომელსაც უმაღლესი ინდექსი უნდა ჰქონოდა ვალდებულებებისა ქვეყნისა და სა-ზოგადოების წინაშე, თუმცა იმ საბედისწერო შეცდომებს უშვებდა, რომელიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერე-ბლად ანგრევდა ერის მენტალურ მთლიანობას. „მოვლენებს მეტი დაკვირვება უნდა“ – აფრთხილებდა მწერალი, მაგრამ შურისძიებისა და პირველობის უინით აღტყინებულთათ-

ვის ყველა არგუმენტი შეუსმენადი აღმოჩნდა და მწერალ-მაც მათი ასეთი ფსიქოპორტრეტი შემოუნახა შთამომავ-ლობას: „წითელი ინტელეგენცია, სასეირო გადაქცეულა, თვითონვე დაირქვეს და საამაყოდაც დაირქვეს: დიდადაც ამაყობდნენ, გაიფუნენ და იქცნენ მაშინვე სამარცხვინოდა განათლებითა ზერელეთი, უზრდელობითა, უტიფრობითა: ბოროტებადაც იქცნენ უმწვავესი ვნებითა შურისძიებისა, მრისახანებითა, დაუნდობლობითა. აი ინტელეგენცია. წი-თელი ინტელეგენცია, თავს რო ილამაზებდა ნაირგვარი ზიზილპიპილითა, იმშვენებდა, იკოპნიებდა და რო გაშიშვლ-და უეცრადა, გატიტვლდა, გატიტლიკანდა 90-იანი წლების გარიურაჟიდანვე იმა უბედური XX საუკუნისა, გატიტლი-კანდა და ალარცა ცდილობს, ანთუ რაიმე აიფაროს, ანთუ სადმე რო შერგოს თავი სირაქლემების ჩვეულებისამებრა. თავხედობა ხო სანიმუშოა მაგათი, სიძულვილი უსაზღვროა, ზომაც არა აქვთ შურისძიებისა, მოჰკლეს, გაანადგურეს, არაკმარობენ, უნდა ამოძირკვონ ძირფესვიანადა“.

1992 წლის დეკემბრის სამარცხვინო, ტრაგიკულ მოვლე-ნებს ოთარ ჩეხიძე არაერთხელ მიუბრუნდება თავის წერი-ლებსა და რომანებში, არაერთხელ მოაქცევს თავისი მხატ-ვრული სიტყვის ქსოვილში ამ „არტისტული გადატრიალების“ დრამატულ ეპიზოდებს და ბევრ თავსატესს გაუჩენს მის რე-ჟისორებსა და შემსრულებლებს. ეს ამონარიდი კი იმ წერილ-იდანაა, რომლითაც იგი 2001 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაციის იდეას გამოეხმაურა. შეფერხება ამ იდეისა, როგორც თავად აღნიშ-ნავს, სწორედ „შემოქმედებითმა და სამეცნიერო ინტელე-გენციას“ ეცადა. ამ დროისათვის მათ უკვე მოეხერხებინათ მისი და როსტომ ჩხეიძის „დასჯა“ ზვიად გამსახურდიაზე შექმნილი ისტორიული რომანისა და ნარკვევისათვის. ოთარ ჩეხიძის წერილის „ეს განწირული სულისკვეთების“ კითხ-

ვისას საოცრად მტანჯველი განცდა გეუფლება – ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შავი შუქჩრდილები, ადამიანური ზნეობის მატიანე, რომელმაც ისტორიის ეს მონაკვეთი შვა. „ითქვა მიზანი რეაბილიტაციისა, თორემ ზვიად გამსახურდიას სარეაბილიტაციო რა უნდა ჰქონდეს?!“ – კითხულობს ოთარ ჩხეიძე, „იტანჯა და მოკვდა მოწამეობრივი სიკვდილითა“ – დასძენს და იქვე განმარტავს, ორად გახლეჩილი ქართული საზოგადოების გამთლიანებისათვის მოაზრებული ამ პოლიტიკური აქტის მნიშვნელობას. ამ გამთლიანებას დაუფრთხია სწორედ „საზოგადოების ფართო მხარდაჭერის“ ცრუ მოტივით მომართული ცხრა ინტელეგენტი, რომლებმაც ამ პროცესის შეჩერება მოითხოვეს. წერილში დასახელებულია მათი რაოდენობა, თუმცა მწერალი არ ასაჯაროვებს მათ გვარ-სახელებს. ალბათ იმიტომ, რომ კარგად იცოდა, საიდან იმართებოდა მსგავსი წინააღმდეგობანი, იცოდა ისიც, რომ დრო მათ თავის ალაგს მიუჩენდა და მთავმინდის მიწა მათ არასოდეს მოისაკლისებდა. მისი ტკივილიანი ფიქრები შინაურთა მტრობის გამანადგურებელ ძალას დასტრიალებდა. გარეშე მტერს რა გამოულევდა საქართველოს, მას ინტელეგენციის მტრობის საფრთხე აშფოთებდა, „მწიგნობართა“ ლალატის ფასი იცოდა: „ფრთხილად, ბატონებო, ფრთხილად, ხელისუფლება თუ გაგინირიათ, გეშინოდეთ სახელმწიფოს დაქცევისა. გეშინოდეთ. სახელმწიფოც თუ აღარად უღირს, რაღა დააოკებს „საზოგადოების ფართო მხარდაჭერასა?!"

1992 წლის დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების აქტს და მის შედეგად ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაში მავნე ჩვევებად დამკვიდრებულ პოლიტიკურ თვითრეგულაციებს ოთარ ჩხეიძე მოვლენების განვითარების კვალდაკვალ, 2003 წელს გამოეხმაურება წერილში „ბატონო ვახუშტი“. „რაღაც მინდა გითხრათ“ – ასე იწყებს იგი

წერილს და მოლოდინი იმისა, რომ ეს

რაღაც ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნისა და ქართული ცნობიერებისათვის, რომ ოთარ ჩხეიძეს იმ „სიმართლის სათქმელად“ მოუმარჯვნია კალამი, რომელიც ფასეულია ისტორიისათვის, ჩვეულებისამებრ, აქაც არ გტოვებს. ლოზუნგი „საქართველო გამსახურდიას გარეშე“ ქართულ რეალობაში პოლიტიკურ მოთხოვნათა შაბლონად, ჩვევად გადაიქცა. გაიოლდა, გამარტივდა, გვარ-სახელები ჩაენაცვლა მხოლოდ და ახლა „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ გახდა მისაღები. პოლიტიკური რყევების მიღმა ხომ ყოველთვის დგას მოტყუებული მასების უკეთესის მოლოდინის სურვილი. ამ კანონზომიერებით კარგად სარგებლობდა ინტელეგენცია. მხოლოდ მის გონიერ და ნამუსიან ნაწილს შეეძლო ამ მაცდური მოწოდებების მიღმა დაენახა ქვეყნისათვის საშიში, დამანგრეველი ენერგია, რომელიც 90-იან წლებში პუტჩის სახით უკვე დაატყდა საქართველოს. რა თქმა უნდა, ინტელეგენციის აქტიურობაში მწერალმა მაშინათვე იგრძნო მისი გამეორების საფრთხე, რომელიც სისხლიან მატიანედ ჩაიტყიფრა ქვეყნის ისტორიაში.

2003 წელს ქვეყანაში რევოლუციის მოახლოება იგრძნობა და უახლესი ისტორია ამ თვალსაზრისით სიფრთხილის საფუძველს ნამდვილად იძლეოდა. ჰოდა ფრთხილობდა დიდი მწერალი, იგივენი რომ ითხოვდნენ იმასვე – ეს უფრო აშფოთებდა და აეჭვებდა: „უთუოდ თქვენ რო – ეს იმიტომა, თქვენ რო უფრო მახლობლად გიცანით ამა ახალ აფეთქებასა თუ აღრეულობაში, ძველი როა და თქვენ რო მოჰყვებით იმა ძველთაგანა“ – მიმართავს იგი წერილის ადრესატს – ვახუშტი კოტეტიშვილს. წერილის ტონალობა უაღრესად დელეკატურია. მწერალს იგი ადრესატად თავაზიანობის, მათი ერთმანეთისადმი კეთილმოსურნეობის იმედით შეურჩევია. სწორედ მისგან ელოდება ჩაფიქრებას, თორემ „ვინც

რო შემართულა და ყელყელაობს, არც ვიცნობ და ვერც მოიცლიან რო მომისმინობ“ – ამბობს და გამაოგნებელ პრო-ფეტულობას ამჟღავნებს სკამს ჩასაფრებულ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ამბიციების დამანგრეველ შედეგებზე: „ჰო შეჰკრეს მუშტები, ჰო შეაწყვილეს მუქარითა პარლამენტის წინა, მუქარითაცა და ნიშნადაცა მარადიული ერთგულები-სა. შერჩებათ ის მუშტები შეკრული ისევე, შეწყვილებული ისევესევე თუ დაინახეს სკამი მოცლილი, მოცარიელებული, მომლოდინები ერთისა მხოლოდა, ისევ ერთისა, ერთის მეტი რო არც დაეტევა?“

ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტური წერილების კრებულ-ში, რომელსაც „პოლიტიკური აქცენტები“ ჰქვია არაერთი წერილი ეძღვნება რუსეთის პოლიტიკის ფენომენს და მის დამანგრეველ ზეგავლენას ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე. თუმცა „ბაძვა უცხოურისადმი“ ოთარ ჩხეიძისათვის არ არის მხოლოდ რუსეთთან ასოცირებული. წერილში „ნა-ციონალიზმი და ინტეგრაცია“ ის საფრთხეებია მონიშნული „ზეეროვნული დემოკრატიზმის“ სახით რომ შემოალაჭა საქართველოში. დემოკრატიზმი მისთვის ახალი იმპერიის იდეოლოგია, რომელიც 90-იან წლებში ოსტატურად დაუპირისპირდა ნაციონალიზმს. მწერალი ფიქრობს, რომ რუსეთისათვის სასარგებლო ეს მოძღვრება ახლა დასავლე-თის ავტორიტეტით მოგვევლინა. მწერლის ხედვა ამ თვალ-საზრისით ერთობ განსხვავებულია და შესაძლოა, დღეს ამ მოდური იდეოლოგიის საყოველთაო ზეობის ხანაში საკამა-თოც აღმოჩნდეს. დემოკრატიზმის გამოვლენის ის ფორმა, რომელიც ეროვნულ თვითმყოფადობას შეუქმნის საფრთხეს, მწერლისთვის მიუღებელია. თუ გლობალიზაციის ერთ-ფეროვნება ეროვნულ თავისებურებებს გადაფარავს და ნაციონალიზმი ჩამორჩენილობასთან გაიგივდება, მისთვის სულერთია „რუსულად გადავგვარდებით, თუ ინგლისურა-

და“. „ესეც ძალადობაა, იდეური ძალადობა,

ვიდრე იარაღი ამოქმედდებოდეს იდეური ძალადობაა: ნაციონალიზმი და დემოკრატიზმი რო დაუპირისპირდება ერთიმეორესა, ნაციონალიზმი ჩამორჩენილობად ითქმის და დემოკრატიზმი (ახალი) გამოცხადდება ზეეროვნულ მოვლენადა“. იმხანად და დღესაც, როცა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური და მოქალაქეობრივი იმიჯის ფორმირება ძირითადად დემოკრატიულ ფასეულობებზეა დამოკიდებული და ამ თავდავიწყებულ რბოლაში გზადაგზა ვკარგავთ ნაციონალურ ღირსებებს, ოთარ ჩხეიძის შეძახილი სამრეკლოს ზარივით ჟღერს: „ჩვენთვისა და საერთოდ მცირე ერებისათვისა, რომელთა გადარჩენის იდეური საფუძველი სწორედაც რო ნაციონალიზმი გახლავთ, ხოლო დემოკრატიზმის ახალი ფორმა ნაციონალიზმის საწინააღმდეგო მოვლენადა ისახება. ისახება თუ ჩაისახა, თუ უკვე წელმომაგრებულია სულერთია რაღა თქმა უნდა, მთავარია, რომ დღეს ნაციონალიზმი და დემოკრატიზმი პირისპირ დგანან“. გლობალიზაციის საფრთხეები და მის ემისართა ყოველი გათრთოლება უმაღსვდებოდა ოთარ ჩხეიძის თვალსაწიერის სამიზნე. ქართული სულიერების ამ მეციხოვნის ყოველი სიტყვა მკვიდრად ნაფიქრია და სახელმძღვანელოა მსოფლიო გზაჯვარედინზე მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის.

ოთარ ჩხეიძის წერილი „ბაბუშერას აეროდრომი“ 2000 წელს უურნალ „ომეგაში“ გამოქვეყნდა. მწერალი მასში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში დამკვიდრებულ ბიუროკრატიზმსა და არსებული სტრატეგიების უპერსპექტივობაზე საუბრობს. იგი აქაც იმასვე იმეორებს, რაც არაერთგზის უთქვამს რუსეთთან მიმართებაში, „უმძიმეს ტვირთად“ მოიხსენიებს მასთან მეზობლობას, ამის ისტორიულ მიზეზებსაც განმარტავს და აანალიზებს. შემდგომ ჩეჩინეთის საკითხსაც მოიშველიებს არგუმენტად და

„ორი რუსეთის“ ლეგენდის მორწმუნეთათვის მის იმპერიულ სახეს რეალისტურად წარმოგვიდგენს: „ესეც ლეგენდა ორი რუსეთისა, ვითომ რო ორისო, ახლა რო ერთია, ერთი განუყრელი, შემტკიცებული ან და მარადისა, ერთი და უამრავი, რო შესევია ერთობლივადა ერთმუჭა ხალხსა უახლესი და უმძლავრესი სამხედრო იარაღითა, შესევია და ულეტს დედაბუდიანადა. ულეტს. ულეტს. აჩანაგებს. აჩანაგებს, ულეტს და ძაგძაგებს ანთებული მოლოდინითა: აი და აჰააო, გამოჩნდება ბელადი ჩვენი ამ ულეტაშიო. ესაა უინი ერთობლივი ტირანისა და ტოტალიტარიზმისა, უინი უძველესი, ატავისტური, ზოგ ერს რო შემორჩა აქამდისა-ცა“. მწერლის პროტესტს ენგურზე ეთნოკონფლიქტების მომრიგებლად ჩაყენებული რუსისა და გაფრთხილება-შემფოთების რეჟიმში მყოფი დასავლეთის მიმართ ირონიული ელფერიც დაჰკრავს. რეალობა ნამდვილად იძლეოდა და ახლაც იძლევა ამის საფუძველს – მიდი-მოდიან საქართველოში ბოდენები, პასტუხოვები, მირონოვები. გაიტკეპნა უენევისკენ მიმავალი გზა – შედეგი კი დღემდე არ მოჩანს. თხუთმეტი წლის წინ, როცა გარკვეული იმედები მაინც არ-სებობდა ამ ფორმატთან დაკავშირებით, ოთარ ჩხეიძე ყველაფერს თავის სახელს არქმევდა, მის უპერსპექტივობაზეც წერდა, ჩვენს უბედურებას ეს არ უშველისო. გაეროს სიტ-ლანქე, არაეფექტურობა ადარდებდა, მათი მხრიდან ბაბუშარას აეროპორტში დამარხული ბიჭების ჭირისუფლობა აკვირვებდა: „დაბრუნდებიან თავისიანები, მიხედავენ, მიეპატრონებიან. ჯერ ესენი, ესენი – თავისიანები დაუბრუნეთ. ვითომ სხვა რა არის მოვალეობა, უმთავრესი მოვალეობა მაგ თქვენი გაეროსი? მოვალეობა ჭირისუფლისა თვითონ იცის ჭირისუფალმა, უკეთ იცის, ბევრად უკეთა. სხვა რაო, თორემო დამარხვაო, – კარგი ვიცით ქართველებმაო. უენევები არ უნდა ამასა“. ოთარ ჩხეიძის ამ წერილმა კარ-

გად ასახა კონფლიქტის მოგვარების პროცესი, რომელიც იმთავითვე არასწორი გზით წარიმართა და განსაზღვრა მისი ფატალური შედეგები. უფრო მეტიც, მწერალმა ისიც შენიშნა, რომ გაერო და მოსკოვი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ეს შეთანხმება ვერ იქნებოდა საქართველოს სასარგებლო, რადგან რუსეთი მხარე იყო, მხარე, რომელიც არაფრის დათმობას არ აპირებდა, სტრატეგიული დანიშნულების პუნქტებს მზაკვრულად უუფლებოდა და მხოლოდ დროს წელავდა. „მოსკოვს ნებავს ასე ამგვარადა გაეროს ეგიდითა. გაერო. გაერო. ნაბიჯს ჰო არ წარსდგამს მოსკოვი ისე!...“ ირონიას გამოურევს მწერალი და ბოლოს დასძენს: „დასავლეთს რო უნდა, მშვიდობა რო იყოს საქართველოში, ეს აშკარაა, ხოლო მშვიდობა რო არ მიეცემა საქართველოსა რუსეთისაგან, ესეც ცხადია“. ოთარ ჩხეიძე სწორედ ამ საბედისწერო მოცემულობის ფონზე ითხოვს მოლაპარაკებების პროცესის სხვაგვარად მართვას, რადგან ამ საგანგაშო რეალობის გაუთვალინებლად შეუძლებელი იყო სწორი ორიენტირების მონიშვნა. მწერლის ამ პერსპექტივის ჭეშმარიტება დრომ დაადასტურა. მსოფლიო გლობალური პროცესების ფონზე ქართულ პოლიტიკის ვექტორების არასაიმედობა სულ უფრო ცხადად იკვეთება, მუდმივად „საყმანვილო სენის“ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა თითქოს წერას აუტანია, ისე გარბის დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს მაკონსტრუირებელი იდეებისგან, რომელიც ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტებში“ დაუმადლებლად არის გაბნეული. ისლა დაგვრჩენია, დავეწაფოთ და შევირგოთ.

ოთარ ჩხეიძის გამოხმაურება საინგილოს ქართულ თეატრზე რომ მხოლოდ კულტურის საკითხებს არ ეხება, ცხადზე ცხადია. „სენი ჩვენი უკურნებელი“ – ასე მოსწრებულად მიუსადაგა მწერალმა სათაური წერილს, რომელიც

კულტურის სამინისტროს გაუცნობიერებელ საკადრო გადაწყვეტილებას ეხება ალიბეგლოს თეატრთან დაკავშირებით. ალიბეგლოს თეატრის დირექტორის ანზორ დოლენჯაშვილის გათავისუფლებას მწერალმა ანტისახელნიფოებრივ გადაწყვეტილებად მიიჩნია, რადგან ეს პიროვნება თითქმის 20 წლის განმავლობაში საინგილოში ჭეშმარიტად ქართულ საქმეს უძღვებოდა. რა თქმა უნდა, წერილის პათოსი ზოგადად საკადრო გადაწყვეტილებით მწერლის დაინტერესებაში არ მდგომარეობს. მოტივი მისი გულისწყრომისა ისტორიის ბედუულმართობით ქართული წიაღიდან გამოძევებული, მშობლიურ სიტყვას მონატრებული საინგილოს მოსახლეობაა, რომელიც ალიბეგლოს თეატრში იკლავდა ამ წყურვილს, ხოლო ანზორ დოლენჯაშვილი კი ამ საქმეს თავდადებით უძღვებოდა. საფესტივალო ეიფორიის პარალელურად, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში დაიწყო, ალიბეგლოს თეატრში შექმნილი ვითარება ლაკმუსის ქაღალდივით ამჟღავნებს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ წინდაუხედაობას და არაეფექტურობას. „ფესტივალომანია ვერ იქცევა ნიშნად საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციისა, როგორც რო პარტიომანია ვერ იქნება ნიშანი ქვეყნის პოლიტიკური მომწიფებისა“. ამ შემთხვევაში ალიბეგლოს თეატრის ალორძინება ოთარ ჩხეიძეს იმ დიდი კულტურის პოლიტიკის ნაწილად მიაჩნია, რომელიც ქართულ სახელმწოფოს სასიკეთოდ უნდა წაადგეს. ამიტომაც ბუნებრივად უღერს მისი მოწოდებანი, რომ ქვეყნის კულტუროსანმა ნაწილმა რუსთაველიდან სწორედ იქ უნდა გადაინაცვლოს, იქ მოსინჯოს ძალები და თავდადების მაგალითი ანახოს საზოგადოებას. „მომიტევოს ქალბატონმა ქეთიმა, ფესტივალების ყველა მოტრფიალემ მომიტევოს, მე აქ მხოლოდ იმის თქმა მინდა რო: სწორედ ასეთი ენერგიის, გამოცდილებისა და გავლენის ადამიანები სჭირდება ალ-

იბეგლოს თეატრსა, როგორიც რო ბრძანდება ქალბატონი ქეთი, თავდადებაც უნდა, რაღა თქმა უნდა, თავდადებაც არ უნდა აკლდეს ქალბატონ ქეთისა, მაგრამ სხვა გახლავს თავდადება თბილისში, თუნდაც ედინბურგში, ალბეგლოს სხვა თავდადება სჭირდება“. ეს „სხვა თავდადება“ ყოველთვის აკლდა საქართველოს. ამ „სხვა თავდადების“ მაგალითებს ერის მცირე ნაწილი იძლეოდა მუდამჟამს, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს არასოდეს უჭირდა დროულად გაემჟალვნებინა და ელიარებინა ჭეშმარიტი თავდადების მაგალითები: „თეატრი კულტურის ნაწილია და სათეატრო მოღვაწეობასაც თავისი კულტურა უნდა. არ შეგანუხებთ შორეული მაგალითებითა. არ შეგანუხებ. აგერ არ იყო!... ანთუ რაღა აგერაო, – რა სათქმელია, სამ ათეულ წელზე მეტი გასულა, მაინც აგერაა, ცოტნეს დროსთან შედარებითა, აგერაა და აქავე მოსჩანს: ჩაკვდა თეატრი ახალციხისა. კარგახანს ჩაკვდა. შეჰკრა დასი ახალგაზრდებისა ქალბაბატონ ნანა დემეტრაშვილმა, ისაა ინსტიტუტ დამთავრებულთაგანა, ფეხი რო არ გაედგათ რუსთაველის პროსპექტს იქითა, შეჰკრა, შეანივთა, შეახალისა და თავი უკრა ორწოხებში ახალციხისა“ – ასე აღნიშნავს ოთარ ჩხეიძე ნანა დემეტრაშვილის ღვაწლს და შემდგომ ლილი იოსელიანსაც მოიგონებს: „მიაწყდა მაყურებელი გორის თეატრსაცა, ქალბატონინ ლილი იოსელიანი რო ჩაუდგა სათავეში. აიღო თავზე ხელი ქალბატონ ლილი იოსელიანმა, გორში დასახლდა და ააღორძინა იმუამად დაძაბუნებული თეატრი გორისა. მე შევსწრებივარ იმის რეპეტიციებსა ცივ დარბაზში, თვითონაც გაცივებული, საბანმოხვეული, შალით რო შეებურდა თავპირი და ვინ უწყის მერამდენედ უხსნიდა ერთსა და იმავე მიზანსცენასა, ცოტა არ იყოს გაჯიქებულ მსახიობებსა, სხვის ხელში რო მოშვებულიყვნენ და სხვა ხელში რო მოხვდნენ“. მართალია, ეს წერილი ერთ კონკრეტულ საკითხს ეხება, მაგრამ ოთარ

ჩხეიძე აქაც კულტურული ელიტის ფუძემდებლურ მოვა-ლეობებსა და პასუხისმგებლობაზე, იმ მისიაზე ამახვილებს ყურადღებას ქვეყნის ინტელეგენცია რომ უნდა აცნობიერებ-დეს. ოთარ ჩხეიძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ხომ თავად იყო ამის მასტერკლასი.

ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტების“ კითხვისას კიდევ ერთხელ რწმუნდები მისი მწერლური და მოქალაქე-ბრივი კეთილსინდისიერების, მტკიცე ლოგიკისა და შინა-განი წონასწორობის, ეროვნული სიფხიზლისა და უკომპრო-მისობის აუცილებლობაში. ამასთან შიში გიპყრობს მისი შემოქმედების საზრისის გარეშე დარჩენილი საქართველოს იმ ნაწილის გამო, რომელთაც ქვეყნის მართვის სადავეები უპყრიათ ხელთ. შიში გიპყრობს, მხოლოდ მხატვრული სი-ტყვის მონოლითში არ დარჩეს ჩაკირული ეს აქცენტები და მხოლოდ ერთს ნატრობ, აქ მაინც შეცდებოდეს დიდი მწე-რალი: „გული გაგისკდება, საქართველოს, საქართველოს რუკას რო დააჩერდები, – გამოგლეჯილა რამდენთაგანი, რამდენი ნაწილი მოუწყვეტიათ?! კიდევ რამდენია გამზადე-ბული გამოსაჭმელადა?! რამდენი?! რამდენი?!”.

ତାରିଖରେ  
ମୁଦ୍ରଣ

## **ქართული ბიოგრაფიული რომანის ეროვნულ-მსოფლმხედველობრივი ინტეგრალები**

ცნობისწადილს სალიტერატურო სიცრცეში გაჩენილი ახ-ალი ნაწარმოების მიმართ, ბუნებრივია, ავტორის რეპუტაცია და მყითხველის მიერ უკვე შეფასებული სალიტერატურო სტილი განსაზღვრავს. ასევე უნარი დისონანსი შეიტანოს ადამიანების აზროვნების წესში და მათ ცნობიერებაში კრიზ-ისის ნიშნები გამოავლინოს, რადგან სულიერი და გონიერივი კათარზისის გარეშე კულტურული ფაქტი თავის აზრსა და დანიშნულებას კარგავს. ამ თვალსაზრისით, ბიოგრაფიული რომანის სიუჟეტური და კომპოზიციური შესაძლებლობები ნიჭიერ მწერალს ამ დინამიკის წარმართვის უპირატესობას ანიჭებს, ჩანაფიქრის რეალიზებისა და სათქმელის ბოლომდე გამუდავნების ფართო ასპარეზს უსახავს. იმ ზოგადი კანონების მიღმა, რომლითაც ბიოგრაფიული რომანი იმართება, რასაკვირველია, ყოველთვის დგას მწერლის აღქმის მანერა, მხატვრული დროისა და სიცრცის ორიგინალურად განვითნის უნარი, ფსიქოლოგიზმი, ანალიტიკური რეფლექსია ნაციონალურ თუ ინტერკულტურულ მსოფლმხედველობაზე. თუ რამდენად კარგად იქნება ეპიკოს-მთხრობელის მიერ გარანდული რომანის ხვეულები სწორედ ამ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ზოგადად რომანის ლიტერატურულ უანრს მითოლოგიური ცნობიერების კრიზისსა და „ეპიურ გმირთა“ კვდომის პროცესს უკავშირებენ, მაგრამ იგი არცთუ ისე ნორჩია. ამ თვალსაზრისით, ფუძემდებლურია კორნელი კეკელიძის მოსაზრება, რომელიც რომანისტული ელემენტების სათავეს უძველეს პროზაში ხედავს. ამასთან, აშკარად ბიოგრაფიული რომანის ელემენტების შემცველია სასულიერო პროზა

– წამებათა და ცხოვრებათა ციკლის უძველესი ტექსტები, სადაც ისტორიული მოვლენები სწორედ გმირის მსოფლშეგრძნებების, მისი ცხოვრების ფონზეა გახსნილი. ქართული რომანის სასიცოცხლო არტერია წილობრივად სწორედ ბიოგრაფიული რომანის წყალობით იძენს შეუცვლელ ფუნქციას. ჩვენი ეროვნულ-ფსიქოლოგიური ყოფისათვის ისტორიული პიროვნებების ცხოვრების განმხატვრულებას ნორმატიული მისია ენიჭება, ვინაიდან ბიოგრაფიულ რომანში ყოველთვის თანაარსებობს განცდათა ერთობლიობა, რომელიც ერს მსოფლმხედველობრივი კრიზისის საფრთხისაგან გამოიხსნის. ისტორიულ პირთა ფენომენი თავისი დროისმიერი სულიერი განწყობილებებით, თავგანწირვით, ტრაგიზმით ერის შესაძლებლობების თვითგახსნისა და შინაგანი რწმენის შენარჩუნების პროცესში შეუცვლელ როლს ასრულებს. ამდენად, ბიოგრაფიული რომანის, როგორც ჟანრის აქტუალურობა დროის მიღმა დგას და იგი მუდამ განსაზღვრავს ჩვენს ნაციონალურ ყოფიერებას.

შემთხვევითი არ გახლავთ, რომ როსტომ ჩხეიძის მონამეობრივ ლიტერატურულ გარჯას ბიოგრაფიული რომანების სიუხვე ახასიათებს. ინტელექტუალიზმითა და მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი მისი პროზა ოცდაათ მონოგრაფიათა შორის თერთმეტ ბიოგრაფიულ რომანს ითვლის. ასეთი ექსკლუზიური პროდუქტიულობა ამ ჟანრში ჯერაც არ ახსოვს ქართულ მწერლობას. თერთმეტ ბიოგრაფიულ რომანს მისთვის იმანენტური ინდივიდუალური სტილით, თხრობის ორიგინალური მანერული წყობით, განხატებული მოვლენებითა და პერსონაჟებით სრულიად გარკვეული მიზანი აქვს – ქართული ზნეობისა და სინდისი ისტორიას ერთად მოუყაროს თავი და ერს მარადიული გაკვეთილებად განუსაზღვროს.

ყველა ეპოქას თავისი გმირები ჰყავს, მაგრამ გოეთეს

თქმით, მათი გმირებად აღიარება მხოლოდ გმირებს თუ შეუძლიათ. ამდენად, სხვა დანარჩენთან ერთად, როსტომ ჩხეიძის ქართული ბიოგრაფიული რომანის განვითარებისათვის გაწეული ღვაწლი სხვა არაფერია, თუ არა გმირობა. ალექსანდრე ობელიანი, ელიზარ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, პავლე ინგოროვა, ალექსანდრე ყაზბეგი, მიხაკო წერეთელი, ოთარ ჩხეიძე, ზვიად გამსახურდია და სხვა ქართული ზნეობისა და სინდისის რაინდთა ბიოგრაფიულის გათვალსაჩინოებით მასთან სწორედ ის მიიღწევა, რაც ქვეყანას აცოცხლებს, ფესვებს უმაგრებს და მომავლის იმედს არ უკარგავს. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის რეციპიენტები სწორედ იმ ხარისხში არიან აყვანილი, რომელსაც იმსახურებენ, რომელიც სამარადჟამოდ გამოადგება ჩვენს ეროვნულ წესრიგსა და ყოფას. მასთან ყოველთვის თანაარსებობს განცდათა ერთობლიობა, რომელიც მის ესთეტიკურ კონცეფციებს და რაც მთავარია, სააზროვნო სისტემას მსოფლმხედველობრივი კრიზისის საფრთხეს მოარიდებს. როსტომ ჩხეიძისათვის სახელმძღვანელო ჭეშმარიტებაა, რომ ისტორიულ პირთა ფენომენი ეპოქისეული სულიერი განწყობილებებით, ტრაგიზმითა და მისით ერის თვითგახსნისა და სასიცოცხლო რესურსის კონცენტრაციისათვის უდიდეს როლს თამაშობს. ამ ჭეშმარიტებაზეა აგებული მისი თითოეული მხატვრული ტექსტი, რომელიც თავისი მხატვრული და ეროვნული მნიშვნელობით დროის მიღმა დგას. ამჯერად, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე შექმნილი მისი ბიოგრაფიული რომანი „მავი ჩოხა“ ჩაუდგა მათ კვალში, რომელსაც კვლავ ანდრეზის უტყუარობა და სიმართლე ახლავს, ქვეყნის გამოფხილების უნი და პასუხისმგებლობა დაყვება ხიბლად. ეს რომანიც ნებისყოფით დაძლეულ შიშზეა, პიროვნებაზე, რომლის მოვალეობის შეგნებამ ბედის მარწუხები დაამსხვრია და სულმა ტრიუმფალურად სძლია

სხეულს. ეს არის რომანი, რომელიც მისივე თქმით, „ჩვენამდე ზღაპრად მოსულ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ლეგენდარული სახელისათვის მიუძღვნია“. რომანის სახელწოდების სიმბოლიკაშიც მწერალი სწორედ ამ ლეგენდის შუქ-ჩრდილებს ხედავს, რომლის განმხატვრულების პრეისტორიას მიხეილ ჯავახიშვილის სახელსაც უკავშირებს.

მკითხველი კარგა ხანია შეეჩვია როსტომ ჩხეიძის მრავალმხრივ საინტერესო მიგნებებს, აზრობრივ ნოვაციებს სამეცნიერო თუ მხატვრულ ოპუსებში. ეს ხელწერა, ბუნებრივია, ამ რომანისთვისაც არის ნიშნეული. ეს მახასიათებელი აქაც იჩენს თავს და ალბათ ჩვეული კანონზომიერებით დალაგდებოდა მკითხველის ცნობიერებაში, რომ არა რომანში გამოჩენილი მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერები, რომელსაც როსტომ ჩხეიძე მტვერს გადააცლის, ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს და რაც მთავარია, სიმართლის განზომილებაში გადაიყვანს. სოლომონ ბრძენისა არ იყოს, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ეს დრო ამ რომანში მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის შიფრის გახსნით იწყება და არსებითად ცვლის მისი ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ საზრისს, მისი შესწავლის ისტორიას. ეს დრო როსტომ ჩხეიძეს უკავშირდება, სწორედ მისი მცდელობით იხსნება იდეოლოგიური მარწუხების ნანგრევებში ღრმად ჩაკირული დიდი მწერლის კოდირებული სიმბოლოები. შედეგი განმაცვითრებელია – დღემდე არსებული მოსაზრებები არადამაჯერებლად მოჩანს და ფაქტიურად განძარცულია დრომოქმული არგუმენტებისაგან და რეარგუმენტაცია იმ კრიტერიუმებში ექცევა, რომელიც არამარტო თანამედროვე მკითხველს, არამედ ისტორიულ სიმართლეს ესაჭიროება. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირველყოფილ სიმბოლურ ხატს როსტომ ჩხეიძე არსენა მარაბდელში ხედავს. დადგა უამი, როცა ეს დათრგუნული სიმართლე უნდა გაცხადდეს.

აქვს გამართლება როსტომ ჩხეიძის სიფრთხილეს, ვაითუ მიხეილ ჯავახიშვილის თემების კვალში ჩადგომა გაგვიხდეს სახიფათო და მკითხველთან ხანმოკლე გასაუბრების ნაცვლად სამეცნიერო ნარკვევი შეგვრჩეს ხელთო. ამ შემთხვევაში რომანის უანრობრივი ნორმატივები აძლევს მას ამ სიფრთხილის უფლებას, თუმცა ქაქუცა ჩოლოყაშვილზე შექმნილი მისი ბიოგრაფიული რომანის წასაკითხად განწყობილ მკითხველს ეს ფრაზა ვერასოდეს შეაკრთობს, პირიქით, მოლოდინს გაუმძაფრებს, რადგან კარგა ხანია მინდობილია როსტომ ჩხეიძის სამწერლო გამოცდილებასა და თხრობის კულტურას. მწერალი ხომ არასოდეს უშვებს შესაძლებლობას უხერხულად დაარღვიოს საზღვარი მხატვრულ და სამეცნიერო ტექსტს შორის და მისი პაემანი ამჯერადაც შედგა იმ ლიტერატურასთან, სადაც სიმართლე სწორედ ისეთია, როგორიც არის სინამდვილეში.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ილბლად გადარჩენილი ჩანაწერები რომანის ავტორისათვის დამატებითი გარემოება აღმოჩნდა, რათა მისი ბიოგრაფიული რომანების ციკლში ქვეყნის ზნეობრივი ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული მატიანე გაჩენილიყო. რომანის ეპილოგში გაცხადებულია საკრალური თანამსოფლგანცდა, სულიერი და მსოფლმხედველობრივი თანამოაზრეობა ტრაგიკულად დაღუპული კლასიკოსის მიმართ. „სულიერ მემკვიდრეობად გადმოეცა და თითქოს მისი დაუწერელი წიგნის შექმნა დამკისრებოდა. უანრი ოდნავ იცვლებოდა-ბიოგრაფიული რომანი ნაცვლად რომანისა“. რომანის სათაურსაც „შავი ჩოხა“ როსტომ ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილს უმადლის. ქართული მწერლობის ეს მემკვიდრეობითი ხაზი-სიმბოლოთა აღქმის საერთო წესრიგი აძლევს მას უნარს“ თითქმის საუკუნის შემდეგ სრულად გაიგონის წინაპრის ხმა. დაარღვიოს დრო-სივრცული

ლოკალი, იგრძნოს ამ ჩანაწერების ეპოქალური სული და განცდათა მდინარება, განიცადოს, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შეუქმნელი რომანის თუ მოთხოვობის სახით „რაღაც მნიშვნელოვანი დაგვეკარგა სამუდამოდ, გლოვის, ტრაგიზმის იერით აღბეჭდილი და, იმავდროულად, ჰეროიკული სულით გაუღენთილი“. განიცადოს და შემდგომ თავად ატაროს ეს საპატიო, თუმცა მძიმე ტვირთი.

უკვე აღვნიშნეთ, როსტომ ჩხეიძის რომანებში სიმართლე სწორედ ისეთია, როგორიც არის სინამდვილეში. ამიტომაც მისი მოსაზრებები ხშირად ბუნებრივად ეფინება ხოლმე სარჩულად საზოგადოებრივ აზრს. ხშირად, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის არა და ესეც ჩვენი ბედუულმართობის საზომად შეიძლება მივიჩნიოთ, ისევე როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის თავგადასავალი, რომელიც როსტომ ჩხეიძემ თავისი მორიგი ბიოგრაფიული რომანის სამიზნედ იმიტომ აქცია, რომ ქართული ეროვნული სული განძარცვისაგან გადაარჩინოს. რომანის სტრუქტურა და სიუჟეტური ხაზი სრულ თანხმობაშია ამ იდეასთან. მასვე ემსახურება მწერლის მიერ სრულყოფილად შესწავლილი დოკუმენტური მასალა, ეპოქის გადასახედიდან განჭვრეტილი, დროით შემოწმებული რეალური ფაქტები. როსტომ ჩხეიძე ერთგან აღნიშნავს, რომ ბიოგრაფიული ჟანრი მაინცდამანც ვერ იტანს ფანტაზის გაქანებას, მაგრამ ფიქრსა და განცდაში შეღწევა აუცილებელიაო. იგი ამას უნაკლოდ ახერხებს, რადგან რომანში არ არსებობს უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი დეტალი იმ მოგონებებისა, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილზე შემონახულა აღექსანდრე სულხანიშვილისა და სხვათა მემუარებში. მწერალი არაფერს ყვება ქაქუცას ბიოლოგიური მოვლინების, ყრმობისა და ბავშვობის დეტალებზე, მაგრამ უზუსტესად გრძნობს, როდის იბადება ქაქუცა ჩოლოყაშვილი როგორც გმირი. მას სწორედ ამ დროიდან აინტერესებს

იგი. გმირის მოვლინება გვეუწყება, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ მიყვება გაქცეული მთავრობის კვალს. მართალია, თავის ბარგს წასასვლელად გამზადებულ შალიკაშვილს მიაბარებს, მაგრამ საბოლოოდ გემს ახლოსაც არ გაეკარება. „საბედისწეროდ რატომ უნდა გადაქცეოდა მის გულს მშობლიური მიწა-წყლის დატოვება“ – შენიშნავს რომანის ავტორი და დასძენს „ეს ის წამია, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი უნდა დაიბადოს“. მწერალი უფაქიზეს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს შიფრავს ქაქუცას დასაფლავების სცენა-შიც. შეუძლებელია როსტომ ჩხეიძის სააზროვნო სივრცის მიღმა აღმოჩნდეს მეორეხაერისხოვანი დეტალი, უმცირესი გათრთოლებაც კი, რომელიც ემიგრანტთა განწყობასა და ურთიერთობებს ასახავს. რომანის პასაუში, სადაც გრიგოლ ცხაკაია ნოე უორდანიას ქაქუცას კუბოს ასაწევად ეპატიუება როსტომ ჩხეიძე მთავრობის ხელმძღვანელის გულში გაჩენილ სიამის გრძნობას შეიგრძნობს, რომელიც ქვეყნის გამოხსნისათვის მისი სახელის დაკავშირებასთან ასოცირდება. რომანში ქაქუცას ჩოლოყაშვილის ბოლო სურვილიც-დაეწვათ მისი ნეშთი, შემეცნებულია. ამ გზით მისი საქართველოში დაბრუნების ოცნება ახდებოდა. რომანი სავსეა „ამ უმნიშვნელო დეტალების“ მნიშვნელოვანი, დიდებული აღმოჩენებით და განსაზღვრავს კიდეც მის ამოსავალ კონცეფციას-გმირის მღელვარე ცხოვრება რაინდული სულის ნიშანსვეტად აქციოს, მარადიული ფასეულობა არ დაუკარგოს სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეას.

რომანის სტრუქტურა მთლიანად ემორჩილება ეროვნული ცნობიერების მოწესრიგებისა და განმტკიცების იდეას. საამისოდ შერჩეული ისტორიის ამ მონაკვეთის მწერლისეული გადააზრება სარწმუნო და დამაჯერებელია. ზნეობრივი ლიდერის სახე ფსიქოსოციალური იდენტობისა და დამოუკიდებლობის პერმანენტულ კრიზისში მყოფი ქართველი ერისათ-

ვის უალტერნატივო მნიშვნელობისაა. ზნეობრივი ლიდერის, როგორც ერის შემკვრელისა და შემაკავშირებელის სახე როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანების სამოტივაციო და წარმმართველი ძალაა. მისი მთავარი საზრისია. გმირის პიროვნულ თვისებებზე აქცენტირება გასიგრძეგანებული მხატვრული რეცეფციაა, რომელსაც რომანში ისტორიულად დადასტურებული ავტორიტეტი განაპირობებს. „მე ვცდილობ შევაკავშირო ხალხი“ – რომანის ერთ-ერთი თავის სათაურად გამოტანილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეს ფრაზა განმტკიცებული მისი რეალური ქმედებებით, პოზიციითა და პასუხისმგებლობით. როსტომ ჩხეიძისათვის კი იმის მაუწყებელია, რომ „ჩატეხილი ხიდის აღდგენისა და საერთო ნიადაგის თეორიები საყოველთაო შეკავშირების იდეად უბრუნდებოდა საზოგადოებრივ ყოფასა და ცნობიერებას“. უნდა აღინიშნოს, რომ რომანის თითოეული თავის სათაური პოსტულატებად ლაგდება ცნობიერებაში, იმპერატიულად განსავითარებელი იდეისა და სიუჟეტის აზრობრივი მაუწყებელი, მისი კონტექსტის გამომხატველია. სათაურის შერჩევის უაღრესად დახვეწილი ესთეტიკით როსტომ ჩხეიძე ეტაპობრივად, ძალიან ბუნებრივად ამზადებს მკითხველს მთავარ სათქმელთან შესახვედრად, რომელიც გარკვეულ მზაობას მოითხოვს. რადგან იგი იმ მწერალთა რიცხვს არა-სოდეს მიეკუთვნებოდა, რომელიც სათავისოდ, თავის შესაქცევად და „სულის საოხად“ მწერლობენ. ამ შემთხვევაში მასთან ერთად მკითხველს ილიასეული ისტორიის ერთობასა და ქართველთა სხვა გამაერთიანებელ ფასეულობებზე უწევს რეფლექსია.

ისტორიული პარალელები, არქეტიპთა ასოციაციური შეგრძნებები კრავს რომანის საერთო დინამიკას. ასე იკვეთება მათი გენეტიკური სტრუქტურა. მოძრაობის წესები ბიოგრაფიულ რომანში, როგორც წესი, შეზღუდული,

მკაცრად რეგლამენტირებულია. ამ შემთხვევაში როსტომ ჩხეიძეს არცთუ შორეულ ქრონიკებთან აქვს საქმე. ფანტაზიით რომანის სივრცის შევსება აქ საფრთხილო და მოსარიდებელია. თუმცა ფაქტების მხატვრული ინტერპრეტაციის კვალდაკვალ ისტორიული პარალელების მოძიებისა და პერსონაჟის აზრობრივ სივრცეში შეღწევის სრული თავისუფლება არსებობს, თუკი მწერალს ამ რესურსის გამოყენების ინტუიცია არ ღალატობს და თანაც, ისტორიული ფაქტი ამის აუცილებლობას გაგრძნობინებს. მწერლის ეს ინტუიცია რომანში ყველა შესაძლო შემთხვევაში იგრძნობა. განსაკუთრებულია იგი გენეტიკური სტრუქტურის აღმისა და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი განსჯისას. ალექსანდრე ბატონიშვილის საბედისწერო ბილიკებს მიუყვება ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როცა გამარჯვების რწმენითაა აღსავსე. ორთავეს საუკუნის დაშორებით ერის სასიცოცხლო იმპულსების აღსრულება ექცა ბედისწერად. ლუარსაბ თათქარიძის აჩრდილი გაელვებს რომანში გმირთათვის ნიშნეული პროტესტისა და თვითგვემის ნიშნად, როცა ქვეყნიდან განდევნილ ქაქუცას „სხვა გამოსავალი ვერ უპოვნია, გარდა იმისა, რომ მინდობოდა ამგვარ ყოფას, მისთვის მანამდე სრულიად მიუღებელს“.

როსტომ ჩხეიძის შესანიშნავი ინტუიციის შედეგია ბოლშევიზმის კონიუნქტურის ნაგრევებში მოყოლილი მიხეილ ჯავახიშვილის ქვეტექსტობრივი საიდუმლოს აღმოჩენა რომანებში „არსენა მარაბდელი“ და „თეთრი საყელო“. ჰიეროფანიის-ანუ სიწმინდეთა ჩენის დატვირთვის მქონეა იგი ქართული მწერლობისათვის. არსენა მარაბდელის სახეში განდევნილ ქაქუცას გულისხმობდა მიხეილ ჯავახიშვილი, „თეთრ საყელოში“ კი ხევსურეთის ბრძოლების ეპოპეა ხმიანობსო, თვლის როსტომ ჩხეიძე. ამ მოსაზრების სარწმუნობისა და დამაჯერებლობისათვის მწერლის ინტუიციის

გარდა რომანში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიიდან ძალიან მყარი არგუმენტებია მოხმობილი. „მართლაც ახალი დროება დამდგარა საქართველოს ჰეროიკულ და ზნეობრივ ისტორიაში, და თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლშევიზმის ხანაა, რაინდული ეპოქის შემობრუნების ტეხილიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის უამი შემოგვყურებს და ეს უამი ამოფარებია არსენა ოქელაშვილის სახელს, ვისი ეპოსიც ქაქუცასათვის უსაყვარლესი საკითხავი იქნებოდა ყმაწვილობისას, იქნებ ზეპირადაც იცოდა თავით ბოლომდე და ძალიანაც ესიამოვნებოდა სიცოცხლის მიმწერზე რაღაც იდუმალი გზით რომ შეეტყო, არსენა მარაბდელის პროტოტიპად შენ ხარ შერჩეული და მონუმენტურადაც გამოკვეთილიო“. რომანში გამოთქმული ეს ვარაუდი თუნდაც იმ შავბნელი ეპოქის გათვალისწინებითაც დამაჯერებლად მოჩანს და ქაქუცას ბიოგრაფიის ნაწილად იქცევა ზუსტად იმ კანონზომიერებით, რა კანონზომიერებითაც მასზე ლეგენდები მისივე სიცოცხლეში იქმნებოდა.

ერის ისტორიის აღდგენა შეუძლია მხოლოდ იმ მწერალს, ვისთვისაც ცოცხალია აწყობი და ვისაც ერის მომავლის მიმართ პასუხისმგებლობა გააჩნია. „ეპიური სიმბოლოების დარჯაკში გატარება“ (ლეო ქიაჩელი), გარდასული უამის სურნელების აღდგენა, დროის ლოგიკიდან მისი დახსნა ერისათვის სიცოცხლის პროცესი, მუდმივად განმეორებადი სუბსტანციაა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფენომენი ამ პროცესის ერთ-ერთი მარადიული ქართული სიმბოლოა, რომელიც ფშავ-ხევსურული მითოლოგიური გმირის მორიგეს მსგავსად „ნესსა და რიგს აძლევს ქვეყანას“. ასეთი მითოლოგიური ასოციაციები მაშინ გაგვიჩნდა, როცა როსტომ ჩხეიძე ამირანის ეპოსს იხსენებს. გასაკვირი ნამდვილად იქნებოდა მისი პოეტური ესთეტიკის მქონე მწერალს მითოსის შთაგონების მარადიული საწყისის გარეშე შეექმნა

ეს ჰეროიული საგა. „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახის მახვილგონივრული გასიმბოლოვება უნებურად ამირანის ხსოვნას რომ წამოგიტივტივებს, ისედაც მკვიდრად ჩაკირულს შენს ცნობიერებაში“ – ამბობს იგი და სახელმწიფოებრივი მითოსის ზოგად ქარგას, მის საფარქვეშ შეხიზნულ სიმართლეს და მნიშვნელობას ყველა დროსა და ისტორიულ ეპოქას უკავშირებს. მისი რწმენა, მითოსის არსი და უმთავრესი ნიშანი მაინც წრებრუნვა რომ ყოფილა, დამაჯერებელს ხდის მოსაზრებას, რომ „ქაქუცასა და მისი შეფიცულების პორტრეტებსა და თავგადასავალს არსენა ოძელაშვილისა და მისი რაზმელების მსატვრულ მატიანეში შეუფარებია თავი. ხოლო „თეთრი საყელო“ უშუალოდ ეხმაურება სულ ცოტა ხნის წინათ ჩავლილ ბრძოლებს ამ ხეობაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირველ დიდ გაბრძოლებად რომ შემორჩებოდა ახალი უამის ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“ ამ „ახალმა უამმა“ კარგა ხნით, ხელოვნურად მოადუნა სიმბოლური აზროვნებისა და ქვეტექსტობრივი კითხვის უნარ-ჩვევები ქართულ მწერლობაში. როსტომ ჩხეიძის მიერ მიხეილ ჯავახიშვილის რომანების ასეთი კონტექსტით გახსნა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ თვითკმაყოფილება ლიტერატურული ძიებების პროცესში, რომელიც ამ „ახალი უამმა“ დანერგა და მართვადი აზროვნების დამკვიდრებას მიუძღვნა, ყოვლად დაუშვებელია. მხატვრული ქსოვილის საფარქვეშ მოქცეული სიმართლე თავის დროს ელოდება და ეს დრო – ადრე თუ გვიან დგება.

რომანი „შავი ჩოხა“ დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, რეალურ ფაქტებსა და პერსონაჟებს წარმოგვიდგენს, მაგრამ საგულისხმოა, რომ აქ წამიერად გამოჩენილი პიროვნებებიც იმ დრამატული მოვლენების ფონზე, თანაც ქაქუცას გვერდით ისტორიული მნიშვნელობით იტვირთებიან. ამ წიაღში ჰეროიზმი გადამდებია და შეკრულია ერთი იდეით: „გრძნო-

ბა სჭარბობს გონებას და ძალიანაც სჭარბობს, რათა არ მოიშალოს ეროვნულობის ნიშატი, ადათ-წესები და თავისუფლების წყურვილი, რომელთა უწყვეტობაც აუცილებელი პირობაა ერისა და სახელმწიფოს გადასარჩენად, თორემ აქ წყვეტილების გაჩენა ის საბედისნერო ნაპრალებია, ამოუგვები რომ რჩება, რჩება და.. ამდენი ხალხი და სახელმწიფო გაუქრია მიწისაგან პირისა – საკმაოდ დაწინაურებული ერები თუ მძლავრი სახელმწიფოები, აინუნშიც რომ არ ჩაუგდიათ არავითარი საფრთხე, ჩვენ ვინ რა უნდა დაგვაკლოს, დაე იქით ეშინოდეთ, თავზარ როდის დავცემთო. ეს უწყვეტობა უნდა შეენარჩუნებინა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას“ – ასე გამოხატავს მწერალი ერის განვითარების დიალექტიკას, მის სასიცოცხლო დვრიტას. ამ მუხტის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ადამიანები მრავლად ჩნდებიან რომანის სივრცეში. დავით ვაჩინაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, შალვა ფავლენიშვილი, გაგა გოგოჭური, მედუქნე პეტო და სხვები, რომელებიც ქაქუცასთან ერთად ავსებენ „ქართული სილუეტების“ კომპოზიციურ ქარგას. აქვეა შალვა ამირეჯიბიც, რომელიც „თავისი პიროვნული თვისებებით და მსოფლალქმით შეუძლებელია ყოფილიყო ბრმად მორნმუნე პარტიული მოღვაწე, თუნდ ამ პარტიას ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება ჰქონიდა“, – ახასიათებს მას როსტომ ჩხეიძე. ამით მწერალი უპირობოდ გამოხატავს მის სიმპატიებს 1924 წლის აჯანყების იდეისადმი სიკვდილამდე ერთგული შალვა ამირეჯიბის მიმართ. თუმცა ერთგვარი სინაული იგრძნობა მის ფრაზაში „გაშლილი თხრობისათვის ვერა და ვერ მოიცლიდა შალვა – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკებს რომ გამოჰყოლოდა და ან საისტორიო მატიანის და ან ბიოგრაფიული რომანის გმირად ექცია“. ამ გაცხადებული სურვილის მიზეზები ნაწილობრივ რომანის იმ თავშიც შეიძლება მოვიძიოთ,

რომელსაც ჰქვია „მზექალას ლეგენდა და სინამდვილე“. მართალია, მზექალას ამბავი ალექსანდრე სულხანიშვილი მოგონებებშიც გაიღვებს, მაგრამ სწორედ შალვა ამირე-ჯიბის წყალობით იძენს ეს ისტორიული მატიანე მხატვრულ ღირებულებას. აი, სწორედ აქ განსაკუთრებულად უმძაფ-რდება როსტომ ჩხეიძეს ქვეცნობიერი სურვილი, როგორმე მეტი მოეცალა „მინანქრების“ ავტორს ქაქუცას პეროიკული დროის აღსანერად. თუმცა არ მალავს თავის კმაყოფილებას შალვა ამირეჯიბის ამ მონაგარის მიმართ, აფასებს არამარტო ისტორიულ, არამედ ლიტერატურულ ფაქტს და შალვა ამირეჯიბის მონათხრობს სრულიად სამართლი-ანად დოკუმენტურ ნოველად მიიჩნევს. „ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაამბობს ეყრდნობა „მზე-ქალა“, და ეს წინასწარი უწყება მხატვრული მისტიფიკაცია კი არ არის, არამედ ბელადის მონაყოლის თითქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი, ბელეტრისტული კალმის ჩარევით მომხიბლავ სიუჟეტურ ქარგად შემონახული“.

ისტორიული ფაქტების მიმართ ემოციური ზომიერება როსტომ ჩხეიძის მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების მქონე მწერლისათვის მეტად ორიგინალური შტრიხია. უნდა ვაღიაროთ, რომ სხვადასხვა მოდურ „იზმებს“ გადარჩენილ ქართული მწერლობაში ეს საზღვრები საოცრად მყიფე და მგრძნობიარეა და ხშირად ვერ უძღებს თანამე-დროვე მკითხველის ნიპილიზმნარევ მოთხოვნებს, რომლის გაუთვალისწინებლობამ პათეტიზმისა და სიყალბის განცდის საფრთხეებისაგან შესაძლოა ყველაზე წარმტაცი იდეაც ვერ გამოიხსნას და ფიქციად აქციოს. რომ არა როსტომ ჩხეიძის ესთეტიური არისტოკრატიზმი, ფხიზელი რეალიზმი და პირადი მაგალითებით დადასტურებული თანხვედრა მწერლის პიროვნებისა მის შემოქმედებასთან, არ იქნებოდა ადვილი იმ ნდობისა და განწყობის მოპოვება, რომელიც რომანის

თოთოეული პასაჟის მიმართ უჩნდება მკითხველს.

რომანში „შავი ჩოხა“ პეროიზმისა და გმირობის კვალდაკვალ აღწერს ლალატის, უპატიებელი ორქოფობისა და პარტიული შუღლის ფაქტებს, რომელიც პატრიოტული განცდებით არ იჩრდილება და უფრო მძიმდება მწერლის მხატვრულ დუღაბში. ეს არის როსტომ ჩხეიძის ტრადიციული სტრატეგია, რათა ეპოქის რეალური პორტრეტი ყოველგვარი შეღავათების გარეშე წარუდგინოს მკითხველს. როსტომ ჩხეიძე იცნობს ამ ეპოქის ქართული ლალატის, შიდა განხეთქილების ანატომიას და საკმარისზე მეტ მიზეზებს ხედავს, რათა ბოლშევიკ- მეწევიკთა გაიგივებას არ მოერიდოს. „იქნებ პარაგვაიში გადაესროლათ რაზმელები... იქნებ პარიზში მაინც არ შეეშვათ... და მარტოდმარტო დაეტოვებინათ ქაქუცა თავისი დიდი სახელის ამარა. ეს ცოტას არ ნიშნავდა, ცხადია; ამ შარავანდს აშკარად გადაეჭარბებინა ყოფილი მთავრობის გავლენისათვის, რაც მკრთალადღა ბუუტავდა ქაქუცა ჰეროიკული სახელის ფონზე“. რომანში ეს არ არის ერთადერთი პასაჟი, რომლითაც როსტომ ჩხეიძე ფაქტიურად ააშკარავეს 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებს. ეს განწყობა და დამოკიდებულება მეტად საგულისხმო იყო. მისივე თქმით, „სახიფათო თვალთმაქცების გარემოში“ უხდებოდა მიმწოდობ ქაქუცას ბრძოლა და თავ-განწირვა. „ამჯერადაც რაოდენ ერთნაირად მოქმედებდნენ იდეური და განაყარი ძმები, ხელისუფლების სათავეში იქნებოდნენ მოქცეულნი თუ დამხობილი მთავრობა დაერქმეოდათ“.

რომანის ერთ-ერთ ბოლო თავის სათაურად როსტომ ჩხეიძეს ჯვარზე გაკრული მაცხოვრის საყვედურნარევი სიტყვები აქვს შერჩეული. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევე ძე!?” ამ თავში ფაქტობრივად შეჯამებულია ის ვრცელი მხატვრული დისკურსი, რომელიც მას

ქაქუცას ლეგენდარულმა სახემ და ეპოქაში შთააგონა. აქ არის კონცენტრირებული მწერლის მთავარი სათქმელი. ამ ნათქვამის ფონზე კიდევ ერთხელ იკვეთება ქაქუცას მონუ- მენტური სახე. განუზომელია რომანში ერთად შეზავებული ტკივილისა და აღტაცების ეფექტი. მართალია, ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის განცდა ბოლომდე შეუძლებელია, მა- გრამ როსტომ ჩხეიძის რომანი გაძლევს შესაძლებლობას ამ ვწების სიმძაფრე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების მაგალითზე შეიგრძნო. რომანში „შავი ჩოხა“ კანონზომ- იერია მითოლოგიურთან ერთად რელიგიური მოტივაციე- ბის ორგანული თანაარსებობა. შეუძლებელია ამის გარეშე გააჯერო ქართული სააზროვნო სივრცე რაინდული ეპოქის სურნელებით, ამ ეპოქის შემქმნელი ადამიანების სიმაღლით და მიანიჭო მას ზნებისა და ეროვნული სინდისის მარეგუ- ლირებელი ფუნქცია.

კოტე მარჯანიშვილი 1923 წელს გაზეთ „რუპიკონში“ წერს: „ჩვენ გავწყვიტეთ კავშირი მზესთან და გადავედით ფსიქოლოგიაში და ინტიმში და პირველი რამაც გამაკვირვა მე დაბრუნებისას ამდენი ხნის ჩრდილოეთში ტყვეობის შემ- დეგ ეს არის დაბრუნება მზესთან“. თუკი ტყვეობაში და როსტომ ჩხეიძის თქმით, „ღმერთსმოკლებულ დროში“ თავ- დასაცავად გაჩენილ ორმაგი კოდირების პრინციპებს დავ- ეყრდნობით, დიდი რეჟისორის ეს სიტყვები უდავოდ იწვევს სურვილს ამ რომანის ფსიქოემოციური ზეგავლენა „ერის სიმხევის ასალორძინებლად“ ახლაც მზესთან დაბრუნებას შევადაროთ.

## **კულტურის როლი სამშენებლო მოღაპარაკებების პროცესში**

გასულმა საუკუნემ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისეთი დესტრუქციული მოვლენის თვალსაზრისით, როგორიც ომი და ეთნოკონფლიქტებია. ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების მცდელობებმა საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა დონეზე პერმანენტული ხასიათი სწორედ პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში მიიღო და ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის სტეფან შენფილდის თქმით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გამოიწვია. თუმცა ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ეთნოცენტრიზმი და ნაციონალიზმი საშიშ მასშტაბებს აღწევს და ყველანაირი ინტელექტუალური არგუმენტი შეუსმენადი და იგნორირებულია, მაინც ჩნდება მოთხოვნილება კულტურათა დიალოგზე. სიძულვილითა და დეპუმანიზაციით დაზაფრულ სივრცეში ადამიანები იწყებენ გამოსავლის ძიებას და ამ დროს ცხადი ხდება, რომ „მშვიდობის ტაძრამდე“ მისასვლელი გზის მეტი წილი ზოგადად კულტურაზე გადის.

ემოციათა დაცხრომის ამ საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალით უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყება კათარზისის პროცესი და ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. კულტურა ახერხებს იმას, რასაც პოლიტიკოსები ვერ აღწევენ ხოლმე. ეს ფაქტი იმ კანონზომიერებაში ჯდება, რომლის თანახმად, შემოქმედი ყოველთვის იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ადამიანს საკუთარ თავში სიმართლე მოიძიოს. ეს პროცესი მუდმივ კავშირშია

კულტურის, როგორც კაცობრიობის კეთილი ნების ფენომენის აღიარებასთან და სიკეთის, სიყვარულისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. არ შეიძლება არ დაეთანხმო ფრიდრიხ ნიცშეს, რომელიც თვლიდა, რომ კულტურა კაცობრიობის სინდისია. რომ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული „ზემე“ – სთან ანუ სუპერ – ეგოსთან, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელია.

ქართული პოლიტიკური რეალობის ისეთ ტრაგიკული მოვლენა, როგორიც გახლავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები, მიუხედავად მრავალწლიანი რუტინული მოლაპარაკებებისა, მოუგვარებელია. თუკი შეიძლება სადინარი მოუქებნოთ ამ სამწუხარო სტაგნაციას, ეს სახალხო დიპლომატია და კულტურის ეგიდით წარმოებული დიალოგია, სადაც აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური შედეგები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან ეს რესურსი ბოლომდე არ არის გააზრებული და იგი ლოკალურ ხასიათს ატარებს. ისტორიული მეხსიერების, კეთილი ტრადიციების, კულტურული ღირებებულებების თანხვედრა და მათი გააქტიურება კონფლიქტის დასაძლევად რომ ძალზედ ეფექტურია, ამას ევროპელი ექსპერტებიც აღიარებენ და საქართველოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში განსაკუთებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამ საერთო ფასეულობებისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების საფუძველზე განიხილავენ ისინი ადამიანური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივას. მართალია, შესარიგებლად განვდილი ხელი ხშირად რჩება უპასუხოდ და ეს პუმანური აქტი ერთმნიშვნელოვნად შედეგიანი ყოველთვის არ არის. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოსტკონფლიქტურ პერიოდში აბსოლუტურ შედეგიანობაზე გათვლილი, უნივერსალური ფორმულა არ არსებობს. სასურველ შედეგამდე მისასვლელი გზები რთული, წინააღმდეგობით

აღსავსე და ზოგჯერ არაპროგნოზირებადიც შეიძლება იყოს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ პოსტკონფლიქტურ პერიოდში ადამიანური ურთიერთობების აღდგენის თვალსაზრისით დიალოგი კულტურის ენაზე შეიძლება გაცილებით პროდუქტიული იყოს, ვიდრე ქაღალდზე დარჩენილი რომელიმე მორიგი პოლიტიკური შეთანხმება, წარმოგიდგენთ კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. საუბარს ვიწყებთ ქართულ თეატრალურ სივრცეში განხორციელებული საინტერესო სპექტაკლით, რომელიც ჩვენი სამიზნე აღმოჩნდა არამხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ იმ შედეგიანობის გათვალისწინებით, რომელიც მან მოგვცა კულტურული დიალოგის ფორმატისათვის. 2005 წელს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელდა დადგმა სპექტაკლის „ზღვა, რომელიც შორია“ პიესის სცენარი ეკუთვნის არაერთი საინტერესო კულტურული პროექტის ავტორს, სოხუმელ მწერალს გურამ ოდიშარიას. დადგმა – ცნობილ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს, რომელსაც თანარეჟისორობა გაუწია ნიჭიერმა ახალგაზრდა სოხუმელმა რეჟისორმა ბადრი წერედიანმა. თემურ ჩხეიძის გამოჩენამ რეჟისორის ამპლუაში იმთავითვე დიდი მოლოდინი წარმოშვა, რასაც, ბუნებრივია, თან ერთვოდა ნიჭიერ მსახიობთა გუნდიც. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ აფხაზეთელი მსახიობები-საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, მერაბ ბრეკაშვილი, ლილი ხურითი, ნუგზარ ჩიქოვანი, მერაბ ყოლბაია. საგანგებო აღნიშვნა იმისი, რომ მსახიობები იყვნენ აფხაზეთიდან იმისთვის დაგვჭირდა, რათა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ სპექტაკლში მოხდა ნიჭიერი სახიობისა და რეალურად განცდილის გულწრფელი თანხვედრა. სცენაზე წარმოდგენილმა აფხაზეთის ტრაგიკული მოვლე-

ნების განცდის პროცესმა მიიღო იმდენად ცოცხალი სახე, რომ ემოციურად დამუხტული მაყურებელი სპექტაკლის მსვლელობისას დიალოგშიც კი ერთვებოდა. ამ სპექტაკლმა პოსტკონფლიქტურ ქართულ საზოგადოებაში რეალურად წარმოშვა აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზების ხელახალი განაზრებისა და თვითშეფასების სურვილი, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო პოზიტივი ამ სპექტაკლს ელოდა მაშინ, როცა კონფლიქტის ზონაში DVD ფორმატში ჩაწერილი სპექტაკლის ჩვენება განხორციელდა, თანაც არაერთხელ. დადასტურებული ინფორმაციით, სოხუმის უნივერსიტეტში მოეწყო არა-მარტო მისი სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ჩვენება, არამედ იგი გახდა სერიოზული განხილვის საგანი ახალგაზრდებს შორის – აფხაზური საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც გასაგები გარემოებების გამო ქართულ-აფხაზური ურთიერთობებზე მსჯელობისას მამების თაობამ მასალად მხოლოდ 1992-1993 წლის მოვლენები განუსაზღვრა. ძალიან შთამბეჭდავი გვეჩვენა რეჟისორ ბადრი წერედიანის მონათხობი იმის თაობაზე, თუ როგორ შესთავაზა მან ქ. ერევანში „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა არას-ამთავრობო ორგანიზაცია-თანხმობის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე აფხაზ ახალგაზრდებს სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ნახვა. როგორ გაირღვა მის თვალწინ უნდობლობისა და სკეფსისის ატმოსფერო სეანსის დასრულებისთანავე და როგორ შეძრა იგი აფხაზი ჭაბუკის მიერ ნათქვამმა ფრაზამ, „ეს არის ჩვენი საერთო სპექტაკლი“. სპექტაკლის ვიდეოჩანაწერის ნახვამ აფხაზი ახალგაზრდის აზროვნებაში გააღვიძა ზოგადადამიანური განცდა იმისა, რომ შეუძლებელია ადამიანების გამოდევნა საკუთარი წარსულიდან. სწორედ ეს წარსული კრავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მატიანეს და სამომავლო ურთიერთობების პერ-სპექტივასაც.

2009 წელს სპექტაკლის „ზღვა, რომელიც შორია“ ჩვენება შედგა ქ. სოჭში საქართველოს ხალხთა ასამბლეაზე. სპექტაკლს ესწრებოდნენ ქალაქის სახელისუფლო წრეების წარმომადგენლები, რუსი, ოსი და აფხაზი მაყურებელი. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ლილი ხურითი საუბრობს იმ რეაქციაზე, რომელიც ამ სპექტაკლმა გამოიწვია მათში. მის თვალწინ დაინგრა მძულვარებისა და უნდობლობის კედელი, გაჩნდა საოცარი სინანულის გრძნობა და რაც მთავარია, ამის გამოხატვის შინაგანი მოთხოვნილება. აფხაზი და ოსი მაყურებელი მიდიოდა მსახიობებთან, ცდილობდნენ არამარტო იმწუთიერი კონტაქტის დამყარებას, არამედ საუბრობდნენ სამომავლო ურთიერთობებზე. ფაქტი სახეზეა, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ამ შესანიშნავ სპექტაკლს შეუძლია იმ რეალური ცვლილებების გამოწვევა კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ ადამიანთა ცნობიერებაში, რომელიც მათ ურთიერთობების აღდგენასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაში უნდა დაეხმაროს. და ბოლოს, არ შემიძლია არ მოვიხმო ის სიტყვები, რომელიც ერთ-ერთმა ინგლისელმა კონფლიქტოლოგმა სპექტაკლის მორიგი ჩვენების დროს წარმოსთქვა, წელს რომ ნობელის პრემია გაიცემოდეს მშვიდობის დარგში, უსათუოდ ამ სპექტაკლს მივანიჭებდიო. ეს ფრაზა, რომელიც, იმ შთაბეჭდილებებით არის მოტივირებული, რომელიც სპექტაკლმა გამოიწვია, კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის სამშვიდობო მისიას და კულტურულ ფასეულობას.

2008-2009 წლებში ქართული ესტრადის ცნობილმა მოძღვაულებმა ლელა წურწუმიამ, „უცნობმა“ – გია გაჩეჩილაძემ, „ზუმბამ“ – ზაზა კორინთელმა აფხაზურ ენაზე ჩაწერეს თავიანთი პოპულარული ჰიტები. იმ „საჩოთირო“ ფაქტს, რომ ამ სიმღერებს ქართველი მომღერლები ასრულებენ, ხელი

არ შეუძლია აფხაზი ახალგაზრდებისათვის საყვარელ ჰიტებად ექციათ ისინი.

2009 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ცნობილმა კოლექტურნერმა, საქართველოს 2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრმა. პაატა ქურდოვანიძემ განახორციელა პროექტი – „ქართულ-აფხაზური ალბომი“, რომელშიც თავი მოუყარა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ამსახველ უნიკალურ, უძველეს ფოტო-მასალას, ისტორიულ ფაქტებსა და აფხაზ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. ეს არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ბუნებრივი ქრონიკა და არა ისტორიის მულიაჟი. ამ ალბომის მთავარი ლაიტმოტივი სწორედ თაობათა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხია. პრეზენტაციაზე ამ წიგნს სამართლიანად უწოდეს „სიყვარულის გზავნილი“. დადასტურებული ინფორმაციით, ერთმა აფხაზმა ქალბატონმა ამ წიგნის ნახვისას ემოცია ვერ დამალა და სამართლიანად აღნიშნა, ეს წიგნი ახალგაზრდებმა რომ ნახონ, ისინი უსათუოდ იამაყებენ თავისი წარსულითო. ჩვენის მხრიდან დავძენდით, ეს ის წარსულია, სადაც ქართველები და აფხაზები მეგობრობის, ნათესაობის, „მორდულის“ ტრადიციებით არიან შეკრული. ამიტომაც ახლავს ამ კულტურულ პროდუქტს ის ფასეულობა, რომლის ჩანაცვლება შეუძლებელია პოლიტიკური მოლაპარაკებებით.

კულტურული დიალოგის თვალსაზრისით გამორჩეულ ფაქტად მინდა ვალიარო 2011 წლიდან მედიასივრცეში გამომავალი ახალი ალმანახი „სამხრეთ კავკასია“. მისი რედაქტორები არიან გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია. ამ ეტაპზე გამოცემულია ორი ნომერი. ეს არის თვალსაჩინო, ეფექტური მაგალითი კულტურის ენაზე წარმოებული დიალოგისა, ვინაიდან ალმანახში წარმატებით თანამშრომ-

ლობქნ სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, ქართველი, აფხაზი მწერლები და უურნალისტები.

ანალოგიური მისით გადაწყვიტეს თავიანთი ხმების გაერთიანება ამიერკავკასიის მწერლებმაც წიგნებში „სიცოცხლის დრო“ (2003) და „ხიდი“. (2006) ამ პროექტის მისია ნათლად არის განსაზღვრული – მან რეგიონში „კაცთა შორის სიმშვიდეს“ უნდა შეუწყოს ხელი. ამ უაღრესად საყურადღებო წიგნების რედაქტორებად კვლავ გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია წარმოგვიდგებიან.

„სიცოცხლის დრო“ ეს არის ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ მწერალთა ინიციატივა, რომლის შედეგად მშვიდობისა და ადამიანთა ჰუმანიზაციისათვის გაღებული მათი ლიტერატურული ღვაწლი ერთ წიგნში გაერთიანდა, როგორც მაგალითი კულტურათა წარმატებული დიალოგისა. მათი თვალით დანახული ომი, პერსონაჟთა პორტრეტები და განცდები საოცრად ჰგავს ერთმანეთს და ინტერტექსტობრივ დატვირთვას იძენს. სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოფსიქოლოგის, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში, სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების მხატვრული ალუზიები კონცენტრირდება ერთი საერთო იდეის, ერთი ჭეშმარიტების ირგვლივ – კაცობრიობამ უნდა უერთგულოს იმ ფასეულობებს, რომელიც ადამიანთმოყვარეობის ცნობილ პოსტულატებს ეფუძნება.

ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს მოთხრობის „მშვიდობა ომის დროს“ ერთ-ერთი პერსონაჟი – მოხუცი კაცი შვილს ეუბნება, წადი ომში, ისწავლე ცხოვრება. მოგვიანებით მწერალი იტყვის, როდესაც მოვინდომე შემექმნა პოეზიით გამსჭვალული ნაწარმოები, რომელსაც შევალიე კიდეც მთელი ათი წლის ფიქრი, დაკვირვება, სიყვარული, ჩემი ბავშვობის მიწას, მშობლიურ ბასკონიას მივმართე, მის მთებს მივუბრუნდი, კარლისტებსა და ლიბერალებს შორის

ომი გავიხსენე, ჩემი ბავშვობის ექოდ რომ ხმიანობს სულ-ში და როცა გაიღვიძებს მაშინვე მოგონებები წამოიშლება. მიგელ დე უნამუნოს არ გამოპარვია, რომ ომის ფონზე შემონახულ ამ მოგონებებში ინახებოდა მისთვის რაღაც საკრალური, ის, რაც მისცემდა მას ძალას ჩაწვდომოდა ადამიანური ყოფიერების იმ უფაქიზეს შრეებს, რომელიც სწორედ განსაცდელთან ერთად იხსნება და რომელიც აიძულებს ადამიანებს დაირაზმონ ერთი იმპერატივის გარშემოგადაარჩინონ სიცოცხლე.

წიგნს, რომელიც ამ ფუნდამენტური მსოფლგანცდის პრინციპებზეა აგებული და სადაც სამხრეთ კავკასიის მწერლები ზოგადყავკასიურ დიალოგს ამ ტონალობაში წარმართავენ, საოცრად მისადაგებული სათაური აქვს – „ჟამი სიცოცხლისა“. პროექტის ავტორები ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია და აფხაზი ბათალ კობახია შესავალში აღნიშნავენ, ეს წიგნი არის მცდელობა იმისა, რომ შევიგრძნოთ იმ ადამიანების მაჯისცემა, ვინც იცის ნამდვილი სიცოცხლის ფასი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი კავკასიაში მცხოვრებ ადამიანებს მისცემს საშუალებას, რომ უკეთ გაითავისონ ერთმანეთის პრობლემები. სამწუხაროდ, ამ პრობლემის დანახვა შეუძლებელია, სანამ ადამიანები არ ისწავლიან ომის შედეგების პრევენციას და საკუთარ თავში იმ სამყაროს არ აღმოაჩენენ, სადაც სიყვარული უზენაესობს.

აზერბაიჯანელი მწერლის ფახრი უგურლუს ესე „ომი“ მსოფლიო სულის გადასარჩენად წარმოებული დიალოგია, იმ განცდების რეფლექსიაა, რომელიც სიკვდილისა და ძალადობის აპოლოგეტ რეციპიენტებზეა გათვლილი. ფახრი უგურლუ არ ცდილობს გამოცდა მოუწყოს თავის ნაციონალურ გრძნობებს და ანტითეზად დასახოს ყველაფერი ის, რაც მისგან არ მომდინარეობს, არ ცდილობს გაამართლოს „საღვთო ომი“, დააკონკრეტოს დრო, სივრცე და ისე მოახ-

დინოს წარსულის რეტროსპექტივა. მწერალი დროის მიღმა დგას და თავისი ესეც მარადიულ ფასეულობებზე აქვს გათვლილი. მე უნდა გადავრჩე, მტერი უნდა განადგურდეს— ფახრი უგურლუს დევიზი არ არის.

დრო-სიცოცხლი აღქმა შედარებით კონკრეტიზირებულია აზერბაიჯანელი მწერლის ელჩინ ჰუსენბეილის მოთხოვნაში „ტყვეები“. მწერალი ქმნის ლიტერატურას „ტყუილის გარეშე“. მას მთიანი ყარაბახის კონფლიქტი თავისი არსით, გაცხადებული თანამიმდევრობითა და მიზეზ-შედეგობრიობით ერთ ამბავში ისე აქვს კონცენტრირებული, რომ ლამის ყველა საბედისწერო კითხვის უნივერსალურ პასუხად უღერს. ომის სტიქიურ დამღუპველ ძალას აქ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს ნაჩვევი ადამიანების ცნობიერება გულუბრყვილოდ და თუმცა მოულოდნელი სიმძაფრით უპირისპირდება. წიგნში, რომელსაც „სიცოცხლის ჟამი“ ჰქვია კავკასიურ დიალოგში აზერბაიჯანელებთან ერთად სომები, ოსი, ქართველი და აფხაზი მწერლები ერთვებიან. მათ ერთი სათქმელი, ერთი ტექსტი აერთიანებთ, რისთვისაც შესანიშნავად იყენებენ მეოცე საუკუნის დასასრულს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინსპირირებული კონფლიქტების რეალურ ისტორიებს. ჩარლზ დიქსონის გამონათქვამი-თუ თქვენს ქვეყანაში არაა კონფლიქტები, გაისინჯეთ, გაქვთ თუ არა პულსი, დაფიქრებისათვის იმდენად განგანყობს, რამდენადაც გეყოფა სიმაღლე ამ „განწმენდის“ ჟამს ყველაფერი აქედან დაინახო. არსებული დრამატიზმი ზოგადადამიანურ, უფრო გლობალურ კონტექსტში შეიგრძნო და ეთნონაციონალიზმის „ხიბლი“ გადალახო. ზოგადად ადამიანური ტკივილის შეგრძნობის, ემოციური თანამონაწილეობისა და თანალმობის გარეშე ამ წიგნის სამყაროში შესვლა შეუძლებელია. მისი უპირატესი მიღწევა სწორედ ინტერ-ტექსტობრივი დატვირთვა, არასტერილური გარემო, ზოგადი

ადამიანური ფასეულობებია. ამგვარად, წიგნში მაქსიმალურად მინორულია ეთნიკური აქცენტები, თუ მხატვრული ტექსტი დოკუმენტური პროზისათვის დამახასიათებელმა დეტალებმა არ გასცა. დოკუმენტალიზმი ამ შემთხვევაში გარდაუვალია და ამ პროექტის მონაწილე ყველა მწერალი „ტყუილის გარეშე“ ცდილობს საუბარს. ისტორიული რეალობა სწორედ ის მედიუმია, რომელიც მათ სათქმელის ბოლომდე გამჟღავნებაში ეხმარება.

კოსტა ძუგაევის მოთხრობა „ტყვიებით დასერილი სივრცე“ ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენა. 1990-91 წლებში ცხინვალში განვითარებული მოვლენები ორივე ნაპირიდან ისეა დანახული, რომ ეროვნების განურჩევლად ახდენს მკითხველის ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის-სინანულისა და თვითგვემის პროვოცირებას. მწერალი შეგვახსენებს, რომ ამ ომში მხოლოდ სიკვდილი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ორთავე მხარეს საკუთარი გახუნებული ამბიციები შერჩება. შესაძლებელია თუ არა ნგრევისა და მძულვარებით დალდასმული ურთიერთობების პირობებში ზნეობისა და ეთიკურობის შენარჩუნება? ეს კითხვა სომეხი მწერლის ვარდგეს ოვანის მოთხრობის „მე შენ მიყვარხარ, სიცოცხლე“ მთავარი თავსატეხია. შესაძლებელია თუ არა ადამიანები ყოფიერების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დროებით მაინც გაერთიანდნენ და სოლიდარობის გრძნობა შეინარჩუნონ. მოთხრობაში საომარი მოქმედების პირობებში დანაღმული ველის გადასვლის სცენა ძალიან მარტივი გააზრებითაც კი თვალნათლივ პასუხობს ამ კითხვაზე. ადამიანს ძალუძს თვითონ გადაწყვიტოს, როგორი იქნება მისი მორალური პროფილი და როგორი დარჩება იგი ამ განსაცდელის პირობებში.

90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში დაურ ნაჭყებიამ არა მარტო იმით მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ

მან არნახული წნებისა და ცენზურის პირობებში გაბედა ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში და თავისი სათქმელით შეერთებოდა იმ გუნდს, რომელშიც ქართველი მწერლებიც მოიაზრებიან, არამედ იმითაც, რომ ბოლომდე მიყვება შემოქმედებითი ინტუიციის ლოგიკას და სათქმელს ამ გადასახედიდან ამჟღავნებს. „მინის ყივილი“ მისგანაც მოითხოვს ხარკს, თუმცა ეს არასოდეს უშლის ხელს დაურ ნაჭყების შექმნას სრულფასოვანი ლიტერატურა. „ტკივილი არსებობის დამადასტურებელია – ცოცხლობ მანამ, სანამ გტკივა“ – ამბობს მწერალი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში „მალე შემოდგომა დადგება“.

დაურ ნაჭყებიას მოუნია პოსტ-ფაქტუმ – შედეგებზე დაყრდნობით ემსჯელა და ამ დროს სიმართლის პარალელურად ყოფილიყო საოცრად დელიკატური თავისი ერის ისტორიული საზრისისა და ეთნოფსიქიკის მიმართ. მისი, როგორც მწერლის ჰუმანისტური პოზიცია, უშუალობა, ის კონცეფციური მომენტებია, რომელიც არასოდეს ტოვებს მას და აძლევს საშუალებას იყოს აღმსრულებელი მეტად მნიშვნელოვანი მისიის-გააერთიანოს სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილი ადამიანები, რომელთაც ისტორიულად ყოველთვის უფრო მეტი აერთიანებდათ, ვიდრე ჰყოფდათ. დაურ ნაჭყებიას მოთხრობებში ყოველთვის შეიძლება იპოვო ის, რაც ომის დროს დანგრეულ-დანაწევრებულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობს აღდგენისათვის შეამზადებს და თანაცხოვრებისათვის კვლავ განაწყობს.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში მწერლობის სათქმელის განვრცობა უხუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში „ომი და ბიჭი“ გამოკვეთილად პოზიტიური და თვალშისაცემია. ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგად კავკასიურ დიალოგს, ეს არის ომის ბავშვები, მათი უმანკო თვალებით

დანახული ის რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელიც მას მოსდევს.

ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები ყოველთვის ატარებს დროის ნიშნებს, როდესაც ის იქმნება-დაწყებული ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციიდან, სათქმელის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებებამდე, სტილის სიახლემდე, მიმართულების თავისთავადობამდე და ა. შ. მით უფრო, როდესაც ეს დრო და განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერის, ქვეყნის, ადამიანების ცხოვრების წესზე. საზოგადოების ბედზე, ცნობიერებაზე და მოქმედების ფორმებსა თუ ინდივიდის არჩევანს განსაზღვრავს. ასეთი მძაფრი შედეგის აღმოჩნდა ის დრამატული, მეტიც, ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში-კავკასიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ განვითარდა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით, ძალზე შთამბეჭდავი და შედეგიანია სოხუმელი მწერლის გურამ ოდიშარიას მოღვაწეობა. მისი პროზა-რელიეფური, გამოკვეთილი პერსონაჟებით, ჰუმანიზმითა და დროის უზუსტესი ფსიქოლოგიური ანაბეჭდებით იქცევს ყურადღებას. ეს არის ქართულ-აფხაზური მეგობრობის მიკრომატიანე, რომელიც რეალური საფუძველია აფხაზ-ქართველთა საერთო წარსულისა და სამომავლო თანაცხოვრების გადასარჩენად. მიუხედავად შემზარავი რეალობისა, რომელსაც კანონიერი არსებობის უფლება აქვს მის შემოქმედებაში, მწერლის ხედვის რაკურსი ყოველთვის ოპტიმიზმსა და კაცთმოყვარეობაზეა ფოკუსირებული. მისი მზერა ყოველთვის უახლეს წარსულს დატრიალებს, გურამ ოდიშარიას საკრალური კავშირი აქვს ამ წარსულთან, მასთან უწყვეტობის განცდა ანიჭებს მწერალს ინდივიდუალ-

იზმს, რომლის უკან ყოველთვის დგას აფხაზეთი თავისი სასიცოცხლო სივრცითა და პიროვნებებით, რომელიც უახლეს ისტორიულ კონტექსტთან ერთად შეიგრძნობა. გურამ ოდიშარიას მოთხოვნები საფუძველშივე ენინააღმდეგება ომის მიერ კაცთმოძულეობის დამკვიდრებულ ტრადიციას. მიუხედავად იმ სივრცული არეალისა, სადაც რაოდენობრივად მორალური კრიზისი სჭარბობს, მწერლისა და პროექტის ავტორის ეს ფრაზა საბოლოოდ კრავს არა მარტო მის მთავარ სათქმელს, არამედ ზოგადკავკასიური დიალოგისთვის გამიზნულ ამ შესანიშნავ წიგნს „უამი სიცოცხლისა“. გურამ ოდიშარიას როგორც მწერლის სამშვიდობო მისია დასტურდება მისი არაერთი შესანიშნავი რომანით, მათ შორის გვინდა აღვნიშნოთ რომანი „პრეზიდენტის კატა“, რომელიც აფხაზეთის ბიბლიოთეკების კატალოგშია შეტანილი და მსოფლიოს რამდენიმე ენაზე ითარგმნა. რომანში საოცარი სიყვარულით არის გაცოცხლებული აფხაზეთის ცეკას პირველი მდივნის, კოლორიტული მიხეილ ბლაუბას სახე. წიგნი იმ წარსულისადმი ერთგულებით სუნთქავს, რომელსაც გურამ ოდიშარია უცნაური ერთგულებით დარაჯობს. ეს განწყობა მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, როცა 2011 წელს თარგმნა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებიას შესანიშნავი რომანი „ლამის ნაპირი“.

სიმართლე გითხრათ, როცა ენგურს გაღმა დარჩენილ საქართველოზე ვფიქრობ, ეს ფაქტები ქართველთა და აფხაზთა შორის ნდობის აღსადგენად გაცილებით იმედის-მომცემი მეჩვენება, ვიდრე პოლიტიკოსთა მრავალწლიანი, რუტინული მოლაპარაკებები.

## „მთვარის მოტაცება“ სოხუმის თეატრის სცენაზე

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ თეატრის სცენაზე უშეღლავათო მოცემულობა და გამბედაობის მასტერკლასია სადადგმო ჯგუფისთვის... აქ მხოლოდ რეჟისორის ავტორიტეტის იმედად ვერ დარჩები, რადგან ამ მონუმენტურ, მითოსური პლანითა და სიმბოლური ჰიპოსტასებით გაჯერებულ მხატვრულ ტექსტში არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისთვის „მთვარის მოტაცების“ გასცენიურებას პასუხისმგებლობასთან ერთად ალბათ ახლდა ბერგმანის „უცნაურისა და საშიშის შეხვედრის“ აპოკალიფსური შიშიც, ეს შიში უნდა არსებობდეს, როცა კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ სამყაროში დააპირებ შესვლას და იგი მაშინ ჩაივლის, როცა თეატრისგან მინიჭებული ბედნიერების განცდა მაყურებელს ამ „წუთისოფლის ღელვა ტორტმანში“ დიდხანს გაჰყვება საგზლად. ნებისმიერი კულტურის პროდუქტის შექმნის მიზანი თავის სოციალური, ესთეტიკური დანიშნულების პარალელურად, უსათუოდ ესეც არის..

ამ განცდით ვტოვებ 2019 წლის 1 ივლისს, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრს, სადაც სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა „მთვარის მოტაცების“ პრემიერა წარმოადგინა. დადგმა ტრაგიკულად დალუპული საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. ვტოვებ თეატრს და ვგრძნობ, დიდხანს გამყვება „საგზლად“ რეჟისორ გოჩა კაპანაძის მორიგი სახელოვნებო მასტერკლასის, მისი თავკაცობით შექმნილი მუსიკის, მხატვრობის, სიტყვის გამომსახველობითი მაგის,

უესტის, მიმიკის, პლასტიკის, სახიობის უსაზღვრო შესაძლებლობებისა და სცენური შესატყვისობის ესთეტიკური კოლაბორაციის შედეგი. და კიდევ, უცნაური, ექსტრემალური შეგრძნება, რომელიც ამ თეატრის ერთგულ მაყურებელს ბუნებრივად უნდა უჩნდებოდეს ხოლმე – აյ ხომ მეორე დუბლი არ არსებობს და ყოველი შეცდომა თეატრის ფოლიანტებში ჩაიტვირთება.

დიდია რისკი, როცა კონსტანტინე გამსახურდის რომანის გასცენიურებას ეხება საქმე და თანაც „სოხუმის თეატრში“. ადგილის დედას მოწყვეტილმა გუნდმა პროფესიონალიზმის მაჯისცემა კარგად უნდა მოისინჯოს, რადგან არავინ მისცემს შეღავათებს იმის გამო, რომ წლებია დევნილი თეატრის ხვედრს იზიარებს, არ ჰქონდა საკუთარი სცენა და აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი სტაბილურობის განცდა. თუმცა ფაქტია, რომ ამ თეატრს კომპრომისები არასოდეს დაჭირვებია. მას დევნილობაში, ასეთ მოცემულობაში ახსოვს თემურ ჩხეიძე, გიზო უორდანია, რობერტ სტურუა, ჭოლა წულაძე და გიორგი თავაძე. იგი უკვე მერამდენედ ერკინება თეატრის ისტორიისათვის უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს – ქართული პროზის დიდოსტატის – კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული სამყარო გადაიტანოს სცენაზე და იმარჯვებს კიდეც, რადგან კვალდაკვალ მიყვება, გრძნობს მწერლის ესთეტიკას, ძირითად სათქმელს და ღირსეულ განაცხადს აკეთებს თეატრის ისტორიისათვის. . „დიდოსტატის მარჯვენა“, „ეწერში მდგარი თხმელა“ და ახლა უკვე „მთვარის მოტაცება“, რომანი, რომელიც არამარტო თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის, არამედ იმ დიდაქტიკის გამოც არასოდეს დაკარგავს აქტუალობას, რომელიც „ზარის შემოკვრის“ ფუნქციას ასრულებს ჩვენი ეროვნული დეზორიენტირების უამს.

თამაზ გოდერძიშვილის სანაქებოდ უნდა ითქვას, მან

ოსტატურად, ჩვენი ეროვნული ყოფის შესაბამისად შეძლო მწერლის მესიჯების კონსტრუირება სცენაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ტრილოგიას ეხება, რომელშიც თითოეული თავი სიმბოლოა და საკრალური შინაარსი აქვს, თამაზ გოდერძიშვილმა ყველა სადადგმო პრინციპების დაცვით განახორციელა სცენიდან მწერლის მარადიული ჭეშმარიტების გადაცემის აქტი.

სპექტაკლის რეჟისორი – გოჩა კაპანაძე ალბათ ბევრს იფიქრებდა, ვიდრე „მთვარის მოტაცების“ დაზღმას გადაწყვეტდა. ის არ გახლავთ კომპორმისებს მიჩვეული ხელოვანი და ამის გარეშეც ღირსეულად გრძნობს თავს ქართულ თეატრში. მას შეუძლია სცენაზე შექმნას კორპორაცია, რომელიც არ წარმოშობს კონფლიქტს ავტორის ტექსტსა და მის რეჟისორულ ჩანაფიქრს შორის. ეს მოცემულობა ბევრს, მათ შორის – მეც მამშვიდებდა. მაგრამ მაინც უცნაურად ვღელავდი პრემიერაზე, რადგან მე არ ვიყავი მხოლოდ მაყურებელი, ჩემი ემოციური დამოკიდებულების გათვალისწინებით, მქონდა სურვილი იმ იდეის განახლების, რომელიც ზოგადად სოხუმის თეატრის მნიშვნელობას, მის სათქმელს უკავშირდებოდა...

რეჟისორის შემოქმედებითი ენერგია, სტილი, ინტელექტი, ფრანს ბოასის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კულტურის სათვალე“ პირველივე მოქმედებიდან გაგრძნობინებს თავს. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვის ვიდეოჩანაზერის გამოყენებამ სპექტაკლის დასაწყისში შექმნა კარგი მოლოდინი, იმ კავშირის განცდა, რომელიც უნდა არსებობდეს, თითქოს მწერალი უშუალოდ მეგზურობდა რეჟისორს და ქვეცნობიერად, გარანტი იყო იმ აკადემიურობის, რომელმაც ფასი დაკარგა ექსპერიმენტული ხელოვნების ეპოქაში. უზუსტობის შიშმა, რომელიც ლიტერატურათმცოდნებს ხშირად გვიჩნდება ხოლმე კლასიკოსების გასცენიურებ-

ის დროს, პირველივე მიზანსცენიდან უკან დაიხია. როცა სასიყვარულო სამკუთხედის – თარაში, თამარი, არზაყანის დრამატიზმი ოსტატურად განსხეულდა მსახიობთა უსიტყვო მოძრაობაში, საიდანაც დაიწყო მათი სცენური ყოფა. ამასთან, კარგად გამოჩნდა სოციალური, ძველისა და ახლის მასშტაბური სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი, ეპოქალური ყოფა. გაიხსნა მწერლის დაშიფრული სათქმელი, საბჭოთა ცენზურის შიშმა რომ გამოაცალა მხატვრულ ტექსტს. დღეს სახელოვნებო სივრცეში მაქსიმალური კომფორტია თავისუფალი რეფლექსისათვის, თუმცა მნირია ამ შიფრის გახსნისათვის საჭირო ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით, გოჩა კაპანაძის რეპუტაცია არასოდეს ბადებდა ეჭვსა და უნდობლობას. „მთვარის მოტაცებამ“ კიდევ ერთხელ გამოავლინა მისი შესაძლებლობები.

სპექტაკლში დაკავებულ მსახიობთა გუნდმა, ვფიქრობ, ყველაზე კრიტიკულ მაყურებელსაც გამოაცალა სათქმელი. ასეთ დროს, რომანის კითხვის დროს მიღებული ემოცია მსახიობთათვის ხელშემწყობი ვერ იქნება, პირიქით, სწორედ ეს ფაქტორი აყენებს ყველაზე დიდი გამოცდის წინაშე მათ ოსტატობას, რადგან მაყურებელი სახილველის ფაზაში შედის და აქვს ლეგიტიმური მოთხოვნა, მსახიობი არ გასცდეს წიგნის კითხვისას გამოყოლილ მის წარმოდგენებს პერსონაჟებზე. ფაქტია, ეს წარმოდგენები განსაზღვრავენ დღემდე „მთვარის მოტაცების“ კინოვერსიის შეფასებებს, სადაც თარაშისა და თამარის სახე ერთობ უფერული გამოდგა. უნდა ვაღიაროთ, ნინო შავგულიძის უნატიფესმა თამარმა, ჯანო იზორიას არზაყანმა, ნიკა წერედიანის თარაშ ემსვარმა მაყურებელი იმედგაცრუებული არ დატოვა.

მათთან ერთად ლონდა კაციას, ჯულიეტა პაკელიანის, კახა შარაბიძის, გიორგი გასვიანის, მარინა სოლომონიას, სანათა ძაძამიას, ბადრი ბეგალიშვილის, ეკატერინე არჩა-

იას, ვერიკო კალანდიას, მარიამ ყოლბაიას, დათო ბერაძის, ლელა შარაბიძის, ნუგზარ წერედიანის, ედემ ხვიჩიას, იზოლ-და ბოკუჩავას, გია გოგიშვილის მიერ შექმნილმა სცენურმა სახეებმა სახილველ ფაზაში ბუნებრივად, უმტკივნეულოდ გადაიყვანა მაყურებელი. მსახიობთა ეს გუნდი საოცრად ბუნებრივად გრძნობდა თავს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის სივრცეში. მერაბ ყოლბაიას ლუკაია ლაბახუა ცალ-კე საუბრი თემაა... მან „უკანასკნელი მოჰიკანი დასავლე-თის ფეოდალების კარად მოზიმზიმე ლენჩების, ბნედიანე-ბის ლეგიონისა“ სცენაზე იმ დრამატიზმით წარმოადგინა, პატრიარქალურ ნგრევას რომ ახლდა იმ საბედისწერო 30-იან წლებში. მერაბ ყოლბაიას ეს სცენური სახე ერთ-ერთი საუკეთესოა და საერთოდ, ვფიქრობ, გოჩა კაპანაძის „მთ-ვარის მოტაცებამ“ მსახიობებს საუკეთესო შესაძლებლობა მისცა შემოქმედებითი პოტენციალისა და ტალანტის გამ-ოვლენის. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს სპექტაკლი თი-თოეული მათგანისთვის ერთგვარი მისიაც იყო, რათა კიდევ ერთხელ გაგვეაზრებინა ჩვენი უახლესი წარსული, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დრამა და დროის მტვრისაგან გადაგვეწმინდა მეხსიერების ლაბირინთები.

სპექტაკლში საუკეთესოა დატირების სცენა. მსახიობები ბეწვის ხიდზე გადიან, სადაც მხოლოდ გარდასახვის პრო-ფესიონალიზმი არ კმარა, პირადი სულიერი გამოცდილება და ფსიქომოციური მზაობა გჭირდება, სიყალბე რომ არ იგრძნოს მაყურებელმა.

მიუხედავად თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენის მასშტაბებისა, სპექტაკლში პრაგმატუ-ლად, ეფექტურად არის გამოყენებული სივრცე, რომელ-შიც დეკორაციები, განათების პარტიტურა ქმნის განნ-ყობას, რათა მაყურებელმა მწერლის სამყაროში იგრძნოს თავი. განათება, ფერის სიმბოლიკა, რომელსაც დადგმაში

თავისი კონტექსტი აქვს, მსახიობთან ერთად სუნთქავს და აძლიერებს ემოციურ ეფექტს. სვეტლანა გოგოხიას და ანა ნინუას ტრადიციულ ხელწერას იმ შედეგისთვის, რომელიც ვიხილეთ, ფასეული წვლილი აქვს.

თეატრალური კრიტიკა ამ სპექტაკლზე თავის სათქმელს იტყვის, შესაძლოა, ზოგიერთი რამ გადაიხედოს და ჩემს სურვილებსაც დაემთხვევს – რომანის მთავარი გმირის – თარაშ ემხვარის დალუპვის ეპიზოდი „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია“ მრავლისმთქმელ მეტაფორად რომ ქცეულიყო ფინალური სცენისთვის.

დიახ, სოხუმის თეატრს უკან დახევა არ სჩვევია. ასე იქნება დაბრუნებამდე და მის მერეც,

მანამ კი, სამწუხაროდ, ჯერაც „შორია აფხაზეთამდე“...

## **ქაგეასიური ერთიანობა – თვითგადარჩენის უნიკალური ქოდი**

**(ორიოდე სიტყვა ზაზა ურუშაძის „მანდარინებზე“)**

ადამის მოდგმა ვერასოდეს განიკურნება თვითსპობის სინდრომისაგან. მისი ყველაზე მკაფიო გამოვლენა საომარი რიტორიკაა, რომელსაც სამყაროს ინტელექტუალური ნაწილი პოსტ-ფაქტურ განიხილავს, მაგრამ პრევენცია ყოველთვის უჭირს. შეგონებანი, რომელსაც ევროპელები „ყალყზე შემ-დგარ აზრებს“ უწოდებენ მხოლოდ ერთეულებისათვის არის შესმენადი. სწორედ ისინი არიან „ჯვარზე გამსვლელები“ და მათი სიმცირეც იმ კანონზომიერებაში ჯდება, გოლგოთის მაყურებლების სიმრავლეს რომ განაპირობებს. ინტელექ-ტუალური შეუწყნარებლობისა და დეპუმანიზაციის ფაზაში მყოფი საზოგადოების გამოსაფხიზლებელ ყველაზე ეფექ-ტურ ინსტრუმენტად კვლავაც რჩება ფრიდრიხ ნიცშეს მიერ კაცობრიობის სინდისად აღიარებული კულტურა.

კინო ქართული კულტურის ის ნაწილია, რომელმაც ყველა ეპოქაში შეძლო კომპრომისების პარალელურად არ ეღალატა თავისი სულიერი მისისთვის. ბოლო ოცნლეულის განმავლობაში ქართული კულტურის ამ სეგმენტმა ადეკვატურად განვლო ყველა ეტაპი, რომელმაც უზუსტე-სად აირეკლა სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოწვეული ტკივილი და სულიერი დეკადანი. ქართული კინოს სახელმწიფო პროფილზეც გაჩნდა უგემოვნებობისა და კინოპროფანაციის ღრმა ნაპრალები, რომლის ამოვსება გასართობი კინოინდუსტრიის სულგამოცლილი პროექტების ფონზე არ იყო ადვილი. თუმცა მაყურებელმა მაინც გაიმ-

არჯვა – მან შეძლო მკაფიო ზღვარის გავლება ნამდვილ და ფსევდოხელოვნებას შორის, შეძლო თავისი ესთეტიკური გე-მოვნების კორექტირება და ხელოვნებისადმი სწორი დამოკ-იდებულების კულტურა აღიდგინა. ოცდამეერთე საუკუნის ქართულმა კინომ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა აიღო კულტურის რესურსის „კაცთა შორის მშვიდობის დასამ-ყარებლად“ მიმართულ პროცესში.

ზაზა ურუშაძე თავისი ფილმით „მანდარინები“ ამ პრო-ცესის ერთ-ერთ საინტერესო მონაწილედ შეიძლება ვაღი-აროთ. მის კინოარსენალში ყოველთვის მოიძებნებოდა ის, რასაც ფრანც ბოასი „კულტურის სათვალეს“ უწოდებს და რომელიც განაპირობებს სამყაროს კულტურული უნივერ-სალიების სწორ ხედვას. ამათგან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 1998 წელს გადაღებული მისი ფილმი „აქ თენ-დება“. ამ რეჟისორის „კულტურის სათვალეს“ შესწევს ადა-მიანის – ვაშლიჭამია და ძუძუმწოვარა არსების სულიერი კორექტირების უნარი. მით უფრო ახლა, როცა მის შემო-ქმედებით მონაგარში ფილმის „მანდარინების“ სახით ომი-სა და მშვიდობის თემა იკვეთება. ომი ეს ის დროა, როცა თომას ჯეფერსონისა არ იყოს, თავისუფლების ხე უნდა მოირწყას პატრიოტებისა და ტირანების სისხლით და ვი-დრე ეს მოხდება, უნდა გავისენოთ, რომ ეს „კულტურის სათვალე“ ქართულ სახელოვნო სივრცეში ახლახან შობილ ზაზა ურუშაძის ფილმს „მანდარინებს“ გააჩნია. მას შეუ-ძლია ერთდროულად შეგძრას, გაგაღვიძოს და გარდაგქმნას. ეს არის მისი „ღვანლი კეთილი“ იმის გასააზრებლად, რომ „ამ სამყაროში ბევრია გასაკეთებელი და ბევრია გასაგები“ (სამიულ ჯონსონი). კინოინდუსტრიის საქმიანმა ნაწილმა ფიქრისთვისაც მოიცალა, რადგან იმთავითვე ადეკვატურად აღიქვა ამ ფილმის შესაძლებლობები. ესტონური ლლფილმ-ის მიერ დაფინანსებული „მანდარინები“ ოსკარზე ესტონე-

თის სახელით ასპარეზობს, თუმცა ლლფილმ-თან ერთად ფილმს ქართული „კინო 24“ – იც აწარმოებდა და თანაც პრო-დუსერები ესტონელი ივო ფელტი და ზაზა ურუშაძე არიან. მაყურებლის ოვაციასაც მთავარი როლის შემსრულებლები, ქართველი და ესტონელი მსახიობები მიხეილ მესხი, გიორგი ნაკაშიძე, ლემბიტ ულფსაკი, ელმო ნუგანენი, რაივო ტრასი და სხვები ინაწილებენ. „ოსკარების ფინალისტმა“ „მანდა-რინებმა“ შეერთებულ შტატებშიც მნიშვნელოვანი პრიზი მიიღო. მან პოლივუდის კინოაკადემიის მთავარ საზეიმო ცერემონიალამდე ერთი კვირით ადრე საერთაშორისო პრე-სის აკადემიის („იპა“) დაჯილდოებაზე უცხოური ფილმების კატეგორიაში წარდგენილ 10 საუკეთესო ფილმს შორის გაიმარჯვა.

Samuel Goldwyn Films-მა „მანდარინების“ სადისტრიბუ-ციო უფლება შეიძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაზა ურუშაძის ნამუშევარს, რომელიც საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზეა წარდგენილი, ამერიკულ კინოთეატრებშიც უჩვენებენ. კომპანია აპირებს, შტატებში ქართულ-ესტო-ნური პროდუქტის პრემიერა რაც შეიძლება მალე შედგეს, რათა ამერიკელმა კინომოყვარულებმა თავადვე შეძლონ ოსკარის ნომინანტის შეფასება. მათი გათვლებით, „მანდა-რინების“ რესურსი ამ თვალსაზრისით საიმედოა. მართლაც, ფილმის სანდოობა ამ თვალსაზრისით აშკარაა – 90-იანი წლების საქართველოში განვითარებულმა სიუჟეტმა უცხ-ოელი მაყურებელი იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა დააინტერესოს, რომელიც კინოს როგორც ხელოვნე-ბის პროდუქტს ახლავს.

„მანდარინების“ მთავარი ძარღვი სწორედ იქ ფეთქავს, სადაც ეროვნული და ზეეროვნული ისე ერწყმის ერთმა-ნეთს, რომ ამ უკანასკნელის მიმართ დელეკატურობას ოსტატურად ინარჩუნებს. ვაღიაროთ, რომ ამის ორგანი-

ზება უაღრესად სენსიტიურ ქართულ რეალობაში ადვილი არ არის, რადგან ბოლო ოცნებულია, ქვეყანა ეროვნული ღირსების გადასარჩენად იბრძის. ასეთ ფონზე თამამად ღირს საუბარი ზაზა ურუშაძის ფილმის არამარტო მხატვრულ ღირებულებაზე, არამედ იმ სულიერ დანიშნულებაზე, რომლის გარეშეც კინოკრიტიკოსთა მხრიდან იშვიათად ჩნდება გამოხმაურების მოტივირებული სურვილი.

კარგი მაყურებელი იმთავითვე შენიშნავს, თუ როგორ ზედმინევნით რეალისტურად შეძლო რეჟისორმა აფხაზეთის ომით დაზიაფრული პეიზაჟისა და დეკორაციების მორგება მთავარ სათქმელთან. ვისაც უნახავს აფხაზეთის ომის მრუმე პეიზაჟები, ის შეძლებს შეაფასოს სივრცე, რომელიც ზაზა ურუშაძემ ამ ნარატივისთვის გამოიყენა. აქ ყოველი ნივთი, ხე თუ ნაგებობა მეტყველია და ომის დრამატიზმის გასააზრებლად არის მოწოდებული. ინტერიერის ყოველი დეტალი სენსორულია და განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ომს თავისი ფერი აქვს, თავისი სურნელი, ომს მზის სხივიც ისე აირეკლავს, როგორც სამყაროს მთლიანობას ეკადრება. ხეზე მსხმოიარე მანდარინის ყვითელი ნაყოფი, რომელიც დროდადრო ანათებს კადრში, თითქოს სიმბოლური გზავნილია დეპუმანიზებული სამყაროსთვის. ომის ლაბირინთებში ჩაკარგული მშვიდობის, თანადგომის ნოსტალგიაა ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟის მარგუსის მანდარინების გაყიდვის საზრუნავი, რომელიც მთავარს – ქართველი და ჩეჩენი მეომრების ურთიერთობის ამბავს ფეხდაფეს მიუყვება. „იცი რა ჰქვია ამ ომს? – მანდარინების ომი“. მარგუსის ეს ერთი შეხედვით უნყინარი, გულუბრყვილო კითხვა-პასუხი ნაწილობრივ იტევს სათქმელს. ამ ფილმის გმირებს თავისი ენა აქვთ, საკუთარი თავის წაკითხვისა და გახმოვანების ბუნებრივი უნარი. მანდარინის ნაყოფი აქ გაყიდული მშვიდობის სიმბოლოა, რომელიც თითოეულ მათგანს ენატრება. მშ-

ვიდობის მონატრებაა დროდრო კადრში გამოჩენილი ივოს მშვენიერი შვილიშვილის-მარის სურათიც, რომელსაც ნიკა თვალს აპარებს და მზერა უნათდება. ომი თითქოს სიყვარულის წილშიც ჩაუჯდა მის თაობას. ფილმში რამდენჯერმე მეორდება ეპიზოდი, როცა დაჭრილი ნიკა იმ დაზიანებულ კასეტას ამთლიანებს, სადაც მისი საყვარელი ჰიტებია ჩან-ერილი. ამ პასაჟის ქვეტექსტი ნათელია – ნიკა ცდილობს არ დაკარგოს კავშირი იმ დროსთან, როცა ქვემეხები დუმდნენ.

„მანდარინების“ მთავარ სათქმელს პროლოგისა და ეპილოგის ბოლო კადრები ამთლიანებს. ფილმის დასაწყისში დურგალი ივო მანდარინებისათვის ყუთებს აშალაშინებს. კამერა მოთმინებით, ახლო რაკურსიდან ადევნებს თვალს ამ პროცესს. ნიაზ დიასამიძის მუსიკა საოცარ თანაგანცდაშია ამ ეპიზოდის სათქმელთან. ნიჭიერი რეჟისორის კიდევ ერთი ფუნჯის მოსმა და ამ ყოფით ეპიზოდს გამაოგნებელი დატვირთვა ენიჭება – იქმნება ფიქრის განწყობა, მოლოდინი, რომ მისი შემქმნელები გართობაზე არ არიან ორიენტირებული. არ ვიქნები ორიგინალური თუ ვიტყვი, მაყურებელს მოენატრა ფილმი, რომელიც არასოდეს განებებს თავს. ლემბიტ ულფსაკის მიერ შექმნილი ფილმის ზნეობრივი გმირი იდეალურია იმ ჩანაფიქრისთვის, მან „მანდარინებში“ მორალის დომინანტი უნდა განაპირობოს. გაუტეხელი, სულიერად ძლიერი, ჭარმაგი ესტონელი ივო, რომელმაც ომის დროს არ დატოვა მშობლიური სანახები, მოთმინებით ცდილობს განდევნოს სიკვდილისა და შურისძიების აჩრდილი ქართველ და ჩეჩენ მეომარს შორის. ივო პირადი მაგალითია, რათა მათ შეგნებაში მორალურ – ზნეობრივი ფასეულობები შურისძიებამ არ დათრგუნოს. ომის დროსაც შეიძლება ადამიანებს ბევრი რამ აერთიანებდეს. უაღრესად დაძაბულ, კონფლიქტურ გარემოში, როდესაც ფილმის გმირები დუმილის დროსაც სხეულის ენით გასცემენ მძულვარებას, ივოს

მოთმინება არ ღალატობს. ჩეჩენსა და ქართველს შორის დაძაბული, მტრული ველია. ეს ის არის, რომელიც ყველაზე მეტად ეიმედება რუსეთის იმპერიას კავკასიაში. კავკასიელთა შორის კომუნიკაციური გაუცხოება ყოველთვის იყო მისი ოცნება და რეალური დასაყრდენი. მაყურებელი ხედავს, როგორი თანმიმდევრობით მართავს და ანეიტრალებს ივო ამ რეალობის შედეგებს. ჩვენ გამაოგნებელი გარდასახვის მოწმენი ვხდებით, რომლის კულმინაცია აპმედისა და რუსი ოფიცრების შეხვედრის სცენაში იყრის თავს. კავკასიური ერთიანობის იდეაზე ორიენტირებული ეს პოზიტიური ეპიზოდი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან გზავნილად კავკასიური დიალოგისთვის. ფილმის ეს სცენა XI ს-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის კონცეფციის მეტასტორიული საზრისის გამოძახილია და იგი ზოგადად ნიშანდობლივია ქართული კულტურისათვის. „კავკასიელთა პირველფენომენი და თაურხატი“ (გრიგოლ რობაქიძე) ფილმის ამ ეპიზოდში მკაფიოდ იჩენს თავს. კავკასიური კულტურული უნივერსალიების სისტემამ ხელი შეუწყო ივოს ამოევსო უფრსკული ნიკასა და აპმედ შორის, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო რუს ოფიცერსა და აპმედთან კონფლიქტის დროს. ივოს შეძახილი „ის თქვენიანია, ბიჭებო“ მასთან ვერ მიდის, იმიტომ, რომ რუსი ოფიცრისათვის არც ჩეჩენია „მისი“ და არც ქართველი. მორალური და ესთეტიკური კატეგორიების განსხვავებულობამ რუს ოფიცერს არ მისცა ჩეჩენის ნდობის შესაძლებლობა. დესტრუქციული აზროვნებით დავიწროვებულ საომარ სივრცეში უნდობლობა მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუმცა იდენტურ სიტუაციაში ჩვენ ვხედავთ, როგორი მყარია ნდობის მანდატი აპმედისადმი აფხაზი მეომრების მხრიდან. რეჟისორმა მართებულად მიაგნო ამ ისტორიული საზრისის გამოყენების აუცილებლობას – ივოს ჭერქვეშ სწორედ ქართველი და ჩეჩენი აღმოჩნდე-

ბიან. დრამა, რომელიც ამ უაღრესად მეტყველ გარემოში ვითარდება, სრულად ავლენს იმ ტკივილიანი გაუცხოების მიზეზებს, რომელმაც აპმედის ცნობიერებაში ქართველის მტრის ხატი შექმნა. მტანჯველია აპმედის გარდასახვის პროცესი. ქართველებმა მას მეგობარი მოუკლეს, მაგრამ სწორედ ქართველი იხსნის მას სიკვდილისაგან. აფხაზეთი-დან მიმავალი ჩეჩენი ნიკას აღდგენილ კასეტას უსმენს. სიმბოლური სცენა – აპმედის ცნობიერებაში ჩრდილოელის მიერ გაბზარული ნდობაც ასე გამთლიანდა.

ცალკე საუბრის თემაა მსახიობთა დასი, რომელთა წილი იმ ემოციური ფონის შექმნაში, რომელიც ფილმის ყურები-სას იქმნება – უზარმაზარია. აქ არ არის მხოლოდ სახიობა – როგორც ასეთი. უმნიშვნელოვანესია რეალიზმი, რომელიც თაობის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას იგრძნობა. უესტიკულაცია, საუბრის მანერა, ინტონაცია, ლექსიკა – გიორგი ნაკაშიძისა და მიშა მესხის მიერ შექმნილი ეს სახ-ები წარსულიდან თითქოს შეუცვლელად არიან გამოხმო-ბილი.

ფილმის დასასრულს ივო კვლავ აშალაშინებს, თუმცა ეს უკვე მანდარინის ყუთი არ არის. მან ერთხელ უკვე იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, ერთხელ უკვე დალია სიკვდი-ლის სადღეგრძელო. კადრში შალაშინის დინამიური როკვი-დან თითქოს სიკვდილი გვიმზერს, რათა სიცოცხლის ფასი აგრძნობინოს ადამიანს. ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სი-ცოცხლე შვენობს შენითა“ – არ გტოვებს ვაჟას განაზრებანი სიკვდილ-სიცოცხლის საზრისზე. ზაზა ურუშაძე იმ სული-ერ-ესთეტიკური სივრციდან მოდის, სადაც ეს სტრიქონები იშვა და ამგვარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ასოციაციები ფილმში მოულოდნელი სულაც არ გვეჩვენება.

„ეს არავის ომი არ არის“ – ამბობს ერთგან ივო. ვფიქრობ, ფილმის უმთავრესი განწყობა მაინც აქ არის პროექცირე-

ბული, თუმცა დრამა, რომელიც ფილმში ვითარდება და რომელსაც ანტისაომარი რიტორიკა წითელ ზოლად მიყვება, არ აკნინებს გრძნობას, რომელმაც ნიკას თაობა თეატრის ავანსცენიდან ცხოვრების რეალურ სივრცეში გადატყორცნა. ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ სწორედ მათ ეძღვნება – ომში დაღუპულ ღიმილის ბიჭებს, ვინც სამშობლოს განწირული დაძახილი მაშინათვე გაიგონეს და არა იმათ, ვისაც აკა მორჩილაძის ერთ-ერთი გმირის მსგავსად, „სამშობლომ კარგად არ დაუძახა“. ზუკა თუთბერიძე, ლევან აბაშიძე, გიორგი რევიშვილი, კახა ეზუხბაია, ლევან კორინთელი ამ ხმამ მიიყვანა ბრძოლის ველზე. მიშა მესხის მიერ შექმნილმა კინოგმირმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა იმათი სახეები, ვისაც კარგად ესმოდა, რომ სამშობლო მარტო ლხინი და ბედნიერება არ არის, ის ტკივილიცაა. ეს ფილმი არის შეხსენება იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერაც აცვია ტანზე ძაძა-ფლასი. ელგა ფოლადიშვილს დავესესხები: „რომ იმ ბიჭებს უსახელო საფლავებისთვის არ უბრძოლიათ და არც იმისთვის, რომ რომელიმე ჩვენთაგანმა მათ ობელისკზე, ენკენისთვის ოცდაშვიდ რიცხვში, გვირგვინი დადოს. ჩვენ დაგვავინყდა და დაგვავინყეს უფრო მთავარიც – ვინც სიცოცხლე განირა ჩვენთვის, ჯერაც ვალში ვართ იმათ წინაშე და იმ ვალსაც გადახდა უნდა, თუნდაც იმისთვის, რომ მიწაზე „დამარცხებულებს“ ზეცაში მაინც აღარ შეგვრცხვეს ერთურთის ნახვა და მათი ხილვა, ვინც აქამდე მოგვიტანა ჩვენი ქვეყანა, ის მიწა, რაც დღემდე შეგვრჩა. იქ, ეშერაში, გაგრაში და გუდაუთაში ვიღაცა მოკვდა ჩვენი გულისთვის და ჩვენ ვალი გვაქვს გადასახდელი – მათი სულის, ღმერთისა და ქვეყნის წინაშე...“

ზაზა ურუშაძის „მანდარინებმა“ უცნაური განცდა დამიტოვა, თითქოს რეჟისორს სადღაც შემოენახოს ეს დამაჯერებლად ცოცხალი კადრები, თითქოს რეალურად ვი-

გრძენი აფხაზეთის შემოდგომის სუსხნარევი სურნელი. კინოკრიტიკოსთა ყველაზე მკაცრ, შეუვალ ნაწილსაც ექნება უამრავი კითხვა, მოსაზრება. მასაც გამოუჩინდება ბევრი „მჩხრეკელი“, მაგრამ ფილმის ყურებისას მე – აფხაზეთის მკვიდრს მცირედი პროტესტის გრძნობაც არ გამჩენია... ფილმის ვირტუალური სამყაროს მიმართ“ და ეს უკვე გამოცდა ამ ფილმისთვის. მე დავბრუნდი იქ, საიდანაც არ უნდა წამოვსულიყავი 20 წლის წინათ. ეს იყო ჩემთვის მტანჯველი, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განცდა. მე კიდევ ერთხელ გადავიმოწმე სიფხიზლე და ერთგულება ჩემი აკრძალული ქალაქისადმი, ზეეროვნულის მაჯისცემაც მოვისინჯე და მაინც დავეთანხმე ლაოძის – „თუმცა ომის მიზანი მშვიდობაა, ის მაინც უდავო ბოროტებაა“.

## გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების „სასწაულები“

ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ყველა შეც-დომას, რომელსაც ადამიანები მოწიფულობის უამს მოუ-ნანიებლად დაეჩვევიან – ბავშვობაში ეყრება საფუძველი. არასწორი ფიქრები, განწყობილებანი, შფოთი და ცოდ-ვისმოყვარეობა სწორედ ბავშვობაშია ჩასახული, ისევე, როგორც ზნეკეთილობა და სულიერი სიწრფელე.

„არ დაანგრიო სხვათა ძეგლები, არ აიშენო სამარხი სხ-ვათა სამარხების ნამუსრევი ქვით, საკუთარი ქვა გამოთ-ალე. გახსოვდეს: დიდსულოვნება მეფეთა სამკაულია“ – ასე არიგებდა ეგვიპტელი ფარაონი თავის შვილს. შემთხვევით არ ვახსენეთ ეგვიპტელი დიდებულის ეს მაქსიმა. ბრძენი ეგვიპტელები ქრისტეშობამდე გრძნობდნენ დიდაქტიკის საჭიროებას და ალიარებდნენ, რომ ადამიანად აღზრდის ხე-ლოვნება სიყრმიდან იწყება, აქ იდებს სათავეს.

შემთხვევითი არც ის არის, გურამ პეტრიაშვილმა თავისი მრავალმხრივი ნიჭი საბავშვო მწერლობაშიც რომ დააბანდა. იგი ქართული ისტორიის იმ საბედისწერო ლოკალის მომ-სწრე და თვითმხილველია, როდესაც ჩვენ თვალწინ გათა-მაშდა ეროვნული დრამა, რომლის შემოქმედნი ისეთი ადა-მიანები აღმოჩნდნენ „საკუთარი ქვისგან კვეთას“ სხვათა ნამუსრევისგან მშენებლობა რომ არჩიეს. იქნებ იყოს სა-დავო, მაგრამ გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების კრებულის „სასანაულები პატარა ქალაქში“ კითხვისას ვერ დავეხსენე ამ ასოციაციებს და მის სანდოობაში ეჭვი ვერ შევიტანე, რად-გან ეპოქისეული სიმართლისა და განწყობილებების გარეშე მწერლის შიფრს, მის მთავარ დვრიტას ვერასოდეს მივაგ-ნებდი. იმ დღეების ისტორიის ყოველი წუთისა და მაჯისცე-მის გარეშე მწერალს ვერასოდეს შევიცნობდი.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებს ბავშვებთან ერთად სხვა რეციპიენტიც ჰყავს უფროსების სახით. ეს წიგნი მარტო ყრმათა საკითხავი როდია, ვინაიდან კარგა ხანია სიზმარში აღარ დავფრინავთ. აღარც ყვავილებს ვკრეფთ სიზმრად და აღარც იმ ჭვარტლინმენდიების არსებობის გვჯერა, თეთრი ქუდით რომ აპირებენ ქალაქის გაწმენდას ჭვარტლისაგან. დავკარგეთ იდეალიზმი, რომლის გარეშე ვერასოდეს მოვერევით ჩვენს სურვილებს მთავარ ქალაქში დაუდგათ ჩემოდნის გამომგონებლებს ძეგლი, ისე როგორც გურამ პეტრიაშვილის ერთ-ერთ ზღაპარში ხდება. აქ მართლაც უამრავ სასწაულს ვიზილავთ, რომელიც სიკეთის უძლეველობასა და ბოროტების უარსობაში არწმუნებს პატარებს, უფროსებს კი იმის დაბრუნებას მოგვანატრებს, სარგებლიანობასა და პრაგმატიზმში რომ შემოგვეძარცვა. ჩვენ ხომ უანგარო სიკეთე დოყლაპიობად მივიჩნიეთ და ამიტომაც დავრჩით „ცისფიქრიანთა“ გარეშე.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებში დევს პასუხები იმ კითხვებზე, რომელსაც უსათუოდ დაგვისვამს ჩვენი შვილების თაობა, როცა მაღლა ახედვას დააპირებს. ბავშვთა სუბკულტურის ინდუსტრიისა და ნიჟილიზმის ეპოქაში მათ ხომ დიდი ომი ელით წინ იმ ფასეულობათა გადასარჩენად, რომელსაც გურამ პეტრიაშვილის ზღაპრის გმირები ერთგულებენ. ქარის წინააღმდეგ მავალი, ქუდისმდევნელი კაცი, რომელმაც ქარი დაიმორჩილა მოზარდისთვის შეუპოვრობის კარგი მაგალითია. აქვე ქუდის სიმბოლიკასაც განუმარტავთ, კაცს ხომ ნამუსის ქუდი უნდა ხურავდეს. სინდის-ნამუსს უნდა მსახურებდეს.

ჩემოდანზე შეყვარებული ქალაქელების ამბავი, რომლებიც მუდამჟამს ჩემოდნებს დაათრევენ – დააფიქრებს პატარებს, რა არის უფრო მნიშვნელოვანი: ის, რასაც ადამიანები ჩემოდნებში აგროვებენ, თუ ის, რისი დანახვაც

უნდოდა მათთვის მოწყენილ კლოუნს ცისფერი პეპლების სახით.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების პერსონაჟები სიკეთის ანგელოზებივით დაფარფატებენ. სიზმარში აიხდენენ ხოლმე თავიანთ ოცნებებს. რადგან აქ ბოროტი ადამიანები ვერ აღწევენ. სიზმარი ხიდია, რომლითაც მათი ოცნებები გადმოდიან რეალურ სამყაროში. ბიჭუნა, რომელიც ყვავილების ფულს ურიგებს ლარიბ მგზავრებს – სიზმარში კრეფს ყვავილებს, სიზმრებში აღწევს ცისფერი პეპლების ნათება. სიზმარი გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებში სიკეთის საუფლოა და ნიშანდობლივია, რომ მას ბოროტი ადამიანები არ ხედავენ. ზღაპარში „ყირამალა მოხეტიალე კაცი“, ბრიყვი კაცი სიზმარს არ ხედავს. „შენ ბრიყვი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ, რადგან შენც ადამიანი ხარ და ადამიანები თუ არ გიყვარს, ისე რა ფასი აქვს ან ყვავილების სურნელს ან ადამიანებისას“ – ამბობს ამ ზღაპრის კეთილი გმირი.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრის პერსონაჟები მაღლა აფრენაზე ოცნებობენ, მზისკენ ილტვიან. პატარა დინოზავრს, რომელიც მზის მადლს შეიგრძნობს აღარ უნდა ქვევით ყურება. „უჰ, რა კარგი ყოფილა, თავს რომ აიწვდი და მაღლა აიხედავ“ – აღტაცებულია იგი. ზღაპრებში დაფრინავენ ბეგემოტი და ვეშაპი პიკოც. აი, რა შეუძლია ოცნების ნიჭს და სიკეთეს. მაღლა აფრენაზე ოცნებობს პატარა ჩიტი, რომელიც ბოროტმა კაცმა გალიაში გამოამწყვდია და სასიკვდილოდ გაიმეტა. მაგრამ მან ვერ შეძლო მისი დამარცხება. ადამიანებმა მაინც დაუდგეს ძეგლი მის ოცნებას-ზეცაში აფრენილიყო.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების უნივერსალიზმი იმაში გამოიხატება, რომ ასაკობრივ ცენზს არ ემორჩილება. მისი დღევანდელი მკითხველი პატარები წლების მერეც ზნეობრივი დისპარმონის საფრთხეებისაგან თავდასაცავად კვლავ

იმავე აქტუალურობით გადაიკითხავენ მათ. ალბათ „ქუდის-მდევარ, ქარის წინააღმდეგ მავალ კაცსაც“ შეიცნობენ და ჩვენი ბედუკულმართი ისტორიის „ჯვარზე გამსვლელთა და მტვირთველთა“ სახელებს ისევე შეინახავენ, როგორც ბავშვობის სათუთ მოგონებებს. ეს ხომ ისტორიის ის მონაკვე-თია, რომელმაც ეს ტკივილი მარადიული გაკვეთილისათვის დაგვიტოვა სასჯელად.

ვიტოვებ უფლებას, გურამ პეტრიაშვილის ზღაპარში „მექუდე“ ის კონტექსტი შევნიშნო 90-იანი წლების რე-ალობას რომ მოგვაგონებს თავისი ფსიქოლოგიური დრა-მატიზმითა და ანატომიით, გმირებითა და ანტიგმირებით, დამარცხებულებითა და ფსევდოგამარჯვებულებით. შესა-ძლოა, ჩემეულმა ასოციაციებმა აღძრას კამათის ინტრიგა, მაგრამ ხომ არ არის სადავო, რომ სიკეთე არ უნდა იზომე-ბოდეს, არ უნდა ითვლებოდეს და ადამიანებმა ერთმანე-თის ნდობა არ უნდა დაკარგონ. ზუსტად ისე, როგორც ამ ზღაპარშია: „და თუ ცა გახსოვს მუდამ, არ შეიძლება კარგი კაცი არ იყო. მაგრამ ცისფრად რომ ხედავს ყველაფერს ის ადამიანი ადვილად ტყუცდება. ნოქრის მიერ დაბრუნებულ ხურდას იგი ასეთი კაცი არ ითვლის. თუ ვინმემ უთხრა „მიყვარხარო“, იმისგან ცუდს აღარ ელის და თუ მდინა-რეში ვინმე ყვირის „მიშველეთო“ მაშინათვე გაიძრობს შარ-ვალს და გადაეშვება წყალში. გამოიყვანს კაცს წყლიდან, ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებს და ვერ შეამჩნევს, რომ კაცს ცბიერად ელიმება. წავა ის კაცი. მშველელი კი ვერსად იპოვის თავის შარვალს. მაგრამ აზრადაც არ მოუვა, რომ მოატყუეს, იმას უფრო გაიფიქრებს, შარვალი არ მცმიაო. ათჯერ რო დაკარგოს შარვალი, მეთერთმეტედ მაინც გად-ახტება წყალში, თუკი ვინმე ყვირის „მიშველეთო“. ესაა მისი ნაკლი, თუ ამას ნაკლი შეიძლება ეწოდოს. მიმნდობია, ცად-მაცქერალი და ცისფიქრიანი კაცი. და ამას ზოგჯერ დოყ-

**ლაპიობას ეძახის“.**

ამ ზღაპარში კიდევ ერთი აბზაცი მენიშნა საჩემოდ:  
„ცისფიქრიანებისა და ცადმაცქერალებისათვის ცოტაც რომ  
გვეცლია, ტყუილი გაქრებოდა სამუდამოდ და მაშინ ვინდა  
დაჩაგრავდა მათ შვილებსო...“

ყოველი შემთხვევისათვის, მეც იმ ეპოქის შვილი ვარ,  
ბევრი რამ დოკუმენტურ სიმართლედ ჩაიტვიფრა ჩემს ცნო-  
ბიერებაში. ბევრი რამის დალაგება დღესაც მიჭირს, მაგრამ  
ზუსტად ვიცი, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები წარმავალ,  
დროებით ფასეულობებზე რომ არ არის გათვლილი.

## ზურაბ კანდელაკის რომანი „უძრავი ქარი“

ქართულ პოსტმოდერნიზმს აქვს სპეციფიური მენტალიტეტი. „სახელმწიფო ხელოვნების“ არტახებიდან თავდახსნილი ხელოვანები პოლივარიანტული რეალობის მიუხედავად, ბოლომდე არასოდეს წყდებიან ეროვნულ, რელიგიურ და მათგან მომდინარე ზნეობრივ ლირებულებებს.

ლევან ბრეგაძე პოსტმოდერნიზმზე საუბრისას შენიშნავს, პოსტმოდერნიზმი თავისი ეკლექტურობით, შემოქმედებითი თავისუფლებით, სიტყვებით, იდეებით და სტილებით თამაშისკენ მიღრეკილებით, ძველი ლიტერატურული ტექსტების ახლებური დამუშავებით, მათი მახვილგონივრული კომენტირებით და ზოგჯერ პაროდირებითაც, ხალისით მიიღო ჩვენმა მსმენელმა, მკითხველმა და მაყურებელმა. მოკლედ, ერთობ ქართული რამ გამოდგა ეს პოსტმოდერნიო. არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან საქართველოში კულტურული ნოვაცია არასოდეს დამარცხებულა. იგი ყოველთვის კანონზომიერად გადიოდა გზას, რომელსაც მაინც აღიარებამდე მიჰყავდა.

დღეს, ჩვენს კრიზისულ ეპოქაში, როდესაც წაშლილია ზღვარი ტრაგიკულსა და კომიკურს შორის, პოსტმოდერნისტული ოპუსების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და ესეც შეიძლება იმ კანონზომიერებად ჩაითვალოს, რომელიც ქართველი მკითხველის კარგი გემოვნებიდან იმართება. ჩვენ განებივრებული ვართ არამარტო კლასიკური ლიტერატურული შედევრებით. თანამედროვე მწერლობა, მიუხედავად მრუშიან-ორგიასტული ეპატაჟური იპუსების მომრავლებისა, მოტივაციას მაინც გვაძლევს არჩევანი არ გავაკეთოთ ცუდსა და უარესს შორის. ზურაბ კანდელაკს მიუძღვის წვლილი ქართველი მკითხველის განებივრებაში.

თავისი რადიოპიესებით, მოთხოვებითა და რომანებით იგი კარგა ხანია ქმნის იმ სააზროვნო სივრცეს, რომელიც ქართველ მკითხველს „ჯანმრთელ ამბიციას“ უყალიბებს თავის კულტურულ მონაგარზე – ეროვნულ მწერლობაზე.

ინტელექტუალურ, გემოვნებიან მკითხველთან ზურაბ კანდელაკის პაემანი ამჟამად რომანით „უძრავი ქარი“ შედგა, სადაც იგი დროისა და სამყაროს აღქმას კვლავაც არაკლასიკური ლოგოსის პრინციპებით გვთავაზობს, არამედ ადოგმატური, ანტისისტემური მიდგომით. მიუხედავად ამისა, კლასიკურ ესთეტიკას ნაჩვევ მკითხველსაც კი არ უჩნდება ტექსტთან კონფლიქტის სურვილი, რადგან რომანის მთავარი საზრისი ცოდვა-მადლის აღქმის ტრაგიკულობას ეფუძნება. ცდუნება, სიძულვილი, სიყვარული, სინანული და ადამიანის გრძნობათა სხვა პულსაციები ხომ საბოლოოდ ამ მთავარ მსაჯულთან იყრის თავს.

უახლესი მეოცე საუკუნე მწერლის მიერ კარგად შერჩეული სამიზნეა. იმდენად კარგი, რომ მიუხედავად რომანის ირონიული ჰიპოსტასებისა, ტრაგიკულობა აზრობარმომშობ პრინციპად ეფინება თხრობის მთელ დინამიკას. მაას ჯალიაშვილი რომანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ეს ქვეყანა რომ ნებისმიერ დროსა და სივრცეში ცოდვა-მადლის ჭიდილია, ხოლო წლები და რიცხვები – მხოლოდ პირობითი აღმნიშვნელები-ამ რომანში ეს არის მთავარიო. დიახ, ადამიანები ყველა დროს, ყველა ეპოქაში ემგვანებიან ერთმანეთს და პერმანენტულად იმეორებენ ცოდვისქმნადობის მარადიულ მოდელს. მათ ძალუდ ერთდროულად ატარონ მსხერპლისა და ჯალათის ნიღაბი. რომანში პოსტმოდერნიზმისათვის იმანენტურ დრო-სივრცულ უწესრიგობას მწერალი შესანიშნავად მიუსადაგებს ამ საზრისის წარმოჩენას. მკითხველი ერთდროულად ისე თანაარსებობს სხვადასხვა დროსა და სივრცეში, რომ არ წყდება მთავარ სათქმელს.

„ცოდვილთა ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევი“ – ხშირად იმ-ეორებენ რომანის გმირები და თავდაუზოგავად გარბიან სა-კუთარი ცოდვებისაგან. ზოგი ებრძვის, ზოგს გააზრებული სურვილიც აღარ შერჩა საკუთარ თავთან ბრძოლისა. ისინი „გაურკვევლობის ბურუსში დაბორიალობენ და უშედეგოდ ეძებენ გამოსავალს ჩიხიდან, ყრუ, გაუვალი კედლით რომ მთავრდება“. ეს კედელი დროდადრო იშლება – ის დროის-მიერია.

რომანის მთავარი გმირი შიო ხვდება, რომ იმ საბედის-წერო ზღვარს უახლოვდება, „რომლის იქით ველარ მიდის გონიერება და ამის გამო ირყევა და ინგრევა, სწორედ ამ გონიერების მიერ ერთხელ და სამუდამოდ აღქმული ობიექტური ჭეშმარიტება“. ტრანსფორმაციის ასეთი სიმპტომები ფუკუიამასი არ იყოს ხშირად ისტორიის დასასრულად გვევლინება იდეებში. რომანის გმირებიც ისტორიის რეინ-კარნაციის ხარჯზე ხდებიან უფრო მგრძნობიარე და მრავ-ლისმეტყველნი. მე-20 საუკუნის საქართველოს ყველა ეპო-ქალურმა მოვლენამ ხომ ლაკმუსის ქალალდივით გამოავლინა და გააღრმავა ადამიანების მიღრეკილება ცოდვისაკენ. ის-ტორიის პროცესის მუტაცია კი ერის მეხსიერებაში მართვას საჭიროებს. 1921, 1924, 1937, 1959. 1990-93 წლები ქართულ ყოფიერებაში ეროვნული და პიროვნული მახასიათებლების კლასიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღებია. ზურაბ კანდელაკის რომანში პოსტმოდერნიზმისათვის დამახასი-ათებელი ყველა სიმპტომატიკა-რეალობის კონსტრუირებ-ისა და მისი გამოკვეთილი სახის არქონა, ორაზროვნება და ფრაგმენტულობა ამ მოვლენებიდან იმართება. აი, სწორედ ეს გახლავთ ის სპეციფიკური მენტალიტეტი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელიც პოსტმოდერნიზმის წინ-არე მიმდინარეობებსაც ახასიათებდა საქართველოში. სხვა დანარჩენით ქართული პოსტმოდერნიზმი მისი ევროპული

ანალოგის კლასიკური გამოვლენაა და ეს სრულფასოვნად ვლინდება დემითოლოგიზაციაში, ტექსტის მეტაფორიზაციაში, რიზომატულობასა და ინტერტექსტუალობაში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალშისაცემია ზურაბ კანდელაკის რომანში „უძრავი ქარი“. ბიბლიიდან დაწყებული – შექსპირის „ჰამლეტის“ ჩათვლით რემინისცენციებით დატვირთული ტექსტი მუდმივად გვახსენებს, რომ ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ამიტომაც ვხვდებით რომანში დათარიღების ასეთ ფორმას – „ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის“. თარიღის ტრადიციული დაკონკრეტების სურვილი არც მკითხველს უჩნდება, ამის საჭიროება აქ არ არსებობს, რადგან ადამიანები ხომ მუდმივად მეორდებიან თავის ფიქრებით, ოცნებებით, ზნეობრიობითა და სისასტიკით.

რომანში საკვანძო სიმბოლურ დანიშნულებას იძებს გილიოტინას მშენებლობის ეპიზოდი. დესპოტიზმისა და ყველურობის ეს სიმბოლო დროის მიხედვით იხვეწებოდა ყველა დროში, იძენდა ცივილურ ფორმებს, მაგრამ არა-სოდეს შეუცვლია დანიშნულება, შინასახე. გილიოტინის რეზისორებიც ყველა დროს ერთმანეთს ემსგავსებოდნენ და ცოდვა-მადლიც მათ ირგვლივ ტრიალებდა. „ოქროს ვარაყით დაფერილი ცოდვიანობა“ მაინც ამხელდა თავს. „არადა, ყველამ ყველაფერი იცოდა და მაინც, არავინ, არაფერი“ – ამბობს რომანის მთავარი გმირი შიო. მან იცის, რომ „კამეჩისმზერიანი“ ადამიანები ყოველთვის შეეცდებიან თავის მართლებას, რომ ყოველთვის იარსებებენ ისინი, ვინც არ ინდობს. აი, სწორედ ეგ არის მწერლის თქმით, „ტრაგიკულ-კომიკურ-ისტორიკულ-იდილიური“. „საითაც არ უნდა გაიხედო-კედელი აღმართულა, საითაც არ უნდა გაიხედო-ლულა მოგჩერებია“.

რომანის ყველა გმირი თანაარსებობს თავის არცთუ

შორეულ არქეტიპთან. დროის შესაბამისად ირგებს მოდურ იმიჯს. იგნატე, იმანუელი, იორამი, ავთანდილ შარაბიძე დაუნდობლობის ნიჭის წყალობით იმეორებენ „სტეფანეს ქალაქებარეთ გაყვანის“ საკრალურ რიტუალს. ილენას ივან-და ცვლის და ისიც ალბათ მატილდასავით შეეგუება საყვარ-ლის მოჭრილ თავს კალთაში. „ყველა ყველაფერს ეგუება“ – ამბობს მწერალი და ჩვენი არსებობის მთავარ ტრაგიზმს აქ უყრის თავს. რომანის სათაურიც ამასვე ეხმიანება – უძრავი ქარის სიმბოლიკას სწორედ აქ მივყავართ. ქარი, რომელიც სამყაროს ცხოველმყოფელური სუნთქვა და ღვთაებრივი ნების გაცხადებაა, სიმბოლოა დაუოკებლობის, მოძრაობის, ქმედითობისა და წარმავლობის, მისტიკურ სიმბოლიზმში ამოძრავებული ჰაერი და სუნთქვა ერთმანეთს დაუკავშირ-და და სიცოცხლის კოსმიური საწყისი განასახიერა: უფლის მიერ სამყაროს შექმნისთანავე. „ოდეს მიწა იყო უსახო და უდაბური, სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“ (დაბ, 1:2) ქარის უძრაობა საბედისწეროა. ის რომანში ყველგან არის, როგორც „მესამე თვალი“. იგი ანცია, ქარიშხალია, ნიავია. ხან ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავს და ხანაც – სამხრეთიდან. აი, სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა, თუ საიდან უბერავს იგი . „მე ჭკუიდან შემლილი მხოლოდ მაშინ ვარ, როცა ქარი ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავს. სამხრე-თის ქარში კი ბაყაყიყლაპიას და ქორს ერთმანეთში კარგად გავარჩევ“ – ამბობს შიო და რომანის პოსტმოდერნისტული შრეებიდან ცხადად იკვეთება ჩვენი მარადიული სატკივარის ეროვნულ-პოლიტიკური კონტურები. ავტორი შეგვახსენებს, რომ ერის პოლიტიკური განწვალების პროცესი 21-ე საუკუ-ნეში კვლავ აქტიურ ფაზაშია, რასაც ხორციელი ტკბობისა და სულიერების სიმნირის გამო თავსდატეხილი დაბნეულო-ბა ერთვის.

რომანში ფრაგმენტულად ჩნდება ჩვენი უახლესი ისტო-

რია, მაგრამ ამ წარმოდგენას მაინც კრავს „ის, რაც უნდა დაწყებულიყო“. ადამიანები ხომ ეპოქის მიუხედავად, მაინც ყველა დროს საოცრად ემსგავსებიან ერთმანეთს. „გილო-ოტინას“ სამსხვერპლოს თავად ენირებიან და წირავენ სხვასაც. ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს, აღარავის ენდობიან, ბეზლობისთვის ემზადებიან, ერთმანეთს უთვალთვალებენ“. „ყველას ეშინოდა!“ – ამბობს ავტორი. ეს შემთხვევაში იმზირება არამარტო 37 წლის გულაგებიდან, იგი სულ ცოტაოდენი ხნის წინათაც დაჰყურებდა საქართველოს. ეს ის საქართველოა, დავით აღმაშენებლის მაგალითსაც რომ იყენებდა პოლიტიკური პროფანაციების დროს. „განა დავით აღმაშენებელი დაინდობდა დამნაშავეს? - ერთმანეთს ეკითხებოდნენ და პასუხი არც აინტერესებდათ. ამით ერთმანეთს ამხენევებდნენ და თავსაც იმართლებდნენ“. ამის საპირნონედ ტექსტში მოულოდნელად იჭრება ფრაზა „დავით აღმაშენებელი ლოცულობდა“. ასე ენაცვლება რომანში პარადოქ-სულს ტრაგიკული.

რომანში გილიოტინელას მსხვერლთა სიმბოლოა თვითმფრინავის ბიჭების საქმე. მწერალი ნატურალისტური სიცხა-დით აღწერს გიას (ანუ გეგას) სულიერ ტკივილს, მისი მიწიერი არსებობის ბოლო წუთებს. ყოველივეს ამძაფრებს დამფრთხალი ჯალათის შურიკ ფაზულიანის სკაპრეზული აღსარება. კონფლიქტი საკუთარ თავთან, სინანული მისთვის უცხოა. მას მხოლოდ ალი ამალიაშვილის მკაცრი ხმა აუშლის მოგონებებს, რათა მსხვერპლის ბოლო ფრაზა მოიგონოს „სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო“. და ამ დროს მკითხველი ცხადად გრძნობს იმ ტკივილს, რომლის შემოქმედი იყვნენ: „სოროებიდან დამშეული ვირთხებივით ძაბრჯუდჩამოფხატულები, შპალებიანები, რომბებიანები, სამხრეებიანები, ყველა ჯურის და ყველა რანგის კომის-რები, ჩეკისტები, ცელისტები, ინსტრუქტორები, მეთვა-

ლყურეები, მეციხოვნეები, მაბეზლარები, შტატიანები, უშტატოები, მოხალისეები, მოხალისე ჯალათები, მოხალისე დამსმენები, ზოგი ტანმოკლე დაგვალული, ქონდრისკაცები, ზოგიც მაღალი, მხარბეჭიანი, თუმცა უჯიშო, ყველა ეშმაკ-თან წილნაყარი“. თუმცა ყოველი მათგანი ერთდღოულად იყო მსხვერპლი და ჯალათიც. ამიტომ უჩნდება უცნაური განცდა შიოს როზინგის მიმართ: „ვუყურებდი და მეცოდებოდა! მეცოდებოდა კაცი, რომელიც არ მიყვარდა. ადამიანი, რომელიც იმ ხალხის მსახური იყო, ვინც ტყვეობა მომისაჯა, თანაც ჩვეულებრივი მსახური კი არა, მსახურ-თუხუცესი! და თურმე, ის ვისაც ტყვეების ზედამხედველობა ჰქონდა დავალებული, თვითონაც ტყვე ყოფილა, მარადი ტყვე, რომელსაც ტყვეობიდან თავის დახსნის მცირეოდენი სურვილიც კი არ გააჩნდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ იცოდა რა იყო თავისუფლება, და მეორე, რაც მთავარია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ თვითონაც ტყვე იყო.“

რომანის მთავარი გმირი შიო სიმბოლოა იმ ხელოვანებისა, რომლებიც ვერასოდეს ახერხებენ ცხოვრებას დროის შესაბამისად. ისინი ვერ გარბიან ჯალათებისგან იმავე გზით, რა გზითაც მათ ისინი უახლოვდებიან. მათ არ სჭირდებათ თავის მართლება ზოგადი ფრაზით „ცოდვილთა ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევი“. რომანის პერსონაჟი ქალები, რომლებიც მის ირგვლივ ტრიალებენ – ანა და მარი, როგორც სიწმინდის სიმბოლოები და ილენა – კლარა ცეტკინის ალტერ ეგო – ფატალური სახეებია, რომლებიც მხოლოდ აღრმავებენ ასეთი ხელოვანების ტრაგიზმს რომანის ირეალურ – გილიოტინელას ქვეყანაში. „მეგონა ზღვაზე წამიყვანდი, ესევ ვნახავდი მწვანე პალმას... დაიჩოქა ანამ, ხელები ზეაღმართა და ზეცისკენ მიაპყრო მზერა, – გეხვენები, გემუდარები, წამიყვანე აქედან, წამიყვანე!... კამკამა ზღვა და პალმა... სხვა არაფერი, არა, აღარასოდეს იქნება ზღვა

ასეთი კამკამა ცოდვილთა ქვეყანაში“ – ამბობს იგი. რომანში მკაფიოდ ისმის აფხაზეთის მოვლენების შემდგომი ესქატოლოგიური წუხილი.

რომანის ფინალი არ არის კეთილი დასასრული და ეს მწერლის შეგნებულადაა გააზრებული. ბესარიონ ბორცვიშვილების აჩრდილი დღესაც დადის საქართველოში. როგორც ჩანს, კარგა ხანს არ დაგვეხსნება. ქვეყანაში ყოველთვის იქნებიან კურდლები და მათთვის ყველგან დადებენ სტაფილის. კურდლების სიმბოლიკა ტექსტში ნათელია. ზურაბ კანდელაკი მათ მხდალი, მორჩილი და მართული ადამიანების სიმბოლოდ მოიაზრებს, რომლებიც უმაგრებენ ბალავარს გილიოტინელას. ბესარიონ ბორცვიშვილის მსგავსი ადამიანები ყველა დროს შეეცდებიან „იქ“ შემუშავებული გეგმით შეასრულონ ჯალათის მისია: „ყველაფერი იქ შემუშავებული გეგმით ხდება! იქ! იქ! იქ! სულმოუთემელად მომაყარა ილენამ. მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა, რას ველოდი და რა მივიღე. რის მატილდა და რის მადამ დე რენალი. არც ერთი მათგანი აქ აღარ იმყოფებოდა, მაგრამ ვინ დაიკავა მათი ადგილი, ვერ ვხვდებოდი, ვინ იყო ილენა? ან ბესარიონ ბორცვიშვილი ვის გეგმას ახორციელებდა? ან თვითონ ვის დაკრულზე ვცეკვავდი? საკითხავი აი ეს არის?“

იმედის ნაპერნეკლის სახით რომანის დასასრულს კვლავ ჩნდება ქარის სიმბოლიკა – „თუმცა ხომ არიან ქარნი კეთილნიც...“ – კითხულობს მწერალი და ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ უფალი მეფობს და ბრძოლა იმ სიმართლისათვის, რომელიც „გილიოტინელას“ დაანგრევს ჩვენს ცნობიერებაში ყოველთვის ღირს.

## ვისაც „შავი სათვალე ექვთა“

ჩეკისტის ჩანაწერების ქუდქვეშ ერთობ სიმბოლური სა-  
თური მენიშნა.

ჯემალ ფოცხვერიას შვილისა და ძმისშვილის ხსოვნისად-  
მი მიძღვნილი წიგნი „შავი სათვალე ეკეთა“ აღვიძებს ცნო-  
ბისმოყვარეობას აკრძალვებით შეფუთული სიმართლის  
გასარკვევად. ამასთან, ჩვენი უახლესი ისტორიის მიღმა  
„თბილი, გამჭრიახი, ბრძნული და მუდმივად სევდიანი“ ადა-  
მიანის პორტრეტი იკვეთება, რომელიც შინაგანად მაში-  
ნაც ვერ ემორჩილებოდა „ჰომოსოცეტიკუსის“ სტანდარტ-  
ებს, როცა ამას განსაკუთრებულად საჭიროებდა. „ძალიან  
ხშირად მიხდებოდა შავი სათვალე ამეფარებინა არა მარტო  
თვალებისთვის, არამედ გრძნობებზე, ემოციებზე, განცდე-  
ბზე, რომ სიცოცხლის უნარი შემენარჩუნებინა და შეძლებ-  
ისდაგვარად გადამერჩინა ჩემი ცოდვილი სული“ – წერს  
ერთგან ჯემალ ფოცხვერია. სწორედ ამ გადარჩენილი სუ-  
ლის აპოლოგიაა ჯემალ ფოცხვერიას ისტორიისათვის უაღ-  
რესად სასარგებლო წიგნი – „შავი სათვალე ეკეთა“, „ჩემი  
ბიოგრაფიული მოგონებები რა მოსატანიაო“, მოკრძალებით  
აღნიშნავს ავტორი წიგნის შესავალში, მაგრამ გონიერმა  
მყითხველმა მაინც შესანიშნავად იცის ასეთი მოგონებების  
ფასი და ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს ხოლმე მე-  
მატიანის შრომას. მით უფრო, რომ წიგნი სტრუქტურულად  
კარგად არის აგებული და იგი თანმიმდევრულად მიუყვება  
ჩვენი უახლესი ისტორიის ყოველ ათწლეულს. ამ წიგნში  
ბავშვობის მოგონებებიც ეპოქის სახეს აირეკლავს და კი-  
ნოკადრივით აღადგენს ჩეკას საიდუმლო ლაბირინთებში  
საიდუმლოდ დაცულ მოვლენებს.

უნდა ვალიარო, ამ სისტემაში დასაქმებული პიროვნებები

ყოველთვის მიტოვებდნენ უაღრესად გამჭრიახი, თუმცა საკუთარი თავისგან გაქცეული ადამიანების შთაბეჭდილებას. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იყო რაღაც დრამატული ამ ადამიანების წარმატებული პროფესიული კარიერის მიღმა. ამ დრამატიზმის მიზეზი ალბათ მათი ტაბუდადებული შინაგანი ჭიდილი უნდა ყოფილიყო არსებულ და სასურველ რეალობას შორის. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ყველას ვერ მოვარგებთ.

ჯემალ ფოცხვერიას მოგონებების წიგნში მოიპოვება საკმარისზე მეტი არგუმენტი ამ განწყობისათვის. მგრძნობიარე, სამყაროზე შეყვარებული, წაადრევად გარდაცვლილი შვილის – გიას სახე ხატებად დაყვება იმ სასურველ რეალობას, რომლის მოსაპოვებლად წამოწყებული შინაგანი ბრძოლა იმით დაგვირგვინდა, რომ ჯემალ ფოცხვერიამ მონათვლის ცერემონიალის გასაიდუმლობაზე შეგნებული უარი განაცხადა. „დასამალი არაფერი მაქსი, ჩემი ნაბიჯით, ჩემი შეგნებით მოვედი ღმერთან, რწმენასთან, მინდა გავქრისტიანდე და თუ შეიძლება ყველა კარი და ფანჯარა გააღეთ. დაე, ყველამ გაიგოს, რომ ერთი განდგომილი უბრუნდება ღმერთს-მეთქი“ – ეს სიმბოლური ეპიზოდი კიდევ ერთხელ ადასტურებს, შეუძლებელია ბრძოლა იმასთან, რაც ადამიანებმა საუკუნეებს გამოატარეს და საკუთარ თავში გამოტანჯეს. ასე მივიდა უფალთან სასურველ რეალობას მონატრებული კიდევ ერთი ადამიანი.

ჯემალ ფოცხვერიას მოგონებების წიგნი „შავი სათვალე ეკეთა“ ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას იმ სააზროვნო სივრცისკენ მიაქანებს, სადაც პასუხი არ არის განწირული ორაზროვნებისათვის. აქ არის სარწმუნო მასალა ადამიანებისა და მოვლენების ლუსტრაციისათვის. იქ სადაც ჯემალ ფოცხვერია 1956 წლის მარტის მოვლენებს იგონებს, შეუძლებელია, საბჭოთა ცენზურის კიდევ ერთი ხიზანი – ოთარ ჩხ-

ეიძის შესანიშნავი რომანი „გამოცხადება“ არ გაგახსენდეს, რომელიც იმავე სიზუსტით მოგვითხრობს ამ ტრაგიკული დღეების შესახებ. მხატვრულ ქსოვილში მოქცეული მარტის მოვლენები, მწერლისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიზმითა და მამხილებელი პათოსით ცხადყოფს პოსტსტალინური ეპოქის არსა. ეს ის დროა, როცა სავსეა ციმბირი, ჯერ კიდევ მუშაობენ ეგრეთ წოდებული „ტროიკები“ და რეაბილიტაციის ტალღა ბოლომდე არ ამოქმედებულა. მომიტინგეთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ, მათ ჯერაც სწამთ ცრუ-ბელადების და იმედი აქვთ, რომ მოლოტოვთან – სტალინის ერთგულ მონაფესთან გაგზავნილი წერილი შეცვლის ვითარებას. იმ დამეს ჯემალ ფოცხვერია თავის ძმასთან ერთად მხოლოდ დედის ინტუიციისა და სიფრთხილის წყალობით გადარჩება. მათთვის მხოლოდ მეორე დღეს ხდება ცნობილი რუსთაველზე დატრიალებული სისხლიანი ვაკხანალიის შესახებ. საბჭოთა პროპაგანდით გაუდენთილი რობოტები ვიყავით და ყოველივე ეს გვიან შევიგნეთო, აღიარებს ავტორი. თუმცა მისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა მოვლენების ასეთი ფინალი. „დღეს შორეული წლების გადასახედიდან ბევრ ჩემს თანატოლს ესირცხვილება ამ მოვლენებში თავის მონაწილეობის გახსენება“ – წერს ჯემალ ფოცხვერია, თუმცა როცა მისი მოგონებები უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის კვალს 1989 წლის 9 აპრილამდე, აფხაზეთის ტრაგიკულ დღეებამდე, 2007 წლის 7 ნოემბრამდე მიყვება-ყველაფერი ცხადი ხდება. ის ეძებს ანალოგიებს, კავშირებს ამ მოვლენებს შორის. ისტორია მისთვის უპირველეს ყოვლისა, იდეების ისტორიაა და ამ მოვლენების აღწერით მას თითქოს სურს ზურგიდან ჩამოხსნას მის თაობას ტვირთი იმ ცრუიდეალების ერთგულებისთვის, რომელმაც 1956 წლის 9 მარტს ახალგაზრდები ქუჩაში საპროტესტოდ გამოიყვანა. თუმცა, ჩემი აზრით,

ის თაობა მეხსიერებას მხოლოდ როგორც მსხვერპლი უნდა შემორჩეს. საბჭოთა მანქანა ხომ ვირტუოზულად ახერხებდა ახალგაზრდების დეზორიენტირებას, წინასწარ შემუშავებული სტრატეგიით ებრძოდა საბჭოური მენტალობიდან თავის გამოხსნის უმცირეს გამოვლინებებს. ამის დასტურად უაღრესად საინტერესოა ჯემალ ფოცხვერიას მონათხობი ანტისაბჭოთა ორგანიზაციაზე „გორგასლიანი“, რომლის სათავეში მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ვხედავთ. ჯემალ ფოცხვერიას წიგნში კიდევ ერთხელ დასტურდება მერაბ კოსტავაზე არაერთგზის თქმული. ტოტალური უღმერთობისა და უსამშობლობის ეპოქაში სწორედ მისი ზნეობრივი სიმტკიცისა და ცნობიერების ადამიანებმა შეინარჩუნეს ეროვნული სიფხიზლე.

უაღრესად საინტერესოა ჯემალ ფოცხვერიას მონათხობი პედაგოგ რუსუდან ჩირაძის საქმეზე, რომელსაც ანტისაბჭოთა შინაარსის რომანის დაწერა ედებოდა ბრალად.

თვალში საცემია ავტორის დადებითი განწყობა ამ უსახელო გმირის მიმართ და სამართლიანია მისი პროტესტიც საზოგადოებრივი გულგრილობის გამო, რადგან რუსუდან ჩირაძის გარემოცვაში არავინ აღმოჩნდა, ვინც შთამომავლობას შეუნახავდა მის სახელს. სამაგიეროდ, ჯემალ ფოცხვერიას გარემოცვაში მრავლად ტრიალებდნენ ისინი, ვინც თავისი ანტისაბჭოთა წარსულით კეკლუცობდნენ და მენტორული ტონით მოძღვრავდნენ საზოგადოებას ეროვნულ იდეალებზე. „სიმართლე თავს დაატყდება მატყუარებსა და ცრუმონმეებს“ – ამბობს ჰერაკლიტე. ჯემალ ფოცხვერიას მოგონებების წიგნი ნამდვილად არის თავსდატეხილი სიმართლე, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვილ უამრავ კითხვაზე იძლევა პასუხს. ვინ იჯდა იმ გასაიდუმლოებულ თვითმფრინავში, რომელიც 8 აპრილის დამეს ჩამოფრინდა თბილისში, როგორ დაგეგმა ჩეკამ საიდუმლო ოპერაცია

მერაბ კოსტავას ციხეში დასაბრუნებლად, როგორ ებრძოდნენ თამარ ჩხეიძეს, როგორ იხსნეს ქართველმა სტუდენტებმა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი, რა მასალები აღმოაჩინა ავტორმა გენერალ მაზნიაშვილის არქივზე მუშაობისას – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ლირსებებისა, რომელიც ჯემალ ფოცხვერიას მოგონებების წიგნს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამ წიგნის კითხვისას ხშირად მახსენდებოდა ნაწყვეტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „გველის პერანგი“. „არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში, თითქოს გეუბნება „მე ვიცი ის, რაც შენ არ იცი, ღმერთმა გაშოროს ჩემი ხვედრი“.

ჯემალ ფოცხვერიამ წლების განმავლობაში იცოდა ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით. ეს ტვირთი არ იყო ადვილი სატარებელი. როგორც ჩანს, ვერც ის გაექცა პასუხისმგებლობას ქვეყნის ისტორიის წინაშე, რადგან ფრანც კაფუასი არ იყოს, „შეუძლებელია სიცოცხლე სიმართლის გარეშე“.

## **ზაურ კალანდიას „ძეგლი ყველასათვის“ – ერის დრამატული დილექტი**

მწერალი ეპოქის მძიმე ხვედრს ყველაზე უფრო ითავისებს. თუკი იგი ნამდვილი შემოქმედია, ყოველთვის იყენებს იმ უნარს, რომელიც მას ინტუიციურად ეხმარება არამარტო თანამედროვეობის ობიექტურ შეფასებაში, არამედ მომავლის პროფეტულ განჭვრეტაშიც. ინტუიცია ძირითადი სტრუქტურული ნიშანია მწერლის ცნობიერებისა და ალბათ – მისი ტრაგიული ხვედრიც. შეფარული ჭეშმარიტების გასაგნება და ერის სასიცოცხლო ორიენტირების ძიება ყოველთვის იყო და იქნება ქართული მწერლობისათვის წაყენებული უპირობო მოთხოვნა. ეს ტრადიციაა, რომელიც ჩვენმა ისტორიულმა ყოფამ დაამკვიდრა. როდესაც ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს ერის მსოფლმხედველობრივი და ფსიქოლოგიური ცვლილება მოყვება, მწერალმა თავის დავთარში უნდა მონიშნოს ადამიანური ისტორიები, რათა ერს ხსნის სწორი გზა მოაძებნინოს.

ზაურ კალანდიას რომანში „ძეგლი ყველასათვის“ ქართველი მწერლისათვის საჭირო ყველა სასიცოცხლო თვისებაა მოქმედებაში. სხვანაირად მისი მკითხველი ვერ გაივლიდა იმ ბენვის ხიდს, რომელზეც თავად გადის მწერალი გამაოგნებელი შორსმჭვრეტელობისა და სიმართლის წყალობით. მკითხველი მზად არის ალიაროს უმცირესი შეცდომაც კი, რომელიც ქვეყნის წინაშე ოდესმე დაუშვია. რომანის კითხვისას იგი მწერალთან ერთად ხედავს ყველაფერს, ზოგჯერ თვითონაც ეშინია იმის, რასაც ხედავს, მაგრამ მაინც სიამოვნებს ეს მტანჯველი განცდა, რომელიც უჩნდება მთავარის მოლოდინში. ეს მთავარი აღსარების ნეტარებას უკავ-

შირდება და მას ყველაზე მძაფრად რომანის დასასრულს შეიგრძნობ. ტკივილი მაინც უფრო ღრმა განცდა ყოფილა, ვიდრე ნეტარება. მით უფრო, როცა ეს ტკივილი შენს ერს, ქვეყანას უკაშირდება. მწერლის სულს ჩაბლაუჭებული ეს გრძნობა ყველაზე ძლიერია. მასში ძალიან მსუბუქად თავს-დება ყველაფერი ის, რომელსაც ჭეშმარიტებასთან მიახლოების ყველაზე მეტი შესაძლებლობები აქვს. ზაურ კალანდია მართლაც კარგი მწერალია, რადგან შესწევს უნარი იყოს შინაგანად მართალი იმ მოვლენების მიმართ, რომელმაც XX საუკუნის დასასრულს საქართველო, ქართველი ერი პოლიტიკური და ზნეობრივი დილემის წინაშე დააყენა.

ზაურ კალანდიას რომანი „ძეგლი ყველასათვის“ ამ პერიოდის ქართულ სინამდვილეზე შექმნილი უზარმაზარი პანოა თავისი მინიატურული ფრაგმენტებით, სასოწარკვეთისა და მხენების, სიამისა და ტანჯვის მირიადი შეგრძნებებით, ობიექტური დასკვნით, რომელიც ღრმა სიმართლისა და ფორმის სრულყოფის გამო ერთ მთლიანობაში იყითხება. „ვერავინ აღწერს ცხოვრებას ცხოვრებაზე უკეთ, – თვლიდა უან უაკ რუსო, ყველაზე გულახდილი ხალხი განსაკუთრებით მართალია მაშინ, როცა ლაპარაკობს, მაგრამ ცრუობს, როცა ჩუმდება. ეს სწორედ ის სიჩუმეა, რომელიც ყველაზე მეტად მწერალს არ მიეტევება, არ მიეტევება, თუ მხოლოდ ვარდისფერ სათვალეს მოარგებს თავის მზერას და გენიალურ ნობელიანტ გარსია მარკესივით არ განაცხადებს, მინდა ვემსახურო სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობასო. ამიტომაც ისმის ზაურ კალანდიას რომანის შეკრული სივრციდან განგაშის ზარების რეკვა, რათა ერისთვის თავს დატეხილი კრიზისული დროის ძლევის მისტერია შეგვაგრძნობინოს.

ქართველი ერის თვისებათა ახალი ფსიქოლოგიური შტრიხების წარმოჩენისას ზაურ კალანდიას, როგორც მწ-

ერლის მიზანი აშკარაა – ამ მრავალმოქმედებიანმა დრამამ საზოგადოებრივი აზრისა და განწყობილების კათარზისი უნდა გამოიწვიოს. რომანის ჩაკითხვისთანავე გემოვნებიან მკითხველს სრულიად განსხვავებული წარმოდგენა უყალიბდება ჩვენს სულიერ ყოფაზე და სინანულის მძაფრი განცდით უბრუნდება სინამდვილეს. ამასთან, რომანის კითხვისას იგი არ გრძნობს ხელოვნურობასა და ფორმის არაპუნებრიობას. პირიქით, რომანის თითოეულ პერსონაჟში საკუთარი ალტერ ეგოს კონტურებსაც კი ლანდავს. მეოცე საუკუნის დასასრულს კონფორმიზმისა და პროტესტანტობის ძლიერმა ტალღამ ადამიანები შეუწყნარებლები გახდა ერთმანეთის მიმართ. საბჭოთა სისტემის რღვევისთანავე საკუთარი პიროვნული და ზნეობრივი განაწესის დამკვიდრების ამბიციების გამო საქართველოში ლამის ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ისტორია განმეორდა – ქართველებს ერთმანეთის არ ესმოდათ.

მოქმედების დრო, რომელსაც ზაურ კალანდიას რომანი მოიცავს ჩვენი უახლესი წარსულია. ცოდვისა და უზნეობის მორევში მოტივტივე 90-იანი წლების საქართველო, რომელიც ისეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა თავისუფლებასთან შესახვედრად, როგორც გაზაფხულზე ნაადრევად ამომსკდარი კვირტი. საქართველოს მისავის ჩვეული იარები გაეხსნა. ასეთ გაშლილ ეპიკურ ფონზე ჩნდება ხოლმე ის კონტრასტული ფერები და სიტუაციები, რომელიც რომანში მხატვრულ-დამარწმუნებელი ძალითაა წარმოდგენილი. მწერლისთვის ეს მშობლიური გარემოა, რომელიც მისივე თვალწინ გადაიშალა. ის ძალიან ახლო მანძილიდან ხედავს და აღიქვამს მისი გმირების მოქმედებას, სოციალურ ყოფასა და მორალურ მდგრადობა-არამდგრადობას. მათი ინტიმურ ფიქრთა ხლართებში ზის და მათივე თვალით ზომავს სამყაროს.

ჭიჭე – რომანის მთავარი კონკრეტული გმირია, რომელიც რომანში ზოგად მეტაფორულ ფუნქციას იძენს. თვალსაჩინოდ გამოვლენილ თვისებათა მრავალფეროვნებით, იგი სრულფასოვანი მხატვრული სახეა. მის ფსიქოსოციალურ პორტრეტში ფაქტობრივად თავმოყრილია ყველა თვისება, რომელმაც თავი იჩინა ოთხმოცდაათიანი წლების ახლადწამოჩიტულ ლიდერთა შორის. ჭიჭემ თავადაც კარგად იცის, რა ღირებულებისა ბრძანდება, პერსონისა და სიტუაციების შეფასებისას იგი არასოდეს კარგავს ობიექტურობის გრძნობას. „სხვის კარზე სხვისი კუტი პურითა ხარ გამოზრდილი, არც რაიმე გამორჩეული ნიჭი დაგანათლა ღმერთმა და არც ყველაზე თვალში საცემი. ჩვეულებრივად დაბალი კაცი, შენზე ერთი თავით მაღალი ჩანს... რაღაც ისეთი უნდა ქნა, უნდა აიძულო როგორმე, რომ იმ „ერთი თავით ვითომ მაღალმა კაცმა ტოლივით მაინც შემოგხედოს, – ამბობს იგი, ოღონდ „ახლა მისმა ზარმა ჩამოჰკრა.“

ჭიჭეს თავგადასავალში, განცდილ-დანახულში, ფოკუსირებულია ქართული უწესრიგობის მთელი ტრაგიზმი. მას უამრავი ფიქრის შეჯერება უწევს, რათა ჭეშმარიტებას თვალი შეავლოს. ჭიჭეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა, შინაგანი მონოლოგი, რომელიც მთელ რომანში მაქსიმალური ეფექტით განსაზღვრავს ეპოქისეული განწყობილების წარმოჩენას და მის მაჯისცემას, გადაჯაჭვულია დიდ ეროვნულ-სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან. რომანში არ არის წვრილმანი ფაქტიც კი, რომელიც ამ მთლიანობას არღვევდეს, „ეხ, როცა არ იცი, ვინ ხარ და რისი შემძლე, როცა მხრების აქავება, ფრთების ამოსვლა გგონია ჭიანჭველასავით, მაშინ იღუპები“, რეალობის არაადეკვატური, რომანტიკული აღქმა სწორედ რომ ნიშნეული იყო იმ პერიოდისათვის. ჭიჭეს სინთეზურ-კონცენტრირებული ხილვა აქვს არსებული მდგომარეობისა, რომლის გარკვეული

ლოკალის მიღმაც ეპოქის პორტრეტი ერთობ დამაჯერე-ბლად წარმოგვიდგება. ვიცოდით კი ქართველებმა ჩვენი შესაძლებლობები მაშინ, როდესაც თავისუფლება მოგვადგა კარს? ჭიჭეს ზნეობრივი კონცეფციის მიუხედავად, მან კარგად იცის, რომ თავისუფლება „ციურ მანანასავით, უარაფროდ არ მოდის, რომ ერს ვნება, სიფიცხე, შემართება სჭირდება. ძველი ყოფის საძირკვლების მოშლა დიდ სიმტკიცეს, ზვარაქს მოითხოვს, „მრავალნაირი“, „მრავალსახოვანი“ თავისუფლებისათვის ბრძოლამ ეროვნულ ენერგიას მიწიერი გასაჭირი დაატეხა თავს და ქართველებს ერთმანეთისგან განლტოლვა მოუვლინა განსაცდელად. ჭიჭე ბარომეტრივით რეაგირებს არსებულზე, კარგად ერგება მოვლენებსა და სიტუაციებს. ადამიანის ინსტიქტებისადმი სულიერი მორჩილება ხომ ამ ინსტინქტთა საოცარი გააქტიურების ბრალია. „ძარცვაა ეს, კვლა, თაღლითობა თუ შმაშური, რა პოზიციაშიც გინდა, და ვართ ლალად“, – აცხადებს იგი. ყოველივე ამან ჭიჭეს სასიცოცხლო უჯრედების ისეთი პარალიზება მოახდინა, რომ მისი სულიერი ძმის – ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი კოლორიტის – ტოჩისადმი ერთგულებაც კი დაჯაბნა. შიშმა და სიკვდილმა ისე დაცალა ადამიანური ურთიერთობანი, რომ მათ ძმობასაც კი შეუყენა წყალი. „ტოჩი ჩემი საფიცარი იყო, მიყვარდა, მეამაყებოდა, მაგრამ... თურმე, შენს გამორჩეულ სიყვარულსაც კი ვერ შეეზიარები სიკვდილში! ყველაფერი: ძმობა, ფიცი, ერთგულება უკან რჩება თურმე. ეს იყო სწორედ იმ დროის ტრაგიკული მახასიათებელი – ძმებს შორის ასინეთასავით დაწანწალებდა ტყვია და სიკვდილ-სიცოცხლის დოლი იყო გამართული. რომანის გმირი ამის მონაწილე და თვითმხილველია. „როცა ლამე უბედურებაა და დღეც... როცა ტყვია – წამლითაა შეტრუსული ცა, ლუსკუმის კი არა, დღის სინათლის, ლია კარის შიშიც გაქვს, ქვეყანა ზეზეურად, ცოცხლად

ლპება“ ჭიჭე მართალია, – სენსაციებით, ფსევდოეროვნულობითა და ფეტიშიზმით გატაცებამ ერის გაორება გამოიწვია. ქართული სამყარო მისდაუნებლიერ ემორჩილებოდა ანტისახელმწიფოებრივ, ანტიზნეობრივ კატეგორიებს. ინიციატივა მორალურმა სიყალბემ და ეთიკურმა უზნეობამ იგდო ხელთ. და მაინც, ერის თვითგანწმენდის პროცესი რაღაც კანონზომიერებით მაინც ამოქმედდა და არ შეწყვიტა არსებობა. ამაში განვების ხელი ერია. მასების ნებაში მთვლემარე „ამაღლების პროცესი, რომელიც მიწიდან მოწყვეტის მტანჯველ განცდასთან გადაიხლართა, გარდაუვალი გახდა. როგორც ჭიჭე ამბობს, „საკუთარი თავის პოვნა და დამკვიდრება ურთულესი პროცესია, ეს ქვეყანა მარათონია. იგი ცდილობს გაერკვეს იმ სიძულვილის ფილოსოფიაში, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობისთანავე ამოყო თავი და უკვე არსებული წითელი ჭირის სიძულვილი მოყვრის სიძულვილში გადაზიარდა. რომანტიკულ აღტკინებას თავისი რიგი სისუსტეები აღმოაჩნდა: „ვინ არ მიძვრებოდა ზემოთ, ტრიბუნისკენ, მხდალი და მამაცი, გონიერი და უგუნური, უხერხემლო ინტელიგენტი და გაბოზებული ქურდი, სხვა ათასი ნაგავი“. აი, მწერლის მიერ უზუსტესად აღქმული ჩვენი ისტორიის, კერძოდ, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ერთი პატარა, ეროვნულ სპეციფიკური დეტალი, საქართველოში ხომ ტახტია ერთი, მეფე კი – მრავალი.

რომანში მოვლენები საოცარი დინამიზმით ვითარდება. პერსონიფიცირებულია ყველა, ვინც კი იმ წლებში ზედაპირზე ამოტივტივდა – ტოჩი, გიული, ავტორიტეტა, გაბო და სხვები. ამ ფსევდიკოლორიტულმა სახეებმა ამ ამღვრეულ დროში იჩინეს თავი. მათ წარსულს არავინ კითხულობდა. „მთავარია, საბჭოთა ციხე გქონდეს ნახეხი, წვერი გქონდეს გრძლად და კოხტად მოშვებული და, ვინ ხარ, რატომ ან რისთვის იჯექი, არავინ გკითხავს. ასეთია ამ კოლორიტული

გმირების „სახელოვანი მატიანე,“ მათი შინაგანი არსი. ერთ-მანეთთან შეწყვილებული ცინიზმი და ყოყოჩიობა, სიჯიუტე და უვიცობა, ლიდერობის ამბიციური ფსიქოლოგია შეგნიდან ხრწნიდა ეროვნულ მოძრაობას. თუმცა ამის დანახვა მაშინ მასებისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

რომანში ერთგან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახეც გაიელვებს. ჭიჭე სასოებით შეჰყურებს მოედანზე გამოჩენილ „პატრონს“, რომელიც „მიდიოდა მსუბუქად... თვალადი, სიარულით, ფერით, სიმაღლით გამორჩეული... ოდნავ წახრილ – წაწურულ მხრებზე ლამაზი, კოხტა თავი ედგა. და, როდესაც ჭიჭე ფიქრობს, რა ბედნიერებაა, როცა შენი ხალხი ასე გამოგარჩევსო, ავტორიტეტა მეფისტოფელივით ჩაისისინებს: „თავისუფლებას და სექსს ერთი დიდი საერთო აქვთ – ტკბობა ორივეთი შეიძლება, ჩემო ჯიმა. ჭიჭეს ცუდად ენიშნება, რომ „პატრონს ცა შარავანდედივით ადგა თავზე“. ამ დროს ასეთ ზენიტზე უფრო ახლოა სიკვდილი, – გაიფიქრებს იგი. ამ ხილვას ემ-პირიული ახსნა მოეძებნება – რჩეულებს განსაკუთრებით ემტერება სიკვდილი, არც მოკვდავის გამესიანების ტენდენციაა მთლად უსაფრთხო, რადგან გაფეტიშება – გაკერპების ისტერიამ საქართველოში არაერთხელ მოარღვია სიყვარულის ზომიერი საზღვრები და საბოლოოდ მაინც ყველაფერი ამ კერპთა მსხვრევით დამთავრდა.

რომანის პერსონაჟთა მრავალფეროვან გალერეაში იმ-დროინდელი ბევრი „კოლორიტი“ შეიცნობა. ისინი ჩვენი ყოფილი პოლიტიკური ფაქტურის პირმშონი არიან, ნაყოფინი იმ დროისა, როცა ერს ორსახოვნების ეპიდემია შეეყარა, გაძნელდა მღვრიე ვნებათა და ამბიციურ ზრახვათა კონტროლი. „გაღმელებად და „გამოღმელებად დაიყო საქართველო. რომანის გმირი ჭიჭე კარგად აცნობიერებს არსებული მდგომარეობის მთელ ტრაგიზმს: სანამ გამოღმელებს

ჩვენ გვქვია და გაღმელებს-ისინი, ჩვენი საშველი არ იქნება. ეს ხიდი კი არა, უფსკრულია – ღვარძლივით ამოუგსები, სიძულვილივით უძირო, თითო თითოდ რომ გვნთქავს ყველას და გვინელებს. ასეთი ლუსკუმშიც კი მხარეებს რაღაც იზიდავს ერთმანეთისაკენ, მაინც გადადიან, ახერხებენ სიახლოვეს ხიდის გარეშე და კვლავ შორდებიან, რათა ცხენისწყლის აქეთ-იქით დარჩენილებმა ერთმანეთს დაუმიზნონ. უნდა ახსოვდეს თუ არა ერს ის დაწყევლილი დღეები? „რაც არ უნდა გახსოვდეს, ის მახსოვს ხოლმე, ცხვირ-პირს მომიტრუსავს, მოულოდნელად, უნებურად“. ჭიჭე მეხსიერებას საყვედურობს, ქვეცნობიერად რაღაცას განიცდის, მასში ჯერაც არ მომკვდარა ყველაზე მთავარი, ის, რამაც მისი სულიერი ეროზია უნდა შეაჩეროს. ეს არის სინდისი – ადამიანის მიწიერი მსაჯული.

ზაურ კალანდიას რომანში მწერლის პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, მემატიანის ობიექტურ სასწორზე აწონილი, თავზარდამცემად მამზილებელი ფონია. ამ სივრცეში სამერმისო ფიქრებს ცისარტყელასავით გადაევლება ნაწარმოებში ფრაგმენტულად გამოჩენილი წყვილის სიყვარულის ისტორია. მაცხოვრის ეკლესიის ქვემოთ, პოეტის საფლავზე ნიბლიასავით ჩაცუცქული გოგო სასიყვარულო ბარათს უტოვებს მიჯნურს. ბარათი ადრესატამდე არ მიაღწევს, რადგან ჭიჭე იგდებს ხელთ. თუმცა ისინი მაინც იპოვნიან ერთმანეთს. აი, ის, რაც ქაოსს აწესრიგებს, უდაბნოს „აქალაქებს“. რომანის ეს პატარა ეპიზოდი საბოლოო აფხიზლებს არსებულიდან გამოსვლის ძიებით შეძრნუნებულ მკითხველს: „ჰო, ეგრეა, ეგრე!... რახან იმ წერილის გარეშე, დაუთქმელად შეხვდნენ და მონახეს ერთმანეთი, როგორც გასაქცევი გზა, ის ნავს-აყუდელიც არსებობს თურმე ამ ქვეყნად. მეტიც, ეს ის ძალაა, ამ დროში – უუამობის ჟამშიც, ტყლაპოში თავჩარგული რომ იყო, დედამიწის ღერძსაც გაპოვნინებს უთუოდ. ზაურ

კალანდია მოვლენათა შეფასებისას აქაც, ჩვეულებრისამებრ, ობიექტურია – სიყვარულის დეფიციტმა შექმნა ბოლო ათწლეულის უჟამობა, რომელიც თავს დაგვატყდა. არსებობს კი გამარჯვებული ძმათამკვლელ ომში?! „ჩვენ ნაკვალევზე ბალახი არ ამოვა! არც იმათ ნაკვალევზე ამოვა ბალახი! ჩვენ დავმარცხდით!“ – ასეთი თვითგვემის განცდა ახლავს ჭიჭეს სასონარკვეთილ აღსარებას.

რომანის დასასრულს ოქრო-ვერცხლის ხიბლისაგან წამხდარ-წაბილწული, ღალატსა და სიკვდილს შეამხანაგებული, მოძმეთაგან სასიკვდილოდ განწირული ჭიჭე ტბის ძირას ავტორიტეტას ძალლის – ლილისფერხახიანი იუკის განაჩენს ელოდება. „განაჩენისთვის მოხვედი? ძეგლი უნდა დამიდგა, იუკი? სწორი ხარ... ძეგლი უნდა დაგვიდგა, აბა რა! ყველა ის, ნებით თუ უნებლიერ, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად რომ ჩაკრა ფეხი ამ ჭუჭყში, შენს კუკლას იმსახურებს, ძვირფასო!

დროის ამ მონაკვეთს ეს ეკუთვნის!

თქვენ უფრო გეკუთვნით, ჩემო მახრჩობელა ძმებო!

თქვენი საგზალი არის ცოდვა!

მე ხომ ისედაც ვკვდები! მე უპირატესობა ზეცაში მაქვს!... ვიცი, ეს ქარიშხლები გადაივლის. მერე წვიმები მოვა... აუ, დიდი წვიმები იცის აქეთ. ერთხელაც მოვარდება და ყველაფერს, რაც იყო, რაც არის, წაილებს, გადარეცხავს, ჩახვეტავს...

მთავარია, დროულად მოვიდეს!

ლოცვა-კურთხევა ამ სახლში შემოვიდეს...

კიდევ: ერთი შემოლაწუნება უნდა ერს და ქვეყანა გამთელდება!“

სიკვდილთან შეხვედრა ეს სცენა ჭიჭეს საოცარ მომხიბლველობას ანიჭებს. ფიზიკური ყოფის უძლურებასთან ერთად, არსებობისათვის ბრძოლაში მოქანცული ჭიჭე ამ

ბრძოლაში დახარჯულ ენერგიას მისტირის. იგი სიკვდილის წინ ღმერთან და საკუთარ თავთან ბრუნდება, საკუთარ წარსულს მოიძიებს და სინდისს გაუსწორებს თვალს. მთელი რომანი საოცარ შინაგან ჭიდილზეა ავებული. მის ფინალში კი საბოლოოდ მაინც იხსნება პოზიტიურობის მარადიული იდეა – სიკეთის არსებაგრძელობის არეოპაგიკული რწმენა. არსებული აუცილებლად უნდა იძლიოს, როგორც სიკეთით დათრგუნული ბოროტება და ღვთის სამართალი „ამ სახლ-შიც უნდა შემოვიდეს.“

„ძეგლი ყველასათვის“ არ არის ძილის წინ საკითხავი რომანი. მის ხანგრძლივობას არამარტო სათქმელის სიცხადე და აქტუალურობა განაპირობებს, არამედ კარგი მწერლისთვის დამახასიათებელი ქმედითობა, მკითხველის განცდებზე საბედისნეროდ რომ მოქმედებს. ეს არ არის ჩვენი რეალობის მოვლენათა მშრალი იმპროვიზაცია, ეს არის ოსტატის ინდივიდუალური მანევრითა და ეფექტურობით მომავალზე გათვლილი მხატვრულ სახეობრივი ხორცშესხმა, რათა შეგვეძლოს ჩვენი უახლესი წარსულიდან სწორი დასკვნების გამოტანა. თავისუფლებაზე მეოცნებე ერს, აკაკი ბაქრაძისა არ იყოს, უნდა ჰქონდეს ავთანდილის თავდადება მოყვასისადმი, ჰაჯი-უსუპის პასუხისმგებლობა და მინდიას სიყვარული სამყაროსადმი.

ზაურ კალანდიას ეს რომანი, სწორედ ამ ფასეულობებზეა ორიენტირებული. ეს არის სასიცოცხლო მცნება ერის არსებობისათვის და მწერალმა ამის შესახსენებლად დროც და სივრცეც სწორად შეარჩია. ვფიქრობთ, ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მხატვრულ ტილოთა შორის, რომელიც მეოცე საუკუნის ქართული სინამდვილის „ზნეობრივ ისტორიას“ ეძღვნება.

## **აფხაზეთიდან გამოყოლილი სევდა – „გიორგი ესებუას წინათვრძნობა“**

ადამიანს არ სწამს იმის, რასაც ხედავს, მაგრამ ყოველთვის ხედავს იმას, რისიც სწამს. საქართველო მსოფლიო რუქაზე არ არის დემოკრატიის, სამოქალაქო კულტურის იდეალური სივრცე, მაგრამ იგი უდავოდ არის პარნასის ზონა, სადაც ასაკობრივ გამოცდილება ბევრს არაფერს მატებს მუზის მოციქულთ. შალვა კარმელი და მისი ცის-ფერყანწელთა საძმო, დათო კრაწაშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი და ვინ იცის კიდევ რამდენი – მანამდე და მათ მერეც...

დიდია პასუხიმგებლობა მათ წინაშე, ვინც მამათა თაობას გვიწოდებს. ვინც გვაიძულებს მისდიო მათ, მარტო შენგან კი არ ისწავლონ, შენ ისწავლო მათგან. გაიძულებს, რომ ხვალინდელი დღის რწმენა არ შემოგეკარგოს „წუთისოფლის ლელვა – ტორტმანში“ და გაათავისუფლო შენი გონება ამ ეჭვისა და შიშისაგან. ბოლოსდაბოლოს გაიძულებს გწამდეს სასწაულის... გიორგი ესებუა ერთ-ერთი მათგანია, ჩვენს „წყევლა-კრულვიან“ ქართულ სივრცეში პატარა სასწაულია, რომელიც ჯორჯ ბაირონისა არ იყოს „გაიძულებს, რომ იცოცხლო“.

სოსო ჭუმბურიძემ მასზე მითხრა, ეს ბედნიერებააო. გიორგისნაირების არსებობა განგების ნებაა და ისინი, ცხადია, ბევრნი ვერ იქნებიან, მაგრამ უნდა გაბევრდნენ ისინი, ვისაც ამ რაკურსიდან შეუძლია შეაფასოს ეს მოცემულობა და დადონ განსხვავებული ბედნიერების ფორმულა ერისათვის. მადლობა მათ, ვინც ამისათვის იღწვის, ვინც ქმნის ამ შესაძლებლობებს, ვინაიდან ჩვენი ისტორია სავსეა ფასეულობათა მიმოფანტვის რეციდივებით. მაგრამ უფალი ხომ

მოწყალეა, იგი გრიგოლ ხანძთელის, ილიას პასუხისმგებლობის მქონე მისიონერებს შემოგვაწევს ხოლმე ყველაზე კრიზისულ ჟამს, სწორედ მათ, ვისაც ძალუდ ათასების მაგივრად გავიდნენ ჯვარზე და მადლიანი ჯაფა შეაწიონ ჩვენს სულიერ ყოფას.

მადლობა როსტომ ჩხეიძეს ამ გზის ერთგულებისათვის.

მადლობა ნანა კუციას, რამეთუ იმოძღვრა

მადლობა გიორგის მშობლებს, რამეთუ მას ენგურსგალმა საქართველოს მონატრება ასწავლეს.

ჩემი ნაცნობობა გიორგი ესებუასთან სამიოდე დღის წინ შედგა. მანამ შეფასებებს ვისმენდი სანდო, გემოვნებიანი ჩემი კოლეგებისაგან. პოზიტიური განწყობა სწორედ მათ შემიქმნეს და ასე ჩავუჯექი საუცხოო დიზაინით შექმნილ პატარა კრებულს სახელწოდებით „წინათგრძნობა“. მისი ავტორიც ხომ პატარაა – მხოლოდ 19 წლის. თუმცა საქართველოში ეს უკვე პოეზიის ასაკია ...

ნატა ვარადას – სოსო ჭუმბურის თქმით, ერთ-ერთს „ბედნიერებათაგანს“ წინასიტყვაობის სახით გამოუთქვამს თავისი აზრი – გულწრფელი და ავტორიტეტული, ისიც ხომ დაღდასმულია პოეზიით, „მიკვლევს პოეტური ქვიშის ქარიშხლიან ბილიკებს“, ისიც როსტომ ჩხეიძეს აღმოუჩენა და დაუტოვებია „მზის გულზე ხელგაშლილად“. მან კარგად იცის ამ თანადგომის, კოლეგიალური უესტის ფასი და ასე დაულოცავს გზას გიორგი ესებუას: „გზა, რომელიც მხოლოდ მისი გასაკვალია, და ბილიკიც, რომელიც მხოლოდ მისი სახელისა უნდა იყოს, დაე, გულწრფელობამ, ნამდვილობამ და სამშობლოს სიყვარულმა კეთილად გაკვალოს – გზა პოეზიის ჯურლმულებისა, გზა – პოეზიის მზით გაჩახჩახებული“

ამის შემდგომ მე თავად ვხდები მოწმე, როგორ მიიკვლევს იგი გზას პოეზიის ლაბირინთებში. უშელავათოდ,

უკომპრომისოდ ვკითხულობ. არ მინდა ასაკობრივი შეღა-  
ვათები დაუშვა გიორგი ესებუას მიმართ, რადგან პოეტე-  
ბად იპადებიან. თუმცა არაიშვიათად ამ საკრალური აქტის  
პროფანაციაც ხდება ჩვენს პოეტურ ლანდშაფტში. ფრაზა  
ლექსიდან „გვარი“... „ესებონის გრილი ჭავლის მსუბუქი  
ჩქამი“ და უკვე ნათელია – ნაღდია ეს ყველაფერი, ამაოა  
ჩემი სიფრთხილე, გიორგიმ მაჯობა და მე ვფიქრობ, რომ  
იგი მართლად პოეტად დაბადებულა, რომ გაიზრდება და  
ბევრჯერ გაგვაკვირვებს მომავალში, რომ მყარია მისი ბა-  
ლავარი და გზაც ხსნილი აქვს ყველა პოეტური კრეატივი-  
საკენ.

სოლომონის შექებული ბიბლიური ესებონი, შემდგომ  
იავარქმნილი, მაგრამ მაინც ოაზისად დარჩენილი კაცო-  
ბრიობის მეხსიერებაში. გიორგი ესებუა ფესვების ძიება-  
ში ამ მეხსიერებაში მიიკვლევს გზას. როგორც ჩანს, მის  
ყურს ესალბუნება სიტყვა ესებონი, რომელიც მისი გვარის  
უდერადობას ემსგავსება. „და მე არ ვიცი საიდან მოვედი“.  
დეჟავიუს შეგრძნება აქვს – ეს თითქოს უკვე იყო. იქნებ  
აქ – ამ ბიბლიურ ოაზისში ვიდოდა მისი წინაპარი, რომ-  
ლის გვარი დღეს ქართულია... ვინ იცის, მაგრამ მთავარი  
აქ მაინც ფესვების ძიების სურვილია, წინაპართა მიმართ  
კრძალვა და მათგან სულიერი ენერგიის მიღების ტრადი-  
ციაა. უფესოდ ხომ ხეც არ იზრდება.

კრებულში ეს გიორგი ესებუას ერთადერთი ლექსი არ  
არის ამ განწყობის აღსაქმელად. წარსულის ასე გადააზ-  
რება და მასთან ასეთი სიახლოვე „მოჯანყე თაობისაგან“  
დღეს არცთუ ისე მანერულია. უფრო მეტიც, იგი სწორედ  
იმას უპირისპირდება, რამაც შეიძლება გაუცხოების კედელი  
აღმართოს მამებისა და შვილების თაობებს შორის. ლექსში  
„ტრანზისტორი“ – ტრანზისტორი სიმბოლოა ხმაურიანი,  
ურბანიზებული სამყაროს, სადაც გათითოკაცებული, ფეს-

ვებს მოწყვეტილი, საჭიროებაზე მორგებული ადამიანები სახლობენ. სადაც მოხუცებს თავშესაფარში მიაქანებენ. მის გულზე აცოცებულ პატარას „კრიალა ბავშვს“ ტრანზისტორის ხრიალში არ ესმის ბაბუის გულისცემა და უნებლიერ ამსხვრებს მას, ამით თითქოს აპროტესტებს და ამარცხებს დიდ ხმაურს, გადაარჩენს თაობათა საკრალურ კავშირს, რომლის გარეშე უფასურდება ადამიანური ყოფიერების ყველაზე ფაქტიზი ველი:

დიდი ხმაურის სამყარო გაცურდა

და დარჩა სახლი...

დიდ ბაბუას და პანია შვილთაშვილს ერთმანეთის გულისცემა ესმით

სიმყუდროვეა...

ყავარზე მუსიკა წვიმის...

ამ კავშირის იდუმალება გიორგი ესებუას სხვა ლექსშიც მოჩანს. ისიც ბაბუას ეძღვნება. ბაბუას ჯოხი – თითქოს სკიპტრის ფუნქციას ითავსებს. სკიპტრა ხომ ხელისუფალის უძველესი სიმბოლოა ფარაონებიდან მოყოლებული. მისი პირველი სახე მწყემსის კვერთხია, რომელიც საეკლესიო მმართველობის სიმბოლოდაც მიიჩნეოდა. გიორგი ესებუას ამ ლექსში ბაბუას ჯოხი უბრალო არ არის. ის სიმბოლოა ოჯახის ბურჯის, მახვშის, რომლის კრძალვა მართებს ახალ თაობას, რათა შემდგომ მისგან ამ ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გადაცემის აქტი განახორციელოს „ახლა ჩემია მისი ჯოხი“ – ამბობს პოეტი. ეს მისი მზადყოფნაა წინაპრების გზა გააგრძელოს და თავის თავზე აიღოს მისია „სევდასა და ძენძილ თალხზე“ ფიქრისა, რომელიც ბაბუის ზმანებებში სახლობენ.

„უბაბუოდ დაყენებული პირველი ღვინის“ უცნაურად სევდიანი განცდა ღვინობისთვეს, მხრებში ანურული მამა და გარდაცვალების მისტიურობაა ლექსში „ღვინობისთვე“:

ყურძნის სიკვდილი შობაა ღვინის...

ვწურავთ

დღე იწურება

გული მეწურება

ბაბუის სიკვდილთან ერთად იგი თითქოს თავიდან იბადება. იბადება იმ გზის გასაგრძელებლად, რომელზეც ბაბუამ ლირსეულად იარა. ეს უნათლესთა ხსოვნაა, სადაც სიკვდილია, იქ არის სიცოცხლე და გიორგი ესებუა იღებს მის გამოწვევას. მამიდის თაფლისფერი თვალების სილბოთი იტკბობს წუთისოფლის სავალ გზას, მარტში ემზადება აპრილთან შესახვედრად, რათა ხსოვნის სურვილება შეაზავოს ოცნებებს.

სულიერი წინაპრის სიახლოვე იგრძნობა მის ლექსში „უცნობის შემდეგ“. ვახტანგ ჯავახაძის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ეს ოდა ამ ფიქრების აღმძვრელია. არც გიორგი ესებუა აღმოჩნდა გამონაკლისი, მაგრამ ასე ბევრი ვერ იტყოდა გალაკტიონზე:

ქუდი ოდნავ აცდენილი ნაკერებით ცილინდრს ჰგავს,  
მაგრამ ცილინდრი არაა,

როგორც თავად ჰგავს კაცს, მაგრამ ანგელოზია ( ან )  
ბინდისას სეირნობს ხოლმე მთვარესთან ხელკავით  
და, რას უყვება, მხოლოდ მან და მთვარემ იციან...

გიორგი ესებუას ხელოვანის უსწორმასწორო გზასა და  
ხვედრზეც უფიქრია. „დაღლილ სცენისა და მსახიობის“  
ძველ რომანზე:

აი, დაბრუნდა

ფერგადასული, ღვინისფერი, ძველი ფარდები ჩუმი  
შერხევით ესალმებიან...

აცვენილ პარკეტს ისევ ძველი ანათებს რამპა,

მზესავით ძველი...

ცივი, მწველია

დაღლილ სცენისა და მსახიობის ძველი რომანი

გიორგი ესებუასთან ახალ სიცოცხლეს იძენენ უკვე  
ნაცნობი პერსონაჟები. მის ფანტაზიას სხვაგვარად ახელებს  
ონისესა და ძიძიას სიყვარულის ტრაგიზმი, მეფე გიორგის  
სიყვარული, რომელიც მისთვის უფრო სასჯელია, ვიდრე  
ღვთის წყალობა. გულზვიადი მეფის არჩევანის დრამატიზმი  
„როგორ ვიქებოდით ერთად?!“ ჩვენ შორის მთელი საქართ-  
ველო იდგა“ ცხრამეტი წლის პოეტის წარმოსახვაში ისე  
ლაგდება, რომ სწორედ ის სტრიქონები შვას, რომელიც ამ  
ფაქიზ, სიტუაციურ კონტექსტს განსხვავებულ ესთეტიკას  
ანიჭებს:

ღვთის წყალობაა თუ სასჯელი

ეს სიყვარული?!

მეფობა არ მსურს, შორენას მაშორებს

ცეცხლში ნავლები, ოქროსფერი თმა

გულს მიფერფლავს,

მზერა ზღვისფერი...

მხოლოდ ცეცხლს და ზღვას შემიძლია უსასრულოდ,

მშვიდად ვუმზირო,

ყველაფრით დაღლილ-გაბეზრებულ-გულამრეზილმა

ალბათ უცნაური იქნებოდა გიორგის ესებუას ლირიკუ-  
ლი განაზრებანი ბიბლიური მოტივების გარეშე. უცნაური  
იქნებოდა ჯვარზე გართხმული ქრისტეს ტკივილებით არ  
მოექსოვა სტრიქონები და ამ საზრისის გარეშე დაეტოვე-  
ბინა მისი დებიუტი. უცნაურად ინტიმურია მისი ქვეცნო-  
ბიერი სიახლოვე ჯვარცმის საკრალურ აქტთან. ბოროტები-  
სა და სიკეთის, სიკვდილისა და სიცოცხლის კონფლიქტური  
დილემასთან, რომელიც ყველაზე მკაფიოდ მაინც ლექსში  
„მაგდალელი“. მოჩანს. „მოვიდა ღმერთი, დად წაგიყვანა...  
(მომიყევი როგორი ძმა)“. ან:

შენ პენელოპე არ იყავი და არასოდეს არაფერი მოგიქს-

ოვია-

მხოლოდ საზარი, საშინელი დღეების ბადე...

თავს იბილწავდი...

უნანელი ყიდდი ყველაფერს...

როგორ მახსოვს შენი შავი თმა, ღამესავით იდუმალი....

შემოდგომის თვეში დანახული წმინდა გიორგის ხატება, სკოლის სარკმლიდან განცდილი, სამყაროს მთლიანობაში გააზრებული გიორგობისთვის დაღლილი ფოთოლი და წმინდანის სისხლი, რომელიც ლურჯი ძარღვიდან მოედინება, რათა დაიხსნას კაცობრიობა. მაშინაც კი, როცა ვიღაც „ხაფით ყვება კანონზე“, ის ფიქრებს მიყვება და როცა „გიორგობისთვის ქუფრი ღრუბელი მზეს წაიყვანს“ აღარც სარკმელში ხდება რამე გულმისაყოლი. გიორგი ესებუას სარკმლიდან სამყარო სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს. როგორიც უნდა დაგვენახა ადამიანებს, ვიდრე ანგელოზები დაეცემოდნენ. ვიდრე ცოდვის წუმპეში ამოვყოფდით თავს. პოეზია კი ხსნა, მისგან განსარიდებელი გზაა, რომელზედაც პოეზიით დადგასმულები მიგვიძლვიან და მაშინ:

დამსკდარ კედლების სიბნელეში სხივად ეშვება

საშიშ ხმაურს წყვდიადისას გაანალებს მელოსი წვეთთა, თითებმწოლლარე ანგელოსის ნაბიჯი ჩქამი...

კედლის ნაპხარში მზე გაიპრწყინებს...

სარკმლის სიმბოლიკას ვაწყდებით გიორგი ესებუას ლექსში „მობილობა“. მის მიერ დაანონსებული დიპტიხი, რომელიც ერთ ლექსში ორ ამბად უნდა გაიშალოს შემდგარია. სადღაც გალაკტიონიც გაიელვებს: „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“. მზერაჩამქრალი ქალის არსაით სვლა და მთვარესთან გამიჯნურებული მგელი თავისი მძაფრი სიყვარულით და მიუწვდომლობის რომანტიკით ღია სარკმლიდან გადმოღვრილი მთელი სამყაროა, რომელიც ღიაა ჩვენთვის და განსხვავებით მობილობისა, ფანჯრისა არასდროს იხურება.

გიორგი ესებუა 1997 წლის 16 მარტს დაიბადა. 16 მარტი ალბათ მარტო სოხუმელების და იმ პატრიოტთა მეხსიერებას შემორჩა, რომელთაც კარგად ახსოვთ ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველოს მნიშვნელობა. 1993 წლის 16 მარტს, მდინარე გუმისთასთან გამართულ სისხლისმღვრელ ომში ქართველმა მეომრებმა კბილებამდე შეიარაღებული მტერი გააჩერეს. მინდა დავაზუსტო – მტერში იმ დღის ყველა მომხვდურს ვგულისხმობ, ჩვენი შეცდენილი ძმის – აფხაზის გარდა. იმ დღეს ქართველმა მეომრებმა ისინი სიცოცხლის ფასად გააჩერეს. ეს ამბავი კარგად იციან გიორგი მშობლებმა, იცოდნენ მისმა უნათლესმა ბაბუამ და ბებიამ. დარწმუნებული ვარ, მისი მოვლინების აღმნიშვნელ სუფრაზე ეს თარიღიც გაახსენდებოდათ. ამ უცნაურ დამთხვევას მნიშვნელობას არ მივანიჭებდი, რომ არა უსოხუმოდ გაზრდილი გიორგი ესებუას განცდები ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველოს მიმართ, სევდიანი მონატრება იმისა, რომლის გულწრფელობის ძიება ამ თაობაში ალბათ ძალიან ფორმალურია და გვიჭირს ლეგიტიმური გავხადოთ ჩვენი სურვილი- ახსოვდეთ და უყვარდეთ ის, რაც არასოდეს უნახავთ, მაგრამ გიორგი ესებუასთან ეს შეუძლებელი შესაძლებლობს. აფხაზეთში დარჩენილ დიდ, თეთრ სახლზე როცა უამბეს, მისი სიზმრის სარკმელში შემოიჭრა ცხელი სხივები, მან დაინახა, წარმოიდგინა, იგრძნო და ჩვენც გვაგრძნობინა. მონაყოლიდან შექმნა ლეგენდა მიტოვებულ წარსულზე „ნაბიჯების ჩქამიც“ შეიგრძნო და მისი მაგივრობის მტკირთველს მიწერა:

სად იყუჟები ჩემს დიდ სახლში. რომელიც დაწვეს?!

(მეც მასთან ერთად დაბადებამდე)

ნაბიჯების ჩქამი მახსოვს საფეხურებზე –

მონაყოლიდან...

სიზმრის სარკმლიდან შემოჭრილი ცხელი სხივები...

რბილი ლოგინი, ალბათ, გჩუქნის საჩემო სიზმრებს...  
რა გესიზმრება  
ჩემს  
უჩემო  
საძინებელში?!

შენ ჩემით ცხოვრობ. ჩემ მაგივრად უჩემო სახლში...

რიტორიკული კითხვა – „არ იპარები ღამლამობით ღია სარკმლიდან, ღია ზღვისკენ?! გყოფნის ჰაერი?!“ – განაჩენია მათვის, ვისაც ჰგონია, რომ შესაძლებელია ადამიანები გამოაძევო საკუთარი წარსულიდან. ამ წარსულს მემკვიდრეები უკვე ჰყავს და გიორგი ესებუა ერთ-ერთი მათგანია.

და ბოლოს,

გიორგის მინდა ვუთხრა – გზა, რომელიც შენ აირჩიე – ადვილი არ არის. ამიერიდან ადამიანები შენგან ყოველთვის იმას მოითხოვენ, რისი დანახვაც ერცნებებათ. ამიერიდან შენ დონორი ხარ და შენი ენერგია მათ სულიერ გადარჩენას უნდა დაახარჯო. ის, რაც სხვას ეპატიება, შენ არავინ გაპატიებს. მიზნის მისაღწევად შენ ყველა საშუალებას ვერ გამოიყენებ. მე მინდა შენი პიროვნება ემთხვეოდეს შენს ლექსებს. ტაშისცემასაც ძალიან ნუ მიუგდებ ყურს, ეს უბრალოდ შენი მკითხველის სიხარულია შენი არსებობის გამო.

## მარადიული დაბრუნების პოსტმოდერნისტული გარიაციები

პოსტმოდერნისტულ ეპოქაში მწერლობისათვის იმანენტური რჩება არამარტო გრძნობითი აღქმა, არამედ პერცეპციების საშუალებით არსებული რეალობის წვდომა და კონტროლი. პირველსაწყისზე დაყრდნობით სამყაროში მიმდინარე პროცესებზე რეაგირება, მისი განაზრება და მხატვრულ ქსოვილში მოქცევა, ნათელს ფენს და ასაზრდოებს იმ კონცეფციებს, რომელიც საზოგადოების სულიერი ღირებულებების შენარჩუნებას განაპირობებს. საყოველთაო სულიერი კრიზისის დროს მწერლობას ძალუძს შექმნას ოაზისები, სადაც ადამიანი შეძლებს არსებობას. „იგი იქცევა გენეტიკური სელექციის სიმბოლურ პუნქტად“ (ვოლფგანგ ველში) და სიცოცხლე კვლავ შესაძლებელი ხდება.

თანამედროვე ავტორის ტექსტი მკითხველზე ზემოქმედებს მთხოობელის წარმატებული მხატვრული მანიპულაციებისა და პერსონაჟების წყალობით, რომლებიც ატარებენ ეპოქის დამღას და მისი ლიტერატურული წინამორბედებისაგან განსხვავებით ნაკლებად არიან გმირები და რევოლუციონერები. ისინი უფრო რეპრესირებული, ისტორიასთან კონფლიქტში მყოფი, თუმცა გარკვეულწილად მოჯანყე პერსონაჟებია, რომლებიც ხშირად პუმანიტარული კატასტროფის ზღვართან დგანან. ქართულ სალიტერატურო სივრცეში არის მოთხოვნა ასეთ პერსონაჟებზე. მხოლოდ „გრძნობად ხელოვნებაზე“ ორიენტირებული მწერლობის ემოციური ტონი ყოველთვის არასაკმარისი იყო ქართველი მკითხველისათვის. „ჰოლივუდური შოუს“ ელემენტებზე აპელირება მოკლევადიანია და არათუ ინტელექტუალურ, საშუალო გემოვნების მკითხველზეც არ არის გათვლილი. იდენტურობის, „შინა სახის“ შენარჩუნებისა და სულიერ კრიზისზე

დროული რეაგირების მძლავრ ინსტიქტზე ორიენტირებული ქართველი მკითხველი სწორედ ამ ფაქტორების გათვალ-ისწინებით მართავს ლიტერატურული ტექსტის აღიარების პროცესს. ამ მოცემულობის გარეშე მხატვრული ტექსტი კარგავს აქტუალურობის შანსს. თუმცა ეპატაჟური და კვაზი-მხატვრული ტექსტებით საკმაოდ გაჯერებული ჩვენი სალიტერატურო სივრცე თავისი უნაყოფო მოცემულობით დროებით, მაგრამ მაინც ახერხებს საშუალო მკითხველის ყურადღების მიპყრობას. ასეთი ლიტერატურული ექსცეს-ები უმნიშვნელოდ ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მწერლობა არ არის იდეოლოგიური დანამატი, იგი ერთ-ერთი მძლავრი და წარმართველი ძალაა, რომელსაც შეუძლია ერის მენტა-ლური დეზორგანიზაცია შეაჩეროს და მისი სასიცოცხლო ველი თვითგანადგურებისაგან იხსნას.

მწერალთან დავა თვითგამოხატვის ფორმასა და ესთე-ტიკაზე ყოველთვის საფრთხილოა, მაგრამ თუ პოლ ვალ-ერის ცნობილი გამონათქვამის „დიდად მშვენიერი ალფრ-თოვანებისგან გვამუნჯებს“ პროფანაციის საშიშროება ჩნდება, სახეზე ეპატაჟურ-სკანდალური ინსინუაციებით მწერლობაში თავის დამკვიდრების მცდელობა და მკითხვე-ლის ამ მეთოდით „დამუნჯება“, შექმნილი ვითარება უსათ-უოდ საჭიროებს სახელდებას. რეცეფციული ანუ აღქმის ესთეტიკა ჩვენი პოსტსტრუქტურალისტური ეპოქის უმ-ნიშვნელოვანეს ლიტერატურათმცოდნეობით მიმდინარე-ობად არის აღიარებული და ამრიგად, ტექსტის სუბიექტის გრძნობად კონკრეტული ემოციებისა და ცნობიერების კო-რექტურა ბევრ წილად ლიტერატურის ხელშია. წარმოუდ-გენელია, ავტორი არ ფიქრობდეს მკითხველზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რისი გამოწვევა უნდა ამა თუ იმ მწერალს მკითხველში – სიმშვიდის, სამართლიანი პროტესტისა და კრიტიკული რეაქციის, ესთეტიური ტკბობის, იდეური სიმტ-

კიცის, თუ სულაც მორალურ-ეთიკური კოლაფსის. ამ უკანასკნელის გამოწვევის აშკარა მცდელობებია ბოლო დროს მომრავლებული სექსუალურ-ინცესტური და მრუშიან-ორგიასტული მოტივები ქართულ მწერლობაში. ასეთ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ მწერალთა შემოქმედება, რომლებსაც სწორი სულიერი ორიენტირები აქვთ და კარგად იციან იმის ფასი, რასაც ქმნიან. მათ რიცხვს უსათუოდ განეკუთვნება სოხუმელი მწერალი გურამ ადიშარია, რომელიც თავისი სამწერლო მოღვაწეობის ნებისმიერ ეტაპზე ახერხებს მკითხველში იმ ემოციების გამოწვევას, რომელიც თანაბრად იწვევს სულიერი სიმშვიდისა და სიფხილის გრძნობას, ბადებს თავის რეციპიენტში მსოფლმხედველობრივი პოსტულატების გადასინჯვა-გადახალისების სურვილს. მისი რომანების სტრუქტურა და საზრისი ყველა პირობას ქმნის ამისათვის და რაც მთავარია, მასთან მუდმივად ტრიალებს აფხაზეთში დაბრუნების იმედთან ასოცირებული და ამ იდეიდან ამოზრდილი პარადიგმა, რომელიც, ჩვენი აზრით, ანალოგიას ჰქოვებს ფრიდრიხ ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეის კონცეფციასთან, მარადიული განახლებისა და კვდომის, სამყაროს ციკლური მოძრაობის უკვდავ კანონზომიერებასთან.

ნიცშეს ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქართველი მკვლევარი თამაზ ბუაჩიძე თავის ნაშრომში „ცხოვრების მასნავლებელი წიგნი“ ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ გამოსვლის გამო აღნიშნავს: „ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი გასაგებია თავისებურად – ნიცშეს ყველა ძირითადი იდეა, მთელი ცხოვრების გზა, თითქმის ყველა ის საკითხი, რომელზეც ბევრი უფიქრია მას შემოქმედებითი ძიების დროს. აქ მკითხველი გაეცნობა ზარატუსტრას ავტორის შეხედულებებს ნიჰილიზმზე, ძალაუფლების ნებაზე, დიონისურ საწყისზე, ზეკაცზე, ჭეშმარიტ და ყალბ ლირე-

ბულებებზე, მარადიულ დაბრუნებაზე, მეცნიერებაზე, ხე-ლოვნებაზე. მთავარი მაინც ისაა, რომ წიგნში წამოჭრილი პრობლემები საოცრად ეხმაურება თანამედროვე საზოგა-დოების მდგომარეობას, განსაკუთრებით ეს ითქმის ღმერ-თების სიკვდილის თემაზე“. ვფიქრობთ, თამაზ ბუაჩიძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მასაც გაუჩნდებოდა სურვილი მარადიული დაბრუნების კანონზომიერებით ენუგეშებინა თანამედროვე საქართველოს ბოლოუამის ყველაზე ტრაგი-კული პერსონაჟები-აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოხ-იზნული ქართველები, რომელთათვის დაბრუნების აქტი არ არის მხოლოდ სახლში დაბრუნება, სახელმწიფოებრივი და ადამიანური ლირსების რეაბილიტაციის პარალელურად, ეს არის იდეა, მსოფლმხედველობა, ცხოვრების საზრისი.

გურამ ოდიშარიას რომანები „სოხუმში დაბრუნება“, „შავი ზღვის ოკეანე“, „სათვალიანი ბომბი“ ამ იდეის მსო-ფლმხედველობრივ სტრუქტურაზე აგებული მხატვრული ტექსტებია. ეს „ქვა-სვეტი“ მყარად დგას და განსაზღვრავს მისი შემოქმედების იდეურ არქიტექტონიკას. ჩვენი კრიზ-ისული დროის ყველაზე გამოხატული ისტორიული მოვლე-ნები-საბჭოეთის დემონტაჟი, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სისხლიანი კონფლიქტი მიბმულია ერისათ-ვის უაღრესად მნიშვნელოვან ლირებულებებზე, ცხოვრების ცოცხალ შეგრძნებებზე, მორალურ-ზნეობრივ ვალდებულე-ბებზე. მე-20 საუკუნის დასასრულს ეს მოვლენები კვლავ გახდა მიზეზი თაობათა დაპირისპირების, რომელიც გურამ ოდიშარიას რომანში „სათვალიანი მომბი“ არსობრივად არის განაზრებული. რომანი ეძღვნება ტელეოპერატორებს. მათ, ვისაც ძალუს მარადიულობა მიანიჭოს იმ წუთებს, რომელ-იც ვერასოდეს დაბრუნდება. ვფიქრობთ, სიმბოლურია ეს მიძღვნაც. კადრი რეალურად ინახავს იმას, რასაც ადამი-ანის მეხსიერება იმპროვიზაციას ვერ გაუკეთებს. რომანის

გმირები ომების, პოლიტსპექტაკლებისა და კერპთა მსხვევის ეპოქაში ეძებენ ხსნის ფორმულას. ამ ძიებაში წარმოიშობა თაობათა კონფლიქტი, როგორც კანონზომიერი შედეგი ქართული ყოფიერებაში დაგროვებული ვნებათაღელვის. ამავდროულად, ეს არის მუდმივი განახლების საწინაარი, რომლის ათვლა შეიძლება ადამიანის პირველი მხატვრული რეცეფციიდან – მითოლოგიური თქმულებებიდან შეიძლება დავიწყოთ, ოლიმპოს მთაზე დაწყებული ღმერთების პირველი გაბრძოლებიდან, რომლის პირველმქნელი დიდებული ზევსი იყო და რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში „ტიტანომაქი-ისა“ და „გიგანტომაქის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ეს იყო ფაქტურად თაობათა პირველი ბრძოლა, რომელიც ბედისწერასავით შემორჩა კაცობრიობას, როგორც მარად განმეორებადი ფენომენი.

საზოგადოებრივი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე იგი პერმანენტულად მეორდება. ამ მოდელს – სულიერ, ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას მამებსა და შვილებს შორის ყოველთვის მოაქვს ის, რაც სიცოცხლის გაგრძელების საწინდარია. გურამ ოდიშარიას რომანში „სათვალიანი ბომბი“ დროისაგან წაშლილი მიამიტური მგრძნობელობის, სიმულაციებისაგან თავისუფალი და თავხედურად მართალი შვილების თაობა უკომპრომისობრალმდებლის როლში გვევლინება. ეს არის მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი, საიდანაც შვილი გამოსავალს მარტივად პოულობს – „მარად ერთი კაცის შემყურე და მოიმედე ქვეყნიდან“ გარბის. „გაქცევა ყველაზე ადვილია, შენ აქ უნდა იყო და ქვეყანას უშველო, იფიქრე“ – მოძღვრავს მამა, რომელმაც უკვე მოისმინე შვილისაგან უსასტიკესი ბრალდებები: „არ გიყვართ ის, ვისაც ყველაზე ხშირად ახსენებთ – ღმერთი! და, რა თქმა უნდა, არც ის გიყვართ, ვინც აღარ გახსოვთ – ადამიანი. საკუთარი თავი კი, კარგა

ხანია სადღაც დატოვეთ. ჩემი სახე თქვენი ომების ნიშანს ატარებს. ეს შენი ავტოგრაფია, ჩემო სამშობლოვ, შენგან ნაბოძები მემკვიდრეობა, თქვენი შიში და კონფორმიზმი გულის ამრევია, უნამუსოდ თავისუფლებო. მორჩა, მოგიკვდათ მოსამართლეც, სინდისიც. პრიმიტიულ მითებს იგონებთ და მშვიდდებით. ასე კომფორტულად გრძნობთ თავს, სიმართლის გეშინიათ“. შვილის მამისადმი მიწერილ წერილში გაულერებულ ბრალდებათაგან უმძიმესი ღმერთის დაკარგვის, მისი ფსევდო-მოსაკლისების, ქრისტიანულ მცნებათა შებლა-ლული არსებობის ბრალდებაა. ზარატუსტრა ნიცშეს უკვდავ ქმნილებაში იმასვე საყვედურობს ადამიანებს: „ღმერთის ნიღაბით დაიფარეთ თავი თქვენივე თავიდან, თქვენ „უბინონ“, ღმერთის ნიღაბში დაიმალა თქვენი საშინელი ჭიაყელა“.

მოჯანყე შვილი მამისგან იმის აღიარებას მოითხოვს, რომ მათ კარგა ხანია დაკარგეს ღვთისა და ადამიანის სიყვარული, „ქვეყანა კი სანაგვეში გადასაგდები ქალალდივით დაჭმუჭნეს.“ ღვთის სიყვარული, მისი აზრით, მამებმა პროფ-ანაციად აქციეს. მოჯანყე შვილი ახალ წესრიგს მოითხოვს, პროტესტსაც არაადეკვატურად-ქვეყნიდან გაქცევით გამოხატავს. ასეთია მის მიერ მოძიებული გამოსავალი, ასე გამოხატა მან მამების მიერ შეემნილი კრიზისისადმი თავისი დამოკიდებულება. „უკვე შეეჩივეთ და გიყვართ კიდეც თქვენი მშობლიური უბედურება და სიკვდილიც! არაფერში გაცვლით, კი ღებავთ და აჭრელებთ სახლებს, მაგრამ სული მაინც ბნელი გაქვთ და სასოწარკვეთილი, დამსკდარი და ჩამოცვენილი, როგორც ძველთაძველი კედელი“. რომანში მამა სიმბოლიზირებულია თაობასთან, რომელსაც წვლილი მიუძღვის ქვეყნის დანგრევაში, მისი ღირსების გაბახებაში, პატრიოტული გრძნობებისა და თავისუფლების განცდის სიმულაციაში. „უნამუსოდ თავისუფლებო“ – ამ სინტაგმაში

აქცევს შვილი განვლილი ათწლეულის მონაგარს, რომელ-იც ასე მძაფრად აირეკლა მისმა სულიერმა სამყარომ, მისი ბავშვობის წლებმა. რომანში ორთავე მხარეს მოჩანს სიმარ-თლე, რომელიც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო თანაბრად ანანილებს პასუხისმგებლობას თაობათა შორის. მამას არ სურს ერის თვისებად აღიაროს ბოლო ათწლეულში გამოვლენილი მანკიერებანი. მამისა და შვილის პოლემიკა-ში ბალანსი აღდგება მაშინ, როცა შვილის სამშობლოდან გაქცევით გამოხატულ პროტესტს ობიექტური კვალიფიკა-ცია ეძლევა და შვილის არგუმენტი უფრო მყიფე ხდება: „შენი გაქცევა ავადმყოფი, ლოგინში მწოლიარე მშობლის დატოვების ტოლფასია“.

ახალი თაობის პროტესტის მოდური ჟესტი – ქვეყნიდან გაქცევა უკვე ახალი თაობის სისუსტის აღიარებაა, მამისთ-ვის ყველაზე საღი არგუმენტი: „ადამიანი უცხო ქვეყანაში იმიტომ გარბის, რომ ის ქვეყანა ნაწილობრივ იმ ცისა ჰგო-ნია. არადა, მიწაა ყველგან, ლაშა, და მიწა ერთია. შენი წერ-ილის წაკითხვის შემდეგ შემეშინდა, ვაითუ, დიდხანს შერჩეს იქაურობას-მეთქი, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი შიში არ გამა-რთლდება“. მამის ეს შიში მისი ყველაზე მართალი არგუმენ-ტია. მან იცის, ყველაზე დიდი მარცხი სწორედ ის იქნება, რომ როცა შიში მეორეხარისხოვან შეგრძნებად იქცევა და შვილის მშობლიურ წიაღში კანონზომიერი დაბრუნების იმ-ედს აღარ შერჩება.

ახალ თაობაში რეალური ისტორიულ სიმართლით გამოწვეულ დიდ შინაგან რყევებს მამა გაგებით, დათმე-ნით ეკიდება, მაგრამ იმასაც შეახსენებს, რომ; „ცხოვრება არ არის ბედნიერების ზონა, ბედნიერებისათვის აქ მხოლოდ წუთებია გათვლილი“ – ასეთი მაქსიმები მრავლად გვხვდე-ბა რომანში. თითოეული მათგანი იმისკენ მიემართება, რომ შვილის მშობლიურ წიაღში ცნობიერი დაბრუნების დინამიკა

აკონტროლოს. ეს მისი ეროვნული გადარჩენის იარაღია იმ მარადიულის წინაშე, რომელსაც სამშობლო.

გურამ ოდიშარია თავის რომანებში ყოველთვის ხაზ-გასმით აქცენტირებს დაბრუნების იდეაზე. ომისშემდგომი მისი პირველი რომანიც „სოხუმში დაბრუნება“ ამ საზრისით არის გაჯერებული. თუ აქ დაბრუნების მოდელი რეალურ სიუჟეტზეა მორგებული, რომანში „შავი ზღვის ოკეანე“ აგტობიოგრაფიული რომანისა და დოკუმენტური პროზის სინთეზი იკვეთება. ქრონოლოგიური მონაცვლეობითა და მხატვრული სახეების საშუალებით აფხაზური ტრაგედიის კიდევ ერთი ქრონიკა იქმნება, რომელიც აქტუალურობას ისტორიის რეალობის გათვალისწინებითაც იძენს.

რომანის მთავარი გმირის-მწერლის მე-ს სულიერი თვითგახსნისა და თვითანალიზის პროცესი დროის ტრაგიკული განცდის პარალელურად მიმდინარეობს. მოვლენათა კონტრასტული მონაცვლეობის ფონზე მთავარი გმირის სულიერი განცდები იკვეთება, რომლის მუდმივი ფონი წარსულია და რომანის სიუჟეტის განვითარებაც მის წესრიგს ემორჩილება. თუმცა, აქ ქრონოტოპი არ არის მშრალი საარქივო მასალა, ეს არის გრძნობათა ულრმეს შრეებში განფენილი დრო, სადაც მწერალს შესაძლებლობა ეძლევა შეაჯეროს წარსული და აწმყო. წარსულის ასოციაციური შეგრძნებებით ისე დატვირთოს იგი, რომ ნებისმიერ დროს უცვლელად გადმოიტანოს თანამედროვე ყოფაში. „გაგრის თოვლზე რომ ვწერდი, მომეჩვენა თბილისშიც და-თოვა. ფანჯარაში გავიხედე და თბილის-გაგრა დავინახე“. აფხაზურ-ქართული ურთიერთობების, აფხაზეთის ასეთი ნოსტრალგია, რომელსაც გურამ ოდიშარიას რომანებში შევიგრძნობთ, არ არის მხოლოდ მწერლის სუბიექტური განცდის დემონსტრირება, ეს მომავალზე გათვლილი სწორი სტრატეგიაა, რომელიც მას იმიტომ უყვარს, რათა იმ წარ-

სულში დააბრუნოს, სადაც არ იყო უნდობლობა, მახინჯი პეიზაჟები, არ ისმოდა „დამტვრეული ქვაბების გრუბუნი“ და ა. შ. წარსულის ასეთი დატვირთვა ჰომეროსის ცნობილ ფრაზას „წარსულად მივიჩნიოთ უნდა წარსული“ თითქოს პირვანდელ მნიშვნელობას უკარგავს. დრო-სივრცის პოსტ-მოდერნისტულ, არატრადიციულ აღქმას გურამ ოდიშარიას რომანში თავისი გამართლება აქვს. მან იცის, თუ წარსული დავკარგეთ, არც მომავალი შედგება. „ჩემი წარსული გარეთ დარჩა. ჩემი წარსული უდაბნოში მდგარი მცენარეა. მას წყალს არავის უსხამს. გამთენისას ნამის ნამცვრევილა თუ ჩაეღვრება ფესვებში, ხმება, ან გახმა უკვე...“ ამიტომაც არის, რომ რომანში ასე დინამიურად ენაცვლება ერთმანეთს წარსულისა და აწმყოს სურათები. მწერალს სურს ასეთი მხატვრული კომპარავისტიკით, წარსულისა და აწმყოს შედარება – მონაცვლეობის მეთოდით წარმოაჩინოს ის უფსკრული, რომელიც ომებისა და კონფლიქტების დრომ წარმოქმნა. ეს დრო ჩვენი მეხსიერების თანამგზავრია, ეს ის დროა, რომელშიც „ფუჭი ტყვიები თანდათანობით ნამდვილით შეიცვალა“. ჩვენ თვალწინ შეივსო „დედამიწის გამოჩენილ მკვლელთა გალერეა, ისინი ხომ ყოველთვის უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე წმინდანები, რომელთა ლოცვებმა ვერ შეცვალეს სამყარო“.

რომანში ეტაპობრივად იკვეთება ლოგიკური კავშირი ტანჯვასა და ჭეშმარიტებას შორის, ჩნდება მწერლის საბედისწერო დასკვნა „იქნებ იმიტომ იწყება ომები, რომ ღმერთმა თავის საუფლოსკენ აგვახედოს“. თუმცა აქაც კი გურამ ოდიშარიას წარსულის იმედი აქვს, სადაც უნდობლობა არ ყოფილა. სწორედ მან უნდა ამოავსოს „დევნილთა უღელტეხილის კოშმარული რეალობა, რომელიც სრულიად საქართველოს რეალობას მიეზიდება“. აქვე უნდა ითქვას, რომ წარსულ მოგონებათა მთელ სპექტრს რომანში ამოძ-

რავებს ზღვისა და საყვარელი ქალის დეას სიმბოლიკა. თუ ზღვა რომანში არის უცვლელი, მარადიული ფენომენი, წეს-რიგი, რომელიც გამუდმებით ძალას სძენს და აცოცხლებს მის მოგონებებს, დეა სილამაზისა და სიმშვიდის სიმბოლოა. „ისინი ერთმანეთს უხდებიან: დეა-ზღვას და ზღვა-დეას“. ეროვნულ ცნობიერებაში არსებული არაჯანსალი მეტასტა-ზების გაჩენა ათქმევინებს მწერალს: „პატარა ტრაბახა ქვეყანა ხარ, ხშირად საკუთარი თავის მოტყუებას ცდი-ლობ, მაგრამ ბოლო დროს ესეც არ გამოგდის. ქვეყანა ხარ, რომელიც საკუთარ თავს პატივს არ სცემს, რომელიც სა-კუთარ შეცდომებზე და დანაშაულობებზე ვერ სწავლობს... ბელადების ქვეყანა ხარ, მაგრამ თითქმის ყველგან, სამ-წუხაროდ თუ საბედნიეროდ, შენი ბელადები სხვა, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანმი ერის შვილები ჰგონიათ.“ ერის ხასიათის ეს სიმპტომები რელიეფურად გამოიკვეთა თანა-მედროვე საქართველოში. ამიტომაც ისტორიის ყოფიერე-ბის ეს შუქ-ჩრდილები კანონზომიერად იქრება რომანში და ეხმაურება ჩვენივე ხელით ეროვნული ლანდშაფტის გაუსახურების საბედნისწერო ფაქტებს.

გურამ ოდიშარიას რომანის „შავი ზღვის ოკეანეს“ სიუჟეტურ-კომპოზიციური ნასკვი და იდეური საზრისი საბოლოოდ თავს იყრის რომანის უმეტყველო გმირის-ორაგულის სიმბოლურ სახეში. იგი მდუმარედ, ჯიუტად მიარღვევს ტალღებს, რათა მშობლიურ ადგილებს მიეახ-ლოს. უკან დაბრუნების ინსტიქტი მართავს ორაგულს და რომანში ჩვენ თვალწინ გათამაშდება მისი სამშობლოში დაბრუნების საკრალური რიტუალი: „ორაგული უშიშრად მიარღვევს ცივ, ამღვრეულ წყალქვეშა დინებებს, მიც-ურავს მოტივტივე შუქურების ქვეშ, ბრიდელების ფსკერში ჩამარხული ღუზების სიახლოვეს“, რათა მშობლიურ მდინ-არეში დაყაროს ქვირითი-აღასრულოს მშობლის წმიდათან-

მიდა ვალი. „როგორ ბრუნდებიან ორაგულები მშობლიურ ადგილებში? როგორ იკვლევენ გზას? როგორ აგნებენ მდინარის სათავეს?“ – კითხულობას მწერალი და აშკარაა, შენატრის ბუნების ამ ქმნილების ძლიერ ინსტიქტს – ნებისმიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, სიცოცხლის რისკის ფასად დაუბრუნდეს მშობლიურ წიაღს. სწორედ აქ ჩნდება რომანში ნიცშეანული მარადიული დაბრუნების, მარადიული განმეორების მხატვრულ-ფილოსოფიური ასოციაციები. რა თქმა უნდა, იგი განაზრებულია არა თავისი ონტოლოგიური, არამედ ზნეობრივი მნიშვნელობით. მისი მორალური იმპერატივი მიბმულია ქვეყნისათვის სასიცოცხლო იდეასთან, იმ ადამიანების რწმენასთან, რომლებიც დაბრუნების იმედით სულდგმულობენ.

გურამ ოდიშარიას რომანში „შავი ზღვის ოკეანე“ ეპიზოდურად ჩნდება რომანის უმეტყველო გმირი-ორაგული, რომლის წრებრუნვა მთლიანად ითავსებს მწერლის მთავარ სათქმელს-დაბრუნების საკრალური რიტუალი აუცილებლად უნდა შედგეს, ყველაფერი ადრეული განმეორდება, ცხოვრება ციკლურ მოძრაობაშია, მარადქმნადია და ეს განსაზღვრულია როგორც ბუნების არსებობის წესი. ნიცშეს თხზულებაში „ესე იტყვოდა ზარატუსტრა“ მარადიული დაბრუნების სიმბოლო გველია, ხოლო გატანჯული მწყემსი, რომელსაც ზარატუსტრა იხილავს მიწაზე მწოლიარეს სიმბოლოა იმ ტანჯვისა, რომელიც მოაქვს ჭეშმარიტებას მარადი განმეორების შესახებ. „არა მწყემსი, არა კაცი, – გარდაქმნილი, ნათელმოსილი, რომელიც იცინოდა, არა-სოდეს მინახავს კაცი იგი მცინარე, როგორც იგი იცინოდა“. საკუთარი სანახებიდან გამოდევნილი ქართველობა სწორედ ტანჯვისა და უზომო ტკივილის ფასად შეიგრძნობს დაბრუნების ჭეშმარიტებას. მწყემსი, რომელიც შეიმეცნებს ამ სიბრძნეს ზარატუსტრას წინაშე წარმოსდგება „გარდაქმ-

ნილი, ნათელმოსილი“.

ქართველებმა ყველა კანონზომიერებით უნდა დაიბრუნონ ის მორალურ-ზნეობრივი კატეგორიები, რომელიც ძმათამკვლელი ომებისა და უღმერთობის ლაპირინთებში ჩაეკარგათ. ეს იმპერატივი რომანში საოცრად მყარია და არასოდეს უტოვებს გურამ ოდიშარიას ერთგულ მკითხველს დაეჭვების საბაბს. თუ ორაგული უბრუნდება მშობლიურ ადგილებს, დაუბრუნდებით ჩვენც.

გურამ ოდიშარიას ამ რომანის მთავარი სათქმელი სწორედ ეს არის.

## იმ ნდობის პასუხად

(გამოხმაურება ნატო ჩხეიძის წიგნზე „ის ოთხი წელიწადი“)

გარსია მარკესი თვლიდა, რომ უნდა ემსახურო ქვეყანას და არა ქვეყნის მთავრობას. ასე ცხოვრებისა და აზროვნების უნარი ერთეულების ხვედრია. ამ განცდით უნდა შეფილდენ არა მარტო მწერლობის საუფლომი, არამედ იქ, სადაც სულიერებას ჩვეულებრივ პრაგმატული გათვლები და ცივი გონება სჭარბობს. ასე მგონია, აქილევსის ქუსლიც სწორედ ამ სტერეოტიპში იმაღლება. ვაცლავ პაველიც ამას ამბობს, ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვცხოვრობთ დაბინძურებულ მორალურ გარემოშიო. იქნებ ჩვენი პოლიტიკური ყოფის შფოთიანობა და პარადოქსები ამითაც არის განსაზღვრული, იქნებ ძალზე ცოტა შემორჩნენ ქართულ პოლიტიკას მარკესის შეგონებითა და „ოთხი წელიწადის“ სიმბოლიკით მოაზროვნე პოლიტიკოსები.. ისინი, ვინც თამამად, სწორედ იმგვარად მოიხედავენ უკან, როგორც ეს ნატო ჩხეიძემ გააკეთა. სამსჯავროზე გამოიტანენ და კიდევ ერთხელ მისცემენ თავის ოთხ წელიწადს განსაქიქებლად მათ, ვინც ნდობით აღჭურვა.

ნატო ჩხეიძე წიგნს „ის ოთხი წელიწადი“ მამას – ქართველ მწერალს ოთარ ჩხეიძეს უძღვნის – ეპოქის სინდისიერ მემატიანეს. დარწმუნებით ვამბობ, წიგნში აღწერილ ყველა ფაქტსა თუ მოვლენას, რომელშიც ნატო ჩხეიძე მთავარი პერსონაჟია, მისი აჩრდილი დაჰყურებს, ქვეცნობიერი განცდა ახლავს, მამაც ხომ ასე მოიქცეოდა. ეს ფრაზა ამგვარად წიგნში არსად გაჟღერებულა, თუმცა მამისთვის ნატო ჩხეიძეს ეს საბედისწერო კითხვა არაერთხელ დაუსვამს, რომ არ გეწერა ისე, როგორც წერდი და რასაც წერდი, რა იქნე-

ბოდაო და ეს პასუხი მოუსმენია: „არც არაფერი. ასე კი სამაგიერო გადავუხადე მამა-ბიძებისთვისა“. მე კი ჩემის მხრიდან დავძენდი, მაშინ ქართულ მწერლობას არ ეყოლებოდა დიდი მწერალი და შესაძლოა, არც მას გასჩენოდა ამ წიგნის დაწერის სურვილი და ვალდებულება. ახლა კი, ქართული პოლიტიკური ცხოვრების ძალზე საინტერესო მატიანე გვიდევს წინ, რომელშიც იმ დროის საპარლამენტო ცხოვრების ისეთი ფორმალური სტატისტიკიც მიღმა, როგორიც ხმის მიცემის პროცედურა გახლავთ ფრიად მნიშვნელოვანი ნიუანსები იკვეთება. თუნდაც ამის გამო ბევრი ექსპარლამენტარი მოერიდებოდა თავისი ნაღვანის ისე გამომზეურებას, როგორც ეს ნატო ჩხეიძემ გააკეთა. წერის ნიჭთან წილნაყარობა აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „ზოგიერთი მწერლის ბიოგრაფია დაწერადაც არ ლირს“. თუ ოთხი წელი ქიცმა-ცურობასა და უნიჭო პოლიტიკურ თამაშებს შეალიე, არც ქვეყნისა და არც ადამიანების მიმართ ანგარიშგების სურვილი შეგანუხებს არასდროს.

რატომღაც მეგონა, ზედაპირულად მაინც ვერკვეოდი ქართული პოლიტიკური ცხოვრების ანატომიაში. ის წლებიც არაერთხელ შემიფასებია თავისი პერსონალიებითა და ფაქტებით. ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რამდენი რამ არის გადასაფასებელი ჭეშმარიტებასთან მისაახლებლად. რამდენი ლაბირინთი უნდა გაკვალო, რამდენ პირმართალ ადამიანს უნდა იცნობდე, რათა მოვლენები სწორად აღიქვა. ამ წიგნში ხომ თითოეული დოკუმენტის, პასაუზისა თუ პოლემიკის მიღმა ხელისგულივით მოჩანს ის, რამაც პოზიტიური შედეგები ვერ მოუტანა ქართულ სინამდვილეს, მოჩანს პოლიტიკური ფასი ჩვენი გაუაზრებელი გადაწყვეტილებებისა.

„ვიყოთ ფრთხილად, ბატონებო, რადგან ეს შეცდომა

ძალიან ძვირად დაუჯდება ჩვენს ქვეყანას“ – აფრთხი-  
ლებს ნატო ჩხეიძე კოლეგებს, ქვეყანას, რადგან ათი მც-  
ნების ამოტრიალების მცდელობებს გრძნობს და რა უნდა  
იყოს ამაზე საგანგაშო? საკანონმდებლო ორგანოში კი ამ  
დროს მხოლოდ მცირე ნაწილი განიცდის, უმრავლესობა კი  
თამაშობს თამაშს, რომელსაც „პოლიტიკა“ ჰქვია. თამაშობს  
ცივი გონებით, გულს მიღმა დარჩენილი მომავლის განცდი-  
თა და პერსპექტივებით. გაერთიანება-გაყრის დამკვიდრებ-  
ული პროცედურებით, რომელსაც პოლიტიკური ავანსცენი-  
დან გაქრობის შიში უფრო მართავს, ვიდრე საქვეყნო საქმის  
კეთების. მაგრამ რა ქნას ნატო ჩხეიძემ, რომელიც თითქმის  
მარტოკა ომობს იმის დასამტკიცებლად, რომ „თამარობა“  
სჯობს კლარაობას, რომ პუმანურობის ელფერით ნარკო-  
მანების მეთადონით მკურნალობა შედეგს ვერ გამოიტანს.  
გაითვალისწინოს, რომ უმცირესობაშია, ხელსაყრელი პოზი-  
ცია დაიკავოს და პრაგმატულად გათვალის თავისი პოლი-  
ტიკური პერსპექტივები? მაგრამ მას სხვაგვარად სწამს, სხვა  
ვალდებულებები გამოყოლია მემკვიდრეობით. ამიტომაც  
პასუხობს გარიგების შეფარულ მცდელობას „თუ ბატონ  
ზაზას ძალიან სჭირდება, რომ 8 მარტი უქმე დღე იყოს“  
ასე არაორაზოვნად – „არა, ზაზასთვის სულერთია, მაინც  
მუშაობს“ „და მათ, ვისაც სიმართლე შიდა ინტრიგებისა და  
გარიგებების ოსტატობაზე ჰერნია დამოკიდებული, პრინცი-  
პულობის მასტერკლასს ანახებს. ასე ასწავლეს, მე და როს-  
ტომი მამას ვგავართ ქვეყნის სიყვარულშიო, წერს და კიდევ  
ერთ ადამიანს არ ივინწყებს, თავის მოძღვარს, მეცნიერს,  
მოღვაწეს-თამარ დეკანოსიძეს. „მასთან რომ გემუშავა,  
უნდა გცოდნოდა სიმღერა, ხატვა, ცეკვა, თეატრი, ლიტერ-  
ატურაო. თითქოს საგანგებოდ აღნიშნავს იმათ გასაგონად,  
ვინც ქვეყნის მაღალ ტრიბუნაზე ამ ფასეულობების გარე-  
შეც კარგად გრძნობს თავს.“

წარმატებული ბიზნესმენის მეუღლე ხშირად ექცევა პრე-სის ცნობისმოყვარების ეპიცენტრში, მუდამ ტრადიციებსა და ეროვნულობას ქომაგობს და ამას, ცხადია, ტრადიციონალისტებს ვერ მიუთვლით პარტიულ ღირსებად. თუნდაც იმიტომ, რომ ნატო ჩხეიძე ადამიანის შეფასების კრიტერიუმად ზნეობის პრიორიტეტს ასახელებს. თუნდაც იმიტომ, რომ მშვენიერებას ისე აღიქვამს, როგორც ერთი ძველი იაპონური თქმულების პერსონაჟი და „მონა ლიზას“ მსოფლიო ღიმილს „ფრესკის ღიმილი“ ურჩევნია. ამ ტრადიციას უფრო შორეული ფესვები აქვს...

უდავოა, რომ ნატო ჩხეიძის ეს წიგნი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მატიანესთვის კარგი შენაძენია, თუმცა მის ფასეულობას არამხოლოდ დოკუმენტური მასალა განსაზღვრავს. კიდევ ერთხელ მინდა დავარწმუნო შელავათად დამკვიდრებული „ქალია მაინც...“ ფორმულირების ავტორები, ნატო ჩხეიძის სახით ქალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პრინციპულობა, პრევენციის უნარი და ინტუიცია. თუნდაც ის, რომ მაშინ ბევრმა ვერ გაბედა განჭვრეტა იმის, რასაც მოგვიანებით პრეზიდენტმა „საკადრო შეცდომა“ უწოდა. ნატო ჩხეიძემ ბევრად ადრე შეახსენა საზოგადოებას, კანონიერებისა და სამართლიანობის გზით რომ ვერ ვიდოდა იგი. აქ კი რადიარდ კიბლინგის ერთი ფრაზა გამახსენდა: „ქალური ალლო ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე მამაკაცის მტკიცე რწმენა“. როცა ამ ალლოს პრინციპულობა, ინტელექტი და ქვეყნისადმი სიყვარული ახლავს თან, იმის თხრობაც არ შეგრცხვება, თუ რას იქმოდი იმ ოთხ წელიწადს. ამ შეგნებისა და მრწამსის გარეშე ვერაფერი გაკეთდება ძარღვიანი, არაფერი აიგება მტკიცე და შეუვალი, და როცა ქვეყნის შენებას სხვაგვარად დააპირებენ, არ უნდა დადუმდე, არ უნდა ნაუყრუა. ეს წიგნიც სწორედ ამის დასტურია.

## **ხელოვნების კრიზისი ინტელექტუალური დრამის კოლიზიებში.**

ჰამლეტის ტრაგედიამ არაერთხელ შეარყია კაცობრიული საზრისის მთვლემარე და თვითკმაყოფილი ნაწილი. სულიერ ფასეულობათა ინკვიზიციის უამს ადამიანები ხშირად უბრუნდებიან ხოლმე „ყოფნა-არყოფნის“ ამ მარადიულ სიმბოლოს. როგორც ჩანს, ახლაც სწორედ ის უამი დგას, როცა მათ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რომ უნდა გადაურჩინონ საკუთარ თავს. როდესაც უაკლინ სირაძე თავისი წიგნის „ხელოვანის გზა“ შესავალში ფიგურალურად ამბობს, რომ შექსპირის ჰამლეტმა მას „სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა,“ აღიარებს კიდეც, რომ ამ წიგნით მწერლის ინტუიციამ და სინდისმა მნიშვნელოვანი მისის ალსრულება დაავალა. ჩვენ წინაშეა ინტელექტუალური დრამა ხუთ მოქმედებად, რომელსაც „ხელოვანის გზა“ ეწოდება და რომელშიც სათაურშივე გაცხადებულია „ცისა და მიწის მისტიური კავშირი“, პასუხისმგებლობა, შიში და თრთოლვა იმის გამო, რომ ავტორი იმ სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს, რომელსაც საზოგადოება წარმოადგენს.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს წიგნის ორიგინალური სტრუქტურა და სათქმელის მკითხველამდე მიტანის კომფორტული ფორმა. დრამის წიაღში შესვლამდე ავტორი განწყობისა და სააზროვნო სივრცის შესაქმნელად საუბრობს: „ჩემი უკვდავი სული გამთლიანდა, ცით დაიბადა“ – ამბობს იგი და ამით შიშთან ერთად იმ ნეტარებაზე მიგვანიშნებს, რომელიც სიტყვასთან მიახლებისას განიცადა. ამ განცდისა და ინტელექტუალური არსენალის გარეშე, რომლის არქონას ავტორს ნამდვილად ვერ დააბრალებ, ამის გარეშე ბერძნული მითებისა და ჰამლეტის თემის ასეთ სინქრონის

შექმნას ხელოვნების დანიშნულების, მისი არსისა და არსებული კრიზისის გასააზრებლად იგი ვერ შეძლებდა. უაკლინ სირაძე როგორც შემოქმედი კარგად გრძნობს მითის უკუშექცევადობის ძალას, მისი მარადიული დაბრუნების წესსა და აუცილებლობას. „ბერძნული მითი და უკვე ცნობილ ავტორთა შედევრების სიუჟეტები თავიანთ თავში ატარებენ სამყაროს სულისმიერ რუკას, მის არქიტექტონიკას, თუ პროექტის ესკიზს. ეს ის მონეტებია, რომლითაც ნებისმიერი ამბის შესყიდვა და მოპოვება ხდება შესაძლებელი. ეს ის მარცვლებია, სამყაროს არსს, მის გულისგულს რომ გამოხატავენ და გადაგვიხსნიან“. ამ გულისგულში ჩანვდომა არც მწერლისთვის არის ადვილი და არც მკითხველისთვის. ამდენად, ის სტრუქტურული წყობა, რომელიც უაკლინ სირაძემ აირჩია, კარგი მეგზურია მკითხველისათვის, ხოლო მისთვის საკუთარი ძალების კიდევ ერთი მოსინჯვაა

შესავლის სახით დრამას „ხელოვანის გზა“ წინ უძღვის ესე ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“ და ავტორისეული კომენტარები, რომელსაც მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება მთავარი სათქმელის აღსაქმელად. უაკლინ სირაძემ ნაწილობრივ შეითავსა კრიტიკოსის ფუნქცია, რათა დრამის ფილოსოფიური ქვეტექსტები მკითხველისათვის გასაგები და სწორად შესამეცნი ყოფილიყო. მან თავად გახსნა ინტელექტუალური დრამის სივრცეში შესასვლელი ყველა კარიბჭე, თავად გასწია უზარმაზარი შრომა, რადგან კარგად იცის, რაც აქ დევს, საფუძვლიან დაფიქრებას მოითხოვს. შესაძლოა მწერალი ამ დრამისაგან იმაზე მეტს მოელოდეს, ვიდრე მწერლობას ძალუძს, რადგან სულისა და გონების გასამთლიანებლად შექმნილ ამ პიესაში ყველგან იგრძნობა „მესამე თვალი“, რომელიც ისე ღრმად იმზირება სულში, რომ განიჭებს უნარს თანაზიარი იყო იმ ტკივილის, რომელსაც ჰამლეტის მისტერია ატარებს.

მწერალი ორიგინალურია მაშინაც, როცა ჰამლეტის ფენომენს იაზრებს. ის იცნობს ყველა ეპოქასა და დროში გარდატეხილ ჰამლეტს, მაგრამ აქამდე არსებული სტერეოტიპების პარალელურად თავის ჰამლეტს ხედავს, იმ შრეებს სწვდება, რომელიც ცნობიერების ნაკადის-მეხსიერების მოუცველ აბსოლუტურ უწესრიგობაში მოჩანს. უკალინ სირადე აღჭურვილია უნარით, რომელიც ჰამლეტის ნებისმიერ ფრაზას, ნებისმიერ ამოოხვრას ხსნის, მის ეტიმოლოგიას კარგად გრძნობს, თუმცა აღიარებს იმასაც, რომ ჰამლეტის ტრაგედია ხშირად გონიუნვდომელია. ჰამლეტის ტექსტს მწერალი სხვადასხვა რაკურსით უდგება. მათ შორის ღვთაებრივი და აღმოსავლური სიბრძნის გათვალისწინებით. ჰამლეტის დრამა მწერლისათვის უპირველეს ყოვლისა „კოსმოსის უსასრულობის მოხილვაა ერთი წამის მეათედში და იმ შლეგური აზრების წყებაა, საბოლოოდ „სიბრძნეში რომ იყარგება“. ამდენად, ბერძნული მითებისა და ჰამლეტის დრამის კონტექსტში ჩატვიფრული ხელოვნების კრიზისთან დაკავშირებული საკითხები იმ კითხვებზე მოითხოვს პასუხს, რომელთა არამარტო გამოვლენა, არამედ მოდერნიზება სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელოვნებო სამყაროსათვის. მწერალმა ერთ სივრცეში განალაგა ქრისტე და ბერძნული დრამის პერსონაჟები, ხელოვნების პარნასის ტრიუმფატორები – გოეთე, ილია, დოსტოევსკი, ჯოისი, შექსპირი. ეს უკანასკნელი ამ პიესაში მუდამ ინარჩუნებს განსაკუთრებულ სტატუსს, ძალმოსილებას, რომლითაც მუდამ აზროვნების უმაღლეს სფეროს აზიარებს საზოგადოებას. ავტორს შექსპირი ყოველთვის განსაკუთრებული მისით შემოყავს დრამაში, რათა მკითხველმა „თანამედროვე სამყაროს, ხელოვნების სამყაროს შეშლილი კითხვები მოისმინოს და გაიაზროს“. გაიაზროს ის, რომ თანამედროვე ხელოვნებამ დაკარგა სული, რომ თანამედროვე ადამიანს ფრთები აღარ

აქვს და „მანკიერი ცხოვრების ორომტრიალში, ჩვენი სული არარავდება“.

პიესის გმირებში – ემანუელო, სატირი, ორფევსი, ფსიქეა, შექსპირის „ჰამლეტის“ პერსონაჟები ცოცხლდებიან და მათ ალტერ-ეგოში გარდაისახებიან. ისინი იმეორებენ და თავისთავში ატარებენ მათ ბედისწერას. ბერძნული მი-თოლოგის სახეები-ეროსი, თანატოსი, აპოლონი, დიონისე, აფროდიტე პიესაში იმ „წყევლა-კრულვიანი“ საკითხის გასამუდავნებლად არიან მოხმობილი სცენაზე, რომელმაც თანამედროვე ხელოვნების სულიერი დეკადანსი უნდა ამხილოს. „ადამიანი დედამიწაზე მაშინ ცოცხლდება და სულიერდება, როცა ღვთაებრივზე ფიქრობს, ოცნებობს და ზეციურ ცის ნამს-ცრემლს ღვრის“ – ამბობს ავტორი, მაგრამ ფიქრობს კი ადამიანი დღეს ღვთაებრივზე? პიესის პირველივე სურათში სცენაზე ის პერსონაჟები ცოცხლდებიან, ვინც ხელოვნების ოქროს ხანაში პასუხისმგებელი იყვნენ ღვთიურობასა და სულიერებაზე. ისინი სწორედ ზეციურთან ნაზიარებ ხელოვნებას განადიდებდნენ. პიესაში ჰამლეტის სიუჟეტი უნივერსალურად არის გამოყენებული, მისადაგებულია მთავარ სათქმელსა და პრობლემას. „დღეს ხელოვნება წყვდიად დამეში ჩაეჭვა და საგნები არარად, მზე კი ლაქად გარდაისახა“. ძველისძველი ჭეშმარიტება უპირველესი პოსტულატის სახით რომ უნდა ცოცხლობდეს ხელოვანთა შორის, პიესაში ასე უდერს: „არსებობს ორი გზა, ორი ხელოვანი. ერთი, ლაქას რომ მზედ აქცევს და მეორე – მზეს რომ ლაქად აქცევს“. მწერალი იმ დისპარმონიაზე წუხს, რომელიც ხელოვანთა მეორე კატეგორიის მომრავლებამ გამოიწვია. ხელოვნება ყოფიერების შემზარავ ჩარჩოებში მოექცა, სამყარო თითქოს „ამოყირავდა“ და როგორც თავის კომენტარებში აღნიშნავს, ღმერთის ნაცვლად წარმმართველი გახდა „სიკვდილის შიშის უსაზომოდ გაზრდილი ფან-

ტომი“.

პიესაში „ხელოვანის გზა“ მოჩანს ცივილიზაციისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხიც. მათი გაიდენტურების მცდელობები, რომელიც ხელოვნების კრიზისის კონტექსში არის მოაზრებული. აფროდიტეს ურცხვი ორეული „ცივილურად გამოიყურება“, „ცივილურად აზროვნებს“ და არაფერი აქვს საერთო თავის არქეტიპთან. „ადამიანს უნდა ეტყობოდეს, რომ ცივილიზაციის პირმშოა, ტექნიკამ უნდა დაგატყოს კვალი“ – ამბობს იგი. ამის გამოძახილია ისიც, რომ დრამაში აპოლონი თუთიყუშად გარდაისახება, რომელიც იაფფასიანი მოდერნისტული ნაწარმოებების სიმბოლოა. პიესაში მოდერნიზებული არიან სხვა მითიური გმირებიც. ისინი თავისუფლების ლოზუნგით ცდილობენ გზა გაუთავისუფლონ უხამსობასა და უზნეობას. აქამდე არსებული ფასეულობების რევიზიას ახდენენ და ძველი სულიერი და სახიერი ატრიბუტებისგან იძარცვებიან. მათ საქციელსა და აზროვნებას დრამაში მორალურ სანქციას ემანუელო აძლევს. იგი გრძნობს და განიცდის ხელოვნების გაუცხოების ამ საშიშ ტენდენციას, იმას, რომ „ხელოვანის ნაწერებსა და მის პიროვნებას შორის გაუცხოების საზარელი, მყარი კედელი აღმართულა, რომ თანამედროვე ხელოვნება გაპერნდება, თუ ძირს არ დასცეს, არ დაასრულეს ნარცისის ეპოქა. მათ სურთ ასწავლონ ახალი ანბანი ხელოვნებისა. ადამიანს არ გააჩნია ეროვნულობა, არ გააჩნია სარწმუნოება. ის თავისუფალია იმ ყალბი და უსაზღვრო ბორკილებისაგან კლასიკოსები სინანულს რომ უწოდებენ“. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ავტორი გლობალიზაციის საფრთხეებზე მიგვანიშნებს, რომლის განსაკუთრებული სამიზნე ხელოვნება და ადამიანების ეთნოფსიქიკაა.

საქართველოში უკვე აპრობირებული ახალგაზრდა მწერალთა თვითდამკვიდრების ეპატაჟური სტილი, თავისუ-

ფლების აღვირახსნილობასთან და სარწმუნოების ფანატიზმთან გაიგივების მცდელობები უაკლინ სირაძის მიერ წარმოსახვით ხელოვნების სამეფოში განიცდება და აისახება. ემანუელო გრძნობს, რომ ხელოვნებას შავი ჭირივით მოედო ეს საფრთხეები. იგი სამყაროს სუნთქავს, შეიგრძნობს და იმასვე მოუწოდებს სხვებს, რათა დაეწიოს თავის ჭეშმარიტ სახებას. მის განზრახვას, ოცნებებს, შეშლილობას სიყვარულის ნიადაგზე მეფისტოფელის გესლიანი ღიმილით დარაჯობს სატირის მოდერნიზებული სახე, რომელიც გაიგივებულია ულმერთო სამყაროს წესრიგთან. „მალე გადაშენდება ეს შენი საყვარელი, რაფინირებული კლასიკური წერის მანერა, რომელშიც ტყუილი, პომპეზურობა, პათეტიკურობა და სულის სიცარიელე დევს, ნაზი ქსოვილი ეგზემას ვერ ფარავს. ჩვენი დღევანდელი ხელოვნება წრფელად, პირდაპირ წარმოთქვამს სათქმელს. ჩვენ არ ვხმარობთ ღვარარჭლიან სიტყვებს, ჩვენ არ ვიგორნებთ მაღალფარდოვან, ბრტყელბრტყელ ფრაზებს, ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რაც გვინდა“. ამ სიტყვებში ის საცდური იმალება, რომელიც სიმართლის სახელით შემოდის ადამიანთა აზროვნებაში. ერთი შეხედვით, წრფელი მონოლოგის ილუზია იქმნება, რომლის მიღმა ის საფრთხეები იმალება, რომელმაც ქვა პურად გადააქცია. „ყველაფერი პურია! აი რა იმალება სხვა საგანთა იქით“ – ამბობს სატირი.

პიესის წარმოსახვით ხელოვნების სამეფოში ეს ფრაზა თავისუფლების ცნების თანამედროვე დეფინიციას ესადაგება, მის მიზანსა და იდეას ახმოვანებს. თავისუფლების ამგვარი გაგება სიამოვნებისა და ვნების მორევში ჩაფლული ადამიანებისათვის ფაქტობრივად სასჯელი და კათარზისისათვის სამზადისია. ეშმას ცდუნება აღსრულდა-ქვა იქცა პურად. სატირის მიზნები პიესაში უფრო ამბიციურია-სიბრძნეთა სიბრძნე გველი გახდეს დედამინის წარმმართ-

ველი. ვფიქრობთ, სწორედ აქ, უაკლინ სირაძის დრამის „ხელოვანის გზის“ სიმბოლიკა იმ მასშტაბურობას იძენს, როცა ხელოვნების სამეფო მისთვის პროკრუსტეს სარე-ცელად იქცევა. დრამაში წარმოდგენილი განსხვავებულ ფა-სეულობათა ჭიდილი არამარტო სახელოვნებო სივრცეზეა გათვლილი. მისი ქვეტექსტები უფრო ღრმა და მრავლისმე-ტყველია. პიესაში იშიფრება სატირის განზრახვის საფრთხე-ები ადამიანთა სულებისათვის. ამ შემთხვევაში ხელოვნება ლაკმუსის ქალალდის ფუნქციას ასრულებს. იგი მაშინათვე აირეკლავს ამ პროცესებს და განგაშის ზარებს რეკს. ყვე-ლაზე უკეთ ნაციონალურ-ეთნიკური სამანების მოშლის იდეა თავისუფლების მანტიის ქვეშ ინილბება. ამ პიესით უაკლინ სირაძე მკითხველის ეროვნული მდგრადობის კო-რექტირებასა და სულიერი ენერგიით შეიარაღებას ახერხ-ებს. პიესის ერთ-ერთ სცენაში თანამედროვე პოეტს კოს-მოსური ტანსაცმელი აცვია, როგორც ნიშანი ტექნიკური პროგრესის. მას მხურვალე ტაშით აჯილდოვებენ, იმიტომ, რომ სძულს დედა, მამა, საკუთარი თავიც. იმიტომ, რომ სჯერა, რომ ადამიანი გათავისუფლდა ყალბი ადამიანურო-ბისაგან. „დაე, გაერთოს, დაე, ისიამოვნოს, თავისუფლება სიამოვნება! სიამოვნება—თავისუფლება. ადრე ადამიანი ერიდებოდა თავისი ფარული ოცნების აღსრულებას და გა-დაიდგა ნაბიჯი-ქვა იქცა პურად“.

პიესაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერ-თამეტყველებას. ფერი აქ პერსონაჟის ხასიათისა და ემო-ციების გამომხატველია. ისიფერი შუქი ხშირად ახლავს ემანუელოს, რომელიც ხელოვნების „ცდომილი სამყაროს“ გადასარჩენად იღწვის. ავტორის თქმით, იდუმალებისა და შეშლილობის მიღმა მდგარი ეს პერსონაჟი მას ჩაფიქრებუ-ლი ჰყავს ისეთ გმირად, რომელიც სულიერების დაკარგვის ყველა ტკივილს არამარტო გაიზიარებს, არამედ განიცდის.

ამ განცდა-გააზრებაში მასში კვდება ძველი ემანუელო და იპადება ახალი ჭეშმარიტი ხელოვანი. მწვანე შუქი, მწვანე ბუზები, აფროდიტესა და ერინიების მწვანე სამოსელი, მწვანე თუთიყუშები სიხარბის, ავხორცობის, ანგარების სიმბოლოდ არის მოაზრებული. სწორედ მწვანე ტანსაცმლით შემოსილი კაცი ახმოვანებს გლობალიზაციის მთავარ დოქტრინას – „განსხვავებულ კულტურათა გამთლიანება და დიპარმონიზაცია–აი, ხელოვნების მიზანი“. მწვანე სამოსშია გამოწყობილი პანი, რომელიც მღერის: „შენ ხარ არავის! და ამიტომ ერთდროულად ხარ შენ აფრიკელი და ბელგიელი“.

ყვითელი ფერი პიესაში ასოციაციურად უკავშირდება მზეს, მზის დაბადების მისტერიას, სინათლეს, ხელოვანის სინდისა და სინრფელეს. ყვითელსამოსიანი ევმენიდები მღერიან: „...და მზე დაიბადება, და ამ მზეს შენში ღვთის დაბადება ეწოდება“. ყვითელ სამოსშია გამოწყობილი კაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ეპოქის მღვიძარე სინდისი პოეტის სულია“. პიესის მთავარი გმირი არკვევს ადამიანის არსებობის მიზანსა და დანიშნულებას. ამ ძიების პროცესში იგი გადის მთავარ ჭეშმარიტებაზე და სულისმიერ გზაზე სიარულის უფლებას მოიპოვებს. „იგი ღვთაებრივი ფარდით“ დაფარულ გზაზე გაიყვანს კრიზისში მყოფ ხელოვნებას და გააერთიანებს მის მსახურთ. პიესის ასეთი სიმბოლური დასასრული იმის მინიშნებაა, რომ ყველაფერი აღსრულებადია, თუ ადამიანები ღვთაებრივ ძალას ხელახლა მოიპოვებენ და განაცალკევებენ ბოროტებას სიკეთისაგან. ჟაკლინ სირაძის დრამის მთავარი სათქმელი მარტო აწმყოზე არ არის გათვლილი. შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვე ხელოვანის გზას აქ ღვთაებრივი პოეტის ორფევსის შვილი–ემანუელო გვიჩვენებს. თუ ხელოვნება ღვთაებრივი სუნთქვით არ იქნება გამთბარი, ჩვენ ვერასოდეს შევიგრძნობთ ადამიანად ყოფნის ბედნიერებას.

სხვათაშორის, უაკლინ სირაძე ამ თემას თავის შესანიშნავი ლირიკითაც გამოეხმაურა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლები-დან. ამ ტკივილიანი განცდის გამოძახილია სტრიქონები: „რწმენა იგი დავკარგე და სიცოცხლე შენი, ასე უსასრულო შესაძლებლობათა ზღვა განქჰრა, ვით სიზმრის ტკბილი შეხება“. აქაც მწერლის შიშნარევი წინასწარგრძნობაა, რომ „ქრისტეს ლურსმნიდან მოდენილი ტკივილის განცდის გარშე“ ჩვენს სიცოცხლეს ფასი არ ექნება.

და ბოლოს, უაკლინ სირაძის ეს ინტელექტუალური პიესა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების პრობლემებს ეხმაურება და მასშტაბურ სიღრმეებს წვდება, ქართველი რეჟისორებისათვის პროფესიონალიზმისა და მაღალი თეატრალური კულტურის ნიშნულად შეიძლება იქცეს. უფრო მეტიც, ამ პიესისადმი ინტერესი იმანაც უნდა განაპირობოს, თავისუფლებისა და დემოკრატიის მოტკბო სურნელმა უფლისა და ქვეყნის წინაშე ჩვენი ვალდებულება რომ არ დაგვაკარგინოს.

## ეკატერინე ტოგონიძის „წმინდა შესაძლებლობა“ – სულიერი ხედვის აღვორითმი

ადამიანებმა დავკარგეთ სულიერი ხედვის შესაძლებლობა. ეკატერინე ტოგონიძის მოთხოვნა „წმინდა შესაძლებლობა“ ამ პრობლემას ეხმანება. არადა, მხოლოდ ადამიანს შეუძლია გაცდეს სხეულს და გახდეს მის ინსტიქტებზე აღმატებული. გლობალიზაციის არტახებში მომწყვდეული ადამის შთამომავლებისათვის ეს არასოდეს ყოფილა ადვილი. ოსვალდ შპენგლერი ბოლომდე უნდობლად უყურებდა ცივილიზაციისა და კულტურის თანაარსებობის შესაძლებლობას და ჰუმანიზმის დეკადანსს წინასწარმეტყველებდა. არ არის შემთხვევითი, რომ ეკატერინე ტოგონიძის მოთხოვნის „წმინდა შესაძლებლობის“ გმირებიც სწორედ იმ სივრცეში იხსნებიან, სადაც ასეთი საფრთხეებისგან ადამიანი მეტნაკლებად დაცულია. ამ სივრცეში მათი გამოჩენისთანავე სამყაროს იმ ნაწილის სურნელი იგრძნობა, რომელიც ცივილიზაციის ულმობელი რიტმით, გაუცხოებითა და მარტოსულობით ჯერაც არ არის გადაფარული.

ეკატერინე ტოგონიძემ დღიურის ფორმით აკინძულ მოთხოვნაში შეძლო, მკითხველისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, სამყარო მხოლოდ იმ თვალით არ შეიგრძნობა, რომელსაც მხედველობის ორგანოს ვუწოდებთ. ამ მოთხოვნის სასიყვარულო სამკუთხედი – ბაია, კახაბერი და ცოტნე ამ გააზრებისათვის შობილი პერსონაჟებია. კახაბერი – „კაცი, რომელიც წავიდა“. თუმცა ის არასოდეს წავიდოდა, რომ არა „ქალი, რომელიც უყვარდათ.“ ნარინჯისფერ უსასრულობაში გაჩენილი „ციცინათელების მწყემსი, მზეთუნახავი, ლამის გოგო“, რომელიც კახაბერისთვის ერთადერთია, მის ფიქრებშია ჩასახლებული. ბაია მისი წმინდა შესაძლებლობაში გამოიყოფა და მათი გამოჩენისთანავე სამყაროს იმ ნაწილის სურნელი იგრძნობა, რომელიც ცივილიზაციის ულმობელი რიტმით, გაუცხოებითა და მარტოსულობით ჯერაც არ არის გადაფარული.

ბლობის სათავეა. კახაბერი გარბის მისგან, მაგრამ ბაიას გარეშე იგი ვერასოდეს მოიპოვებდა თავისუფლებას. და ეს არ არის ბარიკადებზე, სისხლიანი რევოლუციებსა და ბრძოლის ყიუინაში მოპოვებული თავისუფლება, ეს არის მიწიერი შესაძლებლობის შეზღუდვის ხარჯზე, სულიერი განსაცდელისათვის იმანენტური პატივი. კახაბერი ამ გზაზე შემდგარი პერსონაჟია. საკუთარი ძმის ცოლზე გამიჯნურებულისათვის ეს გრძნობა განსაცდელია, რომელიც მან უნდა გადალახოს. უცნაური სწორედ ის არის, რომ მკითხველი იმთავითვე გრძნობს მის სულიერ ენერგიას, იცის, რომ კახაბერს ეყოფა ძალისხმევა ამ გამარჯვებისათვის. მან უნდა გადალახოს ბაიას იმ უღალი, ჩამოშლილი თმების ხიბლი, რომელიც „კარალიოკივით უბზინავს მზეზე“, უნდა ამოიცნოს ოქროს ძენკვზე, რომელიც „ლავინის ძვლებს შორის ეშვებოდა, ოდნავ ამობურცულ პატარა ხალს ეხებოდა და სავსე უბეში იკარგებოდა“, ეკიდა თუ არა ჯვარი-სიმბოლო ადამიანის სულიერი ამაღლებისა. ნარინჯისფერი შემთხვევით არ ჩნდება მოთხრობაში. არც ბაიას თმის ფერი და არც კარალიოკი არ ტოვებს ტრივიალური მხატვრული მეტაფორის ასოციაციას – კაცობრიობის რელიგიურ კულტურაში პირველი კოსმოგონიური ღვთაება – მზე ოქროსფერ, ნარინჯისფერ ფერებში იღვრება. სულიერი ამაღლების უამს მზეს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული დატვირთვა. მოთხრობის სათაური „წმინდა შესაძლებლობა“ იმთავითვე ასეთი განაზრებისათვის განგაწყობს. ეს არ არის ნარატივი, რომელმაც მხოლოდ კითხვაზე – რა მოხდა? უნდა უპასუხოს. მოთხრობის ყოველი პასაჟიდან გამოსჭვივის იმ ჭეშმარიტების განცდის სურვილი, რომელიც ჯემალ ქარჩხაძის არ იყოს ტანჯვის უნარზე დგას. ეკატერინე ტოგონიძის ამ შესანიშნავი მოთხრობის ყველა პერსონაჟი თავისი განსაცდელით მიემართება სულიერი თავისუფლებისაკენ – ცოტნე, ბაია

და კახაბერი ამ ჭიდილში იძენენ გამოცდილებას, რომლის იდუმალებით მონუსხული რჩები.

ბაია და დათო სულ რამდენიმე დღით ზღვიდან შემოუვლიან ხოლმე კახაბერს სოფელში. „ის სამოცდაათი ან ცოტა მეტი საათი მთელი წელი იყო ჩემთვის-უნყვეტი დრო ბაია-დან ბაიამდე – მოლოდინის, ნახვის, მწველი მზის, კარალიოკის კურკისფერი ხალის, ზედ ნამოდებული ოქროს ძენკვის და ნამოგებული ფიქრის: ჯვარია თუ არა? ჯვარია თუ არა?“ – ამბობს კახაბერი და ამ ფონზე არ გტოვებს სწორედ იმ ლოგიური დასასრულის უჩვეულო განცდა, რომელსაც ფინალში ვხედავთ. თვალებდათხრილი, ბრმა, მაგრამ სულიერი ხედვის უნარით დაჯილდოვებული და ხორცის ტკივილზე გამარჯვებული კახაბერი თვალების გარეშე ხედავს იმას, რისი დანახვა თვალხილულს არ შეეძლო. „თვალების გარეშე მარტო იმის დანახვა კი არ შემეძლო, რომ ჩემ წინ მდგარ გაფითრებულ ქალს ორი ყდაგაცვეთილი წიგნი გულზე მიეკრო, იმისაც, რაც მერე იქნებოდა...“ სწორედ კახაბერს არ სჯეროდა, რომ ბაია არ ფეხმძიმდებოდა არც პირველი და არც მეორე ქმრისგან მისი ძმის – დათოსგან და თავის სიზმრებში ბაიას მისი ჩვილით ხელში ხედავს. ბაია ფატალური ქალია კახაბერის ცხოვრებაში, მისი სიყვარულია ყველაზე დიდ ჭეშმარიტებას – საკუთარ თავში გამოტანჯულ ღმერთს რომ აპოვნინებს კახაბერს. „ახალგალვიძებულმა ვიცოდი, რომ თვალდახუჭულმა ისევ ბაია ვნახე. ზამთარში, როცა ნაკვერჩხალი მისი თმისფრად ღვიოდა, მაშინაც ვგრძნობდი, რომ ბუხარს კი არა, ბაიას ვუყურებდი“. ის გარბის ბაიასგან, რომ კვლავ დაიბრუნოს იგი იმ ფეხმძიმე ღვთისმშობლის ხატში, რომლის წინაშე ლოცულობდა და რომელსაც მონასტერში წმინდანის სანახავად ამოსულ ბაიას უკან გამოატანს. ხალხი კახაბერს წმინდანს ეძახის, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ეს სისულელეა, „რა უმეცრე-

ბაა, ყველა თვითონ შველის საკუთარ თავს და დაჯერება „უჭირთ“. ამ ჭეშმარიტებას შესაცნობად კახაბერმა გოლგო-თის გზა გაიარა.

დათო და ბაია ველარ ცნობენ მონასტერში მყოფ კახ-აძერს. მათ იგი ტრაგიკულად გარდაცვლილი ჰგონიათ, თუმცა ბაიას მაინც არ ტოვებს შეგრძნება, რომ „კახაბერი ცოცხალია და სადღაც არის...“ ეს უცნაური წინათგრძნობაა, რომელიც ამ მოთხოვნაში სულიერი ხედვას ამძაფრებს და მის ყველა პერსონაჟს აერთიანებს. მათ შორის ცოტნესაც, ბაიას ერთადერთ სიყვარულს, რომელიც მას ეფიცებოდა, თაფლივით ტკბილი ხარო, მაგრამ „შოკოლადისფერ მანეკ-ენებთან“ ღალატობდა. ცოტნეს დიაბეტმა თვალისჩინი წაართვა და სწორედ აქედან იწყება მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი. იგი სწავლობს, როგორ იცხოვროს შეზღუდული შეს-აძლებლობებით და უკვე სრულფასოვნად შეიგრძნობს იმას, რასაც თვალხილული ველარ აცნობიერებდა. „ბაიას ძუძუ-ებს ბოლოს სრულიად უსინათლო შევეხე და ყველაზე უკეთ მაშინ შევიგრძენი. თითოს ბალიშები უკვე გავარჯიშებული მქონდა. მგრძნობელობა – გამძაფრებული, ცოლი დაკარ-გული, ვნება დაბრუნებული“ – ამბობს იგი. „მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვენ განსაკუთრებული კავშირი გვაქვს“ – ამ კავშირის შედეგია, რომ ბაია შვილს სწორედ უსინათლო ცოტნესგან ელოდება. ფეხმძიმე ბაიამ იცის, რომ ბავშვს მამის მგრძნობელობა გამოყვება. „მკერდი გამიმკვრივდა. ასეა მოწყობილია სხეული, ყველა უჯრედი ემზადება ახალი სიცოცხლისათვის. კუნთები დამირბილდა და კანი ალაგ-ალაგ დამისკდა. არ მენანება... პირიქით, ბედნიერების ნაპრალებივითაა... იცი, თმაც გამიმუქდა, ჩამიქრა! ალარა-ვის ვიზიდავ. მამაკაცები ახლა მხოლოდ ადგილს მითმობენ ისეთივე უვნებო მზრუნველობით, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანს“. უნდა ვაღიარო, ეს პასაჟი ეკა

ტოგონიძის ამ მოთხრობის მხატვრულ ღირსებათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ფეხმძიმე ქალის ასეთი პორტრეტული სახე მის ფიზიკურ და სულიერ მთლიანობაში იშვიათ-ად შემხვედრია. ბაიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს მის სხეულში მფეთქავი სიცოცხლის წინაშე. ქვეყნად მოვლინების ფასთან ერთად ბრაილის შრიფტიც უნდა შეასწავლოს პატარას. ცოტნებ და ბაიამ უკვე შეისწავლეს იგი. ბრაილის შრიფტი მოთხრობაში კათარზისის, სულიერი ხე-დვის სიმბოლოა, მის გარეშე ადამიანები სიცოცხლეს ვერ „გზნებებ“ (გრ. ობაქიძე).

მოთხრობაში სიმბოლური დატვირთვა აქვს ხატთან მლოცველი დედის სახეს, მის ნარინჯისფერ თავსაფარს. „წლები გადიოდა და დედა მხოლოდ ლოცვის დროს იყო უცვლელი“ – იგონებს კახაბერი. მწერლის ჩანაფიქრი ცხადია, ეკატერინე ტოგონიძე კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს ლოცვას ძალას, მასში გარინდებულ დროს, რომელსაც ორგანულად ერწყმის მარადიულობის კიდევ ერთი შეუცვლელი სუბსტანტი – დედაშვილური სიყვარული. კახაბერი დედის დანატოვარ ხატთან შეიგრძნობს, რომ „გულმოდგინედ ნაშენებ ლოცვის კედელზე სარეველა ბალახებივით ამოძვრნენ უადგილო კითხვები“ და წმინდა ნარინჯისფერში ბაიას სახე აირევლა. მონასტრიდან მონაზვნები კახაბერს პურს გამოატანენ, რომლითაც ვერ ნაყრდება, პირიქით, მას უფრო უმძაფრდება შიმშილის გრძნობა. ეს სულიერი შიმშილია, რომელსაც საკვებით ვერ დაიცხრობ. აღმოჩნდა, რომ ბაიას იმ იდუმალ ძენკვზე ჯვარი ეკიდა. მერძევე ქალის ჩაბნელებული ოთახიდან კი საბოლოოდ გამოჩნდა კახაბერის „გზა ხსნისა“.

მოთხრობის სამივე პერსონაჟი იმ უშეღავათო ბრძოლაში იმარჯვებს, რომლის ღირებულებრივი ორიენტირების განადგურება ადამიანებისათვის უცხო არ არის. „უფალი

ხომ სულია და სადაც არის სული უფლისა, იქ თავისუფლებაა – ამბობს პავლე მოციქული.

ეკატერინე ტოგონიძის მოთხოვობა „წმინდა შესაძლებლობა“ არის ამ სულის გადასარჩენად მხატვრულ ქსოვილში ჩაღვრილი ენერგია. მის გმირებთან ერთად საკუთარ თავთან ჭიდილში მკითხველიც მაღლდება. მოთხოვობის ავტორმა კიდევ ერთხელ დაგვაყენა ცოდვა-მაღლის შეცნობის დრამატულ გზაზე. მეც მათთან ერთად ვიარე და გულწრფელად გამოვხატე აღტაცება, რომელიც მწერლობაში ამ მოთხოვობის ნიჭიერი ავტორის – ეკატერინე ტოგონიძის ყოფნას ახლავს. ის უკვე ამშვენებს ჩვენს სამწერლობო სივრცეს.

## *Arboles altos – მესიერების ანაბეჭდები*

სოსო მეშველიანი პროზაული კრებულის მინაწერში ასე-  
თი ფრაზა იკითხება: „ეს მხოლოდ პოეტის მოყოლილი ამ-  
ბები არაა, ეს მესიერების ანაბეჭდებიცაა, იმ სიძველის და  
დროის ანაბეჭდებია, როცა ადამიანი სამყაროსთან იდგა და  
სულ სხვა სიტყვებით ლაპარაკობდა“

და როცა სოსო მეშველიანის შემოქმედების კარიბჭეს  
აღებ, პირველი განცდა, რომელიც გრჩება დეუავიუს მშ-  
ვიდი განცდაა, რომელსაც ახლავს ნოსტალგია იმაზე, რაც  
ადამიანად ყოფნისთვის დაგვანათლა განგებამ. მერე კაენის  
ცოდვით დამძიმებულ სამყაროში გზადაგზა მიმოვთანტეთ,  
ჩავკარგეთ და ახლა უფალს ისლა დარჩენია ეს ყველაფერი  
პოეზიით, მუსიკით, ფერწერით შეგვახსენოს ...

და მოგვმადლის ხოლმე მისიონერებს, რათა გვახსოვდეს  
ჩვენი ვალი ამ სამყაროს და ერთმანეთის წინაშე.

სოსო მეშველიანი პოეტური კრებული ასეთი შეხსენებაა.  
ეს „სულ სხვა სიტყვებია“ და მას არაფერი აქვს საერთო იმ  
სწავლებებთან, რომელმაც არქაული სული გამოაცალა ჩვენს  
კულტურას. წარმართული. მითოსური და ფოლკლორული  
საწყისების გარეშე დარჩენილ ჩვენს სოციუმს. პიარკომ-  
პანიების, სპინდოქტორებისა და ეიჩარების კონკურენციით  
დანაღმულ სამყაროში ჩვენ დავრჩით იმ სიმშვიდის გარეშე,  
რომელიც სასიცოცხლოდ გვჭირდება და აღმოჩნდა, რომ  
ჩვენი ყოველი დღე უფერულად ჰგავს ერთმანეთს. კომპიუ-  
ტერის მაცდურ ეკრანს ჩაკირულები ქება დიდებას ვასხ-  
ამთ სკაიპ-მესიჯის კერპს და ყოველდღიურად ვცილდებით  
ერთმანეთს. „დასევდიანდა ყველაფერი, რაც უკან დარჩა“  
– ამბობს ერთგან სოსო მეშველიანი და პოეტურად აქცევს  
ყველაფერს, რაც ერთი შეხედვით, ჩვეულებრივა:

ირლვევა. წვრილი კენჭებივით ცვივა უფრსკულში, და მოქცეულა სოფლის სივრცე, სოფლის ფართობი ძალლის ყეფაში.

ღრმად ჩამხმარა ფრჩხილებში მიწა, თვალებში – ღამე გრილ მიწიდან ვთხრიდით კარტოფილს

ასეთი სიმშვიდად შემოდის ჩვენში მისი სიტყვა – „მკვრივი, მაგრამ ძალზე სათუთი, ვით ჩიტის კვერცხი ან თვალის გუგა“. ეს უცნაური დუალიზმი – მიმართული იმისკენ, რომ თავიდან შეაფასო, ან სულაც აღიარო, რომ გიჭირს განასხვავო სამყაროს ყალბი ბერები ნამდვილისგან. სოსო მეშველიანის სტრიქონები ახლა მაშველი რგოლია, წუთისოფლის გემბანზე ხომ ის ძალიან გვჭირდება. ამ ლექსს თავისი მიძღვნა აქვს – „ბათუს და ნიკას“, თუმცა აუდიტორია ამ ლექსის უფრო ფართოა, თუ გოგრის ღეროს ჩხვლეტას იგრძნობ და მოლოქას ყვავილობას, ნიშნავს, რომ მიწას გრძნობ, შენი ქვეყნის მიწას და ეს ყველაზე მთავარია, ასე მოჩანს სოსო მეშველიანის პოეზიის სამანებიდან... პაგინიზმის უძველესი შრეებიდან გადმოსული საშიში ღვთაებები გემშობლიურება და უფორმო ხეც საკრალურ მნიშვნელობას იძენს. პოეტური კრებულის სათაურშიც „arboles altos, რაც ესპანურად მაღალ ხეებს ნიშნავს და იმ წმინდა ხის კულტის არსებობის გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც მსოფლიო მითოლოგიაში, კერძოდ, ბერძნულში – წმინდა დემეტრეს ხის, ბაბილონურ მითოსში ენქადუს ამბავის და საქართველოში წმინდა მუხის კულტს უდავოდ გაგახსენებს. ხის სიმაღლე მისი ხანდაზმულობის, მრავლისმომსწრეობის დასტურია. სწორედ ამ სიმაღლიდან იგრძნობა „სევდა თოვლექვეშ დარჩენილი საფლავის ქვების“, ამ სიმაღლეს ყველა როდი აღწევს, როგორც ნინო სადღობელაშვილი წერს: „სოსო მეშველიანის პოეზია ყველაზე ბუნებრივი ადამი-

ანური სიმაღლიდან დანახული სამყაროს რეტროსპექტივაა, რაც მის მკითხველში თანაბრად გულისხმობს გლეხსაც და ინტელექტუალსაც“. დავეთანხმებით, ეს შტრიხი მართლაც გამორჩეულად საინტერესოა სოსო მეშველიანის პოეზიაში. უნარი მონახო უნივერსალური ენა ყველა სოციუმისთვის და პოეზიის სახელით არ შექმნა მარგინალური სივრცე:

თუ ავსულებმა გამთვალეს, ან დამთარსეს,  
დედის შელოცვამ თუ არ გაჭრა, არც სიზმრის დაწვამ...  
ასე მგონია, ტანზე ვირგებ ეშმაკის ნაცვამ  
ბეწვის ქურქსა და...  
სწორედ იმ დროს ვფიქრობ ზამთარზე

სწორედ ამ ქურქის მორგების სურვილს ებრძვის იგი ხარის თბილი სუნთქვით, პერანგში ჩაწყობილი მწიფე მსხლებით, კომბოსტოს ყვავილობითა და ლობიოს სარზე ჩამომჯდარი ნემსიყლაპიას ესთეტიკური განცდით, ოსტატის ხელი უნდა ამ ყველაფრის პოეტურად წარმოსახვას და ლექსად ქცევას. რაც არ თქმულა, ბოდლერის „სპლინიც“ ხომ აქამდე უთქმელის თქმა იყო. პოეზია საიდუმლოა. ეს საიდუმლო უნდა აწუხებდეს შემოქმედს, ვინც ლექსს ამოთქმას შებედავს. ანონიმი ავტორის გაოცებას, „რა ამბავია ამდენი ქოხი და კვახის ყვავილიო“ სოსო მეშველიანი თავდაჯერებული, ირონიანარევი სტრიქონებით პასუხობს და ფედერიკო გარსია ლორკასაც მოიშველიებს:

„თავზიარს მცემს შიში,  
მკვდარს თვალებში როცა ვუყურებ“ –  
თქვა ფედერიკომ.  
რა თქმა უნდა, ეს ის შიშია,  
ოთახის ქოთნის კაკტუსივით  
რომ გჩხვლეტს ძილშიაც.

ეს შიშია სწორედ, სიბრმავეს რომ იწვევს, „მიწის მსუყე  
სუნს“ რომ დაგაკარგვინებს, „ხარაბუზების ხშულმსკდომ  
ბერებს რომ დაგიხშობს და შეგნებას იმისას, „რა უბრალ-  
ოა „ცა მწყუროდა, მიწა მშიოდა“. სოსო მეშველიანთან  
ყველაფერი უბრალო ბრალიანია და მნიშვნელოვანი. მას  
შეუძლია ის დაგანახოს, რასაც ვერ ხედავ ან დაგავიწყდა,  
როგორ დაინახო:

გასწორდა წელში, დაიკვნესა და მიწით დასვრილ  
კალთებს იფერთხავს დედაჩემი.  
ახლად დათესილ  
ბოსტანში მდგომი.

აი, ასე ერთი ფუნჯის მოსმით, სოსო მეშველიანს მეხ-  
სიერების საცავიდან ამოყავს პატრიარქალური სურათი  
თავსაფრიანი დედაკაცების, მშრომელი და გამრჯე, კერი-  
აზე ცეცხლის დამნთები ფუძის ანგელოზების. ამ ლექსს  
ჰქვია „ადაუიო“ ეს ნელი, ლირიკული, მღერადი ნაწილია სა-  
ბალეტო ცეკვაში ან მუსიკალურ ნაწარმოებში. სოსო მეშვე-  
ლიანის მთელი პოეზია ამ ტემპში ამბობს თავის სათქმელს,  
ყველაზე მწვავესაც კი. მის ლექსებს აქვს საოცარი მედია-  
ციის უნარი – იგი მედიატორის მოთმინებით ცდილობს  
მოაგვაროს კონფლიქტი ადამიანურსა და არაადამიანურს,  
მშობლიურსა და უცხოს შორის. მას ამისათვის ყველა მო-  
ცემულობა აქვს, წარმატებით აქვს გავლილი აკულტურ-  
აციის ის პროცესი, სადაც ბევრი შემოქმედი მარცხდება.  
უცხოეთიდან დანახული მისი სამშობლო მარტო იმიტომ კი  
არ არის ტკბილი, რომ ნოსტალგია შემოეძალება ხოლმე,  
ის ასეთია რეალობაში და როცა ამას ვერ გრძნობ, ის გა-  
გირბის, როცა მისგან ითხოვ და არაფერს აძლევ – მაშინ  
გეკარგება. ამ სტრიქონების ავტორს სამშობლო არასოდეს  
დაეკარგება. და როცა ზაფხულის მიწურულს:

ზამთარს ფიქრებით გადასწვდები, რომელიც ახლა

უფრო ახლოა, ვიდრე მყნობა, ან ამაღლება...  
ისე უცხო ხარ აქ – გინდა კბილებით დახრა  
ყინული გარსი, თავისთავად თუ არ გალლვება

„სონეტი, რომელიც მინდოდა დედისთვის მეძლვნა“ – ასე არქმევს სონეტს, რომელიც „arboles altos“ ციკლიდანაა, რატომ მინდოდა? იმიტომ, ხომ არა, რომ თავად ახლა ესპანე-თის ერთ-ერთ კაფეში იქარვებს მასზე დარდს და ფიქრებში უნდა მოიხელოს სურათი, როგორ აპურებს დედა ეზოში, კაკლის წინ ქათმებს. ან რატომ თანაუგრძნობს მათხოვარს, რომელსაც არავინ აგდებს ძაღლად. მათხოვრის დედა აქ არსად მოჩანს, მაგრამ მკითხველის განცდაში ის აუცილებლად შემოვა – მათხოვრებს დედები უკვე აღარ ჰყავთ. რომ ჰყავდეთ, ამ დღეში არ იქნებოდნენ. სოსო მეშველიანის პოეზიაში ნამდვილი და შეუცვლელია ყველაფერი, რაც იქ ეგულება, სადაც დედაა. დედა სამშობლოშია, სამშობლო-დედაა. „უცხოეთში სიზმარი უფრო ნამდვილია, ვიდრე ყოველდღიურობა“. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბევრი საპატიო მიზეზი, მოგწონდეს ესპანეთის სოფლები და ქალაქები, უკვდავყო შენს პოეტურ მოგონებებში ესპანელებთა ზრდილობა და სულგრძელობა, მაინც იმ სიზმარს შენატრის, სადაც დედაა:

მიყვარს ასეთი ხალხი,  
გაღიმებული რომ მიგასწავლის  
იმ სკვერს თუ ქუჩას, რომელსაც ეძებ  
და არ დაგცინებს, თუ „კანიას“ ნაცვლად „კონიო“ ნა-  
მოგცდა  
ეს ყველაფერი ძალიან მიყვარს  
მაგრამ მაინც შინ მეჩქარება, იმ ხოჭოსავით  
გამხმარ ფუნებში რომ ცხოვრობს  
ეს ლექსიც ესპანური ციკლიდანაა. დიდი მგრძნობელობა

და ფესვების ღრმა განცდა გჭირდება, ასე შეისრუტო ეს-პანური სული და უნამუნოს, მარკესის სამშობლოში დარჩე თავისთავადი, ერთგული იმის, რამაც ამ ინტერკულტურული სივრცის წევრად გაქცია, მისი გააზრების უნარი და-განათლა. სოსო მეშველიანის ეს კრებული მასტერკლასია ინტერკულტურული თანაგანცდის. ქართული და ესპანური სული აქ ისე დელიკატურად თანაარსებობს, რომ ერთმანე-თის ადგილს არ იკავებენ, მათ არ ჭირდებათ კომპრომისი, რათა მყითხველის წინაშე თავი მოიწონონ, აქ ყველაფერი გულწრფელია, არავინ კოკეტობს, არ ირგებს ნიღაბს, არ ეძებს ორიგინალურ პროფილს. ეს უკანასკნელი აქ ბუნე-ბრივად ცოცხლობს. სიტყვის სამსხვერპლოზე მისატანი სისხლით სავსეა მისი ფიქრები „ქინქლივით საკუთარი სისხ-ლით უნდა გაბერო ყოველი სიტყვა, გასკდომამდე. გასკდე-ბა, მორჩა“ მერე კი, მატეო ბორხას ფორთოხლის ბალებისა და მარწყვის სათბურების შემხედვარემ, სამყაროს წინაშე ასე მოკრძალებულად მოხარო თავი:

შეხვიდე, დაჯდე, გაიაზრო ბოლომდე ის, რომ  
ამ სამყაროში ისეთივე უმნიშვნელო ხარ  
როგორც კალია მოქანავე ხორბლის თავთავზე  
ხან საკუთარი ნიჭი გბოჭავს, ხან – უნიჭობა)  
და რა აზრი აქვს ამ ყველაფერს საიდან უმზერ,  
ვიტრინიდან თუ გაჭვარტლული ქოხის ღრიჭოდან

ესპანეთის მიწაზე მოდის ეს შეგრძნებაც, რომელიც ფრანკოს ბრძანებით, 1936 წელს დახვრეტილი ესპანელი მწ-ერლისა და მოაზროვნის რამირო დე მაესტრუს სასაფლაოსთან ჩნდება. სიკვდილის წინ მან მკვლელებს მიმართა: თქვენ არ იცით, რისთვის მკლავთ, მაგრამ მე ვიცი, რისთვის ვკვდები-იმისთვის, რომ თქვენი შვილები თქვენზე უკეთესები გაიზ-

არდონ“. არ შეიძლება გერქვას პოეტი, თუნდაც დროებით ცხოვრობდე უცხო მიწაზე და არ იოცნებო ამ საკრალურ შესაძლებლობაზე. და აი, ამ საპასუხისმგებლო ოცნებიდან ამოზრდილი სოსო მეშველიანის სტრიქონებიც:

მე ვის მივმართო, რომ ვიცოდე-როგორ მივმართო?  
ან რომც მივმართო ხომ ვიცი, რომ არავინ მესვრის,  
კუჭს მიწვავს შიში, დროა წელში რომ გავიმართო,  
საფლავის კედარს შევანთხიო ბოლმა და გესლი  
და არა სისხლი, როგორც გულში გასულმა ტყვიამ.  
ხეო, ბებერო! კანქვეშ რა დიდ ტკივილს ინახავ  
სამარეს ეძებ? გაიარე! ამ უკვე ტყიან  
სასაფლაოზე  
და დაფიქრდი, ამ დროს ვინა ხარ.

„ანდალუსიური კაპრიჩიო“ სიყვარულის ლეგენდის უნაზესი განცდითაა სავსე, მითად ქცეული სიყვარულის ნარატივის რეინკარნაციას სოსოს მეშველიანი ანტონიო პერედიას ამბავში ახდენს, რომელიც პედრო არმადოვარის კინოკადრივით გაივლის ჩვენ თვალწინ, ფორთოხლისა და ყავის სურნელით შეზავებული, კედრის ტყის პეიზაჟით, პოეზიისათვის ეს ხელშესახებობა ყოველთვის არ არის დამახასიათებელი. სოსო მეშველიანს ეს ძალუძს, დომინანტური განცდის შესაქმნელად მას ძალიან დამახასიათებელი სენ-სორული დეტალები შემოაქვს ხოლმე, რომელიც რეალური ა, საოცრად ბუნებრივი, რათა კიდევ ერთხელ ვირწმუნოთ სიყვარულის მარადიული წრებრუნვა:

მითად ქცეული სიყვარულის გრძელი ამბავი  
მათ ხსენებაზე მიჯნურები თვალებს ნაბავენ  
და არც ის ცხრება, სანამ სენი სულ არ გამოხრავს  
მის ლამაზ სხეულს, თითქოს სულს რომ ჰკიდია ძაფით

მღერის, ილიმის, ის ჩემსავით ჩუმად არ ოხრავს  
და ეს ლიმილი სასწაულად მძაფრია, მძაფრი

კარტახენას სავსე მთვარე, ელპატოს ქუჩა, კურდღის-  
ტუჩა ლოთის პროფილი სოსო მეშველიანი პოეზიაში სახლო-  
ბენ კარგად დავარცხნილ-დახვეტილ ეზოებთან და ჭინკო-  
ბისთვის, ლაფანალის ბოლო დღის „რაღაცით სევდიან“ და  
„რაღაცით კმაყოფილ ქართულ სოფელთან“ ერთად, მაგრამ  
მშობლიური სოფლის გაუცხოვება მაინც უსაზღვროდ მტ-  
კივნეულია:

გაუცხოვდება ლამეები მშობლიურ სოფლის  
ამ იდუმალი ხმებითა და განცდებით სავსე.  
უცხო ძალლი ყეფს უცხო ხმაზე ნაცნობ ეზოდან,  
ბავშვობაში რომ სხვა ძალლი ყეფდა.  
ჩემი მოწყენა სულ არ არის უმიზეზო და  
სულში მიმხმარი შხამიანი ბაყაყის ლორწო  
უცხო ძალლი ყეფს უცხო ხმაზე  
ა, იმ ეზოდან,  
შორს ექოებად რომ აწყდება ქარაფის ორწოხს.

სოსო მეშველიანის კიდევ ერთი ხელწერა – მთავარ  
სათქმელამდე გაგვიძლვეს, ხელშესახებად დაგვანახოს რე-  
ალობა, რომელსაც ამ სათქმელამდე მივყავართ და დაგვეხ-  
მაროს, ფრანც კაფკასი არ იყოს, „უცოდველად განვიცა-  
დოთ ჩვენი ცოდვები“. ადამის ცოდვები, რომელიც პოეტს  
ათქმივინებს „გაპარვა მინდა საკუთარი არსებობიდანო“. ან  
გომბეშოს მონოლოგში ჩატევს სათქმელს „ვერ დავხტივარ,  
მუცლით დავხოხავ, რადგან სამყაროს სიბინძურე მამდ-  
იმებს ასე“. მეხსიერების მომცველი ის წესრიგი, რომელსაც  
მშობლიური და სანატრელი ჰქვია მისთვის სავანეა, სადაც  
ძალებს იკრებს. არაფერი ამის საპირწონე, ვიდრე შეხება

არქაულ სულთან, ანდრეზებში ჩაკირულ დარგობრივ ღვ-თაებებთან, ფითრის უხეშ ფოთლებში მობინადრე ღამის სულებთან, მისთვის არ არსებობს. კედარზე შემომჯდარი შაშვის გალობას როცა უსმენს, ფიქრობს, რომ მან უფრო იცის, რა უნდა, „გარდა პოეტის, ყოველდღე რომ მარტო წყალს ნაყავს“. ესეც იმ ციკლიდანაა „არბოლეს ალტოს“, რატომ? იმიტომ, რომ „უცხოეთში რაა სიამე?“. არარომანტიკული ლექსის იდეაც ამიტომ ჩნდება, ასეთი სათაურით, ლექსს რომ არ ეკადრება, მაგრამ ამ ლექსსაც განუმეორებელი ესთეტიკით ნაღმავს:

დასვრილი დიდი ფრინველის ექსკრემენტებით  
ხე, ძეგლი, აბრა, სკვერში მდგომი ვერ ხვდება რა ყარს,  
გაჰყურებ სივრცეს, სხვა რა გზაა, ძალუმად უსმენ,  
ამ აქოთებულ ზღვის ფრინველთა წივწივს და ყავყავს.  
და მაინც, რაღაც მშობლიური განცდებით გავსებს  
ქალაქი, სადაც შორეული ნაცნობიც არ გყავს.

იშვიათია საკუთარი თავის წაკითხვის და საკუთარი თავის გახმოვანების ასეთი ესთეტიკური უნარი. ამის გარეშე ხომ პოეზიაში არაფერი იქმნება, ამ ორგანულობის გარეშე ვერ შედგება შეხვედრა, რაც მწერალსა და მკითხველს შორის დიალოგს გულისხმობს. მკითხველის პოლარიზაციის ეს უნარი დასკვნისათვის არგუმენტია – ჩვენ წინაშე ნიჭიერი მწერალია. სოსო მეშველიანის რობაიები უფრო ამყარებს ამ დასკვნას. რობაი – ლირიკული პოეზიის ფორმა, რომელიც განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს, იმიტომ რომ აქ ამ პატარა სივრცეში უნდა ჩატიო დიდი სათქმელი „გრძელი სიტყვა მოკლედ უნდა ამოთქვა და თან ისე, რომ მკითხველს თავი დაამახსოვრო, როგორც აქ არის:

მშიერ მგელს ვირი ესიზმრება  
მე კი – ბავშვობა.

ერთხმად შევყმუით ცარიელ სულს,  
ცარიელ სტომაქს

სამყაროს მთლიანობის ასეთ პოეტურ განცდას დიდი  
სულიერი გამოცდილება სჭირდება. შემოქმედის მყოფობის  
გზა ამ გახსნილ ტკივილზე გადის. თანაგანცდის ეს ჟესტი  
ადამიანურია, მაგრამ მისი ასე გამოხატვის უნარი – უფრო  
მეტი. სოსო მეშველიანი ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე  
აღძრავს დიდ განცდებს სწორედ იქ, სადაც ყველაზე ნაკ-  
ლებად მოელი:

მშიერ – მწყურვალის ბლავილს არ ჰგავს,  
სისხლსაც გაყინავს-

გადაზნექილი ჰერს ლოკავს ჯიქანის გასწვრივ  
ასე ბლავილით შვილს დაეძებს-  
ბორილა დაკლეს.

არანაირი განწვალება, ირაციონალური ხილვები და სიმ-  
ბოლოები, მაგრამ ასე შთამაგონებელი, ძალუმად პოეტური  
და მომხიბლავია ეს ნარატივი, რომელიც მართლაც ყინავს  
სისხლს – დედას შვილი მოუკლეს. ეს უნარი საოცრად ორ-  
განული და ბუნებრივია მისთვის. მისი ყველა ლექსი ბი-  
ოგრაფიული სახეა, როგორც ახლახან სოციალურ ქსელში,  
დედის დღეს გამოქვეყნებული ფოტო წარწერით „დედა“. და  
უცბად ხვდები, რომ ეს ფოტო სადღაც გინახავს... სადღაც  
კი არა, სოსო მეშველიანის ერთ ლექსში. მართალია, არსად  
ახსენებს, მაგრამ ემიგრანტის სევდა ასრულებს თავის ფუნ-  
ქციას, არსად დაცდენია საყვედური ბედისწერის მიმართ, ის  
იღებს ამ რეალობას და იცის – პოეტი ვერ იქნება ამქვეყნი-  
ური ნირვანის ბინადარი:

მომეცით ჯოხი, უბრალო ჯოხი  
მაწანწალას  
და გზა გამავალი ჰორიზონზე.

და ბოლოს, უცნაური ტენდენცია დამკვიდრდა საქართველოში, ადვილად არიგებენ გმირის და მწერლის წოდებას. ამ უკანასკნელს, რევიზიის გარეშე, თავადაც ირგებენ ავტორები. ამ მოვლენათა დიაგნოსტიკის დროს, უდავოდ გვრჩება ამ ბუტაფორიულობისგან მოგვრილი სევდა, რომლის გასაქარვებლად ქართული მწერლობის მადლიან სივრცეს მაინც არ აკლდება ნიჭი, რომელიც იმსახურებს აღიარებას. ამის დასტურად, სოსო მეშვეობიანის შემოქმედება არის კარგი კონტრიბუცია და მე გულწრფელად მემეტება მისთვის პოეტის სახელი.

## „ქართული მიწაც ცაა“ – მ. ადამ ახალაძის ლიტერატურული პროფილი

ლიტერატურულ ყოფას სულიერი და ინტეიციური გამოცდილების პარალელურად მისია აქვს – ეროვნული და პიროვნული „განწვალების“, ღვთიურისა და დემონურის საზღვარზე მყოფი ადამიანების გამორიდება იმ მიჯნისა-გან, სადაც პანტესბერგისა არ იყოს „ადამიანი იშვიათად არის ადამიანი“. ვინც გრძნობს სიტყვის გაჩენის მისტე-რიას, ის უსათუოდ ჩაწვდება მ.ადამ ახალაძის სიტყვასთან დამოკიდებულების არსა: „უმთავრესი პირველი სიტყვებია, პირველი ბგერებიც კი... ხოლო პირველი წინადადება უკვე იმ ჯერ შეუცნობელ სიამოვნებას გაგრძნობინებს უმძაფრე-სად, რასაც მთელი ლიტერატურული ტექსტი გპირდება.“

შეუძლებელია არ დაეთანხმო და ასეთივე წადილ-ში არ გამოუტყდე – მწერლის პირველივე სიტყვამ უნდა გაგრძნობინოს ძლიერი სული, ლოგოსიდან ამოზრდილი სიტყვის დაურვების ოსტატობა. სხვა შემთხვევაში, ინტრა თუ ინტერკონფლიქტზე აგებული ნებისმიერი ნარატივი კარგავს იმ მნიშვნელობას, რომელიც მწერლობისთვის მი-უნიჭებია განგებას. მ. ადამ ახალაძის თხრობა სიტყვაკა-ზმულობის მასტერკლასთანაა შეულლებული, პრობლემა – ყოველთვის სწორად მიგნებული, ჩვენი ყოფიერების ზუსტად იმ ფრაგმენტებით მოხატული, რომლის მხატვრულ ქსოვილში ჩასხმა და ჩადუღაბება სასიცოცხლოდ აუცილე-ბელია ჩვენი ადამიანური და ნაციონალური ყოფისთვის. კირითხუროს მოთმინებით ავსებს იგი ჩვენი ეროვნული ლანდშაფტის დაბზარულ ადგილებს, გულმოდგინედ, ფაქ-იზად „ყოველდღიურობაში უჩინარის დანახვით“ ადამიანის სულმი გაჩენილი ბზარებს ავსებს, რადგან ისტორიული

გამოცდილებიდან იცის, „წარსულშემოფლეთილები და გამოშიგნულები“ მომავალს თვალს ვერ გავუსწორებთ. „უს-ინდისაურის მკვიდრთა “ იმედად ხომ არ დატოვებს მამ-ულს... საუკუნეებია, რაც მისი სულიერი ძმები ამ იარებს ლოცვით, მარხვითა და დარიგებებით წამლობენ. მ. ადამ ახალაძის მოთხრობების ეს კრებულიც ტაძრამდე მისასვ-ლელი საგზალია „გალმასოფლელების“, „ცისქალაქელების“, „ფარმოტიულების“, „ცხრახეველების“, „ქვემოუბნელების“, „კლდექარაფელების“, „შავდაბლობელების“, „არმაზისპირე-ლების“, „სამაგარაკელების“, „თუშმალელების“, „თეთრსა-ვანელების“. ეს წიგნიც „წყაროსთვალის მაძიებელთა უსტ-აბაშის“ დარისხებაა თავისუფლებადაკარგული ერისათვის.

ამ წიგნშიც ყოველი პერსონაჟის მიღმა მისი პროფილი ილანდება, შავანაფორინანისთვის ერთობ თამამი მანერუ-ლობით, მხოლებისა და დაყვავების ზომიერებით. ეს არც ასკეტის რელიგიური სიმძიმეა, არც ეკლესიასტეს ამაღების აპოლოგია, არც დიდაქტიკურ-სამოძღვრო ტონალობა, პრო-ტესტის სურვილს რომ უღვიძებს თანამედროვე ფსევდოლიბ-ერალური ფასეულობებით თავმოწონებულ პომოლოგოს. მისი ძარღვიანი, მადლიანი სიტყვათქმნადობა იმთავითვე აგვარებს ყველანაირ მენტალურ კონფლიქტს, გაოცებს და არ გტოვებს გულგრილს: „გველების შემოფეთებაზე პეპელა-სავით მონუსულო, დამფრთხალ შველივით პირქვე დაცემ-ულო-დაშვებულო, დაჭრილ ჩიტივით გორუკას სიმაღლიდან ჩამომინდვრებულო, მის ყვავილ-ბალახ-მიწას ჩახუჭებულო-ჩაბლაუჭებულო, მერე ისევ დილის ტოროლასავით პაერში აჭრილო, პირმშოსთვის ფრთების გამომსხმელო, ცის ირაოს მასწავლელო, მზისკენ გაფრენილო!..

„სიოთი ათრთოლებული იორდასალამივით საამო პა-ტარძალი ნერგს ეამბორებოდა“ „განდეგილი ნამიკრეფიებით, გაცრეცილი ვედრებებით, მამლაყინწა ბუხრების კვამლითა

და უმარილო მოლოდინით“... მ. ადამ ახალაძის მხატვრული მეტყველების სადინარი უცხო ენობრივ ნაკადებს გადარჩე-ნილი ფუძე ქართულია, რომელიც მასთან ახალ სიცოცხლეს იძენს: „როცა წერ, კაცს ეგონება, ხელსაქმობსო! ჰო, თითქო ხეზე კვეთავ ან ქარგავ რასმეს. თვალებს ისე მიღულავ, ვი-თომ მთელი ქვეყნის ანგელოსები აქ მოფრენილან და იმათ უგდებ ყურსაო“ – ამბობს ერთგან. ასე კვეთს და ქარგავს თავად თითოეულ სიტყვას. წვიმის ამ ესთეტიკასაც სხვა-გან იშვიათად შეხვდებით, ასეთი მისტიური კავშირი წვიმას-თან ზღვისპირა ქალაქში გაზრდილ შემოქმედთან შეიმჩნევა ხოლმე: „წვიმს და წყლის მეხსიერებაში ჩასაფრებული სიც-ოცხლით ივსება ირგვლივ ყველაფერი, როგორც ნოყიერი მირაჟებით უდაბნო. წვიმს ისე, რომ აქ ვერასოდეს ისწავლი ლოცვას წვიმის მოყვანისთვის“. „წვიმა იმ მხატვარსა პერავს, ფერეთს რომ გამოერიდა და თავისი წყლის საღებავებით, ვიღაცისთვის ღარიბი და ჩვენთვის მოწყალე, სამუდამოდ გვჩუქნის წვიმიანი ქალაქის წვიმიან ლექსს“.

საქართველო ნიჭიერთა ქვეყანაა და აქ მხოლოდ „ტი-ტანების ბრძოლა“ იმართება ლიტერატურულ პარნასზე. ამ-დენ ტიტანს ასეთ პატარა ქვეყანაში ვერსად ნახავთ, მაგრამ მ. ადამ ახალაძის სულიერი გამოცდილება სხვა ესთეტი-კას ბადებს. აქ არის რაღაც ისეთი, რომელსაც საფუძველი უფრო ღრმა აქვს, ვიდრე მწერლობის ნიჭი. მის „ნოსტალ-გიათა სკივრში“, ყველა განსაცდელი, საფიქრალი სხვაგვარ-ადაა ჩალაგებული, სწორედ ისე, როგორც მის არჩევანს – მამათა ცხოვრებას ეკადრება. „სამშობლოდაუძლურებულ“, „სამშობლოდავიწყებულ“ იმ ერის ქომაგს ეკადრება „ქარ-ტეხილების მოტანილი დამოუკიდებლობა სისხლში რომ ჩაუხრჩვეს!“ პროზად რეკონსტრუირებულ ამ „ნოსტალგია-თა სკივრში“ სახლობენ „დედის ხელის სითბო და სიმტკიცე, ქურიეს სიკეთით სავსე თვალები და ტკბილი მოფერება“,

ტკივილი აჭარულ მიწაზე გავლებული საზღვრის გამო ორ უცხო სახელმწიფოს შორის. ტაო-კლარჯეთსა და შავშეთ-ში, იმერხევსა და მაჭახელაში, ისტანბულსა და იზმირში, ბურსასა და ანატოლიაში გაფანტული ქართველების დარდი მის ქვეცნობიერში რომ სახლობს და ანდამატივით გიზ-იდავს. ასეთია მისი ტკივილი „შვილებდაფანტულ, ბადიშ-დაკარგულ და დედის კალთაში ნაგრამვერდაბრუნებულ“ საქართველოზე. და როცა თავის პირმშოს არიგებს: „ხომ არ დაგავიწყდა, პატარავ, მთავარია — ვიფრინოთ! ჩვენ სხვა ჯიშისანნი ვართ. ერთი კია — ისე და იქ უნდა ვიფრინოთ, მშობლიურ მიწას რომ დავყურებდეთ სულ. ჩვენთვის ეს მიწაც ზეცაა. შორეთში ფრთები გვიმძიმდება და ვარდნას ვიწყებთ...“ მასში ტვირთავს უნივერსალურ, მცნების ტოლფას სიმართლეს ჩვენი ეროვნული ყოფიერებისა და იდენტობის სიმტკიცისათვის.

ამ წიგნშიც მ. ადამ ახალაძე „დამტვრეულ, ნატკენ, სისხლშემხმარ, ჯიუტ და უძინარ ფრთებს...“ გვისწორებს „უჩემწინაპრისსისხლო, უცხო მიწას“ რომ არ დავენარცხოთ საქართველოს მადლიან მიწაზე გაჩენილები. ამის გასააზრებლად, ამ „გულისთვალის“ გასახელად ეგებებოდა იგი განთიადს, იმისთვის გაისარჯა, რათა ამ წიგნში გაბნეული ნუგეში ზიარების მადლივით გავიყოლოთ ,გათითოხევების“ საბედისწერო საფრთხის მქონე წუთისოფლის გზაზე.

## „ქარის ფრთებს“ მიღევნებული ქრონიკა

ძველი ამბების ქრონიკა – ასე არქმევს თავის მორიგ მხ-ატვრულ-დოკუმენტურ ჯაფას ელგუჯა თავბერიძე. პირველი ნაწილი „ხეზე ასვლა იყო“, მეორე კი „ქარის ფრთებია“, რო-მანტიკული სათაურით, თუმცა ქარი აქ შემთხვევით არ ჩნ-დება... ორივე წიგნს ერთი საფიქრალი აქვს – „გახსოვს? რა დაგავიწყებს?“. კითხვას „რა დაგავიწყებს?“ თავისი რე-ალური საფრთხეები ახლავს. ამ საინფორმაციო – საოკუპა-ციონ ომში მეხსიერებიდან შეიძლება სწორედ ის ამოიშალოს, რაც ერს საარსებოს ჭირდება და რაც გლობალიზაციის ეპო-ქაში იმ მნიშვნელობით არ იტვირთება, რაც მას რეალუ-რად გააჩნია. ელგუჯა თავბერიძის მხატვრული სამყარო ამ მნიშვნელობების მატარებელია, ზუსტად მიგნებული ნარა-ტივით, მხატვრულ – გამომსახველობითი საშუალებებით, მშობლიური სურნელით განზავებული თემატიკით და რაც მთავარია, დოკუმენტურობით – ეს მწერლის ყველაზე სარ-წმუნო, სანდო არგუმენტია. ასეც რომ არ იყოს, მწერალს ვერავინ დაძრახავს, მაგრამ ელგუჯა თავბერიძე იმ შემო-ქმედთა ამქარშია, ვინც ეპოქალური მოვლენებისა და ამბე-ბის მხატვრულ სამოსში მოქცევას მნიშვნელობას ანიჭებს.

ელგუჯა თავბერიძე მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი დოკუმენტური პროზის უანრში გამოცემული წიგნები: „კოლიმგრაფი“ (ვარლამ შალამოვის ცხოვრებასა და შემოქ-მედებაზე), „აკაკის ლანდი“, „მარშალი და მარშლის შვილი“, „ნისლის ტიხარი“, „თოვლი მკათათვეში“ და ა. შ., ელგუ-ჯა ლებანიძის დოკუმენტურ პროზაზე საუბრისას მარინე ტურავა სამართლიანად აღნიშნავს: „ ეს არის პირწმინდად დოკუმენტური პროზა, ნონფიქშენი, სადაც მინიმუმამდეა

დაყვანილი მხატვრული გამონაგონი. მხატვრული სინთეზი მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების სწორად, თანმიმდევრულად, გააზრებულად დალაგებისას არის გამოყენებული, თანაც ისე, რომ დოკუმენტური მასალა თავად ქმნის ტიპურ სოციალურ თუ პოლიტიკურ გარემოს, აცოცხლებს რეალობას. მასალის შერჩევის ხარისხი და ესთეტიკური შეფასება აფართოვებს დოკუმენტური ლიტერატურის ინფორმაციულ ხასიათს.“

„მწერლობა ხომ გმირობის გამოსაჩილებაა“, ამ გამოსაჩილებას უდავოდ დიდი სულიერი ენერგია სჭირდება, რომლის ერთ-ერთი წარმართველი მშობლიურისადმი ერთგულებაა, დანარჩენი შემდგომ. ინტერკულტურული ალუზიები მხოლოდ მის შემდგომ დაიშვება, როცა აქ მოიხდი ვალს. აქაც დილემაა, კარგ მწერალს მუდამ უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ ბოლომდე არ დახარჯულა ადგილის დედისთვის. ელგუჯა თავბერიძე, ვიდრე პირში სული უდგას, ყოველთვის ვალში იგრძნობს თავს ქვეყნის წინაშე, რადგან სათქმელს, დასალაგებელს, მატიანეში ჩასაკირს რა გამოულევს ამ ქვეყანას. ჰოდა, ამ ძველი ამბების ქრონიკაც იმ ამბის ბრალია – მწერლის პასუხისმგებლობა რომ ჰქვია.

პერსონაჟთა იმ გალერეაშიც, რომელთა მეორე სიცოცხლე ამ წიგნში იწყება შემთხვევითი არავინაა, ცუცუნიაც კი, რომლის ეროტიკული თავგადასავალი იმ ეპოქას სუთქვით არის გამთბარი და ადამიანურობის ისტორიას ავსებს. ასევეა „შავი კატის“ პერსონაჟები, რომლებიც დიდი ხანია სახლობენ ქართულ მეხსიერებაში თავისი ღვანლითა და სისუსტეებით, რომელიც იმდენად ბუნებრივად მოჩანს ელგუჯა თავბერიძის მონათხრობ ამბავში, რომ არც ნიკო ნიკოლაძის და არც იონა მეუნარგიას ავტორიტეტს არაფერი აკლდება, უფრო მეტიც, მათი საიმიჯო კონტურები უფრო რეალიეფური და დამაჯერებლი ხდება. მათ არ ჭირდებათ ხე-

ლოვნურობა, ზეკაცობა. ნიკო ნიკოლაძის ამბავიც ჩვენთვის ელდა არ არის და ყველამ ვიცით, რომ მიუხედავად ყველაფრისა, არც ერთ მათგანს ერის ინტერესებისთვის არასოდეს უღალატია. სწორედ ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა ქართველთათვის უცხო ევროპული პრაგმატულობა შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში. და ამის პარალელურად ისიც აღნიშნა: „ჩვენი ქვეყნის გონიერობის ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობსო. ელგუჯა თავბერიძის მიერ მოთხრობილი იონა მეუნარგიასა და ნიკო ნიკოლაძის ამბის მორალიტე მაინც აქ იყრის თავს, რასაც „არაფერი პირადული“ ჰქვია.

ამ წიგნში წიგნის სათაურად გამოტანილ ერთ-ერთ მოთხრობას მინდა მივუბრუნდე. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა წიგნში. ძმები გოკიელოვები და მათი ბუღალტრის დიალოგი ქარის აწყვეტილი თარეშის ფონზე მიმდინარეობს. ანაფორასავით გასდევს ქარის ქცევა იმ დიალოგს, რომლის მთავარი ხაზი ფულის ფილოსოფიაზე გადის: „უფულობა ჯობია დიდ ფულობას. უფულო კუჭს რომ ამოიცსებს მშვიდება, ფულიანს გაძლომის შემდეგ ეწყება შფოთი და დავიდარება. ფული მანამაა სასურველი, სანამ სახლს აავსებდეს, აავსებს და სუნთქვას შეგიხუთავს, გულს გაგიჩერებს მისი სული“ – გაბუღალტრებული დავით ჯაფარიძე იმ ტოტსა ჭრის, რომელზეც ზის, მაგრამ იხტიბარს არ იტეხავს და გამდიდრებულ გოკიელებს იმ რეალობას ახსენებს, რომელიც ყოველთვის კანონზომიერად თანმდევია მათნაირი ადამიანების. „ფულს დიდი კუჭი, დიდი მადა მოყოლია. იმის ამოყორვას უნდება მთელი სიცოცხლე, ანუ ფულს ფულს

ამატებ, ის პატონობს შენზე და არა შენ მასზე. ჯიბეში ორი შაური რომ გიჭყავის, რაც გინდა, იმას უზამ, სახლი და კარი ფულით რომაა აშმორებული, ყოველწმას უნდა წმინდო აშმორებული ჰაერი“. ეს შეგონებები ქარიშხალივით აგუ-გუნებულ ქარზე მდიდარი ძმების შეკრთომას უფრო ემო-ციურს ხდის, უფრო ემოციური კი მიხეილის შვილიშვილის შემოსვლის სცენაა, რომელიც ბაბუას ეკითხება

- ბაბუ, ქარს ფრთები აქვს?
- აქვს, ბაბუ, აქვს, განა უფრთებოდ იფრენდა და იქარ-ბორბალებდა?
- რომ რა უჩანს, ბაბუ?
- განა, რაც მიმალულია და არ ჩანს, არ არსებობს, აქვს, აქვს ქარს ფრთები.

ნოველის ფინალი საბოლოოდ კრავს სათქმელს.

ძმები გოკიელების ამბავია „უზნის ჯოხშიც“. ქუთაისური ბიზნესელიტის თავგადასავალი სახალისოდაა მოთხოვო-ბილი. აქაც „ლმერთო მიშველე“ რეფრენივით გასდევს მონათხრობს. გოკიელები ამის გარეშე არაფერს ამბობენ, არ უზნის ჯოხს იცილებენ, ამაშია მათი წარმატების საიდ-უმლოო – ჭორაობს ქუთაისი. არადა, საიდუმლო სხვაშია – ლმერთს რომ გრძნობენ და მოღალატე, თვალებმიბლეტილ ნოქართან მართლები რომ რჩებიან გოკიელები. უზნის ჯოხი კი მხოლოდ წარმოდგენებია და სხვა არაფერი...

ფულის ფილოსოფიას უნდა მივაყოლოთ გამდიდრებული თერძის მიხეილ შნეიდერის ისტორიაც, რომელსაც ელგუჯა თავბერიძე ასე ასათაურებს „ოხრად დაგრჩება ფული და ოქრო“. შნეიდერი ხარჯავდა ცოტას, იღებდა ბევრს. „გობ-სეკის სინდრომია“, მხოლოდ ქართულ მხატვრულ სამო-სელში გახვეული. ფულმა გავლენაც მოუტანა შნეიდერს, მაგრამ ვერ იხსნა სიკვდილისაგან, გულმა უმტყუვნა ქუთაი-სელ ოლიგარქს, ძალიან სწყუროდა სიცოცხლე, რად მინდა

ფული და ოქრო უჩემოდ არაფერის არ მინდაო – უთქვამს და კიევის უნივერსიტეტის პროფესორს სოპეშკოს ოპრაციაზე ექვსი ათასი მანეთის სანაცვლოდ მოელაპარაკა. ამ ამბიდან ათი წლის მერე გაქალიქისთავებული ილია ჩიქოვანი გახარებული აღნიშნავდა – დიდი მეცადინეობით, როგორც იქნა ქალაქის ბიუჯეტი ორი ათას მანეთამდე გავზარდეთო. მიხეილ შნეიდერს ოპერაციამ ვერ უშველა, იგი გარდაიცვალა, ელგუჯა თავბერიძემ კი ეს ამბავი იმის დასაჯერებლად გვიამბო „ფულის მოყუჩებით გულს ვერ გაიყუჩებთ, გულის ძაფი თუ გაგიწყდა, ოხრად დაგრჩებად ფული და ოქროც“.

„თეთრი მზე თეთრ ხიდზე“ – „სათაური უკვე გულისხმობს საფრთხეს.

მაგრამ ნუ შეკრთებით. ნოველას კლასიკური, თითქმის ჩეხოვისებური დასაწყისი აქვს, თუმცა, რა შორს მივდივართ?! – ჭეიშვილისებური“ – სოსო ჭუმბურიძის ამ შეფასებას ახლახან გადავაწყდი სოციალურ ქსელში და მინდა დავეთანხმო. მყითხველს აქვს უფლება თავისი სათქმელი დაიტოვოს, მაგრამ ის, რომ ქართულ ბედოვლათობას დასტრიქელებს მწერალი – ცალსახაა. მთავარი პერსონაჟი გიორგი ედუარდის ძე ფონ – შულცი, რომელიც სამხედრო ინჟინერი, კაპიტანი, რაც მთავარია, ქალაქის არქიტექტორია და თანაც გერმანული წარმოშობის რუსი, უფრო ამძაფრებს ამ განცდას.

შულცი ქალაქის ერთ-ერთი ხმოსანია და საბჭოს სხდომაზე მუდამ ისეთი საკითხების გააქტიურებას ცდილობს, რომლის მიმართ ქართველ ხმოსნებს და ქალაქის თავკაცებს განსაკუთრებული მგრძნობელობა უნდა პქონდეთ. თეთრი ხიდის შეკეთება და ბაგრატის ტაძრის ნგრევის შეჩერება შულცმა ვერა და ვერ აქცია მათთვის პრობლემად.

ტომით გერმანელი, რუსი მოხელე ყვირის, ქართველს კი არ ესმის. უფრო მეტიც, კვირობდნენ მის ყვირილს. მხ-

ოლოდ ვაჭარ გუგუშვილში დაიძრა რაღაც, მასთან მეგობრობამაც თავის ქნა და თუ მანამდე ბაგრატის ტაძარს წელიწადში ერთხელ სტუმრობდა, ახლა მოუხშირა და კვირაში სამჯერ ადიოდა მის მოსანახულებლად. ნოველის ფინალში ცა ყვითლდება და მზე თეთრდება. ეს ანომალია იმის შესატყვისია, რაც ნოველაში ვითარდება. ქართველი ველარ პატრონობს თავის საგანძურს, ფერშეცვლილია მისი ეროვნული ლირსება და ცნობიერება. „გაკვირვებული და-დიოდა ფონ-შულცი, ვერ გაეგო, რატომ ირიდებდა ქალაქის გამგეობა, რატომ აგზავნიდა მეორისკენ, მეორედან – მესამისკენ, მესამიდან პირველისკენ. გალენჩებული იდგა თეთრ ხიდზე კონსტანტინე გუგუშვილი. ბაგრატის ნანგრევებს ვერ ხედავდა, სად დაიკარგაო, უკვირდა. ცა ყვითელი ჩანდა, მზე – თეთრი. თეთრი მზე თეთრ ხიდზე.“

ნოველაში „მდინარის უიარალო ძირი“ მთავარი გმირი იარალის ტარების აკრძალვას განიცდის. „უიარალობას რომ წარმოიდგენს, სხეული უკანკალებს. ასე გაიზარდა, ყმაწვილობიდან შეაჩვია მამამ, რომელიც ეუბნებოდა: „ქართველი თუნდაც ჩაძინებული, ხმალ-ხანჯალ-თოფს, დამპაჩას ხელით თუ ვერ მიწვდება, გაუჭირდება ქართველობაო“

იასონი სხვის მოსაკლავად არასოდეს შეიარაღებულა, ის იარალით თავის ლირსებას იცავს. უფრთხის ყველაფერს, რომელსაც იარალის ტარების ჩასანაცვლებლად გამოიყენებენ: „იარალი ქართველისათვის ნამუსად, სინდისად, ლირსებად გაჩენილა, სინდისი გაძვირდა, იარალის აყრაც უსინდისობის ნიშანიაო“ – ეს დასკვნა მას დროებამ გამოატანინა. დროება, რომელიც ყოველთვის აყენებს ამ საფრთხეებს და მისთვის გაღებული ხარკი ხშირად იმ სტერეოტიპების ნგრევაზე გადის, რომელიც მაინც რაღაცნაირად არის მიბმული ქართულთან. ელგუჯა თავბერიძის პერსონაჟები თითქოს დროის მიღმა დგანან. მათი კავ-

შირი იმ საქართველოსთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ იმდენად ხელშესახებია, რომ დროის განცდა იკარგება, რომ არა ის თარიღები, რომელიც ამ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში შიგადაშიგ გახსენებს, რომ თითქმის საუკუნე გაშორებს ამბავს, რომლის კონტექსტი დღესაც აქტუალურია. რომლის პერსონაჟები დღესაც იმეორებენ იმ შეცდომებს და ისევე განიცდიან, როგორც ეს 100 წლის წინ იყო. ქართველთა ნაციონალურ ბუნებასაც ცვეთს ულმობელი უამი. ნავთიპარია კიზირიების დრო შემოგვეფეთა. იმპერატორის ბრძანება ქართველებისათვის იარაღის აყრის ერთობ გააზრებული აქტია, რასაც იასონი კარგად გაიაზრებს და მეველესას დაიმოწმებს: „ქართველებისათვის იარაღი მარტო იარაღი არაა, ვინმეს მოსაკვდინებლად ან შესაშინებლად კი არ აგვისხამს, ჩვენი ეროვნული სიამაყეა, ეროვნულობის ნიშანია. ცისარტყელას შვიდი ფერიდან ერთი რომ გამოაკლო, ცისარტყელა აღარაა, ექვსფერიანი ცისარტყელა ვის უნახავს, ასევეა ქართველი უიარაღოდ, ფერი დააკლდება.“ ეს არის ავტორის სათქმელი. ამიტომ ამოარჩევს ქუთაისური მატიანედან სწორედ ამ ამბავს, იმპერიის მსახვრალი ხელის, ქართველთა დაბერავების სურვილით შეზავებულ ერთმორწმუნეობის პოლიტიკის საილუსტრაციოდ. ამ გაბრძოლების პათოსის მნიშვნელობაც იცის და ისტორიის კანონზომიერების ფასი. ახალწერულვაშაშლილი ყმაწვილი რომ შენიშნავს მდინარეში იასონის ნაფერებ ღირსების სიმბოლოს – დამბაჩას, ესეც მწერლის მიერ მიზანმიმართულად შერჩეული პასაუია – მდინარის ამღვრეულმა ძირმაც ვერ დაფარა ეს სიმბოლო. ჩვენი ეროვნული ყოფა დღესაც იმ ამღვრეული მდინარეს მიაგავს, რომელშიც ჩვენი იდენტობა უნდა დავინახოთ და შევიგრძნოთ. „სხვისი“ გადავლახოთ და ჩემი მე შევინარჩუნოთ თავისი სახელით და შინაარსით, ამ შრომატევად და მძიმე პროცესში კი ვინ უნდა ჩაერთოს,

თუ არა მწერალი. ჰოდა, ეს ნოველაც ელგუჯა ლებანიძის მიერ საამისოდ უკვე მერამდენედ გაღებული წვლილია, სხვა მრავალიც უსათუოდ იქნება.

მოთხრობაში „ჭონების ომში“ მწერალი იმ ცისარტყელას ფერებს დარაჯობს. ჭონების ამბავსაც იმიტომ ყვება „ქუდი ძველ დროში პატიოსნების სიმბოლოდ რომ მიიჩნეოდა“, რომ ქუდი ნამუსთან იყო დაწყვილებული, რომ „კაცს კაცად მაშინ თვლიდნენ, თუ კაცობის ემბლემა – ქუდი ეხურა“. თედო სახოკიასაც იმიტომ დაიმოწმებს, რომ ეს გაგვახ-სენოს, თორემ ნოველაში ჭონების – შავერდიანცებისა და ოვანეზიანცების კონფლიქტი არ არის მთავარი. „ქართ-ველთა ვაჟყაცობის ემბლემას რომ კერავდნენ აქაური წეს-ადათის ცოტა რამ მაინც არ გაგებოდათო?!” – მთავარი სათქმელი სწორედ ეგ არის.

სეილანას ბიზნეს ისტორიაც ნაწილობრივ იმ ამღვრეული მდინარის ამბავია. ამ უცხო სახელის კაცის ჩივილი იმასვე-მტრობას უკავშირდება. მხოლოდ აქ მტრობა უცხოტომელს კი არ ჩაუდენია, ისევ ქართველი კვეთს თავის დასაჯდომ ტოტს. ადამიანური ამბავია თითქოს, მაგრამ მაინც შორსმი-მავალი მიზნები აქვს იმ ნარატივს, რამელსაც სეილანა ყვე-ბა. ეს შიგნიდან ანგრევს და აცარიელებს ურთიერთობებს, საქმეს და შემდგომ ქვეყანას. ღვინის გამყიდველ სეილანას უმაღ გამოუჩინდება მტერი – ამ ბიზნესკონკურენციის ის-ტორიის ქვეშ იმაღება ის, რაც ხშირად მასშტაბურ სახეს იღებს ხოლმე ჩვენს ქვეყანაში. კონკურენტთან ბრძოლის ეს მეთოდები აქტიურდება პოლიტიკაში, შოუ ბიზნესსა თუ ბი-ზნესში და ამ ყველაფერს საფუძველი ერთი აქვს, – შური. „არადა, რას მერჩიან, კაცო, ერთი – ღვინო რატომ არ გიძმარდებაო, მეორე-ოქროს მედალი და ქების სიგელი მე გაშოვნინეო“... ყვება სეილანა და ეზეკი ბაბუის დანაბარე-ბით ხსნის ამ მოცემულობას, რომელიც აქტუალურობას,

სამწუხაროდ, არასოდეს კარგავს: „შურით გადარეულ კაცს ერიდეო. მარცხნივ მოდიოდეს, მარჯვნივ გადადი. შეხვედრა გთხოვოს, აიცილე რამენაირად, დალევაშიც არ გაყვეო...“

ელგუჯა ლებანიძის ამ ქრონიკაში მებორნე მინაგოს ამბავი ჯავახიშვილის „პატარა ადამიანის“ პრობლემას მოგვაგონებს და კიდევ, ონორე და ბალზაკის დეფინიციას კანონზე: „კანონი ობობის ქსელია, რომელსაც მსხვილი ბუზები გაგლეჯენ და გაივლია, ხოლო წვრილები შიგ ებმევიან“. მინაგო მებორნე წვრილი ბუზია...ვლადიმერ გრაბოვსკის და ბესარიონ ლორთქიფანიძის კონფლიქტი ბორანზე ასასვლელი გზის არდათმობით იწყება და სასამართლოში გრძელდება. დიდებმა თავი იმართლეს, კანონის ბადესასჯელიც გაგლიჯეს და განტევების ვაცად მინაგო აქციეს – „მინაგოს ჰეკითხეს-ორი ფიცარი. ერთი ამსვლელთათვის, მეორე ჩამსვლეთათვის რატომ არ გადე ბორანზე ხიდადო... რუსმა მოსამართლემ მინაგო გააციმბირა და მან პატიოსნად მოიხადა სასჯელი. არც პირად ცხოვრებაში გაუმართლა მინაგოს – მედუქნის ცოლს გამიჯნურებულს აქაც მოეცარა ხელი. მხოლოდ პატარა ადამიანის ანალოგიებით დავასრულებდი მინაგოს ამბავზე მსჯელობას, რომ არა ერთი დეტალი – აქ მოსამართლეც რუსია და დავაშიც გამარჯვებული გრაბოვსკიც. დაზარალებულები კი ქართველებია-ბესარიონ ლორთქიფანიძე და მებორნე მინაგო. ესეც იმ ამბის გაგრძელებაა, რომლისგანაც ჯერაც ვერ დავიხსენით თავი.

არც იმ ახალგაზრდას გაუმართლა სიყვარულში, მისი გამიჯნურების ისტორია და სიმღერა ქუთათურებს რომ დაუტოვა. ელგუჯა თავბერიძე მისებური „მაკვარანცხობით“ გვიყვება რეზო გაბაშვილის, ამ ნარატივის პირველწყაროს მიერ შემონახულ ამბავს. რუს ალისაზე რომანტიკულად გამიჯნურებულ თავადიშვილს ხელში ფეხმჩატე ჩრდილოე-

თის ასული შერჩება ხელთ. „ალისას განუმეორებელი სილა-  
მაზით გადარეულს თავგზა აებნა, აქამომდე სიყვარული არ  
განეცადა, წამიერი გატაცება ეგონა. იაპონიასავით ფსხრიკ  
გრძნობას როგორ დავემონებიო, იძახდა, დაემონა კი არა,  
სანთელს მიკრული ფარვანასავით იწვოდა...“ ჩალეკურ-  
ლივერ – ჩასატევრებული თავადიშვილი ალისას დასდევდა  
აჩრდილივით, სერიოზული გადაწვეტილებაც კი მიიღო და  
ბედის დაკავშირებაც გადაწყვიტა ალისაზე, მაგრამ ერთხ-  
ელ თავის რჩეულს ისეთ უხერხულ პოზაში გადააწყდა,  
რომ ყველაფერი ნათელი გახდა. განბილებულმა წერილი  
დაუტოვა თავის ტურფას: „ია უეზჯაიუ იზ კუტაისი, პრაშაი  
ალისა“, მერე გაახსენდა, რაც მოხდა, გადაშალა და ჩაას-  
წორა – „ტაში ვედრო.“ ასე შევიდა ეს სტრიქონები არღნის  
„ბესნების“ რეპერტუარში. რომ არა რეზო გაბაშვილი, ეს  
ამბავი არ გვეცოდინებოდაო-, ამბობს ელგუჯა თავბერიძე.  
არც ჩვენ გვეცოდინებოდა, რომ მწერალი, რომელმაც ასე  
ხატონად გვიამბო ამბავი მიჯნურისა, რომელმაც „ორ სიტყ-  
ვაში ჩაატია ღალატი“.

და ბოლოს, ზოგიერთი მწერალი მხოლოდ ენითაც რომ  
იცნობა, არახალია. ზოგიერთს ეს ოცნებად აქვს გადაქცეუ-  
ლი, ზოგმაც ენა თავისი მწერლობის ნაწილად აქცია – ელ-  
გუჯა თავბერიძეზე საუბარი ალბათ ამით უნდა დაგვეწყო,  
მაგრამ ეს საკითხი ბოლოსთვის იმიტომ მოვიტოვეთ, რომ  
უფრო ცხადად მიგვენიშნებინა, რომ ენა მისი შემოქმედე-  
ბის განსაკუთრებული ხიბლია. არც ეს წიგნია გამონაკლისი.  
„ფომფლო გორაკები,“ „ააგორგოლებდა,“ „მტვრისფერი,“  
„შელალებული“, „ჩალეკურ-ლივერ – ჩასატევრებული“,  
„ლხინქეიფა“, „უქარ-ნიავო“. „მთვარეულობამოგონილი,“  
„გააბაჯიჯგინებს,“ „ღუდღუდათვალებიანი“, „ტუჩბაგემწყ-  
აზარი,“ „ენაბალნიანი,“ „ჭკუადათესილი“ და ა. შ. ნამდვილ  
ამბავზე მორგებულ ელგუჯა თავბერიძისეულ თხრობას ეს

განსაკუთრებულობას ანიჭებს. მსუყე, ბარაქიანი ლექსიკა და სიტყვათქმნადობა უქმნის მის პროზას განუმეორებელობისა და თავისთავადობის ძლიერ ეფექტს. „უჩვეულო ამბებიც დრამატულიდან კომიკურში ასე სწრაფად ამიტომაც გადაინაცვლებს. თუნდაც ისე როგორც „ჭადიკვერიაშია“. მწერლის ენაზე საუბრისას არ შეიძლება თამიღა ზვიადაძეს არ დავესესხო: „ელგუჯა თავბერიძის წიგნი ისეთი სტილური ექსპრესიოთა შესრულებული, რომ ერთი შეხედვით მოსაწყენი ამბებიც საინტერესოდ იკითხება, რადგან ავტორს არასოდეს ღალატობს იუმორის გრძნობა. მისი ენა ლალი, ბუნებრივი, სალაპარაკო ენასთან მაქსიმალურად მიახლოვებული, მაგრამ აზრობრივი აქცენტების გადანაწილებით გამდიდრებული ენაა. ენობრივი და სტილური თავისებურებები იმაშიც მუღავნდება, როგორ შეუძლია ავტორს ამბავი ხან აღმატებულად, ხანაც ირონიით შეაფასოს და ცოცხალი, შეიძლება ითქვას ცინცხალი სასაუბრო ენის მასალა გამოიყენოს ამისათვის“.

ელგუჯა ლებანიძე ამ „ცინცხალი“ ენის მხატვრულ ტექსტში გამოყენების ოსტატია და იგი მომავალშიც არაერთხელ გაგვაკვირვებს, ცრემლნარევ სიცილსაც მოგვრის განსამენდელად და იქ ჩადგება, სადაც ქართული მწერლობის დემოურგები სახლობენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სურვილი ისეთივე მართალია, როგორც მისი მონათხობი – ქუთაისელთა მეხსიერებას შემორჩენილი იღბლიანი ამბები, რომელიც გასამხატვრულებლად სწორედ მას ჩაუვარდა ხელში.

## შტრიხი თანამედროვე ქართული პოეზიისათვის – ზაზა ბიბილაშვილის „ჩემი მდოგვის მარცვალი“

ზაზა ბიბილაშვილი ქართულ პოეზიაში ახალი სახეა. არაპრეტენზიული, უეპატაურ პოეტი მესამე კრებულს ითვლის, მაგრამ პოეტური ტექნიკით, სულიერი გამოცდილებითა და მისი გადმოცემის შესაძლებლობებით ყურადღებას უდავოდ იმსახურებს. მისი პოეზია მედიუმივით ატარებს ჩვენი არსებობის, ჩვენი ყოფიერების „ბზარსა“ და „იარას“, ტვირთს, რომლის გარეშე სიცოცხლის გზაზე სიარული შეუძლებელია.

ერთგან სიცოცხლის გზა, ჩვენი წუთისოფელი გამომშრალი ბარხანებისთვის შეუდარებია. „როგორ მეხარებინა ჩემი მდოგვის მარცვალიო“ – თავს იმართლებს, როცა „ირგვლივ ხორშაკნი და ხანძარია, როცა წყლისა არც ღარებია, არც ჭები და არც წყალი“.

თუმცა მივუბრუნდეთ იმ მდოგვის მარცვალს „ცათა სასუფეველს რომ წააგავს ჩვენს ყანაში დათესილს. იგი ყოველგვარ თესლზე მცირეა, მაგრამ როდესაც იზრდება, ყოველ მწვანეულზე დიდია და ხედ იქცევა, ისე რომ მოფრინდებიან ცის ფრინველები და მის ტოტებს შეაფარებენ თავს“. ზაზა ბიბილაშვილის საბედისნერო, მტანჯველი კითხვის პასუხი „როდის მეხარებინა ჩემი მდოგვის მარცვალიო“, ისევ იმ სააზროვნო სივრცეში დევს, სადაც ეს კითხვა დაიბადა. ეს მარცვალი მაშინაც ხარობს, როცა პოეზიის საუფლოში შედიხარ და ირანელი პოეტი ქალის რაბიასი არ იყოს, ღმერთამდე მისასვლელად ამ გზას ირჩევს. აქ, ალბათ დროა, ფრჩხილები გავხსნათ და ვაღიაროთ – ზაზა ბიბილაშვილის პოეტური კრებული „ჩემი მდოგვის მარცვალი“ მისი ესთეტიკური ორიენტირების ჩამოსაქნელად წინ გად-

ადგმული ნაბიჯია, ჩვენთვის კი შესაძლოა იმ ტოტების მისიას ასრულებდეს, სადაც თავის შეფარება სულიერი ხსნის ტოლფასია. აქვს პოეზიას ასეთი უნარი, თუკი მკითხველსა და მწერალს შორის კომუნიკაცია შედგება, თუკი ორთავე შეძლებს სიტყვის საერთო განმარტების მოძებნას და ასოციაციურ ხილვებში ერთმანეთს შეეხიდებიან. როცა მწერალი სიტყვას ნათელი ფიქრის სამოსად აქცევს და „სინრფელეს არ ეთვალმაცება“. თუკი იგი იტყვის „და ვანთებდი ლექსს, როგორც სანთელსო“ და სამყაროს ფერების გაფერმკრთალებას ისე განიცდის, როგორც ზაზა ბიბილაშვილის ამ ლექსშია;

ზღვა არ იყო ლურჯი ფერის  
ზღვაში მზე არ ხარობდა,  
ხარხარებდა ლუციფერი  
ჯოჯოხეთის ხაროდან.  
ფრთები ფრთიანს დაეცალა,  
სადმე სამარდებოდა  
მარტს საიედ არ ეცალა,  
მაისს სავარდებოდა.  
სიყვარული შებილწული  
ყველას ყელზე ეკიდა,  
თვალს ხუჭავდა მეფისწული  
ვერ ითხრიდა ეკლითა.  
ნაღმერთალი მონეტები  
ყალბი იყო ცრემლივით...  
და კვდებოდნენ პოეტები  
ციდან ჩამოცვენილი.

სიყვარულის სევდა არაერთხელ გახმიანდება ზაზა ბიბილაშვილის ამ ლირიკულ კრებულში. მის ტაეპებს ზოგჯერ ირონიული ტონალობაც შეერევა, რადგან სიყვარულის სიმაღლესა და კნინ სინამდვილეს შორის კოლიზია ზოგჯერ

მართლაც წარმოშობს კომიკურ ეფექტს ისე, როგორც მის ერთ-ერთ ლექსშია, რომელსაც „განცხადება“ (გაცნობა – დაოჯახების კლუბის არქივიდან) ჰქვია.

გამახსენდა განცხადება ასე სულ არ იწერება  
ვის ადარდებს, თვალები გაქვს  
ბრიალა თუ მინაბული?  
ქერა ხარ თუ შავგვრემანი,  
უწვერო თუ–თხის წვერება  
შენი ბედის გრაფებია:  
„სამსახური“, „ბინა“, „ფული“

სიყვარულის საგალობელს სმენაშეჩვეული ქართველი მკითხველი ზაზა ბიბილაშვილის პოეტურ სივრცეში სტერეო-ტიპებსა და მონოტონურობას ვერსად წააწყდება. აქ არის აღმოჩენის ის ნეტარება, რაც დიდ სულიერ გამოცდილებასა და მისი გადმოცემის ნიჭიერებას მოყვება ხოლმე. პოეტის ტალანტს ყოველთვის თან ახლავს არამარტო ეროტიული, არამედ ზნეობრივი კონფლიქტით გამოწვეული დრამატიზმი და უსიყვარულოდ დარჩენის ტრაგიზმი.

უნდა დაგიბრალო,  
ვიდრე მოგონებით მთვრალი ვარ და  
სანამ თვალები მაქვს  
ალის ათინათით შენაფერი:  
ვიდრე მარტოობა  
თავში თრიაქივით ამივარდა  
ვიდრე წავედი და  
ყულფის თავშესაფარს შევეფარე...

„ოცნებათა ამირბარი“, „უილბლო მოალყე“ – მიჯნურის ასეთ მეტაფორებს, რა თქმა უნდა, აღმოჩენის სასწაული ახლავს, ახალი სიტყვის აელვარების ნათება მოსავს. მით უფრო, როცა ზაზა ბიბილაშვილის „ქრონიკული ტრფიალის

ქრონიკას“ ასეთი პეიზაჟი ალამაზებს:

სათიბში მიჯნური  
მთვარე დაბარბაცებს,  
იციან, იწვიან  
ვარსკვლავთა ნარგისნი.

მშვენიერი სქესისადმი მიძღვნილი სტრიქონები მხოლოდ მოუხელთებელ „მასთან“ არის ასოცირებული. მისი ჯიუტი ტრფიალის სურვილი აქ პროექცირდება. განშორების სევდით მთვრალი, ერთად ყოფნის ბანალობას განრიდებული პოეტი იმ სიყვარულს დაეძებს, „რომელიც ზღაპარს ჰგავდა. უმრავლესობას—ათასერთის კი არა და—ერთი ღამისას“. მოყმის არქეტიპის შთაგონებითა და ფოლკლორული ვარიანტის მუსიკალობით უღერს ბალადა სიყვარულზე. მისი მოყმე სიყვარულის მდევარია, სატრფოსგან ცალად დაგდებული, სწორფურობის სიხარულს გაშორებული. ჭიუხებში აფთრის ნაწილი მის ნაწილად ენიშნება და „კოცნის სახმილით დამწვარი“ გრძნობას ვერ იურვებს:

ეგებ ფიქრობ, მოვრჯულდე  
უმადურ კვალზე ნათრევი,  
ვერცხლის ბომონებს დავაკლა  
ჩემი უბელო ნატვრები,  
გავთბე სარკმლიდან სამადლოდ  
შემოგდებული მზის სხივით  
ტრფიალი აღარ მომშივდეს  
აულებელი სისხლივით.

გამიჯნურებულთა უძველესი სიმბოლო – ვარდბულბულიანიც კი ზაზა ბიბილაშვილთან ახალ სუნქვას იწყებს, თანამედროვე ემოციონალობით იტვირთება. იგი ახალ მგრძნობელობას ანიჭებს მიჯნურთა ამ მეტაფორას და განცდათა მოდელირებას ისე წარმართავს, როგორც თანამედროვე

პრაგმატულ სამყაროს შეშვენის:  
მღერი – მგონი ამომღერდე  
სულ ბოლომდი,  
ზურმუხტებში ვარდი ისე ძონისთვალობს...  
მაგრამ ქარი რად ქირქილებს,  
გულბოროტი:  
სთველი ესე ვერასოდეს  
მოისთვალო!  
თითქოს სული ტრფობის ალით კი არ იწვის  
შეშლილობის სენით განუკურნებელი,  
და სურნელი, ასე მძაფრი,  
მწიფე მინის  
ბედისწერის მომწამვლელი სურნელია.

პოეტური ჩანაფიქრი – მონატრების სიყვარულის ვიტა-მინებით მკურნალობა, მისი შიგთავსის ანატომიურ-ასოცი-აციური მსგავსება სიყვარულის ძირ-მწარესთან, განხიბლვა და კვლავ შეყვარება, განშორება და მონატრების სიხარული. მარადიული წრე-ბრუნვის ეს მაცოცხლებელი ენერ-გია ლექსიდან ლექსში გადადის, სხვადასხვა ინტონაციებში ტყდება, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს ზაზა ბიბილაშვილისათვის დამახასიათებელ „შინა-სახეს“. სულის ასეთი ძახილი ადვილი სატარებელი არ არის. ყველა როდია მტ-ვირთველი და სიყვარულის გოლგოთის გზაზე გამსვლელი, რადგან:

სიყვარული გრიპი არ არის,  
ორჯერ და სამჯერ  
ანდა ყოველ წელს  
ყველას კი არ შეუძლია გადაიტანოს.

ზაზა ბიბილაშვილის ეს პოეტური კრებული უკმარი-

სობის გრძნობას არასოდეს ბადებს ისეთი მოდიფიკაციის გასააზრებლად, როგორიც ადამიანი და გარესამყაროა. მისთვის ნიშნეულია თვითგამხელისა და თვითშემეცნების გზით სიარული ზურგზე ჯვრითა და გულში წყევლის ლახვარით, ადამიანურ ცოდვათა აღიარებით, ტალახის გუნდის სროლისგან გაჩერილი ტკივილით, მოყვარე-დუშმანთა გარემოცვით. და მაინც, პოეტი სიცოცხლეს იღებს როგორც ღვთის საჩუქარსა და ამავდროულად სასჯელს. ხშირად უღმერთობის განცდაც უჩნდება და უფლისგან მიტოვებული ადამიანების სიბრალულს იტკივებს. ამ ტკივილთან ზიარებისას გოლგოთას პირნათელი გადის, რადგან ზნეობა და სინდის-ნამუსი ვერ დაუთმია.

ვერ მოგიშორე, შავეთო,  
საქაჯე-სამიკიოტე!  
ან უნდა ქვებნელს ჩავერთო  
ან მარად უნდა მტკიოდე,  
ანდა იუდას ფიცივით  
დარეცილ-დანანაცრები  
ურჯულოს ბილწი სიცილით  
ვითვალო ჩემი ტაძრები.

პოეტი იმ სამყაროში ცხოვრობს და აზროვნებს, სადაც „გაბევრებია ქალაქს სახვნეში“, სადაც არ არიან, „და თუ არიან ღრუბლის მწყემსავენ ფარას ღმერთები, სადაც „უამია უუმური და სიკვდილისთვისაც კი აფერმქრთალებენ“. სადაც „კარიც არ დარჩა შემოსამტვრევი-გამტვრეულია ყველა შიგნიდან“. ასეთი აპოკალიფსური შეგრძნებები იმ რეალობასთან არის შენივთებული, რომლის ფერადოვნების მიღმა ინისლება სიმართლე დამსხვრეულ იმედებსა და ღვთისგან მიტოვებულ ადამიანებზე.

რად მოველ,  
რა ვნახე და

რა იმედებით მჯეროდა –

ატლანტს შევცვლიდი, გოლიათს

ზეცა მჭეროდა მხრებითა

ცხოვრება რამე გვგონია, სანამდე შევეყურებითა.

დროის წარმავლობის ხატოვანება, მასთან დამარცხების სევდიანი ოდისეა ზაზა ბიბილაშვილთან სიკვდილთან შეხვე-დრის შიშსაც კი არარად აქცევს. მთავარია, რაც შეიძლება მეტი მოასწროს, მეტი შეისუნთქოს და მისი ამქვეყნად მოვ-ლინება გაამართლოს. დროის მდინარების ასეთ მხატვრულ ასოციაციას კი ბევრგან ვერ შეხვდებით:

წუთების ფოთოლი ცვივა:

წითელი, ყვითელი, მწვანეც.

ვაგროვებ მშვენიერ წამებს

ზამთრისტვის ავისხამ მძივად.

ზაზა ბიბილაშვილის ლირიკულ ლექსების კრებულში მინორული განწყობილებანი ჭარბობს. იგი მართალია საკუთარ თავთან მკითხველთან. ის, რაც მას ასევდიანებს და შემდეგ ამაღლებს კიდეც, ტაძრისკენ სავალ გზას გვიჩვენებს. ეს გზა კი მარტო სევდის გორაკებიდან მოჩანს ძველი დროშით, რომელზეც წარწერა არ იკითხება. გულით, რომელსაც კოცონის ძიებაში ნელთბილი ნაცარი შერჩა, სინდისისგან განძარცული არადროებით, გაყიდული ანთეოსითა და ბო-ლოს-ბატის ფრთისა და დახლის ნაძალადევი დამოყვრებით. წინ კი ნისლიანი აღმართია, სადაც მობრუნებას დანაშაულ-ად მიუთვლის საკუთარ თავს და ამბობს:

განა არ ვიცი? – ამოდის კიდეც.

მეც ეგ არ მიკვირს? – სულ ჩასვლაზე რად მეწერება?

ამ ლექსს ჰქვია „წელიწადი, როგორც ერთი დღე“. დღი-ურები. როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ლექსს კი არა, ლირიკულ პოემას დავარქემევდიო. დავეთანხმები. აქ თითქოს ერთად არის შეკრული, რაც აქამდე უთქვამს და უფიქრია. „იმდენს

ვფიქრობდი, ვეღარ ვიცხოვრეო“ – ამბობს ერთგან და მერე დასძენს „ვერ ვისწავლე თქვენი ცხოვრება, ჩემი კი ვერა და ვერაო“. ეს მოკრძალებული და თანაც მართალი განცდა თუ არ ახლავს მწერალს, ის ვერასოდეს აივლის თავის აღმართს ისე, რომ უკან დახევის ჩვევა არ გაითავისოს. უკანდასახევი ხიდით მხოლოდ ერთეულები არ სარგებლობენ, როგორც თავგანწირული მეომრები ბრძოლის დროს, რადგან ბრძოლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი.

ზაზა ბიბილაშვილთან წუთისოფლის საბაჟოზე მოღულუნე მტრედები სწორედ მათ დაპადებას აღნიშნავენ. მტრედები აქ შემთხვევით როდი ვახსენეთ, ისინი ადამიანის დაბადებისა და სიცოცხლის ახალ ქრონოლოგიაზე მსჯელობენ „საბაჟოს წინ ამოყლარნულ სიცოცხლის ხეზე“ ზაზა ბიბილაშვილის ლექსში „საბაჟო ცხოვრებისა ანუ დაბადება რამდენიმე წლის ასაკში“. ამ ლექსში მოჩანს პოეტის რეფლექსია ადამიანის მოვლინების არსა და დანიშნულების დიალექტიკაზე. თითქოს ირლვევა აქამდე არსებული ყველა ჭეშმარიტება. პოეტისათვის აქაც იმანენტური რჩება არსებული იდეალების ანალიზი, შემოწმება, ახალი იდეების პროვოცირება იმისათვის, რათა ცხოვრება დაუნაწევრებლად გააიზროს. დროის დიდ კონტექსტში წარმოქმნილი ადამიანური ყოფიერების დრამა ზაზა ბიბილაშვილთან უმოკლეს დროში განიცდება. მისი სააზროვნო სივრცე იშლება ისე, რომ სრულიად საკმარისია მდოგვის მარცვლის ნაყოფის სახილველად.

პოემა „ნერილი ბოთლიდან“ ტრივიალური თვალსაზრისით შეიძლება ბადებდეს კითხვებს მის უანრობრივ კუთვნილებასთან დაკავშირებით, მაგრამ ზაზა ბიბილაშვილის პოეტური ფიქრი, მისი გრადაცია, გამომსახველობითი საშუალებანი ერთბაშად გიკარგავს ამ მიმართულებით წაიყვანო მსჯელობა. მით უფრო, როცა ბოთლში შენახული წერილი

„დაფდაფებითა და დიპლიპიტოთი შეფერილ“ იმ აწმყოზე გაფიქრებს, სადაც მეფე ერთდროულად „ალია, უფალი და მეფისტოფელი“ და იქვე „შვილთა ორგიაა დაუსაბამო“. მათ გადაივიწყეს „როდის და სიდან მოსულან“. აწმყოს მიყურადებული პოეტი წარსულს უხმობს საშველად, იქნებ განგაშის ზარების რეკა დაგვიანებული არ არის.

ჰომი, ხრწნამორეულ სააქაოს სუნში ჩამპალო-

ეულ-შორეულ-გზააბნეულ-სულშესაფარო!

ჰომი, დატეხილო ჩემი ხელით ნგრევის თავზარო!

ჰომი, გატეხილო ცხრაკლიტულო, ციხევ, ტაძარო.

და ბოლოს, ყველამ ვიცით, რომ ვერლიბრი პოეზიაში ნოვაცია არ არის, მაგრამ მისი გასრულყოფილების პროცესი კვლავაც ძალაშია. ვინაიდან აქ არ არსებობს აკუსტიკურ-მუსიკალური ეფექტები, იგი სათქმელში საზრისის პრიმატს უშეღავათოდ მოითხოვს.

ზაზა ბიბილაშვილის პოეტური ესთეტიკა ამ შეღავათებს არ საჭიროებს. მაღალი რეგისტრის ემოციურობასა და აზრის აქტუალობას მოაქვს მისთვის პოეტის მანდატი – მან თავისი ყამირი უკვე გაკვალა.

## „წერილები საქართველოს“ – წიწამურის გზაზე მავალთათვის

კარგ წიგნს რომ სარგებლობა მოაქვს, ჯერ კიდევ სენეკამ შენიშნა მაშინ, როცა წიგნების სარგებლიანობა მათი სიუხვის პირდაპირპროპორციული არ იყო. მაგრამ ყველაზე უკეთესი რომ მხოლოდ ის წიგნი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელშიც მეტი სიმართლე ირეკლებოდა, მომდევნო საუკუნეებში არაერთი ცნობილი მოაზროვნის მოსაზრებებში გამოკრთდება.

საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმა, რომელსაც უურნალისტიკა ეწოდება ქართული სინამდვილისათვის ყოველთვის იყო მისი აქტიურობის, აზროვნების ნიშნული და იმ ფუნქციას ითავსებდა, რომელსაც ემერსონის მიხედვით, სიმართლის დაცვა ევალებოდა ყველგან, სადაც მას თავს ესხმოდნენ. ახლა, როცა ელგა ფოლადიშვილის უურნალისტური აქტიურობის ფარდი მისი მხატვრული პროზა გვიდევს წინ, მოლოდინი უზარმაზარია, ვინაიდან ამ აქტიურობას ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულში გაზავებული ნიჭიერება ისე ბუნებრივად მიყვება, როგორც რჩეულებს ეკადრებათ. საბოლოო განაჩენი ქვეყნისა და ერისათვის მაშინ დგება, როცა მწერლობა, უურნალისტიკა და საზოგადოებრივი აზროვნების სხვა ფორმები კარგავენ საჭირბოროტოზე რეაგირების იმუნიტეტს. მოდერნიზებული კულტურული ოკუპაციის ვირუსი, რომელსაც პირველი იერიში ჩვენს მგრძნობელობაზე მიაქვს, არ არის მარტივად აღქმადი. მისი მოქმედება დროსა და სივრცეში ისეა განვითნილი, რომ ნელი მოქმედებით გაკარგვინებს კულტურულ კოდს და ისლა დაგრჩენია ეროვნული ენერგიისაგან დაცლილმა საზღვრებს მიღმა ეძიო ჭეშ-

მარიტება და სიმშვიდე.

საბედნიეროდ, საქართველოში ყოველთვის არსებობდნენ ისინი, რომელთაც ჰქონდათ პასუხისმგებლობა ემხილათ და ელაპარაკათ იმაზე, რაზედაც ტაბუს უწესებდნენ. დღესაც არიან, ვისაც აქვს უნარი დროულად დაარისხოს ზარები, შეგვახსენოს იმ მარადიულ ფასეულობებზე, რაც შენი ქვეყნის „წესითა და რიგით“ დროის მოდურ ლოკალს არ უნდა დაუქვემდებარო. ისინი თითქოს იმიტომ იბადებიან, რომ ოთარ ჭილაძისა არ იყოს, ჩვენც იმ ბედნიერ ერებს შორის აღმოვჩნდეთ, სამშობლოს თავისუფლება და ერთიანობა რომ არ ეოცნებებათ”.

საუბარს იმაზე, რაც ერის სიმრთელესა და მორალურ-ეთიკურ კატეგორიებზეა გათვლილი, ყოველთვის ეყოლება დამფასებელი. შეიძლება მცირე, მაგრამ გულწრფელი სანქციის მიმცემი. დავით გურამიშვილი იმპერატიულად ახმოვანებდა მართლის თქმის უალტერნატივობას ქვეყნისათვის. „მე თუ გინდა თავი მომჭრან“-ო, ბრძანა, რადგან იცოდა საამებელს არას ამბობდა იმათთვის, ვინც მისი ქვეყანა მძიმე ყოფაში ჩააგდო. ამ გზით სიარული რომ ადვილი არ არის, წინამურში გასროლილი ტყვიაც შეგვახსენებს. ისიც ცხადია, რომ ამ გზაზე ყველა ვერ შედგება, „ერთია მტან-ჯველი და გზაზე გამსვლელი“ (კ. გამსახურდია) მაგრამ მათ ყოველთვის ჰყავდათ, თავისი „იზატები“, რომელსაც ბედისწერად მიჰყვებათ ამ გზის აღქმისა და შეცნობის უნარი. ეს არ ისწავლება – ისინი ამ მგრძნობელობით იბადებიან.

ელგა ფოლადიშვილის წიგნს „წერილები საქართველოს“ მოწამეობრივი თავგანწირვა და დედათა ეთიკურობა, პასუხისმგებლობის უცნაური, საბედისწერო განცდა და სიყალბით აღბეჭდილი დროის უზუსტესი შეგრძნებები დაყვება. მიუხედავად ნუმერაციისა (ეს მისი პირველი წიგნია)

ამ წიგნს ჭაშნიეს ვერ დავარქებულ. უბრალოდ აქტიურ უურნალისტიკაში გაპნეულმა მისმა დროულმა სიტყვამ ახლა მხატვრულ ტექსტებში მოიყარა თავი. წიგნი უანრობრივადაც ორიგინალურია, -ლირიკულ პროზას დავარქებული, რომელიც მის გრძნობად-ემოციურ სამყაროს ძალზე ესადაგება. ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალი და პიროვნება საოცნებოდ ემთხვევა ერთმანეთს. არადა, ამ თანხვედრით ჩვენი რეალობა, სამწუხაროდ, არ გვანებივრებს და ნდობის დევალვა-ციაც კალმოსანთა მიმართ კარგა ხნის პროცესია. აქედან გამომდინარე, ელგა ფოლადიშვილის წიგნის ყდაზე გამოტანილი ფრაზა „შენ ჩემი სამშობლო ხარ და უნდა გითხრა“ ვერასოდეს შეიძენს ტრივიალურ ელფერს. მას ყოველთვის ექნება ნდობის ის მარაგი, რომელსაც ელგა ფოლადიშვილი, როგორც მწერალი, უურნალისტი, პიროვნება და ამ ქვეყნის შვილი იმსახურებს. ეს საბედისნერო ფრაზა, რომელსაც ფიცის საკრალურობა ახლავს მისი წიგნის ყდაზე ის, ეტრატისა და ფოლადის სიმბოლური გამოსახულების ფონზე ჩნდება. აქ სამივე სიმბოლიკაა ჩაკირული: ია – სათნოების, სიყვარულის, გაზაფხულისა და სილამაზის. ეტრატი – საკუთარი ფესვებისა და ისტორიის, ფოლადი-სიმყარისა და პირმტკიცობის, რომლის სისუსტეზე იგი არაერთხელ დაიჩივლებს თავის წიგნში. ასეთი ასოციაციური ორიენტირების გამოჩენა წიგნის ყდაზე შემთხვევითი არ არის. ამ ბალაგარზე დგას მცნებებად ჩამოქნილ-ჩამოკვეთილი მთელი მისი სათქმელი. აქ ვერ მონახავთ ზედმეტ ფრაზას, „მორიგე პასაჟს“ ემოციური შუალედებისთვის რომ იყენებენ მწერლობაში. „საცა სიმართლე არ მიმიძღვის, ხმალი არ მიჭრის“ – ამბობს შექსპირი. ელგა ფოლადიშვილის სიმართლის ოცდახუთ ბარათად აწყობილ ამოკვნესას ორად ორი პერსონაჟი ჰყავს. მწერლის სამიზნე მხოლოდ ერთია: „შენ დამისევდიანე ბავშვობა კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის

დარდით, მაიძულებდი, ღმერთის შემდეგ შენ მყვარებოდი“. სწორედ ამიტომ არ გეფანტება ემოციები ამ ბარათების კითხვისას. ელგა ფოლადიშვილის მხატვრული აზროვნების სივრცე, მიუხედავად პერსონაჟთა სიმწირისა ხდება უკიდე-განო სწორედ იმის ხარჯზე, რომ მისი ადრესატი მთელი სამყაროს მომცველია და მისი შეცნობის შემდეგ ეს პერ-სონაჟებიც თავისთავად წარმოდგებიან ცნობიერებაში. ასეთი ორიგინალური მხატვრული ნარატივით შემოდის ჩვენში სამშობლოს განცდა, მართლაც ღმერთის მერე რომ უნდა გიყვარდეს. „შენი თვალსაწიერი მსოფლიოდან იწყება და საქართველოს, როგორც მსოფლიოს ერთმემილიონედ ნაწილს, ისე განიხილავ.“

ჩემი თვალსაწიერი საქართველოდან იწყება და საქართ-ველოს იქით იწყება მთელი სამყარო...

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ორივე რუკას დავც-ქერით, შენ – მსოფლიოსას, მე – საქართველოსას“.

მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ელგა ფოლადიშვი-ლის წიგნში არ არის გათვალისწინებული შეღავათები მათ-თვის, ვინც „მამულის ცნება ადგილის ცნებით ჩაანაცვლა და ვისთვისაც მამული მხოლოდ ეზო-კარია“. „ვინც ვერ გრძნობს აწყობს, „ვინც ყოველდღე ტაშისკვრით ხვდება იმ აუქციონს, მთელი ქვეყანა დემოკრატიის საცვალში რომ გაგვაცვლევინეს“.

ელგა ფოლადიშვილის „წერილების საქართველოს“ მკითხველის სასიცოცხლო ნერვზე გადის. ვისაც ამ ტკივი-ლის ნაწილობრივ ტარება მაინც არ შეუძლია, ამ მწერლის სამყაროში თავს კომფორტულად ვერ იგრძნობს. ეს ვერდიქ-ტი კონფორმიზმისა და სარგებლიანობის ვნებებში ჩაძირულ ადამიანებზეა გათვლილი. ელგა ფოლადიშვილის სულიერი კამერტონი მის „წინდაუხედავ სიმართლესთან“ თანაარსე-ბობს. ამ სიმართლეს ხშირად თავს ესხმიან. „მე მქოლავენ,

მლანძლავენ, მაგრამ მაინც ვწერ და თანაც ვფიქრობ, ყველასათვის გასაკრიტიკებელს – არა“. ეს არ არის მხოლოდ მისი სიმართლე, მისი პრიზმიდან დანახული ჭეშმარიტება. არც ეპატაჟური ხრიკია და არც მრუდე სარკის ეფექტი. ეს ტაძრამდე სავალი გზისთვის განკუთვნილი, ჩვენი ყოფიერებიდან მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიმართლეა, რომელიც უნდა ამოითქვას და რომელსაც უსათუოდ ზიარება და გადარჩენა უნდა მოყვეს:

„ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი სათქმელი, მაგრამ ხანდახან არ ვიცით ხოლმე, რომ ამ სათქმელის ამოთქმასაც თავისი მადლი აქვს, უფლის კარზეც და კაცთა შორის. ჩვენ ყველას გვტკივა რაღაც შიგნიდან, მაგრამ ამ ტკივილს სინანულამდე ბევრი არ მიჰყავს.

და თუ არ გვინდა, რომ განკითხვად გადაგვექცეს ჩვენ მათზე ფიქრი, უნდა ვიდარდოთ მათ მაგივრადაც... ჩვენ ყველას გვინდა, რომ ავმალლდეთ ჩვენს თავზე მალლა, მაგრამ ამისათვის უმოკლესი გზებით დავდივართ-სხვათა დაჩაგვრით, ზურგზე ჯდომით, თავზე გადავლით, და-ძმის განირვით, კაცთა მოკვლით, ან ცრუ ამბორით ვინ ასულა ზეცაში ნეტავ, რომ ჩვენ ავიდეთ?!“

იმ სამყაროში, საიდანაც ელგა ფოლადიშვილი არასოდეს წასულა და ალბათ ვერასოდეს წავა, მისი ყველგანმყოფი მზერა ყველაფერს ფარავს. ამ დაკვირვებებმა და შეგრძნებებმა მასში ძალიან ადრე გაიღვიძეს, ძალიან ადრე იგრძნო, რომ „მისი ბავშვობა მალე დამთავრდებოდა“. ადრეულმა სმენამ, ფართოდ გახელილმა სულის თვალებმა დააწერინა მას ეს ბარათები. „ჩემი საქართველო ჩემშია“ – ამბობს იგი და ამორძალის შეუპოვრობით გლეჯს ნიღაბს მათ, ვინც „ცრუ იმედების, ცრუ ოცნებების, ცრუ სამეფოში“ თავის ერს ვერ გრძნობს და ვერ ხედავს. სადაც არ უნდა იყოს მწერალი, საიდანაც არ უნდა იწყებოდეს მისი დილა-სვანეთის

უჩვეულო სანახებიდან თუ ქალაქის ურბანისტული პეიზა-  
ჟებიდან, მას არ ტოვებს ფიქრი, რომ ყველა დაღმართს  
თავისი აღმართი მოყვება და პირიქით. „ის სინათლის წამიც  
სწორედ იმ ერთადერთ აღმართზე მეგულება, რომელზეც  
ცოდვა-მადლით დამძიმებულ სულსა და სხეულს მივათრევთ  
უფლისაკენ სავალ გზაზე!

დაიბადება მრავალგზის დაბადებული!..

სიკვდილი მას არ უწერია, თუ თვითონ არ მოკვდა“.

ცხოვრების ამ დიალექტიკაში კვლავ მოჩანს ის ყველაზე  
მნიშვნელოვანი, რომლის გარეშე ელგა ფოლადიშვილთან  
არაფერი განიხილება. იგი ამ ქვეყნის აღმართ-დაღმართზე  
საუბრობს. მზის დაკარგვით გამოწვეული განგაშის ზარი  
მის ირგვლივ რეკს. მას ქართული მზე ეძვირფასება და  
სრულიად ერთმნიშვნელოვნად ამ კოსმოგონიურ ღვთაებაში  
ყველაფერთან ერთად, რაც წინაპრებისგან უსახსოვრებია,  
იმასაც მოიაზრებს, რომელიც ჩვენმა უსწორმასწორო რე-  
ალობამ – მზის რაინდების გადაგვარებამ, მათ „გამიწრივე-  
ბამ“ შთააგონა:

„ჩვენ მზე დავკარგეთ, მზის საძებნად გაგვიწევია!..

ვინა ხართ, სადა ხართ, რამდენი ხართ, მზეზე გამოდ-  
ით!..

ყოველი სხივი დაკარგულია, თუკი გული ყინულისა გაქვს  
და არ გინდა რამემ გაგილლოს!..

ყოველი სხივი დაკარგულია, თუკი გონება ნათელს არ  
ეძებს და ბნელში ცხოვრობს!

მზე ჩრდილოეთით არ ამოდის, არც სამხრეთით, არც  
დასავლეთით... და თუ „ამოდის“. ის მზე არაა!!!“

ასეთი ექსპესიულობითაა ნათქვამი სიმართლე აფხაზე-  
ზე, რომელიც რამდენიმე რომანს ეყოფოდა ფაბულად.  
ბარათის სათაურშივე „რისთვის ჩავაწყვეთ ამდენი ტყვია“  
ტრაგიზმთან ერთად იგრძნობა ამ პასუხგაუცემელი კითხ-

ვის ლეგიტიმურობა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. შეჩვეული ტკივილისა და დაქსასულობის საფრთხეები, აფხაზეთში ვერდაბრუნებისა თუ არდაბრუნების სევდა. სათქმელის ეტიმოლოგიას კი კვლავ ქვეყნის გულშემატკივრობის ტვიფარი აზის, რითაც ელგა ფოლადიშვილი ასე გიმორჩილებს და აგანთებს.

„ჩვენ გვავიწყდება უფრო მთავარიც: იქ ეშერაში, გაგრასა და გუდაუთაში ვიღაცა მოკვდა...“

ვიღაცა მოკვდა-ჩვენი გულისათვის, სამშობლოსათვის, კიდევ იმისათვის, რომ ტყუილში ალარ გვეცხოვრა!

ეს ის ვალია, რომლის გადახდას ვერ შეძლებენ დონორი ქვეყნის ნაბოძები კრედიტ-გრანტები...მსოფლიო ბანკში ყველაფერი ფულზე ითვლება...“

ჩვენი ვალი კი იზომება სისხლით და სულით.

ჩვენ დაგვავიწყდა, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერაც აცვია ძაძი“

ელგა ფოლადიშვილის არატრადიციული უანრობრივი ნორმატივებითა და ორიგინალური სტრუქტურით გამორჩეულ წიგნი სამი ნაწილისგან შედგება. მისი ოცდახუთივე ბარათის ადრესატი საქართველოა. წიგნის მეორე ნაწილს, რომელსაც „დაკემისილი ისტორიები“ უწოდა და მესამეს-„ალტერნატიულ ლექსიკონად“ წოდებულს კვლავ ის სევდა გადმოჰყება საქართველოს ცის ქვეშ ცხოვრების სევდა და სიამაყე ერთდროულად რომ ჰქვია. საუბრის ფორმის ცვლილების მიუხედავად, ყველაფერი მაინც მასთან მიდის და აქ იყრის თავს. ელგა ფოლადიშვილი მისი დავალებით წერს, განიცდის. იგი ხომ „ჭირვეული ჩვილივით ავალდებულებს მასზე ზრუნვას, მოშურნისა და ბოროტი თვალისაგან დაცვას“. ავალდებულებს დაიცვას იმ ადამიანებისაგან „სამშობლო გაცვეთილი, ყავლგასული ცნება რომ ჰგონიათ, რომელსაც სიძველის ჩრჩილი უჩნდება და

ამზეურებენ დროდადრო“. ეს წიგნიც იმიტომ შეიქმნა, რათა სამშობლო გამოგლიჯოს ხელიდან იმათ, ვინც „მუდმივად ატარებს არჩევნებს, მუდმივად ირჩევს პრეზიდენტს, მთავრობებსა და პარტიებს, მაგრამ არასოდეს ირჩევს სამშობლოს“ – აღიარებს ავტორი.

წიგნის მეორე და მესამე ნაწილში ელგა ფოლადიშვილს გამოხატვის ფორმაში შეაქვს დისონანსი და სახეობრივ აზ-როვნებას გადაუხდის ხარკს. თავის ნოველებში მას ბუნებრივად და ლალად შემოჰყავს ავანსცენაზე გმირები, რომლებიც ამ ქვეყანაში ჯერაც დაატარებენ ზნეობის მძიმე ტვირთს და ანტიგმირები, რომლებიც ამ ტვირთის შეგრძნების გარეშე აპირებენ ამ ქვეყნიდან წასვლას. დანომრილია ისტორიები სახელდებული პერსონაჟებით, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით, ვიცნობთ, მაგრამ ვერ შევიმეცნებთ. ამ „უძეგლოდ დაკარგული ადამიანებისათვის“ წიგნში გამორჩეული ადგილია, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ელგა ფოლადიშვილი „გაიძულებს“, დაინახო ის უმნიშვნელო მნიშვნელოვანი, რომელიც შენ თავად გჭირდება და რომლის გარეშეც- „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვია“-ო ვერასოდეს დაიქადნი. ვერ მოიპოვებ უფლებას კაცად იწოდებოდე, თუ ლევილის სასაფლაოს კართან ფესვებდანატრებული, გულ-წრფელად ატირებული ემიგრანტის სევდას ვერ გაითავისებ. ვერ შენიშნავ თეოს, რომელიც სხვა ბავშვებივით მალე გაზრდაზე არ ოცნებობს. არ დაინახავ ქრისტოს თვალებში არეკლილ ზღვასა და ომის მოგონებებს. ვიღაცას ალბათ შეუძლია იცოცხლოს მათ გარეშე, მაგრამ არა ელგა ფოლადიშვილს. „ნატკენ ფეხზე მეტად კაცს შეიძლება გული სტკიოდეს და კიდევ რაღაც, სხეულის მიღმა დარჩენილი და უსახელო...“

„ალტერნატიული ლექსიკონის“ ჩანაფიქრი ელგა ფოლადიშვილის წიგნის სტრუქტურის მართლაც ორიგინალური

და საოცრად მომგებიანი ფორმაა. მისეული განმარტებანი ანბანური ფორმით აწყობილი უმნიშვნელოვანესი ცნებებისა ჩვენი ყოფიერების ბზარსა და იარას ისევე ეხმიანება, როგორც მისი ნოველები და მხატვრულ-პუბლიცისტური სიმახვილით დაწერილი ბარათები. შორიდან, ეკლესიასტეს სიბრძნიდან წამოსული ამაოების მისეული ვერსია ზღაპრის შესავლითა და ავტორისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით. „გამოსავალი“, „დაბადება“, „ზამთარი“, „ვაზი“, „მარტოობა“, „ფიქრი“, „სიკვდილი“ და სხვა, ისევე იტევს სამყაროს ფერებს, ტკივილსა და გამოსავლის ძიების სურვილს, როგორც მისი მხატვრული ტექსტები. შიგადაშიგ ოპტიმიზმთან ერთად „გამოსავალი არის მაშინაც, როცა ის არ არის“, ირონიაც ეპარება სულგაყიდულებისათვის „ცხოვრებაში ერთხელ მაინც გირჩევს ვინმე-ეშმაკს მიყიდო სული... და შენც, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაფიქრდები-ნუთუ ეშმაკი ისურვებდა შენი სულის ყიდვას, თუნდაც უფასოდ“. და ბოლოს, მთელი მის ნაღვანი და მომავლის ფიქრები თითქოს ერთ ფრაზაში კონცენტრირდება „წლებს ვაკარგავ იმაზე ფიქრში, რომ წამი არ დავკარგო“. ეს ფრაზა მკითხველს მასთან არაერთგზის შეხვედრის პერსპექტივასა და აქედან გამომდინარე, იმ სულიერ წესრიგზე მიანიშნებს, ერს „ჯალათის მკლავზე“ ჩამოძინების საშუალებას რომ არ მისცემს. ელგა ფოლადიშვილთან ხომ წამი უკვალოდ არა-სოდეს მდინარებს.

## **ჩანაწერები „ჩვენი მწერლობის“ დარბაზისთვის**

### **მიხეილ ანთაძის – რომანი „სტრატეგია“**

პოსტმოდერნიზმს ხშირად განსაზღვრავენ ერთი გამორჩეული ნიშნით – „ძველი ლირებულებების გაუფასურება“, მაგრამ ეს მახასიათებელი მაინც შეიძლება დაუქვემდებაროთ რევიზიას, რადგან ნამდვილი ლირებულება არასოდეს უფასურდება. ის ყოველთვის რჩება, მით უფრო, როცა საქმე ეხება კულტულ სივრცეში მიმდინარე მოვლენებს.

მიხეილ ანთაძე ნამდვილად არის ჩვენს ეროვნულ კულტურულ რეალობაში საინტერესო ფიგურა-მრავალფეროვანი ინტელექტუალური რესურსით, პროფესიონალიზმით, შემოქმედებითი დამოუკიდებლობით და რაც ძალიან ნიშანდობლივია, სათქმელამდე მისვლის ორიგინალური მეთოდით, რომელიც მკითხველისთვის გამორჩეული ფუფუნებაა.

მიხეილ ანთაძის „განდობილთა“ წრე გართობის მოყვარულებისგან არ შედგება. პოსტმოდერნისტული ესთეტიკისთვის ნიშანდობლივი ეს შტრიხი მასთან სრულფასოვნად ვლინდება. ავტორსა და მკითხველს შორის უნდა არსებოდეს თანხმობა და ეს თანამშრომლობა მიხეილ ანთაძესათან მხატვრული ოპუსების გარდა უკოპრომისო გარჯისა და კეთილსინდისიერების შედეგად მიიღწევა. თავის ახალ რომანში „სტრატეგია“ იგი წერს ადამიანზე, რომელმაც რაღაცა გაიგო, მაგრამ გვანახებს „როგორ უნდა გაიგო ის რაღაცა, რომელიც სიცარიელესაც კი ღმერთად აქცევს.“ ვირტუალური სივრციდან რეალობაში „კოპირებული“ ნარატივი პოსტინდუსტრიული საზოგადოების მორალურ და ზნეობრივ სახეს გვანახებს.

ჩვენ კარგა ხანია შევეგუეთ ბევრ რამეს, შეშფოთების გულწრფელი უნარი შაგრენის ტყავივით შემოგვადნა. დღეს,

როცა ისეთი კვაზიმხატვრული ტექსტები მოუმრავლდა ჩვენი მწერლობის ლანდშაფტს, რომლებიც ფონს გასვლას ეპატაჟითა და მრუშიან-ორგიასტული მოტივებით ახერხებენ, მიხეილ ანთაძის ეს რომანი თავს სითამამითა და პასუხისმგებლობითაც გამახსოვრებინებს თავს.

მიუხედავად დრო-სივრცული არასტაბილურობისა და ამ გარემოში პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი პერსონაჟთა თანამყოფობისა, ტექსტს იღებ სიმშვიდით, ქარიშხლის შემდგომ მზის გამონათების მოლოდინით. ეს სიმშვიდე, ჩემი სუბიექტური ასოციაციაა და იგი გამოწვეულია მიხეილ ანთაძის, როგორც მწერლის წონასწორობის უნარით. მან ჩაიხედა იქ, სადაც ყველაფერი კარგად არ არის. სადაც წინასწარ, ქვეყნის გარეთ მოფიქრებული სტრატეგიით არსებობა ქმნის განგაშის საფუძველს. „რატომ არის ამ პროგრამისთვის მიტინგი „ვირუსი“?, „რა არის „ნაცობოლი?“, ან „არის თუ არა ეკლესია და რელიგია განუყოფელი“ ჩვენს დღევანდელ რეალობაში? განა არ მიგვანიშნებს საზოგადოებრივი მორალის კრიზისზე ერთ-ერთი გმირის დელფინის კომენტარი: „ძმაო, არაფერი გვეშველება, განა არ იცი, რომ ქუდები სწორედ იმიტომ რომ სხვადასხვაგვარნი არიან, იოლად გარდაიქმნებიან ერთიმეორედ. მოდის კაცი და ახურავს ნაქსოვი ქუდი, შეგხვდება იგივე კაცი მეორე დღეს და ბიჭოს, უკვე შლაპა არ ჩამოუფხატია?“ ან, როცა ინოხს აპატიმრებენ „ყოველი შემთხვევისათვის იარაღს ჩაუდებენ“. ასეთი პასაუები მიქმნის სწორედ სიმშვიდის განცდას, რომელიც ვახსენე. სწორედ ეს ღირებულებები არ ცვდება არასოდეს და ამიტომაც მიხეილ ანთაძის, როგორც მწერლის სიტყვა სანდოა და იმედისმომცემი.

## **ნუციკო დეკანოზიშვილის „ნამსხვრევები“**

ნუციკო დეკანოზიშვილი პირველად ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გავიცანი. მისი შესანიშნავი მოხსენების ფონზე უცნაური ის გახლდათ, რომ სანამ მეტყოდნენ, ასეთივე შესანიშნავი პოეტია, მასში ლექსი ვიგრძენი. მართლაც იშვიათად შემხვედრია ასეთი პოეტური გარეგნობის ადამიანი. და როდესაც დოდონა კიზირია ნუციკო დეკანოზიშვილზე გენიალურად მარტივად იტყვის, ჩემო კარგო, შენ ნამდვილი პოეტი ხარო, დანარჩენი, რის თქმასაც დავაპირებ, ამის დადასტურება იქნება. ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას ყოველთვის აქვს საერთო ჩვენს შინაგან განწყობასთან. ის არასოდეს კარგავს დროს გაცვეთილი ფრაზებისთვის და ამიტომაც უსაშველოდ ვივსებით ხოლმე მისი „მზისთვალება ბალახებით“, „დარბეული სიზმრებით“, „ტყვიისფერი თოვლით“, „პირამდე სველი მედუზების სველი შეხებით“. თელავმაც ნუციკოს სამყაროში აირეკლა თავი, რადგან „ალუბლისფერი კარების მიღმა ნუციკო ცხოვრობს“. ამ სამყაროში შესვლისას სიამოვნებით კრეფ ნუციკოს „ნამსხვრევებს,“ რომლებიც საბოლოოდ სიცოცხლის სახელით ჩვენს დაღლილ სულებში ისადგურებენ. ქალად ყოფნის „დანაშაული“ აძლევს ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას ელეგანტურობას, მომხიბლველობას სძენს მისი ლექსის სიურეალისტურ ფორმებს. უფალთან მიახლების, უფლის ძიების ეგზისტენციალური სევდა ბავშვობის შორეული მოგონებებიდან ადევნებია მის ფიქრებს. ღმერთი ხან დედის, ხან ჩვილის და ხანაც კაცის სახით ევლინება. უღმერთობისგან „მხნე და გაძრცვილი“ ადამიანების სევდა მის სტრიქონებში სახლობს. უნაყოფოა ის დილა, რომელიც მასთან უსიყვარულოდ თენდება და ყოველ სტრიქონს თავმდევი სათაურივით გასდევს – მიყვარხარ, გეძებ, გპატიობ.

„როგორია ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური მე? მისი პორტრეტია ყოველი ლექსი“ – წერს მაია ჯალიაშვილი. მკითხველს ყოველთვის აქვს ფარული სურვილი პოეტი ჰგავდეს თავის ლექსს, რომ პოეტის რეალური „მე“ სახლობდეს მის სტრიქონებში და როცა იგი აღმოაჩენს, რომ ეს ასე არ არის, მკითხველი იღუპება.

ნუციკო დეკანოზიშვილის ყოველი სტრიქონიდან კი მისი პიროვნება იმზირება. მისი პოეზიის შუქ-ჩრდილებში არას-დროს შეხვდებით მყვირალა ფრაზებს სამშობლოზე, თავგან-წირვაზე, თანაგრძნობაზე. რამდენჯერაც არ უნდა შებრუნდე ნუციკოს პოეზიის სამყაროში, არასოდეს დაგრჩება განცდა, რომ ბოლომდე ამუწურე მისი შესაძლებლობები. პოეზიის ამ ჯადო წიგნს, რომელსაც მან „ნამსხვრევები“ უწოდა და ძალუძს ესთეტიკური განწვალების პროცესში ისე ჩაგრ-თოს, მუდმივად ისე მოგანატროს და მოგასაკლისებინოს თავი, როგორც თავად ნუციკოს. ეს არის სწორედ ნამდვილი პოეზიის მახასიათებელი – ის ერთჯერადად არასოდეს შე-მოდის ჩვენს სულებში.

### ჯანო ჯიქიძის რომანი „ფარშევანგის ხოლო“

არსებობს მოსაზრება, რომ არც ერთ უანრში ლიტერატუ-რა ისე არ თავისუფლდება სინამდვილისაგან როგორც რო-მანში. რომანი კი არ უნდა ჰგავდეს ცხოვრებას და ბაძავდეს მას, იგი თვითონ უნდა იყოს „ცხოვრება“. ამიტომაც არის, რომ გლობალური პოლიტიკური და სოციალური პრომე-მების გამოძახილით განებივრებული ქართველი მკითხველი ხშირად პრეტენზიულია ხოლმე მეგატექსტების მხატვრული ნამდვილობის თუნდაც ფორმალური სიმართლის მიმართ. რა თქმა უნდა, ლირებულებათა პრიორიტეტი და მორალის-ტური კონტექსტში ლიტერატურაში არასოდეს დაკარგავს

თავის მნიშვნელობას და ამ ფასეულობათა დეკუნსტრუქციის ნებისმიერმა მცდელობამ შესაძლოა რეალური საფრთხეები შეუქმნას მას, თუმცა არის სხვა მოცემულობაც, რომელიც არანაკლებ საგანგაშოა.

ქლირებულებათა გადაფასებისა და მუდმივი რყევების ეპოქაში გადაღლილი მკითხველი გაურბის ელიტარულობის მარკას, ფსევდოინტელექტუალურ სიმძიმეს, ფსევდოციტატურობას, ტექსტის მეტაფორიზაციას, „ავტორის ნილაბს“. მას მოენატრა ლალი თხრობა, დროსა და სივრცესთან შეთანხმებული ნარატივი. ჯანო ჯიქიძის რომანში „ფარშევანგის სოლი“ მკითხველი იპოვის ამ მონატრებულ შეგრძნებებს. ავტორი ყოველგვარი ლიტერატურული ექსპერიმენტებისა და პოზირების გარეშე აღწევს სასურველ შედეგს.

მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში, რომლის სიუჟეტი ძირითადად ქ. სლავუტის საბჭოთა ჯარში ვითარდება და ზოგჯერ თანამედროვე საქართველოშიც გადმოინაცვლებს, თხრობისათვის თვალის მიდევნება არ საჭიროებს განსაკუთრებულ წინაპირობებს. რომანი არ ითხოვს უზარმაზარ, გამომფიტველ სულიერ ენერგიას თავისი მკითხველისაგან. ჯანო ჯიქიძე თავად გაიღებს მას ისე, რომ კითხვისას ყველა შესაძლო კომფორტს უქმნის მკითხველს და ტექსტში მონიდებული ყველა მორალისტური პოსტულატი ლალად, ბუნებრივად გადააქვს მის ცნობიერებაში.

რომანის სივრცე და დრო ძირითადად საბჭოურია. ბოლო უამს ლიტერატურულ მოდად ქცეული ტენდენცია მუდმივად განაჩენი გამოუტანოს ამ ეპოქას და მასში მცხოვრებ ადამიანებს, აქ მოულოდნელ და „რისკის შემცველ“ განვითარებს ჰპოვებს. რა თქმა უნდა, 80-იან წლებს არ ახლავს ის დრამატიზმი, რომელიც სტალინიზმის პერიოდს ახასიათებდა, მაგრამ უძრაობის ხანის მიმართ არსებობს მეტად უცნაური – საკუთარი თავის მიმართ სიბრალულის განცდა,

ჩვენ ხომ იძულებულები ვიყავით, ეს ყველაფერი მიგვეღო როგორც ცვლილებების პერსპექტივას მოკლებული ფაქტი. ჯანო ჯიქიძის რომანში უდავოდ იგრძნობა ეს განწყობა და ამიტომაც ეპოქა აქ შედარებით მეორადი მნიშვნელობისაა. პირველადი მაინც ცოცხალი ადამიანური შეგრძნებებია, რომელიც გაძლევს საშუალებას ამ ეპოქის ესთეტიკა შეი-გრძნო და დაინახო ჰუმანისტის თვალით.

მწერლის ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, უფრო შორსმიმავალია და რომანის ლიმილიანი პასაუების, გამოკვეთილი ტიპა-უების მიღმა მაინც იგრძნობა საბჭოთა ეპოქის მრუმე ანაბეჭდები. რომანის სააზროვნო სივრცეში ორგანულად არის ჩასმული თანამედროვე საქართველო თავისი „პოლიტიკო-სებით, პოლიტიკანებითა და პოლიტიკინებით“, კერპთაყვანისმცებლობით, ფრუსტრატებითა და მათი ფასეულობების მიმართ დაუდევრობით. „ქალი-ქალაქის“ სიმბოლიკით, რომელშიც მწერალი „განეფინება“, სადაც აპირებს „თავისი ნახელავით და ნაჯაფით დაღლილი, კმაყოფილი დადგეს და ღმერთივით გაიზმოროს“.

ჯანო ჯიქიძე რომანის „ფარშევანგის სოლოს“ ერთ-ერთ თავში, რომელსაც ჰქვია – სოლო: „თვითდასმენა“ წერს: „არიან ადამიანები, ვისაც თვითდასმენა აუცილებლად სჭირდება: და თუ ამის შანსი არ მიეცათ, ავად ხდებიან. ეს ყველაზე მეტად მწერლებს ეხებათ და მათი ასეთი თხზულებები მომნონს, ვიდრე კლასიკოსების.“

პირველ პირში მოთხრობილი მირჩევნია, მესამე პირში მოთხრობილს“. არ შეიძლება არ დაეთანხმო მწერალს – თვითდასმენა გაცილებით ძნელია. ეს რომანიც „თვითდას-მენაა“ – ჯანო ჯიქიძის შემოქმედებითი პასუხისმგებლობის მორიგი გამოცდა.

## ნანა ქარდავას დეჟავიუ ფოტოპორტრეტებში

დიახ, ეს უკვე იყო...

და როდესაც ამ განცდით ცხოვრობ მეოთხედი საუკუნეა, როდესაც არ გინდა უნამლო ტვინში მიმდინარე ამ უცნობ პროცესს, ეს ამოუხსნელი ფენომენი ახსნადი ხდება. იგი უფლისგან ბოძებული დამცავი კოდია, რათა კაცობრიობას ახსოვდეს თავისი წარსული. ადამიანები ხომ მუდმივად გლოვობენ, რომ გონივრულად ვერ გამოიყენეს გარდასული დღეები და მაინც ვერასოდეს იყენებენ უკეთესად დარჩენილს.

ნანა ქარდავას წიგნი „XIX საუკუნის აფხაზეთი ფოტოპორტრეტებში“ იმათთვისაა, ვინც თვალის ახელაზე ოცნებობს. „წარსულის მოფერებაა ეს წიგნი“ – ამბობს შესავალში ავტორი, რადგან მან კარგად იცის, სამშობლო არასოდეს გპატიობს მეხსიერების ჩავარდნას, უდიერ მოპყრობას იმის მიმართ, რაც „უკვე იყო“. და როდესაც ისე მოთმინებით ეძებ, მტვერს აცლი და რუდუნებით ეფერები მას, როგორც ამას ნანა ქარდავა აკეთებს, არის იმედი, რომ ეს მომავალშიც იქნება. რომ უსათუოდ განმეორდება ქართულ-აფხაზური სიყვარულის ისტორია. ეს არის ხმა სულისა, რომელსაც ძალუძს ნემეზიდას მახვილს გადარჩენილი თანაგრძნობა და სიყვარული ამოიყვანოს სიძულვილის ნანგრევებიდან და რომელიც ის იშვიათობაა, ყოველთვის დრამატულად რომ აკლდება ჩვენს ისტორიულ ყოფას. მერამდენე წელია, თვალყურს ვადევნებ ნანა ქარდავას თავგანწირულ ბრძოლას ამ ტრაგიკულ რეალობასთან. ის არასოდეს ერიდება რთულ ლანდშაფტს, წინააღმდეგობით დაძაფრულ სივრცეს, უამთა სიავეს ჯადოქარ კირკესავით რომ დაგვყურებს თავს. იგი უცნაური ერთგულებით, მხატვრული სიტყვით, ეთნოგრაფიული ძიებებით, ესეისტიკით უტევს ხოლმე ჩვენი

მეხსიერების დეკადანსს, ეპრძვის დროის განზრახვას-საბოლოოდ გამოგვაძევოს აფხაზეთში დარჩენილი წარსული-დან. ასეთი ერთგულება ჩვევია ნამუსიან მწერალს, ასეთი ერთგულება ჩვევია სიყვარულსა და პასუხისმგებლობას, იმ ავტედითი წლებიდან რომ დაეკისრა ჩვენს თაობას და რომელსაც ნანა ქარდავა არასოდეს განრიდებია. ამ თვალ-საზრისით, ნანა ქარდავას მორიგი ღვანლია „XIX საუკუნის აფხაზეთი ფოტოპორტრეტებში“, საიდანაც ჩვენი წინაპრების კარგად ნაცნობი და უცნობი სახეები შემოგვცერიან. თითქოს საყვედური გამოკრთის მათი შავ-თეთრი მზერიდან. ვერ გავუფრთხილდით, ვერ გავითავისეთ მათი მონაგარი. ეს ფოტოები „გადარჯულების“ საფრთხეებისგანაც გვიცავს და მოგონებებსაც გვიახლებს. ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ვერავის გამოგვაძევებს.

ნანა ქარდავამ ამ სამოთხის არსებობაზე შეგვახსენა. ძალიან მოინდობა, რათა ნიკო ლორთქიფანიძისა არ იყოს, „წუთისოფლის ლელვა ტორტმანში“ არ ჩაგვკარგოდა იგი. განა რამდენს გვსმენია ვერონიკა ემუხვარისა და სესილი მილერის რომანტიული თავგადასავალის შესახებ. და რომც გვსმენოდა, რამდენი მემატიანის ჯაფა და მოთმინება სჭირდება მის შემონახვას. ნანა ქარდავამ ამ წიგნით კიდევ ერთხელ დაგვიდატურა, რომ ერთგული მეციხოვნეა ამ მატიანის. რატომდაც მგონია, სესილის მიულერის ამბავს ნანა ქარდავა ასე ვერ შეელევა. შესანიშნავი სიუჟეტი იქნებოდა მისი ახალი მოთხრობისათვის, მკითხველებისთვის კი მისი მხატვრული სიტყვით ტკბობის კიდევ ერთი შესაძლებლობა. მან ხომ კარგა ხანია მიგვაჩვია ამ ფუფუნებას – სასიამოვნოდ განიცადო ის დეუავიუ, აფხაზეთს რომ უკავშირდება.

## ს ა რ ჩ ი ვ ი

ფრაგმენტები ეართული დისტერატურულის სტორიტან

გრიგოლ რობაქიძისა და მოდერნისტული ლიტერატურული  
დაჯგუფებების ურთიერთობების ისტორიიდან ..... 4

რუსული ფენომენი გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტებში“ ... 15

ავანგარდიზმის ისტორიისათვის საქართველოში ..... 25

შალვა ამირეჯიბის „ახალი სულიერი საქართველო“ –  
ოცნება თუ პოლიტიკური რეალობა ..... 43

შალვა ამირეჯიბი ქართულ კლასიკურ მწერლობაზე ..... 58

ფრაგმენტები მეოცე საუკუნის დასაწყისის  
ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან ..... 74

ესთეტიკურ-იდეოლოგიური ცვლილებების ასპექტები  
მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში ..... 90

გაუა-ფშაველა XX ს-ის დასაწყისის ქართულ ესეში ..... 104

ლადო კოტეტიშვილი – სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ..... 115

ოთარ ჩხეიძის „პოლიტიკური აქცენტები“ –  
სახელმწიფო პატრიოტიზმის გააზრებისათვის ..... 135

თანამედროვენი

ქართული ბიოგრაფიული რომანის ეროვნულ-

მსოფლმხედველობრივი ინტეგრალები.....	150
კულტურის როლი სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში.....	165
„მთვარის მოტაცება“ სოხუმის თეატრის სცენაზე.....	178
კავკასიური ერთიანობა – თვითგადარჩენის უნიკალური კოდი.....	184
გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების „სასწაულები“ .....	193
ზურაბ კანდელაკის რომანი „უძრავი ქარი“.....	198
ვისაც „შავი სათვალე ეკეთა“ .....	206
ზაურ კალანდიას „ძეგლი ყველასათვის“ – ერის დრამატული დილემა .....	211
აფხაზეთიდან გამოყოლილი სევდა – „გიორგი ესებუას წინათგრძნობა“ .....	221
მარადიული დაბრუნების პოსტმოდერნისტული ვარიაციები .....	230
იმ ნდობის პასუხად .....	242
ხელოვნების კრიზისი ინტელექტუალური დრამის კოლიზიებში. ....	246
ეკატერინე ტოგონიძის „წმინდა შესაძლებლობა“ – სულიერი ხედვის ალგორითმი .....	255

Arboles altos – მეხსიერების ანაბეჭდები .....	261
„ქართული მიწაც ცაა“ – მ. ადამ ახალაძის ლიტერატურული პროფილი .....	272
„ქარის ფრთებს“ მიღევნებული ქრონიკა.....	276
შტრიხი თანამედროვე ქართული პოეზიისათვის – ზაზა ბიბილაშვილის „ჩემი მდოგვის მარცვალი“ .....	287
„წერილები საქართველოს“ – წიწამურის გზაზე მავალთათვის .....	296
ჩანაწერები „ჩვენი მწერლობის“ დარბაზისთვის .....	305





## კონცესი

სალობი კაანაძე

**ვ**ითოლიანის დაქტორი, პროფესორი,  
1987 წელს დამზადებული აქტიზის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის  
ფაკულტეტი, 1997 წელს დაიკვეთა საკანონდაჭრო  
ფასტრიტული თემაზე „ტიტულ ტაბინის პროზა,  
წერილები, ნარკოლექტი“. ხალხური კულტურის  
კოსტუმის 1994 წლიდან, იყო ავტოზე-  
თას საბაკტერიულ გურიაში „ალექანდრ“ მიავარი  
რედაქტორი, გვირდ შერწამინდის სახელმწიფის  
სახელმწიფო პრემიის მიზნის უმიზის  
ნერი. 2005-2006 წლებში იყო აქტიზის  
განათლებისა და კულტურის მინისტრი. 2006-  
2009 წლებში – მინისტრის პირველი მუმღილე-  
ობის აუტორი და რედაქტორი პროექტებისა –  
„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-  
ავტოზეთი“, „სოხუმის დანიძა“, დაკა წერი-  
ლის მოება „კომინდენის“ ღლუსტრინის უმიზი  
გამოცემა ავტოზეთი უნაზე. „განვითარები მი-  
მართდან“, „მე მიავალ თევენიან“ დებოტი.  
ქართველი კულტურის პოპულარიზაციისათ-  
ვის დაცვილოւებულის სატრანგულოს განა-  
ტის ფესტივალისა და აქტიზის უმაღლესი  
საბჭოს სპასტონ სიკელიმი. არის მიაუღია  
შმეგობის ული (UPF), გამოცემუნებული აქცის  
32 სამეცნიერო ნამრობისა და მოწოდებულის  
„კოსტრუქციური ყანებისან-მარადისობამდე“. მყვეს  
მუხლები და წრიო მეტი.

ISBN 978-9941-94429-1



9 789941 944291